

ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკევობით

ფასი 1,50 ლარი

3 აგვისტო 2007

№16 (42)



ხევისბერის დაბრუნება
ირმა მალაციძის ნოველა
ნობელიანტები ზუგდიდში
იანიჩარი და ოქროს ნაწნავი
უილიამ ფოლკნერის დეტექტივი

სტაინბეკი კენედის დავალებით საქართველოში

შინაარსი

პრი და გედინწერა	2	ვახტანგ ამალღობელი სტინწეპკის საგანგებო მისინა საქართველოში
ღიტარატურული წსოწრეპა	5	ნინო თოლოწრია წოგელინწეპი... ჴუგღიღვი (ზურაბ ცხონდიას საჯარო ლექციების ციკლი)
წივი საუწუნის აღწიწეწი	6	თამაზ ჩხეწკელი ორი პორტრეტი
წიწი ყოწა, წუთისოწალი	12	ფრანსისკო უმბრალი ეწციკლოწეღიეპი
ეწსკრეწ-წწეწრეწი	13	სხვა წწეწრეწი არ გამაწწიწა (საუბარი გურამ ბათიწეწილთან)
გამოწმეწრეწა	15	ნინო გ. საწლავთწან ღწწეწილი წეწილი
პროწა	17	ირმა მალაწციღე წეწილი
	20	ვასილ ღლოწტი საში წოწეღა
პოწეწიწა	24	ხათუნა გვასალია სიწწეწის ორეწული
	27	წანა ბეგეწეწილი ჴწწარწმის სიწწეწიღე
ეწწწოღე	28	მარინა ყიფიწიწი „გულწა შეწი წეპკიღარე მეწწის“ (ცხელ გულზე, ჩაუწწწწეწეღაღ...)
პოწბის ერთი ლეწსი	29	შოთა ბოსტანაწეწილი ღწრბიწეღ წიწწს! (პოეზიის „გარღა)ცვალების“ მანიფესტის ღამატებები)
ეწწიწიწა	30	ჯებრან ხალიღ ჴებრანი თქვეწ თქვეწი ღიბანი გეპწთ, მე კი ჩივი ღიბანი
ღეკარგული საწწოგლო	32	როსტომ ჩხეიღე იწწიწარი ღე ოქროს წანწეპი (მიხეიღ ქავთარაძის ემიგრანტული მოგონებანი)
კრიტიკა	38	გიორგი ღობეწანიღე ხეწისბერის ღებრუწეწა
რეწრეწეწი	40	ეკა ბუწეწიწეწილი ქართვეღეპი აწწწიწან ომში
მოგონებათა სწიწრე	44	სერგეი მატეწიწოვი პეწწრის თეწეღი
ეწწწიწის გეწეწე	52	მანანა გეგეჭკორი მეღეა საბეწწეწეწი ღებრუწეღა (30 საუკუნის შემღეგ)
ეწრეწიწი შთეგეწეწიღეპა	55	ივანე ამირხანაწეწილი წიწ – წარწულიწეკეწ!
ღებეწეწიწი	56	უიღიამ ფოლკწეწი სვეღ
მოწეწიწა	63	რატომ იწწეღიღწეწ გვერს

ღამეწეწეწეღი „იღიონი“

მისამართი: თბილისი,
ჩუბინაწეწილის №41

რეღეღეღე – (995 32) 96-20-62

რეკღამა – (995 77) 48-12-24

გავრწეღეღე – (995 99) 93-18-52

ფაქსი: (995 32) 96-20-62

E-mail: info@mtserloba.ge



ღეკეწიწიწი სტებეწიწი „ომეგა თეგი“
საწეწეწეწიწი, თბილისი, საწეწეწიწიწი 17
ტელეწიწიწი: +995 32 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
TELEPHONE +995 32 53 03 62

მთავარი რეღეღეღე – როსტომ ჩხეიღე

პროზის რეღეღეღე – მაკა ჴოხაღე პოეზიის რეღეღეღე – გიორგი ღობეწანიღე

კრიტიკისა და თარგმანის რეღეღეღე – თამაზ ნატროწეწილი

ღიზიწეწიწი – მალხაზ იაწეწილი მხატვრული რეღეღეღე – კარლო ფაწეწიღა

კორეღეღეღე – ნინო ღეკანოიღე ღეკებადონება – ლეწწიწიწი

ოპერატორი – თამარ ჩიხღაღე სარეკღამო მეწეწეწეწი – მაკა ჴეღარეიღე

გავრწეღეღების სამსახური – ლეწწიწიწიწი

გარეკანზე: ათეწი

რეწეწიწი თებეწეწეწილი

„ჩეწიწი მწწეწეწიწი“ მომღეწეწიწი წომეწი გამოგა 17 აგვისტოს

ვახტანგ ამალღობელი

სტაინბეკის საგანგებო მისია საქართველოში

დიდი ინტერესით გავეცანი ლელა ოჩიაურისა და ოლიკო ულენტის დიალოგს („რა იპოვეს ჰამსუნმა და სტაინბეკმა საქართველოში?“, „ჩვენი მწერლობა“ 2007, №12) და სურვილი გამიჩნდა გამოვხმაურებოდი ორი გარემოების გამო: პირველი იმიტომ, რომ ამ დიალოგის ერთ-ერთი თემა ჩემი კვლევის საგანიცაა. 2003-2004 სასწავლო წელს ფულბრაიტის პროგრამით, სამეცნიერო მივლინებით კალიფორნიის სანტა კრუზის უნივერსიტეტში ვიმყოფებოდი, რომელიც სულ რამოდენიმე ათეული მილითაა დაშორებული „სტაინბეკის ქვეყნიდან“.

მიუხედავად იმისა, რომ ჩემი კვლევის მიზანი სულ სხვა იყო, სტაინბეკის ამ ულამაზეს „ქვეყანაში“ მოხვედრის შემდეგ თავისთავად დაინტერესდი მისი შემოქმედებითაც. ამას დაემატა ისიც, რომ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მუშაობის დროს აღმოვაჩინე მეორე დიდი ამერიკელი მწერლის, ჯონ დოს პასოსის ჩვენთვის უცნობი ესეები საქართველოში მოგზაურობის შესახებ. ყველაფერმა ამან მიბიძგა პარალელურად ახალი თემის კვლევა დამეწყო. ვაგრძელებ მუშაობას პროექტზე: „ამერიკელი მწერლები და საბჭოთა საქართველო (1921-1991)“.

მეორე, რამაც უფრო გადამაწყვეტინა გამოხმაურება, არის სტაინბეკის საქართველოსთან ურთიერთობის შესახებ ქ-ნ ოლიკოს მიერ გამოთქმული უაღრესად საინტერესო მოსაზრებანი და ვარაუდები, რომელთაც მთლიანად ვიზიარებ. მაგრამ ამჯერად ცალკე მინდა გამოვყო მისი ერთი მოსაზრება, რომელშიც ვარაუდს გამოთქვამს საქართველოს მისამართით ამერიკის განსაკუთრებული ინტერესებისა და სტაინბეკის მისიაზე: „აღბათ, აქ, იმჟამად ჩადებული იყო ამერიკელების რალაც ინტერესები და სტაინბეკს, აშკარად რალაც მისია ჰქონდა დაკისრებული“.

დიახ, აქ არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ქ-ნ ოლიკოს, რადგან ჩემი ვარაუდითაც სტაინბეკი 1963 წელს, შეიძლება ითქვას, საგანგებო მისიით იყო ჩამოსული საბჭოთა კავშირში, განსაკუთრებით კი საქართველოში.

სტაინბეკის სტუმრობა 1963 წელს მნიშვნელოვანი მოვლენა იყო და იგი განხილული უნდა იქნას „ცივი ომის“ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნების, სსრკ-სა და აშშ-ს ურთიერთობათა კონტექსტში. სტუმრობის მიზანი მარტო კულტურული გაცვლითი პროგრამების ფარგლებში არ უნდა განვიხილოთ, მას პოლიტიკური დატვირთვაც ჰქონდა. ამაზე ისიც მიუთითებს, რომ მწერალი აღნიშნულ ვიზიტს მისი ქვეყნის პრეზიდენტის, ჯონ კენედის თხოვნით ასრულებდა, რასაც თვითონ ადასტურებს.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ პრეზიდენტ ლინდონ ჯონსონისადმი მიწერილ წერილში სტაინბეკი აღნიშნავს:

„პრეზიდენტ კენედის თხოვნით მე და ჩემმა მეუღლემ ვიმოგზაურეთ რკინის ფარდის მიღმა, ვესაუბრეთ მწერლებსა და სტუდენტებს. როგორც არა დიპლომატებს, შესაძლებლობა გვქონდა ბევრი ისეთი რამე გვენახა, რაც ჩვეულებრივ მიუწვდომელია. თუ ჩვენს შთაბეჭდილებებს თქვენთვის რაიმე ღირებულება აქვს, მზად ვართ თქვენდა სამსახურად. ზოგიერთი მათგანი არაერთოდოქსულიცაა.“

ამ წერილიდან ნათლად ჩანს, რომ სამადლობელი წერილების გარდა, რომლებიც სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დაავაზვნა, არსებობს მისი საბჭოთა კავშირში მეორედ მოგზაურობის შთაბეჭდილებანი, რომლებიც პრეზიდენტ ლინდონ ჯონსონს გადასცა და არ გამოქვეყნებულა.

მას პრეზიდენტმა შემდეგი პასუხი გაუგზავნა: „თქვენმა წერილმა ნუგეში მომგვარა. ვიმედოვნებ, ძალიან მალე ერთად დავსხდებით და ჩვენი ქვეყნის შესახებ ვისაუბრებთ“.

ამასთან დაკავშირებით არსებობს სინთია ბერკჰედის საინტერესო მოსაზრებაც: „1963 წელს მწერალმა კულტურული გაცვლითი პროგრამით იმოგზაურა საბჭოთა ბლოკის ქვეყნებში, სადაც, მიუხედავად კვბ-ს მხრიდან გამოუდმებული თვალთვალისა, მაინც შეძლო შეხვედრები იმ ადამიანებთან, რომლებიც, სხვა დასავლეთეგროპულთა მსგავსად, სტაინბეკს ჯერ კიდევ თავიანთ ფავორიტად მიიჩნევდნენ. სტაინბეკმა საკმაო პრობლემები შეუქმნა საბჭოელებს, რადგან, როგორც პრეზიდენტ ჯონ კენედის შეჰპირდა, ბევრს ეცადა, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობას შეეცვალა თავისი გადანყვეტილება მისი ნიგნების რუსული გამოცემებისათვის ჰონორარის გაცემის აკრძალვის თაობაზე. ამერიკის შეერთებულ შტატებში პრეზიდენტ კენედის მკვლელობიდან ერთი თვის თავზე დაბრუნებულ სტაინბეკს პრეზიდენტი ლინდონ ჯონსონი თეთრ სახლში ინვეეს სადილზე, სადაც საფუძველი ეყრება სტაინბეკებისა და ჯონსონთა ოჯახების დამეგობრებას. ჯონსონთან მეგობრობასა და მის მიმართ ერთგულებას ვიეტნამის კონფლიქტის გამწვავებამაც მოუწყო გამოცდა“.

მართლაც, მწერლის საქართველოში მეორედ სტუმრობასთან დაკავშირებით არსებობს მხოლოდ ოფიციალურად გამოქვეყნებული სამადლობელი წერილები, რომლებიც სტაინბეკმა სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გამოუგზავნა ლენინგრადის, კიევის, ერევნისა და თბილისის მწერალთა კავშირებს. ამათგან თვითონ ჯონ სტაინბეკი ერევანში, თბილისსა და კიევში გაგზავნილ წერილებს გამოჰყოფს და ერთ-ერთში, რომელსაც თავის ახლო მეგობარს უგზავნის, ჩვენთვის საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს: „წინასწარ უნდა გაგაფრთხილო, საერთოდ რომ არ გსმენია, ისეთი მაღალფარდოვანი წერილები მივწერე ერევნის, თბილისისა და კიევის მწერალთა კავშირებს. ჩვენს სმენას საკმაოდ ყურს სჭრის, მაგრამ ასეთი სტილი იქ ავითვისე“.

აქვე მინდა ხაზი გავუსვა ერთ მნიშვნელოვან გარემოებას – სტაინბეკს აღნიშნული სამადლობელი წერილების გარდა არც უცდია რაიმე გამოექვეყნებინა. როგორც ელენ სტაინბეკი და რობერტ უოლსტენი აღნიშნა-

ვენ: „სტაინბეკს სიტყვა ჰქონდა მიცემული, რკინის ფარდის მიღმა მოგზაურობის შესახებ სამშობლოში დაბრუნებამდე ოფიციალურად არაფერი გამოქვეყნებინა. სამაგიეროდ, რამდენიმე სამადლობელი წერილი დაწერა...“

თუმცა არც შემდეგ უცდია საბჭოთა კავშირში მეორედ მოგზაურობის შთაბეჭდილებებისათვის თავი მოეყარა და ერთ წიგნად გამოეცა, როგორც ეს პირველი მოგზაურობის შემდეგ „რუსული დღიურების“ გამოქვეყნებით გააკეთა.

არც ჩვენთან, საქართველოში, გაშუქებულა მისი სტუმრობა სათანადოდ. ამ მოვლენას 1963 წლის 3 ნოემბერს მხოლოდ გაზეთი „კომუნისტი“ გამოეხმაურა მოკლე ინფორმაციით და იმავე წლის დეკემბერში ჟურნალ „დროშაში“ გამოქვეყნდა გულნარა ბახტაძის წერილი – „კალამი, დუდუკი და სალამურები“, რომლებიც არ ასახავენ ამ სტუმრობის ნამდვილ მიზანსა და მნიშვნელობას. მთავარი, რასაც ეს ინფორმაცია და წერილი გვატყობინებს, არის ის, თუ როგორ გადასცა ქალაქური მუსიკით



იოსებ ნონეშვილი, ჯონ სტაინბეკი, სერგი ჭილაია და ვახტანგ ჭელიძე

აღფრთოვანებულმა ჯონ სტაინბეკმა თავისი ავტოკალამი მედუდუკე ალექსი ადამაშვილს მისგან ნაჩუქარი სალამურის სასაცვლოდ.

ამერიკელი სტუმრის უშუალო მასპინძლებიც, ცნობილი ქართველი პოეტი, იმ დროს საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, ირაკლი აბაშიძე და ცნობილი მწერალი და მთარგმნელი, იმ დროს საქართველოს კულტურის სამინისტროს ხელოვნების სამმართველოს უფროსი, ვახტანგ ჭელიძე საკმაოდ მოგვიანებით გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოაქვეყნებენ თავიანთ ვრცელ მოგონებებს ამერიკელი მწერლის საქართველოში აღნიშნული სტუმრობის შესახებ, ირაკლი აბაშიძე – 1985 წლის ოქტომბერში, ხოლო ვახტანგ ჭელიძე – 1996 წლის ივნისში.

არცერთი მათგანი ზემონახსენებ წერილს, რომელიც იროდიონ ქავჭავაძემ გადასცა გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ თანამშრომლებს, თავის მოგონებებში არ ახსენებს, რაც ერთი შეხედვით ძალიან უცნაური ჩანს. განსაკუთრებით ეს ირაკლი აბაშიძეს ეხება, რომელიც ამ წერილის უშუალო ადრესატი უნდა ყოფილიყო, როგორც

მამინდელი მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ საბჭოთა ხელისუფლება ჯონ სტაინბეკს მის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულების გამო არა სწყალობდა, რაც მან ქართველ მწერლებთან შეხვედრის დროსაც გამოხატა, მათი სიფრთხილე გასაგები გახდება.

საქართველოს მწერალთა კავშირშიც მწვავე შეხვედრები ჰქონია სტაინბეკს. ვახტანგ ჭელიძე იგონებს, რომ საუბარი გარეგნულად თითქოს მშვიდობიანად დაწყებულა, მაგრამ მალე გამოკვეთილა მკვეთრი დაპირისპირება. სტუმარი თურმე საყვედურობდა საბჭოთა მწერლებს, რომ ისინი მხარს უჭერდნენ ხელისუფლების ყოველგვარ მოქმედებას, ხოტბას ასხამდნენ მას. მწერლის მოვალეობა კი ის არის, ოპოზიციაში ედგეს მთავრობას, აკრიტიკებდეს ხელისუფლებას, გმობდეს მის შეცდომებსა და უსამართლობას.

ამერიკელ მწერალს არა გაცხარებით, თუმცა საკმაოდ მკაცრად უთქვამს: „თქვენ ხომ არ გგონიათ, რომ მე ჩემი ხალხი მძულს და ჩემი ქვეყნის მტერი ვარ, რაკი ასე

მკაცრად ვაკრიტიკებ და ვგმობ ყოველგვარ უსამართლობასა და შეცდომებს. თქვენ ხელისუფლების სამსახურში ხართ. ჩემს მუშაობაში მთავრობა რატომ უნდა ერეოდეს, მას ჩემთან არაფერი ესაქმება“.

შემდეგ თავი დაუხრია და კეფიდან შუბლამდე ხელით შემოუხაზავს: „ეს ტერიტორია ჩემი საკუთრებაა და ამაში ვერავინ შემეცილება“.

სტაინბეკის ამ სიტყვების გულწრფელობაში ეჭვი არ შეგვაქვს, მან თავისი ცხოვრების წესითა და ლიტერატურული მოღვაწეობით დაამტკიცა, რომ ის იყო დამოუკიდებელი შემოქმედი, მაგრამ, ამავე დროს, როგორც თავისი ქვეყნის პატრიოტი, მის სამსახურში იდგა. უფრო მეტიც, უორენ ფრენჩი მოგვითხრობს, რომ, როცა მექსიკის მთავრობამ უარი უთხრა პოლიციულის გადამღებ ჯგუფს, სტაინბეკის სცენარის მიხედვით ფილმი გადაეღოთ რევოლუციის ლიდერზე – ემილიანო ზაპატაზე, სტაინბეკი შტატებში დაბრუნდა საერთო-სახალხო პოლიტიკური ვითარების გართულების გამო, რომელსაც ფარულად თანაუგრძნობდა, მაგრამ გარკვეულ დრომდე ამას საიდუმლოდ ინახავდა.

ფრენჩი აღნიშნავს: „მისი (სტაინბეკის) მეგობრობა ადღეი სტივენსონთან, ჯონ კენედისთან და განსაკუთრებით ლინდონ ჯონსონთან საყოველთაოდ ცნობილი ხდება. ამ დროისათვის იგი მართლაც ჩართული გახლდათ ეროვნულ პოლიტიკაში, თანაც, როგორც ჩანს, თვითონაც არ ჰქონდა გაცნობიერებული ბოლომდე, რომ უკვე რეგიონალური დონის აღარ იყო და ამ არენაზე მსოფლიო კლასის მოთამაშე ხდებოდა“.

მიუხედავად იმისა, რომ მთავარ სათქმელს – წერილებს, რომელთაგან ერთი, მწერალთა კავშირისადმი გამოგზავნილი, 27 წლის შემდეგ და ისიც მხოლოდ საქართველოს საბჭოთა კავშირიდან გამოყოფის პირველსავე, 1991 წელს გამოქვეყნდა, მეორე კი, კოლაუ ნადირაძისადმი მიწერილი, დღემდე გამოუქვეყნებელი ინახებოდა პოეტის არქივში. ბუნებრივია, იხადება კითხვა: თუ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკების მწერალთა კავშირებისადმი გაგზავნილი ყველა დანარჩენი წერილი მაშინვე გამოქვეყნდა საკავშირო თუ რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში, საქართველოში მოსულ წერილებს რატომ ხვდათ ასეთი ბედი?

სტაინბეკის მიერ თბილისში, ერევანსა და კიევში გაგზავნილი სამი წერილის გაცნობის შემდეგ ჩემთვის ნათელი გახდა, რომ თბილისში გამოგზავნილი ბარათი სცდება წმინდა საპროტოკოლო-სამადლობელი წერილის ფორმატს. ეს წერილი ეპისტოლური ჟანრის საუკეთესო ნიმუშია, რომელშიც ცნობილი ამერიკელი მწერალი უბრალოდ კი არ ამჟღავნებს თავის სიყვარულს, არამედ ცდილობს ეს სიყვარული დაუმტკიცოს საქართველოსა და ქართველ ხალხს. ამავე დროს ის უაღრესად მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს ქართულ-ამერიკულ ურთიერთობებში. მასში პირველად ქარაგმულად, თუმცა საკვებით ნათლად, გამჟღავნდა ამერიკის გეგმები საქართველოსთან მომავალი სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ.

გულისხმობს სტაინბეკის შემდეგი მოსაზრებას: „მე ვიცი ისტორიაც და პრეისტორიაც ამ ორ სამყაროს შორის მდებარე ზღურბლისა – როგორ იზიდავდა იგი ყოველი მხრიდან მგლებს, რომლებიც ანთებულნი თვალებით დაეძებდნენ ჯერ კიდევ დაუპყრობელ მიწებს და ისწრაფოდნენ გამოეკეტათ კარები, რათა ამ გასასვლელს დაპატრონებოდნენ. ჩანს, ეს მოხდება, – და ჩვენც ამაზე გულმხურვალედ რაღას ვინატრებდით, – რომ დროისა და ვითარების წყალობით ყველა მგელი გალიაში დაიმწყვდეს და მსოფლიოში ყველა კარი გაიხსნას. ეს ჩემი ლოცვისმაგვარი სურვილია და რომ შემძლებოდა ჩემთვის მისია ამერჩია, სწორედ ამას ავირჩევდი – ხელი შემეწყო მგლების დამწყვედვისა და კარების გახსნისათვის.“*

თუ სტაინბეკის ალეგორიას გავაგრძელებთ, სწორედ, ამ „მგლების“ შიშით ვერ გამოქვეყნდებოდა აღნიშნული წერილები, რადგან ამერიკელი მწერლის ალეგორია იმდენად გამჭვირვალეა, რომ მისი ამოხსნა არ გაუჭირდებოდათ, მითუმეტეს კვბ-ს ანალიტიკოსებს.

მიუხედავად იმისა, რომ ვახტანგ ქელიძე თავის მოგონებაში ამ წერილზე არაფერს ამბობს, იგი ადასტურებს იმას, რაც სტაინბეკმა ფიგურალურად აღნიშნა თავის ბარათში და რაც, მთავარი გზავნილია ამ წერილისა. მათ პირადი შეხვედრების დროს ამ საკითხებზე ღია და გულახ-

დილი საუბრები ჰქონდათ. შემთხვევითი არ არის, რომ ვახტანგ ქელიძე თავის მოგონებას ასე ასათაურებს: „ამერიკა განსაცდელში არ მიგატოვებ“.

ვახტანგ ქელიძე აღწერს ამერიკელ მწერალთან ერთ-ერთ შეხვედრას, რომლის დროსაც საუბარი კარგა ხანს გაგრძელდებოდა, გაუხსენებია ჩვენი ხალხის მძიმე წარსული, როგორც ჩანს, ისიც უთქვამთ, რომ გარშემორტყმულნი ვართ მტრულად განწყობილი სახელმწიფოებით. მართალია, მემუარისტი ზუსტად ვერ იგონებს, უშუალოდ რასთან დაკავშირებით, თუმცა კარგად ახსოვს სტაინბეკის სიტყვები: „ახლა სხვა დროა, სხვა ეპოქაში ვცხოვრობთ, დიდი სახელმწიფოები მფარველობას გაუწევენ მცირერიცხოვან ერებს... ამერიკა განსაცდელში არ მიგატოვებ... ამის იმედი უნდა გქონდეთ...“ მწერალს აქვე გამოუთქვამს დიდი სიმბათიები თავისი ახალგაზრდა პრეზიდენტის მისამართით.

სტაინბეკის წერილთან დაკავშირებით კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტზე მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება. კერძოდ, მის შესავალ ნაწილზე, რომელშიც იგი წერს: „ძვირფასო მეგობრებო! როდესაც თქვენ დაგმორბიეთ და ჩრდილოეთისაკენ გაეფრინდით, ერთი კეთილშობილური, მაგრამ მიულწვევლი განზრახვა მქონდა – მინდოდა წერილი მომეწერა სათითაოდ ყველასათვის... უნდა ვაღიარო, და ეს სამარცხვინოდ სულაც არ მიმაჩნია, რომ საამისო ძალა არ შემწევს“ და აღნიშნავს, რაკილა ამის გაკეთება არ შემიძლია, ამიტომ მთელ თბილისს, ყველა თბილისელს ერთად გწერთ წერილს.

ცნობილი ამერიკელი მწერლის ამ სიტყვებში, ალბათ, ვერავინ ეჭვს ვერ შეიტანდა, რომ არა ერთი გარემოება, რომელიც ცნობილი ქართველი პოეტის კოლაუ ნადირაძის არქივში ინახება გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში, აღმოჩენილი წერილის რუსულად თარგმნილ ვარიანტს ეხება.**

წერილი მოცულობით დიდი არ არის, ამიტომ მოგვყავს მთლიანად:

«Дорогой друг, после того как моя жена Элани и я вернулись домой после нашего визита к Вам в Тбилиси, Вы и Ваш Великий город все время в наших мыслях.

Как много теплых и восхитительных вещей Ваш город дал нам. Это остается у нас в памяти. Конечно, у нас были споры и различные мнения, но они не повлияли на нашу дружбу.

Наши споры убедили меня, что хорошие люди всегда стремятся к одному и тому же.

* წერილის თარგმანი შესრულებულია ცნობილი ქართველი პოეტისა და მთარგმნელის, ქ-ნ თამარ ერისთავის მიერ.

** მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა გადავუხადო გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომელს, ქ-ნ მარინა ყვიანს, რომელიც აღნიშნული დოკუმენტის მოპოვებაში დამეხმარა, ბ-ნ ნუგზარ ნადირაძეს, პოეტ კოლაუ ნადირაძის ვაჟსა და ქ-ნ ნინო ჩხიკვიშვილს, პოეტ კოლაუ ნადირაძის შემოქმედების მკვლევარს, რომლებმაც პოეტის პირად არქივში არსებული ამ წერილის ინგლისური ორგინალის ასლი გადმომიცეს.

Как небольшой знак того что я ценю Ваше хорошее отношение, я посылаю Вам экземпляр единственного... что я сделал или сделаю, в этом отношении оно уникальное. То что посылаю может дать немного веселья и немного смеха и это не принесет никакого вреда и я помню, что когда мы были в Тбилиси, мы много смеялись, танцевали и пели.

Мы надеемся, что когда-нибудь Вы нас посетите и мы надеемся, что мы в равной мере сможем отплатить Вам тем же гостеприимством и щедростью, которую Вы так щедро предложили нам. Элани присоединяется ко мне в этих пожеланиях. Желаю счастья и здоровья.

Ваш друг Джон Стейнбек».

აღნიშნული წერილის რუსული თარგმანი ძალიან ბევრ კითხვას ბადებს, რაც ცალკე კვლევის საგანია, მაგრამ ორ მომენტს აქვე მინდა გავუსვა ხაზი.

პირველი, ამ წერილის არსებობა მიუთითებს, რომ ამერიკელი მწერალი, შეგნებულად „ცრუობს“ კეთილშობილური მიზნებიდან გამომდინარე, და მწერალთა კავშირისადმი გამოგზავნილ წერილში საგანგებოდ – ალბათ, „მგლებს“ თვალის ასახვევად – ამბობს, რომ მხოლოდ ამ ერთ წერილს ვწერ და იმასაც მთელ თბილისს ვუძღვნი, არავის პირადად არ ვწერ, კი მინდა, მაგრამ ეს შეუძლებელიაო.

და მეორე: რადგან მან, როგორც აღმოჩნდა, პირადი წერილი გამოუგზავნა კოლაუ ნადირაძეს, სავარაუდოა, ის ასეთ წერილებს სხვებსაც გამოუგზავნიდა.

ჩემი ღრმა რწმენით, აღნიშნულ საკითხებზე კვლევადიების გაგრძელება საშუალებას მოგვცემს აღვადგინოთ ის ურთიერთობები, რაც რეალურად არსებობდა ამერიკელ და ქართველ მწერლებს შორის საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის არსებული „ცივი ომის“ პირობებში.

ლიტერატურული ცხოვრება

ნობელიანტები...
ზუგდიდში



ზურაბ ცხონდიას
საჯარო ლექციების ციკლი

ნობელიანტები? თან ზუგდიდში... ცოტა ხმამაღალი გააცხადი ხომ არ არის ამ პატარა, უწყინარი ქალაქისთვის ასეთ ბუმბერაზ, მსოფლიო ავტორიტეტთა სამასპინძლოდ თავის გამოდება?

არა.

ნობელიანტები დღეს ქალაქს სტუმრობენ და მოდით, შევეცადოთ მაინც, არ დაგვძრახონ, ქართველების სტუმართმოყვარეობაზე სმენილი და გაგონილი მითია და არა სინამდვილეო.

ასე დაიბადა აზრი. ზვიად კვარაცხელიამ, ლიტერატურულ კლუბ „ნოეს“ ერთ-ერთმა აქტიურმა წევრმა და გამორჩეულმა წარმომადგენელმა ახალი თაობისა, ყველა პროგრესულად მოაზროვნე მოქალაქის სურვილი გაახმოვანა ამ იდეით – არ ჩამორჩენოდა სამეგრელოს ახალგაზრდობა მსოფლიო სალიტერატურო და სახელოვნო პროცესის შემეცნებას, რამაც თავისთავად წარმოშვა აუცილებლობა, საჯარო ლექციების ციკლის გამართვისა ნობელის პრემიის ლაურეატებზე ლიტერატურის დარგში.

ყოველ პარასკევს, არტ-გალერეის კამერული დარბაზი, ინტელექტის ამაღლების, შემეცნებითი სპექტრის გაფართოების მსურველი ახალგაზრდისათვის „აცოცხლებს“ იმ ნობელიანტებს, რომელთაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს მსოფლიო ლიტერატურულ ცხოვრებაში.

გალერეის კედლებში თავიდან ილვიძებენ ნობელიანტთა აჩრდილები, თომას მანი და ალბერ კამიუ, ჰერმან ჰესე

და ჟან-პოლ სარტრი, უილიამ ფოლკნერი და ჯონ სტაინბეკი მათი ამოუწურავი, დაუდგომელი სამყაროთი, რამდენამდე შეცნობილი თუ შეუცნობელი შრეები მათი როგორც პიროვნული, ისევე შემოქმედი ბუნებისა და გრძნობ ხელოვნების მაჯისცემას, ახლა უფრო ცხადად. ქალაქის პულსიც უფრო ჯანსაღია და ხვდები, რომ გადარჩები... და „ნოეს“ მოწოდებაც, „შევიტანოთ ნიჭი და ფასეულობანი კიდობანში“ ფუჭი სიტყვისგება კი არაა, არამედ ახალგაზრდული შემართება, უშურველი ენერჯით რომ ცდილობს, არ მოწყვიტოს პატარა ქალაქი დიდი ხელოვნების მაჯისცემას.

იდეა და ორგანიზება შთამბეჭდავია. მაგრამ მოდით, აქედანვე შევთანხმდეთ:

რომ არა ზურაბ ცხონდიას პიროვნება, რომელსაც – ინტელექტუალ პოტენციალსა და ღრმა ერუდიციასთან ერთად – აქვს იშვიათი არტისტიზმი და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი კოლორიტული „ენოვნება“, მიზანი მიზნადვე დარჩებოდა და ვერ მიაღწევდა იმ ეფექტს, რომლითაც ჩვენს წინაშე წარმოდგება „ნობელიანტები“.

ფაქტი, რომ ეს საუბრები არ არის მონოლოგის ყაიდისა და ძირითადად დიალოგის ფორმით სახიერდება, ორმაგად საინტერესოსა და მიმზიდველს ხდის ლექციებს, განსაზღვრავს არტ-გალერეის მომცრო დარბაზში თავმოყრილი ახალგაზრდების აქტიურობას.

და ცოცხლებიან ეპოქები ხელოვნების პატარა სავანეში. გრძნობ განსხვავებული ხედვის სიმძლავრეს, პარალელების ქსელში გახლართულ სინამდვილეს, ხვდები, ეს არ არის უბრალოდ ფრაგმენტული მონახაზი ინტელექტუალთა ცხოვრებისა, მათი ბიოგრაფიული თუ შემოქმედებითი „აქტივობის“ მარტივი გააზრება. ეს სხვაა – ახლებური კუთხით დანახული, ნაგრძნობი მწერალი და მისი უკვდავყოფილი ნიგნების გათავისება თანადროულობასთან მიმართებით.

... არტ-გალერეის კედლებში კარგი მთქმელი კარგი გამგონის მოლოდინში დგას ნობელიანტთა აჩრდილების წინაშე...

ნინო თოლორაია

თამაზ ჩხენკელი

ორი პორტრეტი

რაიტიარაპია და პეფხისტყაოსანი

პირველად მაშინ ვიგრძენი თავი ბედნიერად (ასე მახსოვს), როცა ხუთი თუ ექვსი წლის ბიჭი ცხენზე შემსვეს და ჩემი დაჟინებული ხვეწნის შემდეგ აღვირიც მომცეს ხელში. რაღაცნაირი სიამაყისა და სიხარულისაგან ამიძგერდა გული. ისეთი განცდა მქონდა, თითქოს მეც იმ ცხენით ძლიერი და მაღალი ვიყავი. ეს მოხდა ქუთაისის შემოგარენში, სადაც ჩვენი ოჯახის მეგობარმა, სანდომიანმა ვაჟუკაცმა სტეფანე მეფისაშვილმა წამიყვანა, და წამიყვანა სწორედ იმიტომ, რომ ჩემი ნატვრა შეესრულებინა და ცხენზე შევესვი. ეს, რა თქმა უნდა, ბედნიერი შემთხვევითობა იყო, რადგან შემდეგი ათი წლის განმავლობაში მხოლოდ წიგნის კითხვით ვიკმაყოფილებდი ცხენებისადმი სიყვარულს. ჩემს ადრეულ ყმანვილობაში მახსოვს უჩინარი მწერლის სეზმან ერთანმინდელის ერთი პატარა მოთხრობა ბედუინთა ცხოვრებიდან: ცხენმა თავისი პატრონი გადაარჩინა იმით, რომ შეუსვენებელი ჭენებით უკან ჩამოიტოვა მდევერები, მაგრამ სამშვიდობოს რა გაიყვანა პატრონი, დალილობისაგან გული გაუსკდა. მისი ლავდა ცხენის ასეთი ერთგულება.

ცხენი ულამაზესი ცხოველია, თავმოზნონე და ძალა-მორჭმული (ფრანგ ნობელიანტ პოეტს სენ-ჟონ პერსს ჩინებული ლექსი აქვს ამის თაობაზე). მის განსაკუთრებულ ცხოველმყოფლობას ჩემს თვალში ლადო გუდიაშვილის მიერ დასურათებული „არსენას ლექსის“ ცხენები ასახიერებდნენ. მერე ტარიელის, ავთანდილის და ფრიდონის ცხენები, რუსულ საბავშვო ენციკლოპედიასა და ცნობილი მხატვრებისა და მოქანდაკეების ალბომებში ნანახი ცხენების გამოსახულებანი. ჩემი სუბლიმირებული სიყვარული მათდამი ამით ამოიწურა. ცოცხალ, რეალურ ცხენებთან ჩემი ურთიერთობა თექვსმეტი წლის ასაკში დაიწყო, როდესაც დიდი ომის დროს, სიყრმის მეგობარმა დიტო წვერავამ დიდუბის იპოდრომზე მიმიყვანა. თვითონ იქ უკვე გაშინაურებული იყო, ჩემი იპოდრომზე სიარულის იმედი მაინცდამაინც არ მქონდა, ვნახოთ, მართლა გიყვარს ცხენი, თუ ეს მხოლოდ ახირება არისო, ასე მითხრა. რას გულისხმობდა? იმას, რომ იქ თვეში ერთხელ თუ შეგვსხამდნენ ჩვენზე გაპიროვნებულ ცხენებზე, წმენდით კი ყოველკვირა უნდა გვეწმინდა სპეციფიკური ცხენსაწმენდი ჯაგრისით. ჩემს ცხენს „ბედნიერი“ ერქვა. ჩემი წილი შაქარი მისთვის მიმქონდა. დიტო მინონებდა ამ საქციელს.

ზოგჯერ გვაპირადებდნენ, ჩვენი თავლების მოპირდაპირე მხარეს, ეკლესიის გასწვრივ მცირე მოედანზე; იქ, განსაკუთრებული უნაგირით შეკაზმულ ცხენზე, რომელსაც „ხიზანი“ ერქვა, ჩვენი ოსტატობა მოწმდებოდა ახტომა-ჩამოხტომაში, უკუჯდომაში და სხვ.

შემდეგ საბურთალოზე, „სპარტაკის“ საცხენოსნო სკოლაში გადავედით, სადაც დიტომ იქაური კედლის გაზეთისთვის წერილი დამანერინა ცხენებზე. იქ უკვე სპორტულ ცხენებზე ვისხედით: ლეილა გორდელაძე „ფავორიტზე“, მერი ცანავა „სირენზე“, ნოდარ ნაკაშიძე „ტოლუმბაშზე“, რომელსაც ცალი ყური ნახევრად წარკვეთილი მქონდა, მე „პირამიდაზე“. და მახსოვს, მთელ დღეებს იქ ვატარებდი, ვარჯიშის შემდეგ თვის ზვინზე მიწოლილი ომარ ხაიამის რობაის ვთარგმნიდი ზეპირადა და ლოკალური თავისუფლების ილუზიაში ვიძირებოდი.

ასე გავიდა ოთხი თუ ხუთი წელი. მერე სხვა ვნებებმა იძალა და მე ნელ-ნელა ჩამოვშორდი ამ საქმეს. იპოდრომზე სიარულმა, სხვა თუ არაფერი, ცხენზე ჯდომა მაინც მასწავლა, რაც არც ისე იოლი საქმეა, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება ეგონოს კაცს. იმ დიდი ომის დროს, ჩვენს მდგომარეობაში რომ ვიყავი მინვეული, შარაზე უბელო ცხენი ვაჭენე, რამაც ჩემი რეიტინგი შესამჩნევად აამაღლა სოფლის ბიჭებში. ოცი წლის შემდეგ ზუსტად იგივე განმეორდა სოფელ ურთაში, სარგის ცაიშვილთან სტუმრობისას. ხანი და ასაკი სრულიად უძღური ცხენოსნობით ამ გატაცების წინაშე.

დიტო წვერავა, როგორც ცხენენჯი და ამ სპორტის ერთ-ერთი თავკაცი, ცხენოსნობის პროპაგანდას ნაცნობ-მეგობართა წრეშიც ეწეოდა. ერთხელ მასთან, პირველ საავადმყოფოში, დოღო აბაშიძემ შემოიარა. დიტოს „ავიტაცია“ რომ მოისმინა, ჰკითხა: კი, მაგრამ ასეთი რა უპირატესობით გამოირჩევა ცხენოსნობაო. დიტომ ჯანმრთელობისთვის ცხენზე ჯდომის სიკეთენი რომ ჩამოუთვალა, მერე უთხრა, ჩემთან შედარებით ხომ ხარ დევიო (დოღო აბაშიძის ფიზიკური მონაცემები ყველასათვის ცნობილი იყო), ახლა დაჯექი ჩემს წინ და მუხლები შემოაჭდე ჩემს მუხლებსო, მაგრად, კიდე უფრო მაგრად, რომ ფეხი ვერ გავშალოო... გაშალა! დოღო შეცბუნებულია. აბა, კიდევო! იგივე განმეორდა. დიტომ: ახლა მე შემოგაჭდობ მუხლებს და, თუ შესძლებ, გაშალე ფეხებიო. და დოღო აბაშიძემ დიტოს მუხლების მარწუხებში მოქცეულ თავის მუხლებს ძვრა ვერ უყუ. აი, რას შერება საცხენოსნო სპორტიო...

დიტო (დემიტრი) წვერავამ თავისი აქტიური მოღვაწეობის დიდი ნაწილი ცხენისა და მხედრის რთული ურთიერთდამოკიდებულების საიდუმლოების ამოხსნას და დადგინებას მოანდომა. ამ გეზით მიმართულმა მუშაობამ ცხადდყო, რომ ეს ორი ცოცხალი არსება (ცხენი და კაცი) თურმე „ერთი მთლიანი ბიოლოგიური სისტემაა“ და, მაშასადამე, ცხენოსნობით გატაცება და ცხენისადმი სიყვარული პიროვნების შინაგანი ცხოვრების გარკვეულ შრეებსაც აცნაურებს.

ასეთნაირი მიდგომის შედეგი იყო ის, რომ 1990 წელს, დიტო წვერავას თაოსნობით საქართველოში დაარსდა კარდიოლოგიური რაიტურაპიის (ცხენოსნობით მკურ-

ნალობის) ცენტრი „მუსტანგი“. ამ ფაქტის შესახებ 1996 წელს, გერმანიაში გამართულ ევროპის კარდიოლოგთა ასოციაციის კონფერენციაზე ერთ-ერთმა გამოჩენილმა სპეციალისტმა ხმამაღლა განაცხადა: კარდიოლოგიაში რაიტთერაპიის დანერგვა საქართველომ დაგვასწროო. ეს სიტყვები ბევრის მთქმელია. ისინი ახასიათებენ დიმიტრი წვერავას არა მარტო როგორც სპეციალისტს და თავის საქმის გულდაჯერებულ მცოდნეს, არამედ როგორც დაუცხრომელი ენთუზიანზმით დაჯილდოებულ ენერგიულ მოღვაწეს.

მანამდე, 1966 წელს ჰანოვერში, სპორტული მედიცინის საკითხებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაზე ყოფნისას, დიტომ თბილისში ჩამოიტანა კაფკას, კამიუს, ნაბოკოვის წიგნები, რითაც დიდად გაახარა თავისი მახლობლები. მე არ გამკვირვებია დიტოს ეს „ლიტერატურული ჟესტი“, რადგან დიტოს მამა, იმპოზანტური მიხეილ წვერავაც მწერლობისადმი ინტერესით გამოირჩეოდა და მათთან სტუმრებულს ყოველთვის დანერვილებით გამოემკითხავდა ხოლმე მიმდინარე ლიტერატურულ ამბებს. როგორც ჩანს, მამაჩემის („არიფონის“ ყოფილი წვერის) და მიშა წვერავს მეგობრობას ლიტერატურისადმი ეს ინტერესიც განსაზღვრავდა, თუ იმასაც არ გამოვრიცხავთ, რომ მეგობრულ სუფრაზე პირველ-მეორე ხმაში ჩინებულად მღეროდნენ.

დიტოსთვის ორგანული იყო ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი მიდრეკილება, რაკი 65 წლის ასაკში ყველასთვის მოულოდნელად ხატვა დაიწყო. გუაშით და ზეთის საღებავებით შესრულებული მისი ზოგიერთი სურათი პირდაპირ გაცეხებს ინვესს. ცხადია, ეს არ არის დიდი ფერწერის ნიმუშები (თვითონ ამბობს ამას), მაგრამ მით უმეტეს, ისინი ასაჩინოებენ პრაქტიკული მოღვაწეობისა და ყოფითი ტირანის წნეხის ქვეშ მოქცეული პიროვნების იმ შინაგან ბუნებას, რომელიც უშუალო და თავისუფალ თვითგამოხატვას მიეღობის.

დიტო წვერავა რაიტთერაპიის პიონერია ევროპული მასშტაბით. როგორ მოხდა, რომ მან დაასწრო ამ სამკურნალო ცენტრის დაარსება ევროპას, იმ ევროპას, სადაც საცხენოსნო სპორტი და მასთან დაკავშირებული სამეურნეო და სხვა თანმხლები სისტემები უაღრესად განვითარებულია? როგორ მოხდა, რომ ცხენისა და კაცის (მხედრის) „ერთ ბიოლოგიურ სისტემად“ მოაზრების იდეა სწორედ საქართველოში დაიბადა?

ასეთი შეკითხვის პასუხად მეხსიერებაში გაიღვებებს ვეფხისტყაოსანში ნახსენები, ერთსიტყვად შეკრული

„ცხენკაცი“, მაგრამ ეს არაფერია იმასთან შედარებით, რაც აღწერილი აქვს რუსთაველს და სწორედ ეს არის უმთავრესი. რუსთაველი აღწერს, მკვლევართაგან უკვე არაერთგზის შენიშნულ, განსაცვიფრებლად ზუსტ ფსიქოლოგიურ სურათს: ავთანდილმა რჩევით და შეგონებით რომ ვერაფერი გააწყობ ტარიელთან, უკანასკნელი თხოვნა მაინც შემისრულე, ცხენზე შემჯდარი დამენახე და მოგეშვები, ჩემი გზით წავალ. ამას ეუბნება იმიტომ, რომ „იცოდა, ცხენზე შეჯდომა კაემანს მოაქარვებდა“. და მართლაც, ცხენზე ამხედრებულ ტარიელს რომ „ტანი მჭეერი აძვრევინა“ და ტკბილი სიტყვაც შეაშველა („გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“), შედეგმაც არ დააყოვნა, ტარიელი გამოვიდა სტრანსიდან. აი, ვერბალური თერაპიით შეზავებული რაიტთერაპიის ბრწყინვალე მაგალითი!..



დიმიტრი წვერავა

შეტანილი, შარშან იგი რაიტთერაპიის მსოფლიო ფედერაციის ვიცეპრეზიდენტად აირჩიეს.

რაც უნდა დუხჭირი დრო იყოს, ყოველთვის კარგი დროა, როცა შენ ახალგაზრდა ხარ. მახსენდება 1946 წლის ზაფხულის კიკეთი, სადაც მაშინდელი ახალგაზრდული ბომონდი ისვენებდა (დასვენების ადგილსამყოფელის დროისმიერი გრადაცია ასეთი იყო: ჯერ კიკეთი, მერე წყნეთი, და ბოლოს ნალვერი და გაგრა). იქ, შაბათ-კვირას, კიკეთის „გალავინსკუე“ გამოფენილი გოგობიჭები, მაშინ ჯერ კიდევ კანტიკუნტად მომავალ მსუბუქ მანქანებში მსხდარ უცნობ აგარაკის მფლობელებს და მაღალჩინოსნებს ირონიულ-მხიარული ყიჟინით ესალმებოდნენ: სოსო, ათათ! რატომღაც რუსულად, მოდაში იყო რუსულად ტლიკინი. მაგრამ უმთავრესი სხვა იყო. იმართებოდა ფეხბურთის მატჩები კიკეთის სამი უბნის, ცეკავშირის, პალაანკასა და სამტრესტის ბიჭებს შორის და მახსოვს ფეხბურთის თამაშისას თემო ჩირგაძის მარცხენა ხელი ნერვიულად დაჭიმული და ერთმანეთზე მიჯრილი მოხრილი თითებით. ცეკავშირის „რეგიონში“ ყმანვილური გართობისა და თავყრილობების თავკაცი დიტო იყო. რას გულისხმობდა მაშინდელი გართობა? პატეფონზე დაკრულ ევროპულ ცეკვებს (ტანგო, რუმბა, ფოქსტრო-

ტი), რომელიც ცოტამ თუ იცოდა, და დიტო ხშირად მას-
წავლებლის როლშიც გამოდიოდა, თამაშს „ძენგი ნა
სტოლ“ და ლექსების კითხვას, სხვათა შორის, ესეც მოდა-
ში იყო.

უკვე კარგა შეღამებულზე, ამ მიდამოებში გაისმოდა
უკრაინული და რუსული ხალხური სიმღერები. მღეროდ-
ნენ ომის დროს ლტოლვილი, ქართულ ოჯახებში მომსა-
ხურე ახალგაზრდა ქალები, რომელთა უმეტესობა სოფ-
ლებიდან იყო წამოსული და ამიტომ ჯერ კიდევ არ იყვნენ
ტრადიციულ ყოფას მოწყვეტილნი. უცნაური იყო, ქარ-
თულ სოფელში საღამოობით რუსულ-უკრაინული სიმღე-
რები ისმოდა. დიტოს ორგანიზატორული და კომუნიკაბე-
ლური ნიჭი პირველად სწორედ აქ გამოიყვანა. მან თა-
ვი მოუყარა ამ ქალებს, ჩაატარა რეპეტიცია და ერთ მშვე-
ნიერ დღეს გამართა კონცერტი, რასაც ახალგაზრდა დამ-
სვენებელთა გარდა ხანდაზმულთა გარკვეული ნაწილიც
დაესწრო...

სიჭაბუკის შემდეგ დრო ერთ დიდ მონაკვეთად შეიკ-
რა. პროფესიული განმხოლოებისა და დროის სწორედ ამ
პროფესიულ კალაპოტში მოქცევის გამო, ჩვენ უფრო და
უფრო იშვიათად ვხვდებით ერთმანეთს, თუმცა ყოველ-
თვის ვგრძნობთ, რომ ჩვენი ურთიერთობის არხები ისევ
თბილი და წყალუხვია. ახლაც, ოთხმოცი წლის კვირბაღ-
ში, ვესალმები შვილებით, შვილიშვილებით და შვილთაშ-
ვილებით დახუნძლულ ჩემს სიყრმის მეგობარს და მეც-
ხრე დეცენიუმის მხნედ გადაღახვას ვუსურვებ!

ღვთისნებაიერი კაცი

რეზო თაბუკაშვილმა მომაკითხა სოლოლაკში, ჩემს
ძველ სახლში. საუკუნე ჩემთან არ ყოფილა, გამიკვირდა
და გახარებულმა შევეძახე: რაშია ჩემო რეზო საქმე, რას
მივანერო შენი სტუმრობა!..

რეზო თაბუკაშვილი და მე ერთ კლასში ვსწავლობ-
დით, 14-ე სკოლაში, ახლანდელ გერონტი ქიქოძის ქუჩა-
ზე. მესამე კლასში ერთმანეთს დაგვაშორეს ვითომ იმი-
ტომ, რომ მე და რეზომ თურმე ავიკელით სკოლა. ორივე-
ნი ვზატავდით, სწავლაშიც გამორჩეულები ვიყავით,
თუმცა რეზოს უპირატესობა მაინც აშკარა იყო. ის უფრო
ადრე მომნიფდა ფიზიკურად და გონებრივადაც, ათას-
გვარი წამოწყების ინიციატორი იყო. მას ეკუთვნოდა
იდეა ბოტანიკურ ბაღში გვირაბის გაყვანისა, რათა ომის
შემთხვევაში ჩვენი კლასის გოგოები გადაგვერჩინა. ეს
გამოძახილი იყო ესპანეთში მიმდინარე სამოქალაქო
ომისა, როცა ჩვენი თანაკლასელის გურამ გველესიანის
ბინაში ვიკრიბებოდით და ესპანეთში გასამგზავრებლად
ზურგჩანთას სანოვაგით ვავსებდით. ასეთი იყო მაშინდე-
ლი რომანტიკა. მასვე ეკუთვნის იდეა „ვეფხისტყაოსნის“
პერსონაჟების მიხედვით ჩვენც დავწყვილებულიყავით
ნესტან-ტარიელად, თინათინ-ავთანდილად და ასმათ-
ფრიდონად, და არას დაგიდევდით, რომ ასმათ-ფრიდონი
მიჯნურები არ იყვნენ (ესეც გამოძახილი იყო რუსთავე-
ლის იუბილისა, რომელიც მზადდებოდა, თუ უკვე ჩატა-
რებული იყო). ვინ უნდა ყოფილიყო ტარიელი? რა თქმა

უნდა, რეზო! ავთანდილობა მე მერგო, ფრიდონობა ფი-
ზიკურად ძლიერ და გულოვან თენგიზ მონცელიძეს. ჩვე-
ნი ყოფილი „მიჯნურები“ ახლაც მშვენივრად გამოიყუ-
რებიან.

დიდი ომის წლებში ორივემ თავი შევაფარეთ იმავე, თუ
მომდევნო წელს დაარსებულ პიონერთა სასახლეს და ჩვე-
ნი ურთიერთობა გრძელდებოდა. რეზო ლიტერატურის
და მე ისტორიის კაბინეტში ჩავენერეთ, რისი ერთ-ერთი
მიზეზი ის იყო, რომ ჩვენ შორის ყმანვილურმა მეტოქეო-
ბამ იჩინა თავი. უფრო სწორად, მე ჩემს გულში ვეტოქე-
ბოდი და ვეჯიბრებოდი რეზოს, თორემ ის სრულიად სწო-
რუპოვარი იყო.

რეზო იგონებს: „მაშინ პიონერთა სასახლე იყო ქარ-
თული კულტურის ეპიცენტრი. იქ ვიყავით შეყრილი მატ-
რაკვეცა ბავშვები. ძალიან საინტერესო საღამოებს ვმარ-
თავდით. საინტერესო გამოშვება იყო ეს ჩვენი პირველი
პლეადა. ვინც იქ იყო, ყველა დიდებული პიროვნება დად-
გა მერე“...

ამ „საინტერესო საღამოების“ ცენტრი და ბურჯი რე-
ზო თაბუკაშვილი იყო. გარდა იმისა, რომ მის ლექსებს და
სცენაზე მის გამოსვლას ტოლს ვერავინ უდებდა (ერთა-
დერთი მეტოქე მელორ სტურუა გახლდათ), თვითონ რე-
ზო იყო თავისი გარეგნობით მომწუსხველი. მე, რა თქმა
უნდა, ვიცი, რომ ყოველ დროს სილამაზის აღქმის თავისი
კრიტერიუმი აქვს, რომ ეს კრიტერიუმი დროის ცვალება-
დობას ექვემდებარება, ამიტომ ასე ვიტყვი: დიდი ომის
პერიოდში და მის მომდევნო წლებში რეზო თაბუკაშვილი
განსაცვიფრებელი სილამაზის პატრონი იყო და მე ჩემი
თვალთ მინახავს, როგორ ელდას ჰგვრიდა იგი რუსთა-
ველზე მოსეირნე ქალებს, და როგორ უკიდონენ ქალთა
სკოლის წინ ჩავლილს გოგოები: რეზო, რეზო!..

მას ჰქონდა არაბუნებრივად თეთრი, სადაფისნაირი
პირისკანი (ქალები რომ ინატრებდნენ, ისეთი), და ჩვეუ-
ლებრივზე ნითელი ტუჩპირი. ტანად ბრგე და ძლიერი იყო
იმდენად, რომ თექვსმეტი წლისა ოცდაათი წლის ვაჟკა-
ცებს არაფერში ებუებოდა. ამაყი და თავმომწონე იყო,
თუმცა ლმობიერი და მოსიყვარულე. და ამ ბიჭს არაჩვეუ-
ლებრივი პოეტური ნიჭი ჰქონდა მომადლებული.

აი, მისი ერთი ლექსი თხუთმეტი წლის ასაკში დაწერი-
ლი, „პატარა ეფვანში“, ჩვენს ხელნაწერ ჟურნალში შემო-
ნახული:

**ოცნების იქით დამრჩა ოცნება
ჩემი თბილისის მშფოთი ქუჩებით,
დამრჩა სალექსოდ და საკოცნელად
ჩემი ბოჩოლას სველი ტუჩები.**

**ეხლა ვიპოვნე ჩემი სამყოფი
და ბედს მიყვები ბრმა ნაბიჯებით,
მე აქა მყვანან ლხენის გამყოფი
ლუდუმქეთის მწყემსი ბიჭები.**

**ბალლობის დღეთა მესმის ჩურჩული,
როცა ბულბული უსტვენს იადონს,
როცა ჭრელი და თვალდახუჭული
ყვიის მამალი საგანთიადოს.**

კვლავ შებლაოდა დილას ნახირი მწვანე მინდორზე ჩაბალახებით, დილა მობრძანდა და მოიხადეს ქედებმა ნისლის ჩაბალახები.

მე კი ამ სერზე ისევ მარტო ვარ ჩემი უმიზნო შორი მიზნებით, ოცნების მეტმა ყველამ დამტოვა და მეც ოცნებას შევეხიზნები.

ვიცი, არა ვარ მე დამნაშავე, რად მომჩხავიან ავი ტურები, ვნევარ მარტოკა, როგორც ფრთაშავი, ავსილი დედის საყვედურებით.

დარდს ვის გაუფყოფ, არ მყავს ამყოლი, ვილა მომისმენს მე დადინჯებით, მაგრამ აქ მყვანან ლხენის გამყოფი ჩემი სოფლელი მწყემსი ბიჭები.

რეზოს ინტერვიუდან (1990 წ.): „15 წლის რომ ვიყავი, იბეჭდებოდა ჩემი ორი წიგნი, ერთი ლექსების კრებული და მეორე პოემა... ამ ორი წიგნის რედაქტორი იყო ძია სოსო გრიშაშვილი... ამ დროს მამაჩემი დანიშნეს „საბ-ლიტგამის“ დირექტორად და პირველი რაც გააკეთა, ორივე წიგნი ამოაგდო. ასე დარჩა დაუბეჭდავი ეს ლექსები. მერე უკვე ბავშვობის ლექსებს ხომ არ დაგებეჭდავდი?“ კი, ეს ბავშვობისდროინდელი ლექსია, რასაც ადასტურებს ლექსში გაპარული ორიოდე ხარვეზი, მაგრამ, ამავე დროს, ეს არის ღრმა ლირიზმით გამსჭვალული ყმანვილური აღსარების იშვიათი ნიმუში, რაც ძლიერი ექსპრესიით და ტექნიკური ბრწყინვალეობით არის აღ-ბეჭდილი.

ერთ რამეს მინდა მივაქციო ყურადღება. რეზოს მიერ თარგმნილი შექსპირის სონეტების წინასიტყვაში ნიკო ყიასაშვილი შენიშნავს: ზუსტად არის თარგმნილი „და მეც ნაღველი გარდასული ისევ მანაღვლებს“, – ეს პარა-ნომაზია, სიტყვების ანალოგიური დაწყვილება, თარ-გმანში სხვაგანაც არის გამოყენებული, რაც შექსპირს არა აქვსო, მაგალითად: „ვედარ კაეშნობს კაეშანი გარ-დასულ დღეთა“... მართლაც, რატომ იმეორებს ამ პარა-ნომაზიას რეზო თაბუკაშვილი იქ, სადაც შექსპირს ეს არა აქვს (რაც სრულეობით არ ნიშნავს იმას, რომ მან უზუსტობა დაუშვა, რადგან დედანში დამონემებული სტილური ელემენტის სხვაგანაც გამეორება ბუნებრი-ვია და არაფერს უცნაურს არ შეიცავს)? რატომ მოსწონს ეს სტილური კომპონენტი მთარგმნელს? იმიტომ, რომ ეს მისთვის ორგანული, მისი პოეტური ბუნებისთვის ში-ნაგანად თანმხლები შესიტყვებაა, რასაც ზემოთ მოყვა-ნილი ლექსის სტრიქონიც ადასტურებს: „ჩემი უმიზნო შორი მიზნებით“... 15 წლის რეზო თაბუკაშვილი წინას-წარ ჭვრეტს შექსპირული სტილის კომპონენტს? არა, ჩე-მი ვარაუდით, ეს რუსთველური პოეტიკის გაუცნობიე-რებელი ალუზია, რუსთველური პარანომაზიის ანარეკ-ლია. გავიხსენოთ: „დარი არ დარობს დარულად“, ან „ნა-ხეს და ნახვა მოუნდათ უცხოსა სანახავისა“, ხოლო ეს

იმას მოწმობს, რომ 15 წლის რეზოს გაშინავებული ჰქონდა „ვეფხისტყაოსანი“.

„ორივე წიგნი ამოაგდო“... მეჩვენება, რომ აქ რალაც-ნაირი სინანული ჭკვივის. მამამისის პოზიცია გასაგებია, ის ვერ დაუშვებდა შვილისადმი მიკერძოება დაებრალე-ბინა ვისმე, მაგრამ ეს ხომ მძიმე გადასატანი იქნებოდა მეშვიდეკლასელი ყმანვილისთვის, რომელიც ასე ახლო იყო სანუკვარ მიზანთან. და ზოგჯერ ვფიქრობდი: ხომ არ განსაზღვრა ამ ნაბიჯმა თვითონ რეზოს ცხოვრების გე-ზი? ხომ არ დაავალდებულებდა ეს ორი წიგნი მის ავტორს გაელრმავებინა ამ გეზით სიარული?

მე ვერ ვეგუებოდი პოეზიის სამყაროდან რეზოს სრულ გამოთიშვას და ჩვენი იშვიათი შეხვედრების დროს დაუფარავად ვაყვედრიდი ამას.

ერთხელ ლიძავაში, რეზოს აგარაკზე მანავის მწვანეს რომ შევექცეოდით, მედიკო და დოდო ჭიჭინაძე შემოგვი-ერთდნენ. მე ჩემსას მივერეკებოდი და ქალებმა: ვიცით, ვიცით, კარგ ლექსებს რომ წერდაო. არაფერიც არ იცით, რეზოს სრულიად უნიკალური ნიჭი ჰქონდა, რომლის და-მარხვა ბოროტება არის-მეთქი. ჩემს უტაქტობას ვერ გა-უძღეს და მიგვატოვეს.

მეორე დღეს მედიკო ჯაფარიძემ ლიძაველი ქართვე-ლები მიგვიპატიჟა თევზის სუფრაზე. არაჩვეულებრივი დიასახლისობა გამოიჩინა თვითეულის მიმართ: ეს ძვირფასი თევზია, რატომ არ მიირთმევთ, თქვენ არ სვამთ, რაშია საქმე, და მისთანანი, და ერთ მომენტში ყურში ჩამწურჩულა: ვჩებთ შპ ქძომ დეყირკმ... მართა-ლიც იყო. მაგრამ მეც მართალი ვიყავი, რასაც საჩინო-ყოფს 16 თუ 17 წლის რეზოს ეს ლექსიც, იმავე „ეფვანში“ შემონახული... „ორი ტრიოლეტი ერთ ლექსად“ ასეთი სათაური აქვს.

ჩვენ ვიცით მხოლოდ დასაწყისი ჩვენი ტრფიალის, ჩვენ ვიცით მხოლოდ ჩვენი სახე აწინდებური, ვხვდებით ერთმანეთს მიჯნურობის სავსე ფიალით, ჩვენ ვიცით მხოლოდ დასაწყისი ჩვენი ტრფიალის. მაგრამ რვალია ჟამთა სრბოლის ძალა მთებური, ტრფობას ჩააქრობს გულცივობით გარინდებული... ჩვენ ვიცით მხოლოდ დასაწყისი ჩვენი ტრფიალის, ჩვენ ვიცით მხოლოდ ჩვენი სახე აწინდებური.

გადაივლიან კიდევ ბევრი შემოდგომანი, ჩამივლი გვერდით, შემომხედავ, გაგეცინება. იფიქრებ, სადღაც ნაგიკითხავს ძველი რომანი. გადაივლიან კიდევ ბევრი შემოდგომანი, მე წავალ მთვრალი, სადმე ბაღში დამეძინება, ჩაქრება შენი უეცარი გამობრწყინება... გადაივლიან კიდევ ბევრი შემოდგომანი, ჩამივლი გვერდით, შემომხედავ, გაგეცინება.

ერთი რამ ცხადია: ძლიერ შემოქმედებით იმპულსს იმ თესლის ძალა აქვს, რომელიც ქვის კედელს გაანგრევს და სამზეოზე ამოინვერება. რეზოს უნიკალურმა პოეტურმა ნიჭმა ჯერ ლექსებში იჩინა თავი, მერე შექსპირისეული სონეტების თარგმანში და ბოლოს მის ფანტასტიკურ კი-ნონოველებში.

მართებულად წერს გიგა ლორთქიფანიძე: „თავისი ცხოვრების ბოლო პერიოდში რეზო თაბუკაშვილმა მიაგნო ახალ გზას ერის სამსახურისა. ეს არის გზა, რომლის ანალოგიც არ არსებობს ქართულ ხელოვნებაში. მან შექმნა მთელი სერია საოცარი ფილმებისა, რომლებშიც ბედნიერად შეერწყა ერთმანეთს მწერლის, პუბლიცისტის, რეჟისორისა და, რაც მთავარია, გულმხურვალე მამულიშვილის დიდი პატრიოტული სულისკვეთება... მან შექმნა პოეტური ფილმები, რომელთა უცრემლოდ ცქერა შეუძლებელია“.

აქვე უნდა ითქვას, რეზოს ფილმებში მნიშვნელოვანი აღმორჩენებისა და კვლევის არორდინარული მომენტებიც არის დაფიქსირებული. რადღირს თუნდაც მისი საუბარი ქართულ მინანქარზე...

დიდხანს უნახავი რეზო მესტუმრა და შემოდგომის მშვენიერ საღამოს ვსხედვართ ჩემს შუშაბანდში და ვიხსენებთ ძველ ამბებს. „ახალგაზრდები“ ვართ, რეზოს აგვისტოში შეუსრულდა 50, ჩემი 50 ნოემბერშია. ამ დღეს ჩემთან მოსალოცად ამოვა რეზო თაბუკაშვილი და მაჩუქებს მეთექვსმეტე საუკუნის გულზე ჩამოსაკიდებელ ბრინჯაოს უძვირფასეს ჭედურ ხატს, რომელსაც ოთხივე მხრიდან ფილიგრანულად დამუშავებული სლავური წარწერა ახლავს. ჩემთან ახლანდელ საუბარში არა, მაგრამ ათი წლის შემდეგ, მის კინომატოგრაფიულ წრეში მოხვედრილ ჩემს ახალგაზრდა მეგობართან რეზო გაიხსენებს მესამე კლასში ჩვენი დაშორების ამბავს და ეტყვის, სამახსოვროდ მაშინ ტყავის სამაჯური ვაჩუქეო. რეზოს თურმე ახსოვდა ეს დღე... ახლა ვიხსენებთ ძველ ამბებს და ორივემ ვიცით, რომ მთავარი სათქმელი ჯერ არ თქმულა. სიცილით ვეუბნებთ, რაღაც საქმე გაქვს, ისე არ ამოხვიდოდით მეთქი ჩემთან. ასეც იყო. რეზოს უნდოდა შექსპირის სონეტების მისეული სრული თარგმანისათვის წინასიტყვა (ასე მითხრა!) დამეწერა. კი, მაგრამ - შევეპასუხე - ჩემი ინგლისურის ცოდნით? ამას ნიკო ყიასაშვილი მოუვლის, შენ ქართულ თარგმანს მიხედო. ე.ი. მე უნდა დავწერო ბოლოსიტყვა! ამაზე არაფერი მიპასუხა. მერე აღმოჩნდა, რომ ნიგნს ორი წინასიტყვა ჰქონდა, რაც ვუსაყვედურე რეზოს, მაგრამ მაშინაც არაფერი მითხრა. არ ვიცი რატომ მოხდა ასე. მეჩვენება, რომ ამან რაღაც დააკლო ამ ყოველმხრივ უნაკლო ნიგნს.

მე უკვე ნაკითხული მქონდა ათი წლის წინათ გამოცემული ასი სონეტი და რეზოს ერთი ჩემი შენიშვნა გაავუზიარე. საქმე ეხებოდა შექსპირის 45-ე სონეტს, რომელშიც,

მკვლევართა აზრით, მკაფიოდ საჩინოვდება ავტორის რენესანსული მსოფლმხედველობა (პოეტის შემოქმედებაში მსოფლმხედველობის ამ „გამჟღავნებას“ ტომას ელიოტი ფილოსოფიური სისტემის ეკვივალენტს უწოდებს), სადაც ვარირებულია კაცის სხეულის ოთხი შემადგენელი ელემენტი, ან როგორც საბა იტყვის, „ოთხი იგი ასონი მინა, წყალი, ჰაერი და ცეცხლი, ვინათგან ამათ მიერ არსყოველთა სხეულთა შემტკიცება“. ეს ოთხი ელემენტი, ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგიით - „კავშირი“, ვეფხისტყაოსანშიც გვხვდება „დამშლიან ჩემნი კავშირნი, შევრთვივარ სულთა სირასა“. ნესტანის წერილში: „ღმერთსა შემვედრე, ნუთუ კვლა დამხსნას სოფლისა შრომასა, ცეცხლსა, წყალსა და მინასა, ჰაერთა თანა ძრომასა“. რენესანსული ხანის ამ რელიგიურ-ფილოსოფიური თვალთახედვის კონტექსტში ზის შექსპირის ხსენებული სონეტის „ელემენტებიც“. ეს ვუთხარი რეზოს და მან გადაამუშავა სტროფი, სიტყვა „ელემენტი“ შეცვალა „კავშირით“. ეს, რა თქმა უნდა, მცირე სტილური უზუსტობა იყო. თვითონ არაჩვეულებრივი თვითირონიით ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ აღმოუჩინა მარშაკს სამი შეცდომა, „სამივე შენიშვნა რომ მიიღო, შემდეგ გამოცემაში გაასწორა კიდეც, რაც ყმანვილ კაცს ძალიან მესიამოვნაო“.

მე კარგად მახსოვს 1948 წლის ოქტომბრის ერთი საღამო, როცა მწერალთა სასახლის ხალხით გაჭედულ დარბაზში შექსპირის სონეტების ახალ თარგმანს კითხულობდა რეზო თაბუკაშვილი. კითხვას ესწრებოდა ქართული მწერლობის ბევრი გამოჩენილი წარმომადგენელი, მათ შორის, გერონტი ქიქოძე, კონსტანტინე გამსახურდია, გალაკტიონი... დაგვიანებით მოსული გალაკტიონი საღამოს დამთავრებამდე დარბაზის ღია კარებთან იდგა და გულისყურით უსმენდა ჭაბუკ ორატორს, რომელიც დიდი ხელოვნებით კითხულობდა თავის თარგმანებს. ასი სონეტის გამოქვეყნების შემდეგ კრიტიკამ ერთხმად აღნიშნა შექსპირის სონეტების ახალი ქართული წაკითხვა, რაც წარმოუდგენელია ამ რთული პოეტური ნაწარმოების ჯეროვანი შესწავლის გარეშე.

მაგრამ თარგმანის ღირსება იზომება არა „წაკითხვით“, არამედ „განხორციელებით“, რაც ახალ ენობრივ სისტემაში დედნის შესაბამისი ექსპრესიით გარდასხეულებას გულისხმობს. და აქ აწყდება მთარგმნელი „გადაულახავ“ დაბრკოლებას, რაკი ენებს განასხვავებს უპირატესად „სოფლმხედვითა“ ნაირგვარობა, ხოლო ეს უკანას-



რეზო თაბუკაშვილი

კნელი თავის თავში მოიცავს ენობრივი და სტილური იერარქიების მთელ კომპლექსს. უკვე ამიტომ ერთი ენიდან მეორეში გადატანილი ყოველგვარი ტექსტი გარდუვალად იცვლის ფერს. ფერისცვალების ეს კოეფიციენტი ყველაზე მძაფრად პოეტურ თარგმანში იჩენს თავს, ვინაიდან პოეზიას თავად გააჩნია შეუღწევადი, საკუთარი „ენა იეროგლიფი“, რომლის ერთადერთობა კიდევ უფრო ღრმავდება ამა თუ იმ შემოქმედის პიროვნული ენით და სტილით. ყველა ეს ძნელად გასაგებელი ბარიერი უნდა დაძლიოს მთარგმნელმა ისე, რომ არ დააზიანოს ავტორის განცდისა და ჩანაფიქრის მთლიანობა, მეტიც, მან ცოცხალი პიროვნულობის ბეჭდით უნდა დაბეჭდოს თარგმანი, რის გარეშეც მისი შრომა ფუჭი და ამაოა.

სწორედ დედნის აზრისმიერი „ნაკითხვის“ პოეტურ პლანში დაურევებისას „ემორჩილება მთარგმნელი მეტყველებისა და იმ ათასგვარი იდუმალი გარემოების საკუთარ სისტემას, რომელთა ნახევარსაც ვერ იცნობიერებს ის“ (პასტერნაკი). და სწორედ ამ გაუცნობიერებელი, იდუმალი მომენტების ვიბრირება ჰქმნის რეზო თაბუკაშვილის თარგმანის პოეტურ ღირებულებას. ქართულ სონეტებს ნიუანსირებული ქვეტექსტის დიდი მარაგი ახლავს, რის გამოც ისინი ბუნდოვან, ქვეცნობიერ პოეტურ მინიშნებათა სავესებოთ არიან მორჩმულნი.

მიყვარს ეს ნიგნი, ამბობს თავის ინტერვიუში რეზო, ოღონდაც! ამ ნიგნშია გაცხადებული მისი დიდი პოეტური ტალანტი...

ეს ინტერვიუ უცნაური რამეა. ის ერთდროულად არის აღსარება, ავტობიოგრაფია და მისი მოღვაწეობის ნუსხაც.

„ვენეციის არქივში ვიპოვე მეფე ერეკლეს ორი წერილი, ორივე 1782 წელს არის დაწერილი“... „ყველა ჩემი ფილმის გმირი აკრძალული გვარია. ამიტომ მათზე ფილმების კეთება იმ დროს ძნელი საქმე იყო“... „ფილმებში 80 ჯარისკაცის გვარი რომ მაქვს ჩამოთვლილი, ჩემი ნაპოვნის გვარებია“... „ყველა ჩემი ფილმი, ფაქტობრივად, არალეგალურია“... „შვიდი მემორიანი მაქვს დადგმული უცხოეთში, არავისგან ნებართვა არ ამიღია, ყველაფერი ჩემი ორგანიზებული იყო. ეს ყველაფერი მაშინ დიდი სიმწრით კეთდებოდა“... და ა.შ.

რეზო იყო თხემით ტერფამდე ქართველი კაცი მაშინაც, როცა თავის „ბავშვურ“ ლექსებს წერდა („სადაც მთიები ჩანან ჯაგნებად, სად ვერ შეწვდები კავკასს უშბინან, ამ ქვეყანაში მზე არ ჩაქრება, მას ხომ მზეები თვითონ უშვია“), მაშინაც, როცა პირველად მიემგზავრებოდა მოსკოვს და თან მიჰქონდა ღვინო და პაპიროსი „ლაგოდების“ ორმოცდაათი კოლოფი. რატომ „ლა-

გოდები“ და არა „რეკორდი“? იმიტომ, რომ იცოდნენ, ჩვენი თამბაქო რომ გვაქესო, და მაშინაც, ევროპიდან დაბრუნებულს რომ ვკითხე, საქართველოს თუ იცნობენ-მეთქი, - არა, ბიჭო, მომკლა შავიზღვის და კასპიის ზღვის ხატვამო. ამ კონტექსტში ერთი ამბავი მინდა გავიხსენო.

რუსთაველზე შევხვდი არდადეგებზე ჩამოსულ მეორე თუ მესამე კურსელ რეზოს. ერთი ქერათმიანი და ტანადი რუსი ბიჭი ახლდა. გამაცნო, ჩემი თანაკურსელი, მოსკოველი მეგობარი არისო. ლაპარაკში თვალისჩაკვრით მითხრა: ქართულ გამოთქმებს ვასწავლი, ხო იცი როგორსაცო... 30 წლის შემდეგ ლიბავში რეზოსთან შევიარე, იქ ერთი ჩასუქებული, თმაგაცვენელი რუსი კაცი დამხვდა, გაცხარებული ელაპარაკებოდა რეზოს: აღარ ჩავალ აღმოსავლეთ გერმანიაში, ამ ფაშისტების ბუნაგშიო, სულ სხვაა დასავლეთ გერმანია, გაიგებენ თუ არა, რუსი რომ ვარ, გადასარევედ მეპყრობიანო. შეყვენ საუბარს და რეზო ეუბნება სიცილით, Володя, организуй для нас независимость, და ყოველ ზაფხულს ჩემს აგარაკს დაგიტომბო. და უცებ მესმის შეუბღალავი ქართული ინტონაციით ნათქვამი (ყურებს არ ვუჯერებ): კარგი რა, რეზო, ნუ გაატრავი... და ვხვდები, რომ ეს კაცი ის რუსი ბიჭია, რეზომ რომ გამაცნო რუსთაველზე.

არსებობს რეზოს ან ყველასგან დავინყებული ლექსის სტრიქონი, რომელიც დღემდე მახსოვს იმიტომ, რომ მანვალებდა იქ გამხელილი აზრი: „ღამით კი ბოშამ ჩემს სახელზე გამაღა კარტი, - ატირდა ბოშა“... მანვალებდა იმიტომ, რომ ვიცოდი, სწორედ ადრეული სიჭაბუკის ხანაში შეიძლება ამოვარდეს გულიდან საბედისწერო მინიშნება, თუ წინათგრძნობა, რაც იმ დროს თითქოს სრულიად შეუფერებელი და ძნელად საგულისხმო იყოს არა მარტო სხვებისთვის, არამედ თვითონ ავტორისთვის. ამ ღვთისნებიერ კაცს ბევრი შური და უმადურობა უწვნევია, მაგრამ მძიმე დაბრკოლებათა მიუხედავად, მან შეძლო თავისი სისხლსავსე და ქმედებით აღბეჭდილი ცხოვრება ისეთივე ხელოვნებად ექცია, როგორც იყო მისი შემოქმედება.

„აღფრთოვანებას იწვევს რეზოს რაინდული აქცია, რომელიც ცხოვრების უკანასკნელ პერიოდში, თითქმის საწოლს მიჯაჭვულმა განახორციელა: ურთიერთდაპირისპირების, დაუნდობლობისა და უმადურობის ვითარებაში მან შექმნა ეროვნული მაღლიერების ინსტიტუტი. რაოდენი სიბრძნეა ამ იდეაში!“ (გიგა ლორთქიფანიძე)... რეზო თაბუკაშვილი იმ ქართველ მოღვაწეთა წინამორბედაა, რომელთაც საქართველოს სახელი უნდა გაიტანონ დიდ მსოფლიოში და რომელსაც ჯერ ღირსეული მიმდევარი არ გამოსჩენია.



ფრანსისკო უმბრალი (დ. 1935) პროზაიკოსი, ესეისტი, ლიტერატურათმცოდნე. ავტორია რამდენიმე რომანის, მოთხრობების კრებულების, ბიოგრაფიული თხზულებების გარსია ლორკას, რამონ დელ ვალიე-ინკლანის, მიგელ დელიშესის, ხოსე და ლარას და სხვათა შესახებ. დაჯილდოებულია პრემიით „გაბრიელ მისო“.

ფრანსისკო უმბრალი

ენციკლოპედია

მაინც რა ნაირნაირი ენციკლოპედიები გამოჩნდა ამ ბოლო დროს? თითო ტომი გნებავთ, თუ განვადებით, ყველას შეუძლია მისი შექმნა, ყველას, ვინც კი იმის ჟინს აუტანია, ერთ დღეში მიიღოს განათლება, იქნება ეს ვინმე უიღბლო, უბრალო მოხელე, თავმდაბალი სპეციალისტი, თუ ახლადმოვლენილი ბობოლა; ერთი სიტყვით, ლამის გროშკაპიკებად იყიდება ეს კომპაქტური, ყველაფრის მომცველი ტომები, რაც კი ოდესმე თქმულა და დაწერილა, ნაფიქრცა და ნააზრევეც, თუ რამ შექმნილა დასავლეთის ცივილიზაციის ოცდაათი საუკუნისა და აღმოსავლეთის ცივილიზაციის ორმოცდაათი ასწლეულის მანძილზე.

ჩვენდა საბედნიეროდ გვგონია, რომ ჩვენ ჩვენს სახლებში გამოვამწყვდიეთ სილამაზეო. ასევე გულწრფელად სჯერათ ჩვენი კულტურის ახალგამორჩევი ბობოლებსაც, რომ ცხრაკლიტურში ჰყავთ გამომწყვდეული ცოდნაც, ლიტერატურაც და ის სილამაზეც, რაც კი ადამიანსა თუ ბუნებას შეუქმნია. ამას იმიტომ ფიქრობენ, რომ თურმე ნუ იტყვიან, ენციკლოპედია - ყოვლისმცოდნეობის სერია გამოუწერიათ. ეს ადამიანები ხომ წიგნებს ისევე ყიდულობენ, როგორც სარეცხ მანქანებსა და მაცივრებს. მაგრამ როცა უკვე გაცვეთილი გამოთქმებით, ათასგვარი ბანალურობითა, უვიცობითა და მონყენილობით ლამის თავები დაუსკდეთ, მაშინ შეძვრებიან ხოლმე ენციკლოპედიის ტომების სარეცხ ავტომატში და იქ ეძებენ პასუხებს, რა სიმალისაა ჰიმალაი, რა ერქვა ლოპე დე ვეგას სიდედრს, როგორ უნდა ამოაძრო საცობი ბოთლიდან ისე, რომ არც ბოთლი დაზიანდეს და არც საცობი. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ ცოდნა და კულტურა მაცივარში შენახული ანჩოუსებივით ყოველთვის მზად ექნებათ და როცა სტუმრები ეწვევიან, გამოიღებენ მაცივრიდან ანჩოუსებით სავსე ქილას და გაუმასპინძლებიან, მერე იქვე გადაშლიან ენციკლოპედიის საჭირო ტომს და მეგობრებს ინდუიზმის ვინიგრეტს, ნიუტონის ფიზიკას, ანგლოსაქსურ ლირიკასა თუ ანტიკური საბერძნეთის ატლელიზმსაც მიართმევენ.

თეოდორ ადორნო ერთ თავის გამოკვლევაში მსჯელობს ჭეშმარიტი კულტურის ფორმალური განათლებით შეცვლის თაობაზე; კულტურა არის რალაც წმინდა, ფასდაუდებელი, ადამიანური, ხოლო ფორმალურ განათლებას უმეტესად აქვს პრაქტიკული, პრაგმატული, უტილიტარული და არცთუ უანგარო დანიშნულება. კულტურა აუცილებელია იმისათვის, რომ იყო ადამიანი, ფორმალური განათლება კი, რომ გახდეს საქმოსანი.

ჩვენს დროში ძალიან ცოტაა მონდომებული, რომ გახდეს კულტურული ადამიანი, სამაგიეროდ, უმრავლესობა, ლამის ყველა, ყოველ შემთხვევაში დღითიდღე მატულობს

მათი რიცხვი, ვინც გამალებული ცდილობს შეიძინოს ზედაპირული ცოდნა და „გაიფართოვოს ჰორიზონტი“; აკი ესეც საკმარისია ტესტის კითხვების შესავსებად, რომ მტვერსასრუტების სააგენტოში სავაჭრო აგენტის ვაკანტური ადგილი დაიკავონ. ის კი ვერ გაუგიათ, რომ ასეთი ფორმალური განათლება კულტურის პროსტიტუირების მეტი არაფერია; ენციკლოპედიების დღევანდელი მოძალებული მოდაც ხომ ამის დასტურია, რაკი ასეთი საჭირო და აუცილებელია ამგვარი, ასე ვთქვათ, მოსამზადებელი ცოდნა. მაგრამ კულტურა ასეთნაირ შეზღუდვებს რომ ვერ ეგუება! ნეტავი როგორ შეიძლება შექსპირის შეკვეცა-შემოკლება? აბა, ეს როგორ იქნება! შექსპირს თუ წაიკითხავ, მთლიანად უნდა წაიკითხო, დაკვირვებით, აუჩქარებლად, კვლავ და კვლავ უნდა მიუბრუნდე ყოველ სახეს, თითოეულ მეტაფორას. ანდა რანაირად შეეკვეცოთ თუ შევამოკლოთ „დონ კიხოტი?“ ერთხანს სკოლებში სავალდებულო იყო „დონ კიხოტის“ ადაპტირებული ტექსტის სწავლება, ჩვენ კი საბედნიეროდ გადავრჩით და სამუდამოდ არ შევიძულეთ ეს უმშვენიერესი წიგნი. შეკვეცა, შემოკლება, ადაპტირება ხომ ნამდვილი დანაშაულია მისი უდიდებულესობის – კულტურის წინაშე.

დღეს ლამის სულმოუთქმელად კითხულობენ „მომავლის შოკს“, ამ წიგნით უნდათ შთაგვაგონონ, თითქოს სამყარო იმდენად სწრაფად ვითარდება და მიდის წინ, რომ ჩვენი ყოველგვარი ქმედება, აღმოჩენა თუ მიგნება, მაშინვე ძველდება, მაშასადამე, ხსენებული წიგნიც მათ შორის. ასე და ამგვარად, იმისათვის, რომ არ ჩამოვრჩეთ დროს, ისტორიის ამ თავბრუდამხვევ რიტმს, ინერგება კიდევ რეზიუმირების, ადაპტირების, დასურათებული ენციკლოპედიების გავრცელების პრაქტიკაც; რაკი იძულებულები ვართ, რომ ყოველდღიურად გადავხარშოთ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია, ამდენად ჩვენი ცოდნა-განათლებაც შესაბამისად ზედაპირული უნდა გახდეს, ოღონდ კი საუკუნის რიტმს ფეხდაფეხ მივყვეთ, განა კევედოს, ან ლარას ამდენი წიგნები ჰქონდათ თავიანთ ბიბლიოთეკაში? მათ ერჩივნათ ნაკლები სცოდნოდან, მაგრამ სცოდნოდან საფუძვლიანად. რაკი სავალდებულოა, რომ არ ჩამოვრჩეთ დღევანდელი დღის დონეს, ამიტომ, რომ ჟურნალისტებმაც გამოიგონეს ჩვენი დროის ერთი დიდი მითი, თაღლითობა და მარჯვე ტყუილი, ჩვენ კი თუ რამ გვჭირდება და ნამდვილად გვჭირდება, ისაა, რომ ვიყოთ ჩვენი საუკუნის დონეზე და არა უბრალოდ დღევანდელი დღის დონეზე, ღრმად და საფუძვლიანად ვიცოდეთ ისტორია და არა უკანასკნელი მოვლენების გაყალბებული ინფორმაცია, მითუმეტეს შეკვეცილ-გამარტივებული; თუ გვინდა, რომ არ ჩამოვრჩეთ დროს ყველაფრის ცოდნა კი არ არის აუცილებელი, რაც ვიცით, ის ვიცოდეთ ღრმად, რომ ჩავენდეთ საგანთა არსს; აი, რა გვჭირდება, რა უნდა გვანტერესებდეს და რისკენ ვისწრაფოდეთ, თუნდაც იმ რისკის ფასად, რომ ერთმანეთში აფურით ინგრიდ ბერგმანისა და ინგმარ ბერგმანის სახელები; თუმცა ამ შემთხვევაში ადგილი მოსალოდნელია ცხვირწინ აგვაცალონ მტვერსასრუტების გამყიდველის ვა-

კანტური ადგილი, სამაგიეროდ, იმის საშუალება გვქეცნება, რაიმე უფრო საინტერესოს შევქვიდით, მითუმეტეს, რომ აშკარად ჩანს, ის, ვინც ცხოვრების ასპარეზზე მაინც მიაღწია წარმატებას, სულის სიღრმეში იმასაც კარგად გრძნობს, რომ არც საფუძველი გააჩნია, არც საყრდენი, თუ ფეხები. ეგებ სულაც ამის გამოა, რომ ასე დააცხრნენ ენციკლოპედიების სქელ-სქელ ტომებს, ზედაპირული ინფორმაციების ამ სათავეს, ის კი არ იციან, რომ მათი უკულტურობა კიდევ უფრო თვალნათლივ ჩანს, რადგან ამ საცნობაროების კითხვის დროც არ რჩებათ. ასეთი ადამიანები იმ ნავს ემსგავსებიან, დინება რომ მიაქანებს და ამ სქელ-სქელი ტომების ლუზაც რომ ჩაუშვან, მაინც ვერ დამაგრდებიან ფსკერზე, მეთევზეებივით, ნავის დრეიფში მოსახვედრად დიდ ქვებს რომ ჩაუშვებენ ხოლმე თოკებით.

ეს ჩვენი აჩქარებულ-ასწრაფებული ადამიანიც სწორედ დინებაში ჩავარდნილივით გრძნობს თავს და უმწეოდ ფართხალებს თანამედროვე ცხოვრების ამ ახალმოდური იდეების სწრაფ დინებაში. იგი ბუნდოვნად მაინც გრძნობს, რომ მისი ასეთი ზედაპირული ცოდნა-განათლება მხოლოდ და მხოლოდ ბრძოლის იარაღია და არა ჭეშმარიტ კულტურასთან მიახლოება, სულიერი ჰარმონიის გრძნობა; ამ შინაგან სიცარიელეს კი ივსებს განვადებით შეძენილი, ტყავის ყდაში ჩასმული, მდიდრულად დასურათხატებული ენციკლოპედია – აგურებით თუ აღმართავს კედელს; ამ ტომების წონაც კი სიმშვიდეს ჰგვრის, ასე ივსებს იმ თავის სულიერ სიცარიელეს ქაღალდების ამ ხარახურით.

ენციკლოპედიური ტომების ამ სპილოს დაავადებით, ასე რომ მოედო ქვეყანას, კიდევ უფრო კულტურა იტანჯება, ეს იმ სენის სიმპტომია, ფროიდი კულტურის სენს რომ უწოდებდა. ამიტომაც, რომ ისევე იმ ძველ, თხელ ნიგნებს ვუბრუნდებით და ვხვდებით, თურმე რაოდენი ლირიზმი ყოფილა მათში, რაოდენი სინათლე და არცთუ ნაკლები აღმოჩენები და მიგნებები; თუნდაც ვთქვათ „მსჯელობანი მეთოდზე“, რემბოს „განათება“ და სხვა მრავალი. ეგრეთ ნოდებუნი ენციკლოპედიზებული მოხელე, ასე რომ გაავსო სახლი ამ ტომებით – აგურებით, ტელევიზორებითა თუ ათასგვარი საყოფაცხოვრებო ელექტრომონოცილობებით, რომლებიც ან ლაპარაკობენ, ან არა, ან რეცხავენ, ან არა, – ვერასოდეს მიხვდება, – კაპიტალისტური საზოგადოება ამის საშუალებას არც მისცემს, რომ გაიგოს, – რომ განმანათლებლობის ეპოქის ენციკლოპედიზმი ყველა უბედურების წამალი არც ყოფილა; ესეც არ იყოს, ამ ახალმოდურ ენციკლოპედიებს, განვადებით რომ იყიდება, ამ დასურათხატებულ ნიგნებს არაფერი აქვთ საერთო იმ ძველ, საყოველთაოდ აღიარებულ ენციკლოპედიებთან და განმანათლებლობასთან; ხოლო ამგვარი საცნობაროების მუშტრები იმ ადამიანებს მოგვაგონებენ, ხილის საყიდლად რომ მიდიან და შინ ცარიელი კალათით კი ბრუნდებიან.

ესპანურიდან თარგმნა
მერი ტიტვინიჩა

ქასპრან-ინტარკვი

სხვა ინტერესი
არ გამაჩნია

*

საუბარი
გურამ ბათიაშვილთან

– ბ-ნო გურამ, ცნობილია, იმპულსებით ღირებულ ლიტერატურა ვერ შეიქმნება, მითუმეტეს პროზა. რატომ დაინერა „ჟამი დუმილისა და ჟამი უბნობისა“?

– დავიწყით ასე. რაზეა ეს რომანი. ებრაელი ხალხის სიყვარულისა და მადლიერების გამოხატვას შევეცადე – უხსოვარი დროიდან დღემდე.

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ებრაელები საქართველოში მოვიდნენ 26 საუკუნის წინათ. ნაბუქოდონოსორის მძლავრობის ჟამს დაიფანტნენ ისინი პირველად. მოგვიანებით მათი დაჩოქება რომაელებმა მოინდომეს. მოგეხსენებათ, იუდეველნი დაუმორჩილებელი ერია. ძველი აღთქმის მიხედვით ისინი ღმერთსაც ეურჩებოდნენ. ახ. წ. აღ-ის 66 წელს დაიწყო დიდი აჯანყება რომაელთა წინააღმდეგ. ებრაელები დამარცხდნენ და იძულებულნი გახდნენ, კიდევ ერთხელ გაფატულიყვნენ.

„ქართლის ცხოვრება“ წერს, რომ ახ. წ. აღ-ის 70 წელს მოვიდნენ ებრაელები საქართველოში და მიაშურეს იმ ადგილებს, სადაც ცხოვრობდნენ პირველად შემოსულნი. შესაბამისად, იერარქიული იდენტიფიკაციაც მაინტერესებდა. ამ ხანგრძლივი დროის განმავლობაში არაა ცნობილი არც ერთი ფაქტი, რომ ებრაელ ხალხს საქართველოსთვის ელაღატოს.

– რომანში დამაჯერებლად აცოცხლებთ თამარის ეპოქას, მაგრამ მაინც მგონია, თქვენი, როგორც ავტორის, გზა მკითხველამდე ბუნვის ხიდზე უნდა გადიოდეს; თუნდაც თამამი განაცხადებისა და მდიდარი წარმოსახვის გამოც...

– უპირველესად უნდა მოგახსენოთ, რომ მე ვარ ქართველი მწერალი და არასოდეს მიცხოვრია სხვა ინტერესებით.

ამ რომანს 5 წელი ვწერდი, რასაც წინ უძლოდა ორწლიანი მოსამზადებელი პერიოდი მასალების მოძიებისა.

ჩემი გაბედულება რა სახსენებელია? განა არ ვიცით? ყველა დროს ჰყავდა თავგასული დიდებულები, სახელმწიფოებრიობას რომ ღალატობდნენ... საკუთარ კეთილდღე-



ობას სამშობლოს ანაცვალებდნენ. ესეც გასათვალისწინებელია, რომ ქართველმა თავადაზნაურობამ უზარმაზარი წვლილი შეიტანა საქართველოს პროგრესის საქმეში, ხარკი და მსხვერპლიც გაიღო... თუმცა ისეთებიც ერივნენ, სამაგიეროს რომ გამოითხოვდნენ.

ცნობილია, რომ თამარის გათხოვების საკითხი, საქართველოს სამეფო კარზე გავლენების გადანაწილების, სახელისუფლო ასპარეზზე დანიშნულების საშუალებად იქცა...

რომანის მთავარი გმირი – ზანქან ზორაბაბელი – მიმჩნია, რომ არის წმინდა წყლის იუდეველი, ყველა ტრადიციის დაცვით, მაგრამ ეს ხელს არ უშლის ერთგული იყოს საქართველოსი.

სხვათა შორის, პერსონაჟთა დახატვა ჩვენმა სინამდვილემაც გამაადვილა. მე ჩემს თანამედროვეებზეც ვწერ. როგორია მათი ცხოვრების აწყობის ტექნოლოგია – საკუთარი თავის ამაღლება, სხვათა დამცრობის ხარჯზე.

– ძირითადად რომელი საისტორიო წყაროებით ხართ დავალებული და რატომ ირჩიეთ ახალი რომანის რედაქტორებად მაინცდამაინც ისტორიკოსები?

– ვისარგებლე „ქართლის ცხოვრებით“, ბასილი ეზოსმოდღვართი, ებრაული წყაროებით, ენციკლოპედიებით, ქართველ ისტორიკოსთა შრომებით.

რომანი ფაქტობრივად 2004 წელს დავასრულე, მაგრამ არ მიჩქარია გამოქვეყნება. ნავაკითხე ძალიან ბევრ მოღვაწეს და ვთხოვე ისტორიკოსებსაც გასცნობოდნენ. ალბათ, ღმერთმა მიკარნახა როინ მეტრეველი და ზაზა აბაშიძე. ორივემ დიდი დახმარება გამინია. მათ მიერ ნაპოვნი ლაფსუსები დეტალების დაზუსტებაში დამეხმარა, რის გარეშეც, არ დავმალავ, დასანანი ხარვეზები გაიპარებოდა.

– ბ-ნო გურამ, აღსანიშნავია თქვენი ნაყოფიერი მუშაობა დრამატურგიაში. ამ ჟანრს, პროფესიონალების გარდა, მაინც ნაკლებად კითხულობენ, ამიტომაც მწერლობაში თეატრიდან მოსულ კაცად აღიქმები...

– უნდა გაგანზილოთ. ჩემი პირველი ნიგნები ლიტერატურულ-პუბლიცისტური გახლდათ. თქვენ შეგეძლოთ გეთქვათ, რომ ორი კულტურის სამსახურში ვარ. სხვათა შორის, სულ პირველი პუბლიკაცია მიხა ცხაკაიას (ახლანდელი სენაკი) რაიონულ გაზეთში გამოვაქვეყნე. იმ ლექსებში მიღებული ჰონორარით, იქვე, რედაქციის გასწვრივ მდებარე „კულტმალაზიაში“ რემა შელეგიას მეგრული სიმღერების ფირფიტა შევიძინე და აფთიაქში ვიყიდე ოთხი ცალი ჰემბატოგენი.

ცოტა მოგვიანებით, ნამდვილი ლიტერატურული ნათლობა ჟურნალ „მნათობში“ მქონდა.

– ერთ-ერთი თქვენი ნიგნი (დრამატურგის ჩანაწერი-ები) – „სახეები და სიტუაციები“, სადა, გულწრფელი და შესაბამისად, თუ შეიძლება ამგვარი ეპითეთით განისაზღვროს, საყვარელი ნიგნია. უმნიშვნელო შტრიხებითა და ფსიქოლოგიური ნიუანსებით მრავალი ცნობილი მოღვაწის პორტრეტი გააცოცხლეთ, წარმოაჩინეთ...

– წესად მაქვს უბის ნიგნაკში ჩავინიშნო წუთები, რადგან მოგვიანებით, წლების მერე, ველარც იმ წუთებს დააზუსტებ და ძვირფას ამბებსაც დრო დაგავიწყებს. კომპლიმენტისთვის მადლობას გეტყვით, თანაც გაგიმხელთ, დრამატურგის ჩანაწერებს ვაგრძელებ, ერთი იმდენი დანერვილი მაქვს და ბარემ მინდა შემთხვევით ვისარგებლო და – უფრო ბატონი როსტომის გასაგონად ვთქვა – თქვენთან ვაპირებ გამოქვეყნებას.

– თქვენი ბოლო ნიგნები „საარშია“ დაბეჭდილი... უზარალო დამთხვევაა თუ საგანგებოდ გაქვთ ეს გამომცემლობა არჩეული. გამიგონია, უცხოეთში არსებობს ურთიერთობის წესი ავტორ-გამომცემელს შორის.

– „საარი“ ჩემი მეგობრების შვილისაა, ლევან თითმერიასი. მის მამასთან, კრიტიკოს ჯუმბერ თითმერიასთან ვახლობდი. ჩვენ არ ვივინყებდით მეგრულს დედაქალაქში. თქვენ წარმოიდგინეთ, უკითხავს კიდეც ერთი-ორჯერ, ესა და ეს მეგრული სიტყვა როგორაა...

ამას გარდა, ლევანმა კარგი გამომცემლობა შექმნა, პოლიგრაფიულად კარგ დონეზეა. ვენდობი, ღირსეული კაცია, შინაურ ატმოსფეროს ქმნის. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ სხვა გამომცემელთან არ ვითანამშრომლო.

– ბ-ნო გურამ, მრავალფეროვანი შემოქმედება (ორიგინალური პროზა, თარგმანები, პუბლიცისტიკა, დრამატურგია) მეტყველებს თქვენს დიდ შრომისმოყვარეობაზე, პროფესიის სიყვარულზე, თანაც აქტიური საზოგადო მოღვაწე ბრძანდებით, ჟურნალ-გაზეთის რედაქტორი...

– მე უბრალო, პატიოსანი, მშრომელი კაცის ოჯახში გავიზარდე. შრომა მემკვიდრეობად მერგო და ცხოვრების წესად მექცა. როგორ გამოვავლინე ეს წესი, განსასჯელად სხვათათვის მომინდვია.

ვრედაქტორობ ჟურნალს „თეატრი და ცხოვრება“, გაზეთ „მენორას“, ამავე დროს, არჩეული ვარ ქართველ ებრაელთა კონგრესის თანათავმჯდომარედ. მთავარი ოფისი თელ-ავივშია და გაჭირვებულთა დახმარებას (ქართველი ებრაელების) ითვალისწინებს.

ვარ საერთაშორისო სიონისტური ორგანიზაციის გამგეობის წევრი. იერუსალიმშია ცენტრი და ორიოდ დღეში მივემგზავრები...

მუზაუმი, რომელშიც პლიუშკინი ცხოვრობს

როგორც აღმოჩნდა, ცნობილი წუნურაქი, გვარად პლიუშკინი, ნიკოლაი გოგოლის ნაწარმოებიდან „მკვდარი სულები“ სინამდვილეში არსებობდა.

ნოვგოროდის ოლქის ქალაქ ვალდაის მუზეუმში გაიხსნა გამოფენა სახელწოდებით „სახსოვრად პლიუშკინის შვილთაშვილთაგან“. ამ გამოფენაზე წარმოდგენილია XIX საუკუნის ცნობილი კოლექციონერის ფეოდორ მიხაილოვიჩ პლიუშკინის ფოტოები და ნივთები მისი კოლექციიდან. ზოგიერთი ისტორიკოსის აზრით, ფეოდორ მიხაილოვიჩ პლიუშკინი შესაძლოა გარკვეულწილად გოგოლის ცნობილი პერსონაჟის პროტოტიპიც იყოს.

რეალური პლიუშკინი ყველანაირი ნივთის ცნობილი შემგროვებელი გახლდათ. მისი კლექცია რუსეთში მესამე იყო სიდიდით. ვალდაიში გავლით ზშირად მყოფ პუშკინს სმენოდა კოლექციონერის შესახებ. გადმოცემით, სწორედ მან ურჩია გოგოლს, რომან „მკვდარი სულების“ წუნურაქისათვის პლიუშკინი დაერქმია.

- სიონიზმი - რალა დასამალია და სახიფათო, მაგიურ ძალად ისახება, მსოფლიო იმპერიალიზმის ტოლფასად მიიჩნევა...

- მინდა ორიოდ სიტყვით მოგახსენოთ. ზოგჯერ ღიმილს მგერის ჩემს ოპონენტ პუბლიცისტთა უზუსტობანი სიონიზმთან დაკავშირებით.

სიონიზმის „აღფა“ და „ომეგა“ გულისხმობს მსოფლიოში მიმოფანტული ებრაელობის, როგორც კონსტანტინე გამსახურდია იტყოდა, „სიონის ბჭეებში“ მოქცევას. ე.ი. ებრაელები უნდა დააბრუნოს თავის ისტორიულ სამშობლოში. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ყველა ღონისძიება მიმართულია იქითკენ, გურამ ბათიაშვილისაგან „ჩვენი მწერლობის“ რედაქციაში ნინო დეკანოიძე კი არ ინერდეს ინტერვიუს, არამედ ეს სამუშაო ებრაულ ჟურნალში, ისრაელში სრულდებოდეს.

- მიუხედავად იმისა, რომ თქვენ აქ ვარდებითა და ბროწეულებით აყვავებულ ულამაზეს ეზოში გამასპინძლობთ...

- თქვენ წარმოიდგინეთ, ამის მიუხედავად...

- კი მაგრამ, სად დაატევს ისრაელის სახელმწიფო ამდენ ებრაელს?

- 1913 წელს კონსტანტინე გამსახურდიამ გერმანიიდან თავის მეგობარს წერილი გამოუგზავნა, სადაც ატყობინებდა, რომ აქ სიონისტური იდეები ვრცელდებოდა, რომ გერმანიაში განათლებული და ნიჭიერი ებრაელი ახალგაზრდობა მოიცვა სამშობლოში დაბრუნების იდეამო. კონსტანტინე იმ წერილში კითხულობს: „შეძლებს კი სიონის ბებერი ბჭენი დაიტოს ამდენი ებრაელობა?“

მაგრამ ეს ებრაელობა ხომ აღარც ისე ბევრია მსოფლიოში დაფანტული.

- ბ-ნო გურამ, რა არის მთავარი თქვენთვის ცხოვრებაში?

- არასოდეს სხვას არ გაუფუკეთო ის, რაც მე თვითონ გულს მტკენს.

ესაუბრა
ნიკო დეკანოიძე

გამოსმაურება

ძვირფასო რედაქტორო!

გიგზავნით ერთი მკითხველის გამოსმაურებას თქვენი ჟურნალის მე-13 ნომერში გამოქვეყნებულ წერილზე, რომელიც გრიბოედოვის საფლავს ეხებოდა. მკითხველი კატეგორიულად არ ეთანხმება რედაქციის აზრს და წერილიც, შესაბამისად, პოლემიკურია, თუმცა არა აგრესიული. ამიტომ ვიტოვებ იმედს, რომ მას არა მხოლოდ გაეცნობით, არამედ თქვენი ჟურნალის ფურცლებზე დაბეჭდავთ კიდევც. ეს იქნება რედაქციის ობიექტურობისა და გახსნილობის მაჩვენებელი და მხოლოდ დადებითად წარმოაჩენს ჟურნალს. დავამატებ, რომ პირადად მე აბსოლუტურად ვეთანხმები გამოსმაურებაში გამოთქმულ შეხედულებებს და დანამდვილებით ვიცი, რომ ამავე აზრისაა მრავალი თქვენი მკითხველი.

პატივისცემით და სიყვარულით

თამარ კოტრიკაძე

გულდასანყვეტი, - ბოლოს და ბოლოს, „კეისარს კეისრისაო“... მაგრამ სულიერებასთან მიახლოებულ ადამიანს? ლიტერატორს?.. მართლაც დასანანი.

არც გავბრაზებულვარ, არც აღვშოთებულვარ, უბრალოდ გული მეტკინა. ნუთუ ჯერაც ვერ მოვიხადეთ „ყავისფერი ჭირი“? ნუთუ მას რეციდივებიც სცოდნია?.. ნუთუ სულის არისტოკრატებს, რადაც მწერლებსა და პოეტებს ვთვლი, ავინყდებათ, რომ ზოგადასაკაცობრიო ღირებულებები (ლიტერატურა, კულტურა, მშვენიერება... სიყვარული, ბოლოს და ბოლოს!), ეროვნებაზე, დროზე, სახელმწიფოზე მალლა დგას? თუმცა სწორედ ამ აზრის გამოთქმას შეეწირა მერაბ მამარდაშვილი...

სამწუხაროდ, „რუსული ჩექმისაგან“ დღემდე ვერ გავთავისუფლდით არა მხოლოდ პოლიტიკურად, არამედ - რაც მთავარია - აზროვნებითაც. ზოგიერთისათვის ყველაფერი რუსული უკვე ცალსახად უარყოფითია. ვიდრე ამას არ დავძლევთ, ვერ ავღორძინდებით. სტატისის ავტორს თუ დავუჯერებთ, ლამის დეკაბრისტების ჯანყის მთავარი მიზანი საქართველოს განადგურება ყოფილა, ხოლო მთელი რუსული ლიტერატურა რუსულ თვითმმართველობას ემსახურება.

მნივნობარ ადამიანს არ უნდა დავიწყებოდა, იმპერიალიზმის თუ რა ძლიერი პრესის ქვეშ იყო მუდამ რუსული ფილოსოფია, ლიტერატურა, მეცნიერება; თუ რას შეეწირა პუშკინი, ლერმონტოვი და მრავალი, მრავალი სხვა.

ხომ არავის მოუვა თავში, შეიძლოს შექსპირი იმის გამო, რომ ის ინგლისის დედოფლის მფარველობით სარგებლობდა, არადა ინგლისი ხომ საკმაოდ ძლიერი და ულმობელი იმპერია გახლდათ.

მინდა შეგახსენოთ მაჰათმა განდის სიტყვები, - ადამიანისა, რომელსაც ნამდვილად ვერ დავნამებთ არაპატრიოტიზმს: „მსურს, რომ ჩემი სახლის კარ-ფანჯრები ფართოდ იყოს გაღებული და ყველა ქვეყნის კულტურა

საფლავთან
დანარილი წერილი

ღრმად პატივცემულო რედაქცია!

არ შემიძლია არ გამოვთქვა ჩემი აზრი თქვენი ერთი პუბლიკაციის გამო. თავიდან ვიფიქრე, რომ არ ღირდა გამოსმაურება, მაგრამ, რაც დრო გადის, ნაკითხული სულ უფრო მანუხებს და, აი, ახლა გადავწყვიტე, დაგვიანებით გამომეხატა ჩემი ნუხილი.

საკმე ეხება „ჩვენი მწერლობის“ მე-13 ნომერში გამოქვეყნებულ წერილს „აკლდამა, ხანჯალი, ჩექმა“, რომელიც არ ეკადრება არც ჟურნალს (მე მას ძალიან ვაფასებ) და არც მის რედაქტორს (მე მას ღრმად ვცემ პატივს). ეს რომ რომელიმე ვიი-პოლიტიკოსს დაენერა, არ იქნებოდა

თავისუფლად შემოდიოდეს ჩემს სახლში. მაგრამ არ მინდა წალეკილი ვიყო რომელიმე მათგანის მიერ“. ამ გამო-ნათქვამის ბოლო ფრაზას კარგად ვიაზრებთ და, რაკილა თვითმყოფადი ერი ვართ, უნდა შევასრულოთ კიდევც. ნუ-რავის წავალეკინებთ თავს (განა არ ცდილობს ჩვენს წა-ლეკვას ამერიკული ვითომ კულტურა?). მაგრამ მაშინაც დავიღუპებით, თუკი კარ-ფანჯარას დავხურავთ და არა-ვის შემოვუშვებთ.

ჩემი ბავშვობა მამადავითზე გავატარე, იმ ლამაზ ეკ-ლესიასთან, საიდანაც თბილისის დიდი ნაწილი მოჩანს. ვუყურებდი, როგორ ნათდებოდა საღამოს ქალაქი, ირ-გვლივ კი წმინდა საფლავები იყო, საფლავები კი არა – წმინდა სულები ტრიალებდნენ: ვა-ჟა, აკაკი, ტატო (ფილიპე მახარაძე-ზე არ მიფიქრია, ამიტომაც არ მალი-ზიანებდა), და – განსაკუთრებული, ჯადოსნური აკ-ლდამა მღვიმეში... ალექსანდრე და ნი-ნო. რამდენჯერ მი-ტირია, საფლავის წარწერას რომ ვკითხულობდი. მართლაც საოცარ-ია სიყვარული... მაშინ ვფიქრობდი, მხოლოდ ქართველ ქალს შეუძლია-მეთქი ასეთი ერ-თგულება. პატარა



ნინო ჭავჭავაძისა და ალექსანდრე გრიბოედოვის აკლდამა მთაწმინდაზე

ვიყავი და გრიბოედოვის პიესა ჯერ წაკითხული არ მქონ-და (მხოლოდ გრიბოედოვის ვალსი მქონდა მოსმენილი), მაგრამ მჯეროდა, რომ იგი ღირსი უნდა ყოფილიყო ასე-თი სიყვარულის.

ნუთუ გრიბოედოვს ღირსებას აკლებს ის, რომ იგი ერ-თგულად ემსახურებოდა თავის ქვეყანას, თუნდაც იმპე-რიას?! კაცობრიობა იცნობს შემთხვევებს, როცა დიდი მწერლები ამავედროულად სახელმწიფო მოხელეები იყ-ვნენ, თავიანთი ქვეყნის დაზვერვაშიც კი მუშაობდნენ, მაგრამ ჩვენ გვიყვარს მათი წიგნები და მათი საფლავები-დან ამოთხრას არავინ აპირებს. განა ვეზირ მუხთარის ბრალია, რომ მკვლელის ხელი მას სამშობლოსაგან შორს მისწვდა და ის ცოლის სამშობლოში დასაფლავდა? გრი-ბოედოვის აკლდამაში ჩექმის დანახვა? რა არის ეს? მარ-თლაც „ვაი ჭკუისაგან“ ხომ არ გვემართება?

რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურ ურთიერთობებში ბევრი რამ იყო უარყოფითი, მაგრამ, რაც შეეხება წმინდა ადამიანურ, კულტურულ ურთიერთობებს, აქ იმდენი კარგი იყო, რისი დავინყების უფლებაც არ გვაქვს.

გრიბოედოვი უკვე ჩვენიც არის, ჩვენი ისტორიის ნა-წილია ისევე, როგორც ლერმონტოვი, რომლისთვისაც სა-ქართველო სულის სამშობლოდ იქცა.

თვალწინ მიდგას საქართველოს მთის აბოზოქრებული მდინარე, მის ხეობაზე გადმოკიდებული სახლი, სახლის ბანზე მოცეკვავე თავადის ქალი თამარი – მთელ ამ მშვენე-ბას კი გადმოჰყურებს დაცემული ანგელოზი და იხიბლება...

«...И демон видел...»

ნუთუ ეს მხოლოდ რუსეთის პოეტური საგანძურია, ან კი შეიძლება მშვენიერება ერთი რომელიმე სახელმწიფოს საკუთრება იყოს? მე მგონი, ეს პირველ რიგში ჩვენია, ქართული, და ამით უნდა ვიამაყოთ.

თუკი ლერმონტოვის ძეგლი არაგვისა და მტკვრის შე-საყართან არ გამოირჩევა მაღალი მხატვრული ფასეულო-ბით, ეს პოეტის ბრალი ნამდვილად არ არის. ხოლო ის,

რომ ლერმონტოვ-მა თარგმნა ბაი-რონი და გოეთე და ისინი რუსული პო-ეზიის მარგალი-ტებად აქცია, ეს მისი ღირსებაა და არა დანაშაული. განა არ ამდიდ-რებს ჩვენს სული-ერ სამყაროს ის, რომ ქართველი პოეტები თარ-გმნიან პუშკინს თუ რილკეს? თუმ-ცა ამაზე საუბარი უხერხულიც კია და ვშობობ, ჩაცკის მონოლოგი არ გა-მომივიდეს.

მართლაც სა-ოცრად მდიდარი

ქვეყანაა საქართველო, რომ ერთის მხრივ დაბადა მედეა – სახასიათო, იღუმალი მითიური პიროვნება (რომელიც დღევანდელი გადასახედიდან ნათელი სულით არ გამო-ირჩევა) და ისეთი იდეალი, როგორც ნინო ჭავჭავაძეა.

თუკი ზოგიერთისთვის რუსეთს პუტინი, ჟირინოვსკი და კულახმეტოვი განასახიერებენ, სხვებისათვის პუშკი-ნი, ლერმონტოვი, გრიბოედოვი და მრავალი სხვაა რუსე-თის ჭეშმარიტი სახე. მოდით, ნუ ჩავყრით ყველას ერთ კა-ლათში (ბევრი, შესაძლოა, იმასაც ვერ აცნობიერებდეს, რომ რილკეს კეთილშობილი პოეზია და ჰიტლერის „ყეფა“ ერთი და იგივე ენაა – გერმანული).

რუსეთის კულტურაზე გალაშქრება ყველაზე ადვი-ლია: კულტურა ხომ ფაქიზი და დაუცველია. ამგვარი მცდელობები დროდადრო არის, მაგრამ სალი აზრი მუდამ იმარჯვებს.

მე მჯერა, რომ წმინდა საფლავი ხელუხლებელი დარ-ჩება არა როგორც „რუსული ჩექმის“, არამედ როგორც მარადიული სიყვარულის სიმბოლო, – სიყვარულისა, რომელიც მუდამ აღადგენს იმას, რაც მტრობას დაუნ-გრევიდა.

არაფერი ხდება ირმა მალაციძის ნოველაში განსაკუთრებული, არაორდინარული... შეიძლება ითქვას, ტრივიალური შემთხვევაც კია. შრომის უფლებანართმეული, ათასგზის დარბეული, ხელმოცარული, გალოთებული კაცებით, სამწუხაროდ, გადავსებულია დღევანდელი საქართველო.

მნიშვნელოვანი, ძირეული რამ უნდა მოხდეს თვითეული მათგანის ცხოვრებაში, რომ შეიცვალონ, საკუთარ თავს აჯობონ, განახლებისაკენ გადადგან პირველი ნაბიჯი. ეს მნიშვნელოვანი მისია რუსეთიდან გამოგზავნილმა ერთმა ჩვეულებრივმა, „უმნიშვნელო“ წერილმა იტვირთა ნოველაში. სწორედ ამ ბიძგის, ამ იმპულსის ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით გადმოცემა შეძლო ამ პატარა მოთხრობის ავტორმა.

ირმა მალაციძე წერილი

პირველად ხომ არ ცეცხლავდა ცეცხლივით არაყს...

– თვალი დაუდგეს, ე ხორხი გამოკალული ხო არ ააქ. იი, სანყალი ცოლ-შვილი მაგის ხელში. სუ ეგრე გამობრუნებული უნდა დაიარებოდეს, ქა? – აცლიდა და იტყოდა მართო ძალო ლოთ თამაზაზე.

სიმათლის პირში მიხლა უყვარდა მარო ძალოს. ყველამ იცოდა. ამიტომაც არც სწყინდათ. თამაზას ხომ საერთოდ, რა დროს ეწყინებოდა – ფხიზელი კარგა ხანია, არავის ენახა. მთვრალს კი, საკუთარ ძარღვებში მოშხუილე სისხლის ხმის გარდა, არც არაფერი ესმოდა. დილა რომ გათენდებოდა, იმ წუთიდან არყის საძებნელად მიდიოდა. სოფელში საქმეს რა დაღევედა, ვინმეს აუცილებლად ექნებოდა გასათოხნი ან გამოსამარგლი, ვაზი ასახვევევი ან ყანა გასათობი. მკლავი კი ძლიერი ჰქონდა. მხარბეჭიც – კარგი ვაჟკაცის შესაშური. რომ არა ამდენი ლოთობა, ბარე ორ ქალს დაადნობდა თავის კუნთმაგარ მკლავზე. მაგრამ ახლა ცოლ-ქმრული მოვალეობის შესასრულებლად არყისა და ოფლის სუნით აყროლებულს საკუთარი ცოლიც კი ზიზღით უწევებოდა ლოგინში, მეზობლის ნაჩუქარ, დამდნარ თეთრეულში და სხვას რით მიიზიდავდა. სახის, ერთ დროს ალბათ ლამაზი, მამაკაცური ნაკვთები ახლა ისე დაბიჟინებოდა, გეგონებოდა, ბზიკებს დაუკბენიათო. მისთვის კი ყველაფერი სულ ერთი იყო. სარკეში არც იხედებოდა. რომ გეკითხათ, ვერაფრის დიდებით ვერ გაიხსენებდა, რა ფერის თვალები ჰქონდა. ვერც ცოლის ნადრევედ დანაოჭებულ და შრომისგან დახეთქილ ხელებს ამჩნევდა, ვერც შვილების სევდაჩამდგარ, არაბავშვურ თვალებს. არც მათი, ძილის წინ უშაქრო ჩაით კიდევ უფრო აწრიალებული, მშვიერი კუჭის წრიბინი სწვდებოდა მამის დახშულ სმენას. საკუთარი, ასე თუ ისე, ამოყორილი ჰქონდა, სამადლოდ მოწოდებული პურით და არყით და სხვას არაფერს დაგიდევდათ.

სულ ასე იყო. ბოლო ათ წელზე მეტია, ფხიზელი არავის ენახა. შვილებს, სოფელი, რის ვაი-ვაგლახით კვებავდა. ვინ რას აწვდიდა, ვინ რას. თუმცა ყველას თავისი გასჭირვებოდა და არც ისე იშვიათად, მშვიერი კუჭით იძინებდნენ. პატარა სახლში ცხოვრობდნენ. კედლები ბლოკით იყო აშენებული და ასევე, გაულესავად მიტოვებული. წვიმას უკვე დაემჩნია კვალი და აქა-იქ, კიდევები ჩამოშლილიყო კიდეც. უმინო ფანჯრებზე ცელოფანის დახეული ნაჭრები აეკრათ. ერთადერთ ოთახში ალაგ-ალაგ ჩამოხეული ძველისძველი შპალერი ფარავდა კედლებს. კუთხეში კა-

რებჩამოვარდნილი ძველი შიფანერი იდგა, სკოლაში ჩამონერილი ფეხებმორყეული მერხი – მაგიდის, ჯორკოები კი – სკამების ნაცვლად.

განა ამჩნევდა თამაზა ამ უბადრუკობას. განა ხედავდა. იმიტომაც იბრუნებოდა ყოველ ცისმარე დღეს, რომ ეს არ დაენახა. გათენდებოდა თუ არა, გამოძვრებოდა დახეული ქვეშაგებიდან და პირდაუბანელი გარბოდა მეზობლებში. დილიდანვე იჭერდა დასალევის შოვნის თადარიგს.

იმ დილას კი... იმ დილას ისეთი რამ მოხდა, თამაზას არაყიც კი გადაავინყა.

– არ ვიცოდი, ფოსტა თუ კიდევ მუშაობდაო, – გაიოცა, როცა მის მობრეცილ ჭიშკართან სოფლის ავტობუსმა გააჩერა და მძლოლმა წერილი გადმოანოდა – რაიონის ფოსტიდან გამომატანეს, შენთან მოსულაო.

– წერილი? – სასაცილოდ არ ეყო თამაზას, – მეე, წერილი?

სათონიდან ლელამ გამოყო თავსაფარწაკრული თავი და აწითლებულ სახეზე ჩამოლენთილი ოფლი სახელოთი შეიმშრალა.

– რაიო, თამაზი, ცუდი დეპეშა ხო არაა? – იკითხა შეშინებულმა.

– არა, წერილია.

– ჩემებისგან იქნება, ვლადიკავკაზიდან.

– რავი, ჩემი სახელი და გვარი აწერია და. მოდი და ნაკითხე, რუსული ხო იცი.

– მოიტა, გავხსნა, – გამოგლიჯა ხელიდან კონვერტი და ჩაწითლებული თვალები მკვირცხლად ჩაარბენინა გაკრული ხელით დაწერილ მისამართზე.

– არა, კაცო, ჩემებისგან არაა. მოსკოვიდანაა, რაიო? ნა-დეჟ-და ბა-ლა-შო-ვა-ო? – ვერ გაიგებდი, ვის ეკითხებოდა, თამაზას თუ თავის თავს.

თამაზამ ცოლს შეხედა. თვალი გაუშტერდა. ერთხანს ასე მიშტერებოდა, თითქოს მის ნაოჭებში ცდილობდა იმის ამოკითხვას, რაც წესით საკუთარი ტვინის ხვეულებში უნდა ეძებნა, მაგრამ არაყს ეს ხვეულები კარგა ხნის წინ წაეშალა, გვარიანად გაესწორებინა, ამიტომ ამოდ ცდილობდა იმის გახსენებას, საიდან ეცნობოდა ეს გვარი და სახელი.

– მიდი, გახსენი, ნახე ერთი ვისგანაა, – მოუთმენლად უთხრა ცოლს.



ლელამ კონვერტი ნაჩქარევად გახსნა. იქიდან გაკრული, რუსული ხელით დანერილი ორგვერდიანი წერილი ამოიღო და კითხვას შეუდგა. ოსის გოგო იყო ლელა. ცხინვალში გაზრდილი. რუსული სკოლა ჰქონდა დამთავრებული და ჩქარი, გაკრული ხელით ნაწერსაც იოლად არჩევდა. ჩუმად დაინყო კითხვა. თვალის გუგა სწრაფად მოძრაობდა, სტრიქონიდან სტრიქონზე მკვირცხლად, მოუთმენლად მიხტოდა, თითქოს სურდა, რაც შეიძლება მალე ჩაერბინა ყველა სტრიქონი, მალე შეეტყო ავტორის გულისწადილი. თამაზა იდგა, ჩუმად, გახევებული და თვალის მოძრაობას აკვირდებოდა. მათში ცდილობდა იმის ამოკითხვას, რასაც საკუთარ ტვინში ვერ მიაგნო.

– რაიო? – მუდარით შეეკითხა ცოლს.

ლელა კი კვლავ მდუმარედ განაგრძობდა კითხვას. მისი თვალელები ხან გაოცებას გამოხატავდა, ხან სიბრაზეს, მერე უცებ დამშვიდდა და წერილის ბოლო სტრიქონიც ჩაიკითხა. თამაზა იდგა და განაჩენივით ელოდა, რას იტყოდა ლელა. ის კი დუმდა. თითქოს განგებ უზანგრძლივებდა ქმარს წამების წუთებს, თითქოს სამაგიეროს უხდიდა იმ ნატანჯი წლების, იმ ტკივილის გამო, რაც აქამდე მიეყენებინა.

– აღარ იტყვი? – ახლა სიბრაზემ წამოუარა თამაზას, მაგრამ ლელამ გაანწყვტინა:

– ვინაა, ბიჭო ეს ქალი?

– ქალი? ვინ ქალი? – თამაზა აირია.

– ესა... ნადეჟდა თუ... ვილაც... გწერს, რომ მთელი სიცოცხლე თურმე შენ ერთი მიყვარდიო. ოცი წელი გავიდა და ვერ დაგივინყეო...

– ოცი წელიო? ოციო...

– ჰო, ოცი... ჯარში რო მსახურობდიო... – წერს.

– ჯარში? ჰო, იყო იქ ერთი გოგო. რა ერქვა?

– ნადეჟდა... – შეახსენა ლელამ.

– არა... ნადია... ნადია ერქვა... – თამაზას გონება გაუნათდა. ერთი წუთით პახმელია და თავის ტკივილიც დაავინწყდა. ჰო, მიაგნო იმ უჯრედს, რომელსაც ნადია ახსოვდა, ქერთამიანი რუსი გოგო, კისკისა ხმით, აღერსიანი ნადია.

– ნადეჟდა და ნადია ერთია... – გაჯავრებით გამოსცრა კბილებში ლელამ.

– რამ გაახსენა ჩემი თავი? – უფრო საკუთარ თავს შეეკითხა თამაზა.

ლელამ მხრები აიჩეჩა.

– კიდევ რაო?

– რა ვიცი, იგონებს, ეს გახსოვს, ის გახსოვსო? კაი დრო კი გიტარებიან, ხო იცი? – ისევ გამოსცრა ლელამ და ცომიანი ხელების ფშვნეტას შეუდგა.

თამაზას ღიმილმა წამოუარა. იქვე, ჯორკოზე ჩამოჯდა და თავი ხელებში ჩარგო. მერე მთელი დღე ფიქრიანი დადიოდა. წერილს ხელში ატრიალებდა. მართალია რუსული, რაც იცოდა, ისიც დავინწყებოდა, მაგრამ ქალაღდს მაინც ეფერებოდა. ცდილობდა, მისი სახე აღედგინა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა.

მერე ძველი ტახტიდან გაცრეცილი ფოტოალბომი ამოაძვრინა. ჯარის ალბომი, რომელიც მაშინ საგანგებოდ დაამზადებინა. უზარმაზარ მუყაოს სქელ ფურცლებზე ფოტოები იყო დაკრული – თითო გვერდზე მხოლოდ ორი ფოტო, მოვარაყებული და მოხატულ ჩარჩოში ჩასმული. იქ ნადეჟდას ფოტო არ ეგულებოდა, საკუთარი თავის სანახავად უფრო მოიძია წარსულის მოწმე. გადაშალა და ყელში მწარე ბურთი გაეჩხირა. აღარ ახსოვდა საკუთარი სახე. მალალი, ტანადი, ლამაზი, მამაკაცური ნაკვთებით. წუთუ ეს მე ვიყავიო – ეკითხებოდა საკუთარ თავს და კიდევ უფრო ეკვროდა სუნთქვა. მერე სარკესთან მივიდა და საკუთარ სახეს დააკვირდა. ხან ფოტოს უმზერდა, ხან – სარკეს.

– ესა? ეს ბებერი და ესა ერთია? – ეკითხებოდა საკუთარ თავს. უცებ სახე დაედმიჭა. ალბომს ხელი წამოაგლო და ფურცლების დახევა დაინყო. აძრობდა მუყაოზე დანებებულ ფოტოებს – ოციოდე წლის ფორმიანი ბიჭების მომღიმარ გამოსახულებებს და ანაკუნებდა. შემლილივით, შლევანივით გლევჯდა საკუთარ წარსულს, რომ მისი კვალიც კი მოესპო საკუთარი ცხოვრებიდან. ველარაფერს ვერ უნდა შეეხსენებინა საკუთარი უბადრუეობა და დღევანდელი ყოფა. ამას, თვითონაც და ყველა დანარჩენიც ასე თუ ისე შეგუებული იყო. წარსული კი არავის უნდა ენახა, არავის გახსენებოდა. ისედაც გაუუქლმარებელი ყოფა კიდევ უფრო რომ არ გაუუქლმარებელიყო, არავის არ უნდა მისცემოდა დღევანდელი თამაზას გუშინდელისათვის შედარების საშუალება. ალბომის დახევას რომ მორჩა, ქალაღდის გროვასთან ჩაცუცქდა. ერთად



მხატვარი ინა ჭელიძე

დაინყო. აძრობდა მუყაოზე დანებებულ ფოტოებს – ოციოდე წლის ფორმიანი ბიჭების მომღიმარ გამოსახულებებს და ანაკუნებდა. შემლილივით, შლევანივით გლევჯდა საკუთარ წარსულს, რომ მისი კვალიც კი მოესპო საკუთარი ცხოვრებიდან. ველარაფერს ვერ უნდა შეეხსენებინა საკუთარი უბადრუეობა და დღევანდელი ყოფა. ამას, თვითონაც და ყველა დანარჩენიც ასე თუ ისე შეგუებული იყო. წარსული კი არავის უნდა ენახა, არავის გახსენებოდა. ისედაც გაუუქლმარებელი ყოფა კიდევ უფრო რომ არ გაუუქლმარებელიყო, არავის არ უნდა მისცემოდა დღევანდელი თამაზას გუშინდელისათვის შედარების საშუალება. ალბომის დახევას რომ მორჩა, ქალაღდის გროვასთან ჩაცუცქდა. ერთად

პროზა

მოუყარა თავი და ცეცხლი მოუკიდა. ინვოდა ქალაქის გროვა და ინვოდა თამაზას ბედნიერი წარსული. თვითონ კი ალს ლოთობისგან აკანკალებულ ხელებს უფიცხებდა და თბებოდა.

მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. ფიქრებმა დარია ხელი. არა, ნადიაზე კი არა, საკუთარ ცხოვრებაზე ფიქრობდა. თითქოს ლეთარგიული ძილის შემდეგ გამოვლენა და სხვა დროში, შეცვლილ გარემოში აღმოჩენილს, აღარ იცოდა, როგორ გაეგრძელებინა ცხოვრება. სულ დაიბნა, აირია, საიდანღაც ბედისწერასავით გამომტყვრალმა ბარათმა თავდაყირა დაუყენა ცხოვრება – თუნდაც ბუნდოვნად აღქმული, არაფხიზლად გავლილი, მაგრამ მაინც მისი ცხოვრება.

არც ლელას ეძინა. ინვა, თავგვივით განაბული და ერთ ნერტილს მისჩერებოდა ჩამოხეულ ქერზე.

– თამაზი, – ხმადაბლა, ბავშვებს რომ არ გაეღვიძათ, ისე ჩაიჩურჩულა.

– ჰჰ!

– შენა... ის ქალი წერს, რომა მოსკოვში ვცხოვრობო, ექიმად ვმუშაობო.

– მერე რა...

– რა ვიცი აბა... იქნებ მიგენერა... თუ ეგრე უყვარდი, იქნებ თავისთან წაგიყვანოს და რა ვიცი... ჩვენც გვეშველებოდა რამე...

თამაზა გაჩუმდა. ფიქრებს მიუხვდა ცოლი და შერცხვა.

– რას ამბობ, ქალო. იქნებ სულაცა ქმარი ყავას... – იხტიბარი არ გაიტყდა.

– რა ქმარი. აბა ქმრიანი ქალი რომელ კაცს მიწერს, მიყვარხარო, გადარიყ?

– ერთი შენცაა. რუსის ქალებს არ იცნობ შენა...

– რა ვიცი, მაინც მიგენერა. რა იცი, იქნება ღმერთმა გამოგვიგზავნა იმისი თავი, ჰა? – ლელას ხმაში ცრემლი შეერია.

თამაზა სიბრაზისაგან წამოენთო. ლოგინიდან წამოხტა და ეზოში გავარდა. უფილტრო სიგარეტი გამოიტანა და მოუკიდა. ჩუმად ეწეოდა. უხმოდ. ღრმად უშვებდა დაბინძურებულ ფილტვებში უვარგის ნიკოტინს და მთვარეს უყურებდა. რამდენი წელია, ასეთი ფხიზელი არ ყოფილა. რამდენი წელია, საკუთარი თავი ასე არ შეუგრძნია. არც ლელა შეცოდებია ასე ძალიან, არც შვილები. ჯიბიდან ნერილი ამოაძვრინა და ერთხანს მღუმარედ დაჰყურებდა. მერე ხელი გადაუსვა, თითქოს ეფერებო, არა, თითქოს ემშვიდობებო. მერე წამით შეეოვნდა და მასაც ალბომის ბედი გააზიარებინა – პატარა ნაკუნებად აქცია, გულმოდგინედ დახია და ეზოსთან ჩამავალ რუში გადაუძახა. ჭუჭყიან წყალს გაატანა წარსულის პატარა, თბილი მოგონება, რომელმაც სულით ხორცამდე შეძრა, გამოაღვიძა, სარკვეში ჩაახვდა და საკუთარი გაუბედურებული ორეული დაანახა.

თამაზას აღარც პახმელია ახსოვდა, აღარც დასაღვივის მოპოვებაზე ფიქრობდა. ახლა მხოლოდ ოცი წლის წინანდელი საკუთარი თავი ედგა თვალწინ, ლალი და ბედნიერი ყმანვილკაცობა და ქერა ლამაზმანი, თავდაყირა რომ დაუყენა ცხოვრება.

„იმას ვახსოვარ... მე კი დამავინყდა... რამდენი წელია, ერთხელაც კი არ გამხსენებია... ახლა რომ დამინახოს... ალბათ ვეღარ მიცნობს... წერილსაც კი აღარ მომწერს... აბა, ვის რაში ვჭირდები ასეთი...“ – ზიზღნარევი დაიხედა მოუვლელ ხელებზე, რომლებიც თვალზე აიფარა და ბავშვობის შემდეგ პირველად ატირდა. ჯერ ჩუმად, ყრუდ, მერე ისეთი ზმული ამოუშვა, ეზოში ფეხაკრეფით გამოსული ლელა ერთ ადგილს შეეყინა. ქმართან ახლოს მისვლა ვერ გაბედა, ჩუმად უყურებდა, მერე მიბრუნდა და ოთახში გაუჩინარდა.

ახლა ღამე იყო, მთვარიანი ღამე. რამდენიმე საათში კი დილა დგებოდა. ახალი, ვისთვის ნათელი, ვისთვის კი – ნალექიანი-ტიკვილიანი. თამაზასთვის დაგვიანებული ახალი ცხოვრება იწყებოდა.

ქრონიკა

„ზაფხული, წიგნი, ნაყინი“ – ამ სახელწოდების აქციას მოსწავლეებისათვის უკვე მეორე წელია ზაფხულის არდადეგების დღეებში ატარებს წარვის ცენტრალური ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილება. წელს ეს აქცია 3 ივლისიდან 30 აგვისტომდე იმართებოდა და ნაყინზე 7-დან 12 წლამდე მოსწავლეებს ეპატიჟება, ბუნებრივია, მათ, ვინც იცნობს ან სურს გაიცნოს ბავშვთა ცნობილი ზღაპრებისა და მოთხრობათა პერსონაჟები.

თუმცა ნაყინს ყველას არ აძლევენ. ის უნდა დაიმსახურო, ანუ უპასუხო პოპულარული საბავშვო წიგნების მიხედვით შედგენილი ვიქტორინის ორ შეკითხვას. სიაში ორმოცდაათამდე წიგნია. თუკი პასუხი გაქვს, შეგიძლია მაშინვე უპასუხო და ჯილდოც არ დააყოვნებს. თუ არ იცი, შეგიძლია წიგნი შინ წაიღო, წაიკითხო და შემდეგ უპასუხო. მართალია ამით გზა ნაყინისაკენ იზრდება, სწორი პასუხი პირის ჩასატკბარუნებლით მუდამ ჯილდოდება.

კითხვები საკმაოდ რთულია, საყურადღებო. შეუძლებელია უბრალოდ გადაფურცლო წიგნი და სწორი პასუხი იპოვო. თანაც სამკითხველო დარბაზში პასუხის გაცემისას წიგნის ფურცვლა არ შეიძლება. არსებობს, იდეა ერთი შეზღუდვა: დღეში შეიძლება მხოლოდ ორი ნაყინის გერგება.

მოსწავლეებმა აქცია ენთუზიაზმით მიიღეს.

როგორც გაირკვა, კრენკოლის გიმნაზიის IV კლასის მოსწავლემ ლეონიდ სტალბერგმა მხოლოდ ნაყინი კი არ იგემა, ვიქტორინის ლიდერი გახდა. მის ანგარიშზე უკვე 14 ნაყინია. ის ორი წელია ბიბლიოთეკის მკითხველია, დასაწყისიდანვე ვიქტორინის მონაწილეა, საქმეს დიდი სერიოზულობით ეკიდება, თითქმის ყოველდღე იქაა. არა მხოლოდ ნაყინის გამო – სხვადასხვა წიგნების კითხვა მიყვარსო, განაცხადა. თუმცა ყველაზე მეტად სათავგადასავლო ლიტერატურა იზიდავს. ალიარა, 30-მდე წიგნი სიიდან ჯერ კიდევ ასათვისებელი მაქვსო. და თან აღნიშნა, ვიქტორინის კითხვები რთულია, ნაყინი ადვილად არ გერგებაო. აქცია ნაყინით არ შემოიფარგლება. ყველაზე მეტი წიგნის წამკითხავი და, შესაბამისად, ყველაზე მეტი სწორი პასუხის გამცემი ბავშვი ბიბლიოთეკისაგან საჩუქრად წიგნს მიიღებს.

ბიბლიოთეკა ხანდახან არღვევს კიდევ „თამაშის წესებს“ და ვიქტორინაში მონაწილეობის უფლებას სკოლამდელ, 7 წლამდე ასაკის ბავშვებსაც აძლევს. „გავოგნდი, როცა პატარა, 4 წლის რიტა ჩუბარევამ დედის დაუხმარებლად სრული და სწორი პასუხები გასცა შეკითხვებს“ – აღნიშნა ბავშვთა განყოფილების თანამშრომელმა. ბავშვის დედის განმარტებით, გოგონა ჯერ თვითონ არ კითხულობს, მაგრამ მოსმენით ისმენს, და ამიტომაც სცადა ნაყინის მოგება. და მოიგო კიდევ!

დაიბადა 1973 წელს. 1995 წელს დაამთავრა ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი სპარსული ენის განხრით. 1996-99 წლებში სწავლობდა ასპირანტურაში და იკვლევდა მე-XIX საუკუნის სპარსულ ლიტერატურას. ამ წლების განმავლობაში რამდენიმეჯერ მივიღებულ იყო ისპაჰანის, ურმიის უნივერსიტეტებში და იმამ ხომეინის საერთაშორისო უნივერსიტეტში. მუშაობდა აგრეთვე ირანის ისლამური რესპუბლიკის საქართველოს საელჩოში თარჯიმნად. იბეჭდება პირველად.

ვასილ ლლონტი

სამი ნოველა

ერთი ღარი სიგარატი

კაცი ენეოდა! ბევრს ენეოდა! რაც თავი ახსოვდა, სულ ენეოდა. ძალიან ღრმა ბავშვობიდან მოყოლებული, შეიძლება უფრო ადრიდანაც. შეიძლება აკვანშიც კი სიგარეტით აჩუმებდნენ. იმდენს ენეოდა, რომ ახლობლებსა და ნაცნობებს მასთან ყოფნა უჭირდათ, იმდენად იყო იგი ნიკოტინის მძაფრი სუნით აყროლებული. ცოლ-შვილმაც კი მგონი ამისთვის მიატოვა. შეიძლება მთლად ამისთვისაც არა, მაგრამ ამაღაც დიდი როლი ითამაშა მის მარტოდ დარჩენაზე. გადაჩვევით ვერ გადაეჩვია, უფრო სწორად არც უფიქრია, არც კი დაფიქრებულა ამაზე, იმდენად ბევრს ნიშნავდა მისთვის სიგარეტი. მხოლოდ ის იყო მისი უახლოესი მეგობარი, მხოლოდ მასთან იყო გულახდილი და გულწრფელი და მხოლოდ მასთან ერთად შეეძლო ფიქრი და ოცნება.

მძიმე ცხოვრება გაიარა, თუმცა იოლი ცხოვრება არ არსებობს. არასდროს მისთვის თანაგრძნობა არ გამოუცხადებიათ, თუმცა ყველა სულიერი იმსახურებს თანაგრძნობას, რახან გაჩნდა ამ ცოდვებით და სისასტიკით სავსე ქვეყანაზე. ნიხლს სწორედ მაშინ აჭერდნენ, როცა ვილაცის თანადგომა სჭირდებოდა. ხშირად კი ის აჭერდა, ვისი იმედიც ჰქონდა. ოჯახი უყვარდა, მანამდე სანამ არ მიხვდა, რომ იგი რობოტად იქცა, კლასიკურ ბიორობოტად, რომელიც ნელ-ნელა უანგდება და მალე ჯვართში ჩააბარებენ. იმასაც მიხვდა, რომ არავის უყვარდა. ყველანი ნელ-ნელა გაუცხოვდნენ. ყველაზე მეტად კი ისინი, ვინც მისთვის ყველაზე უფრო ძვირფასი და ფასეული იყო. მას კი სითბო და სიყვარული სწყუროდა, თუმცა ყველასგან უმადურობასა და შინაგან სიცივეს გრძნობდა.

მალე ყველამ მიატოვა, ყველამ სიგარეტის გარდა. მხოლოდ ის უამებდა რთული და დაუნდობელი ნუთისოვლისგან მიყენებულ ტკივილებს. ჰო, კიდევ ერთი ვინმე შეეჩვია ბოლო ხანებში – სასამელი. ეს აბეზარი სტუმარი მას არ უყვარდა, მაგრამ სიმარტოვეს მასთან იქარებდა. ერთი რამით იყო ბედნიერი – თავისუფლებით. მაგრამ იმასაც მიხვდა, რომ თავისუფლების ფასი სიმარტოვეა. ჰო,

ერთი ხანობა ეკლესიაში დაიწყო სიარული, მაგრამ ძალიან ბევრი შეკითხვა დაუგროვდა და თავი დაანება. ისედაც გადაღალა ზედმეტმა ფიქრმა და მაგის ნერვები არ ჰქონდა. თან იმასაც მიხვდა, რომ ღმერთი მარტო ეკლესიაში არ ცხოვრობდა. იგი ყველგან და ყველაში იყო და არ იყო აუცილებელი იქ სიარული, მასთან საურთიერთობოდ. თან მღვდლების უმეტესობა არ უყვარდა. საერთოდ ყოველგვარ რიტუალებსა და ცერემონიებს ვერ იტანდა, მითუმეტეს თუ იქ რაიმე სიყალბეს შეამჩნევდა. ასე მიაღწია მან ორმოცდახუთ წელს, მერე უკან მოიხედა და თავისი განვლილი ცხოვრება შეაჯამა, გაანალიზა და თვითმკვლელობაზე დაიწყო ფიქრი, თუმცა მალე ამ გიჟურმა იდეამაც გაუარა, რადგან დაინახა, რომ მის გარშემომყოფებსაც მსგავსი ცხოვრება ჰქონდათ გატარებული, მაგრამ თავს არავინ იკლავდა. ხელი ჩაიჭრა ამაზეც და შეეგუა. ყველაზე ძნელი კი სწორედ შეგუება აღმოჩნდა მისთვის. იმაზე ცუდი არაფერია, როცა ხედები, რომ შენი ცხოვრება კაპიკად არ ღირს, მაგრამ შენ მაინც ცოცხლობ, ცოცხალი ლეში ხარ და არავინ გმარხავს, რადგან შენი დრო ჯერ არ მოსულა, თან შენთვის არავის სცხელა, ყველას თავისი გასჭირვებია. მალე ძალიან „ჩაეშვა“, საჭმელს ვინა ჩივის, სიგარეტისა და სასმლის ფულიც აღარ ჰქონდა. ვისთანაც არ მივიდა, ყველა განზე გაუხტა. ზოგთან მიესვლებოდა, ზოგთან – არა, მაგრამ შედეგი ყველასთან ერთნაირი იყო. არავინ ახლოს არ გაიკარა. უკასტო ინდოელი „ჩანდალასავით“ გახდა. ისინიც კი ერიდებოდნენ, ვისაც ადრე მასთან მეგობრობა ეამაყებოდა.

ერთხელაც ძალიან მოშვიდა, ელემენტარულმა ადამიანურმა შიმშილმა შეანუხა. არა და ფული საერთოდ არ ჰქონდა. პურის ყიდვაც კი არ შეეძლო, ვალად კი დიდი ხანია არავინ აღარ აძლევდა, რადგანაც განწირულისა და ჩამონერილი ადამიანის სტატუსი ჰქონდა „საზოგადოებისაგან“ მინიჭებული. აღარ იცოდა, რა ექნა. ბოლოს ლოგინი გაიშალა და დაიძინა. ისე მოეჩვენა, თითქოს მთელი საუუნე ეძინა. ძალიან გვიან გაეღვიძა. როცა საათს შეხედა, საღამოს ათი საათი იყო. შიმშილის გრძნობა თითქოს გამქრალიყო, მაგრამ ორგანიზმი ძალიან დასუსტებოდა. თავს ძალა დაატანა და ხანგრძლივი შიმშილობით დასუსტებული სხეული ძლივს ასწია, ირგვლივ მიმოფანტული ტანსაცმელი წამოკრიფა, ტანთ ჩაიცვა და შემდეგ ჯიბეები გულდასმით მიმოიჩხრიკა. მის მთრთოლვარე და მოკანკალე თითებს რალაც ამოჰყვა. კარგად რომ დააკვირ-



და, დაინახა რომ ხუთთეთრიანი იყო. ამით მხოლოდ ერთი ღერი, დაბალი ხარისხის, მყრალი სიგარეტი მოვიდოდა. თუმცა მაინც გაეხარდა. ეს სიგარეტი ცოტა ხნით მაინც გაულამაზებდა საღამოს და ამ ოხერ, გრძელ და ცივ შემოდგომის ღამეს როგორღაც გადაატანინებდა.

ქუჩაში რომ გამოვიდა, გვიანი შემოდგომის ცივმა ქარმა ძლიერ დაუბერა და ძვალსა და რბილში გაატანა. ტანში უსიამოვნოდ გააჟრჟოლა, ქურთუკის სახელო მალა კისერზე გადმოიწია და უახლოეს მაღაზიას მიადგა. საბედნიეროდ გვიანი იყო და ახალგაზრდა გამყიდველი გოგონას გარდა, შიგ არავინ იმყოფებოდა. კაცი ერთხანს თავმოყვარეობამ შეაწუხა, მაგრამ ბოლოსდაბოლოს თავს სძლია და გამყიდველს ხუთი თეთრი გაუნოდა. გოგონამ ხურდა ფული გამოართვა და სიგარეტის ღერი მისცა, თან თანაგრძნობითა და სითბოთი აღსავსე თვალებით შეხედა. კაცს ეუცხოვა ასეთი მზერა და ორმაგი გრძნობა დაეუფლა. თან ესიამოვნა და თან გალიზიანდა, რადგანაც მოეჩვენა, რომ გოგონას ეს ჟესტი სიბრალულით იყო გამოწვეული. სიბრალულს კი ვერ იტანდა, სამინელ გრძნობად მიაჩნდა, რომელსაც ადამიანის არასრულფასოვნება იწვევს. თუმცა ბოლო ხანებში სიბრალულსაც კი მონატრებული იყო. მან საკმაოდ უხეშად გამოართვა სიგარეტი გამყიდველს და სწრაფად გამოვიდა გარეთ. ქარი ჩამდგარიყო და ცოტას სცრიდა. კაცი სახლისაკენ წავიდა. სახლამდე დაახლოებით ხუთასი მეტრი იყო დარჩენილი, როდესაც ნაგვის კონტეინერთან ვიღაც შეამჩნია, რომელიც მასზე დახრილიყო და ნაგავში იქექებოდა. კაცს უსიამოვნოდ გასცრა ტანში, ქურთუკის საყელი აინია და შეეცადა სწრაფად გაეველო გზის ეს მონაკვეთი, მაგრამ როდესაც ის ნაგვის ურნას გაუსწორდა, მათხოვარმა იგი გააჩერა და სიგარეტი სთხოვა.

კაცმა თავიდან იფიქრა მისთვის სახეში არც კი შეეხედა, ისე უხეშად მოეცილებინა, მაგრამ რაღაც უზილავმა შინაგანმა ძალამ აიძულა იგი დაკვირვებოდა მათხოვარს. იგი დაახლოებით 55-60-მდე წლის კაცი იყო, საშუალო სიმაღლის, გამხდარი და კაფანდარა. ლოყები მუდმივად შიმშილობის გამო ჩაცვენოდა. ძალიან ღარიბულად, მაგრამ საკმაოდ გემოვნებით ეცვა. ეტყობოდა თავის დროზე საზოგადოების ღირსეული წევრი იყო და მძიმე ცხოვრებისეულმა კატაკლიზმებმა აიძულეს ამ დონეზე დასულიყო. რაც უფრო უკვირდებოდა კაცი მათხოვარს, მით უფრო ზარავდა. თითქოს რაღაც ნაცნობს და ძალიან ახლობელ ვიღაცას აგონებდა მათხოვარი. აი რა ნაცნობი სახის ნაკეთები აქვს, აი რა ახლობელია მისთვის ეს გამოხედვა...

უეცრად კაცს საოცარი გრძნობა დაეუფლა, სამინელი, შემზარავი და შიშისმომგვრელი. თითქოს შიგნით რაღაც ჩაუწყნა, ისეთი, რაც აღარასოდეს არ აღდგება. ასეთი ძლიერი შეგრძნება მას არ ჰქონია მაშინ, როცა ათი წლის ბავშვი საკუთარმა დედამ შორეულ ნათესავს დაუტოვა და მისი ცხოვრებიდან საშუალოდ გაქრა. არც მაშინ, როცა სრულიად შემთხვევით გაიგო, რომ მისი ცოლის, მისი შვილების დედის საყვარელი მისი უახლოესი მეგობარი იყო და არც მაშინ, როცა, საქმროსთან ერთად მომავალმა მისმა ქალიშვილმა მას თვალი აარიდა...

თითქოს უეცრად მეხი დაეცაო თავზე. ის მიხვდა, რაშიც იყო საქმე. მათხოვარში საკუთარი თავი შეიცნო,

ოლონდ მრავალი წლის შემდეგ. აი, რა მომავალი ელის მას. უცებ თითქოს თვალწინ გაუარა მთელმა თავისმა ცხოვრებამ და რაღაც ნამებში ჩაეტია. მან დაფიქრებულმა ამოიღო სიგარეტის ღერი და მათხოვარს გაუნოდა. მათხოვარმა მადლობა გადაუხადა, მაგრამ კაცს მისი ხმა არ გაუგონია; თითქოს უკვე სხვა განზომილებაში იყო. რამდენიმე წელი ნაბიჯი გადადგა, მაგრამ ყოველი ნაბიჯი წინაზე მტკიცე იყო. შეეცადა, ისეთივე მტკიცე ნაბიჯით გაეველო, როგორითაც ახალგაზრდობაში, სტუდენტობისას დადიოდა. მაშინ როცა მთელი ცხოვრება წინ ჰქონდა...

იმ საღამოს კაცმა ცხოვრება თავიდან დაიწყო.

ღარკინის შვილები

ერთი ეპიზოდი მაიმუნების ცხოვრებიდან

აფრიკის თაკარა მზეს ისე შეენუხებინა მაიმუნები, რომ იძულებული გაეხადა ისინი ფოთლოვანი ხეების ტოტებს შეფარებოდნენ. მანგუმ კიდეც ერთხელ შეავლო მსუნაგი თვალები ტომის მშვენებას, ყველაზე სექსუალურ მდებარე მაიმუნს ტაირას. აგერ უკვე რამდენი ხანია იგი უტრიალებს ამ მაიმუნების აფროდიტას, მაგრამ სანადელოს მაინც ვერაფრით ვერ მიაღწია. არადა, მაიმუნის კვალობაზე მანგუს თითქოს არაფერი უშავდა რა, კარგად დაკუნთული სხეულის მქონე შავი გორილა იყო. ტომის სხვა მდებარეები თითქმის სუყველა მოიძვანია, აი ტაირა გაუხდა სერიოზული პრობლემა.

ტაირა ფლირტის მოყვარული მაიმუნი იყო, ჯერ აადებდა და ჟინზე მოიყვანდა მამრებს, ხოლო მერე გაამაიმუნებდა და „გადაადებდა“. ასეთი საქციელით იგი კიდეც უფრო იზიდავდა და ახელებდა მანგუსნაირ თავმოყვარე და პატივმოყვარე მუსუსებს.

გარდა ამისა, მანგუს კიდეც სხვა პრობლემებიც ჰქონდა. ჯერ ერთი, ტაირას საკმაოდ კუნთმაგარი მეუღლე ჰყავდა, რომლის მუშტის ძალაც ნახევარმა აფრიკამ იცოდა და მეორე კიდეც, მანგუს საკუთარი ეჭვიანი ცოლი, რომელიც მას გასაქანს არ აძლევდა და ყოველ ფეხის ნაბიჯზე აკონტროლებდა.

მოკლედ იმისათვის, რომ მანგუს თავისი დიდი ხნის გულისწადილი აესრულებინა, მთელი თავისი შინაგანი ენერჯის კონცენტრირება უნდა მოეხდინა. ერთხელაც როცა მაიმუნების თითქმის მთელი ტომი სანადიროდ წავიდა და სახლებში მხოლოდ მდებარეები და პატარები დარჩნენ, მანგუ ტაირას სახლთან დაიმალა და მის გამოჩენას დაელოდა. ეს აზრი მას არ მოსვლია თავში. წინა დღით ტაირამ მრავალმნიშვნელოვნად მიანიშნა, რომ თუ იგი სანადიროდ სხვა მამრებთან ერთად არ წავიდოდა, შეიძლება მისი დიდი ხნის ოცნება ახდენილიყო. მანგუს გულს ასეთი ჩქარი ტემპით არასდროს უმუშავია. მაშინაც კი, როცა ცოლად თავის დროზე ტომის ულამაზესი ასული კია მოიყვანა და სიყვარულის მორევში გადაეშვა პულსი ასე არ

უცემდა. ნარმოდგენით უკვე ტაირასთან ინვა და ბედნიერი წუთებით ტკბებოდა. უეცრად რალაც ჩქამი გაიგონა. როდესაც სამალავიდან გამოიხედა, დაინახა, რომ ტაირა მოხდენილი მოძრაობებით უახლოვდებოდა. მანგუმ მიმოიხედა, დარწმუნდა რა, მათ არავინ ხედავდა, სამალავიდან გამოვიდა. ტაირამ ერთი პირობა გაცხადებდა, მე რე კეკლუცად გაუღიმა და ხელის მოხდენილი მოძრაობით ანიშნა, სადგომში ჯერ ის შესულიყო, ალტყინებული და სიყვარულის ხასიათზე დამდგარმა მანგუმ მოუთმენლობის გამო, ლამის ცმუკვა დაიწყო და სწრაფად შეძვრა გამოქვაბულში, შიგნით ძალიან ბნელოდა და როდესაც თანდათან სიბნელეს თვალი მიაჩვია პირველი, რაც მან დაინახა, ეს ტაირას ბანჯგელიანი, მაიმუნი ქმრის ბოროტად დაკრეჭილი კბილები და ტონიანი მუშტები იყო...

სასტიკად ნაცემი და გასისხლიანებული მანგუ მდინარის პირას ინვა, ჭრილობებს და ნაბეგვ ადგილებს ილოკავდა. იარებზე მეტად შელახული, შეურაცხყოფილი თავმოყვარეობა ანუხებდა. ასეთი რამ ჯერ არასდროს გადახდენოდა. პირველად იგრძნო თავი მაიმუნად და ისიც რომ ასე ჯერ არავის გაემამუნებინა. ყველაზე მტკივნეულად ტაირას მაიმუნური სიცილი ახსენდებოდა, როცა იმის გორილა ქმარი მას საფუძვლიანად „ამუშავებდა“. თანდათან ტკივილმა გაუარა და ოთხზე დამდგარი სახლისაკენ გაემართა. შინ ჯერ მისი მისვლის დრო არ იყო, ამიტომ ცოტა ხნით შორიასხლოს წამოწვა. უეცრად მისი საცხოვრებელიდან ცოლის კეკლუცი ხვიზინი და მამრის გრძნობამორეული ღმუილი მოესმა. როდესაც შემფოთებულმა იქითკენ გაიხედა, ისეთი რამე დაინახა, რამაც საბოლოოდ გაანადგურა. მისი წესიერი და პატიოსანი ცოლი დიდი გრძნობით ეხვეოდა ტომის მდებარების სასურველ საოცნებო მაიმუნს, გორილების აპოლონს – რამის.

შეძრწუნებულმა მანგუმ ერთი პირობა იფიქრა ამ მაიმუნებს ფიზიკურად გასწორებოდა, მაგრამ ჯერ ერთი, ისე იყო ნაცემი არაფრის თავი აღარ ჰქონდა. მეორე კიდე მასში მოულოდნელად შორეულმა წინაპარმა – ადამიანმა გაიღვიძა და თითქოს საკუთარი თავისა შერცხვა. სირცხვილის გრძნობა მათ, მაიმუნებს დიდი ხანია დაკარგული ჰქონდათ, მას შემდეგ რაც ადამიანის ჩამოყალიბება მაიმუნად საბოლოოდ დასრულდა, ან იქნებ ამ კანონზომიერ გარდაქმნამდე გაცილებით ადრეც.

აღსარება

ის, რომ ადამიანის ცხოვრება ძირითადად ერთფეროვანი, მონოტონური და დუნეა ყველასათვის ცხადია. არა, რა თქმა უნდა ადამიანს და მისი ცხოვრების სტილსაც გააჩნია. ვისთვის როგორ რა. ზოგს საინტერესო პროფესია აქვს და იმით ილამაზებს ცხოვრებას, ზოგი გარემოებების მსხვერპლია და ძალაუნებურად ისეთ მოვლენებშია ჩართული, რომ მოწყენის დროც კი აღარ რჩება ძალიანაც

რომ უნდოდეს, მაგრამ, ადამიანის ყოფიერებას მაინც ლაიტმოტივად გასდევს მოწყენილობა – ერთფეროვანი ცხოვრების განუწყრელი მეგობარი. თუმცა ხანდახან ისეც ხდება ხოლმე, რომ რალაც შემთხვევან მოვლენა ისეთ ზეგავლენას ახდენს ადამიანზე და ისე ღრმად აღიბეჭდება მის მეხსიერებაში, მთლიანად ცვლის ადამიანის ცნობიერებას და მის შეხედულებას ცხოვრებაზე კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს.

ერთმა ასეთმა შემთხვევამ ჩემს ცხოვრებაშიც იქონია ადგილი და იმდენად საინტერესოდ მეჩვენა, გადავწყვიტე ჩემში არ დამემარხა, ვილაცისთვის მაინც მომეყოლა და დაუფინყარი შთაბეჭდილების თანამოაზრე გამეხადა. ვეცდები, მაქსიმალურად დავიცვა მომხდარი ფაქტის სიზუსტე და მოვლენების თანამიმდევრობა.

გვიანი შემოდგომის ცივ და სუსხიან დღეს ერთ ბუკინისტურ მაღაზიას მივაკითხე და ცნობილი ინგლისელი მწერლის უილიამ სომერსეტ მოემის საუკეთესო თხზულებების კრებული ვიყიდე. შემდეგ ჩემს ერთ მეგობარს შევუარე და მიუხედავად იმისა, რომ მალევე უნდა წამოვსულიყავი, ჩემდაუნებურად გვიანობამდე შევრჩი, რადგანაც იქ სხვა სტუმრებიც დამხვდნენ და მომერიდა სწრაფად გამოქცევა.

მხატვარი ნინო დვალი



როგორც კი ხელსაყრელი შემთხვევა მომეცა მეგობარს და მის სტუმრებს ბოდიში მოვუხადა, რალაც მოვიმიზეზე და გამოვემშვიდობე. ჩემმა მეგობარმა იცოდა რა, რომ უცხო ადამიანებთან ზედმეტ ყურადღებას ყოველთვის ვერიდებოდი და მარტოობისადმი მქონდა მიდრეკილება, აღარ დამაკავა, გამომაცილა კარამდე და დამემშვიდობა. გარეთ რომ გამოვედი, ნოემბრისათვის დამახასიათებელი ცივი და საზიზღარი ამინდი დამხვდა. ქარი და ნვიმა ერთმანეთში არეულიყო და სიცივე, ძვალსა და

რბილში ატანდა. წერილი წვიმა ნელ-ნელა თავსხმაში გადაიზარდა და იძულებული გავხდი, დროებით თავი ერთ-ერთი საცხოვრებელი შენობის სადარბაზოსთვის შემეფარებინა. უეცრად, ჩემ გვერდით ვიღაც საშუალო ხნის ქალბატონი შევაძრინე, რომელიც ჩაფიქრებული თვალებით წვიმას აკვირდებოდა. მას ძალიან დახვეწილი სახის ნაკეთები ჰქონდა. ჩაცმითაც საკმაოდ გემოვნებით ეცვა, თუმცა არც ძალიან მდიდრულად. უცაბედად, წიგნი დამივარდა და როდესაც ასაღებად დავიხარე, ვიგრძენი მისი მზერა. მივხვდი, რომ რაღაცის თქმას აპირებდა. მართლაც, როდესაც ნელ-ში გავიმართე, უცნობმა ქალბატონმა ზრდილობიანი ტონით მომმართა:

– უკაცრავად, თქვენ გეტყობათ წიგნები გიყვართ.

– დიახ, როდესაც თავისუფალი დრო მაქვს, ვცდილობ წიგნებს დავუთმო – ვუპასუხე მე.

– იცით თქვენ თუ არა, რომ ადამიანის ცხოვრებაში ხანდახან ისეთი მოვლენები ხდება, მთელი მსოფლიო ლიტერატურა რომ გადაიკითხოთ, იმისი მსგავსს ვერსად ნააწყდებით.

– შეიძლება ქალბატონო, თუმცა ეგ ალბათ იშვიათობაა.

– არა, რატომ. აი მაგალითად ჩემი ცხოვრების ისტორიას რომ კარგად გაეცნოთ, მიხვდებით, რომ რეალური ცხოვრება უფრო რთულია, ვიდრე წიგნებში აღწერილი. თუ თავს არ შეგანყენთ, მოკლედ მოგიყვებით ჩემს ცხოვრებას.

– რა თქმა უნდა, ქალბატონო, ბრძანეთ – რაც შეიძლება ტაქტიანად ვუთხარი მას.

– თქვენ იცით, ქალი რას გრძნობს, როდესაც მას ქმარი მიატოვებს და შვილებს დაუტოვებს აღსაზრდელად? იცით, ეს რამხელა ტრაგედიაა მისთვისაც და მისი შვილებისთვისაც? ვერ წარმოიდგენთ, რას გრძნობენ ბავშვები, როდესაც მათ მამის სიტბო და ხელი აკლიათ. მიუხედავად იმისა, რომ ყოველწინადად ვეცადე მათთვის უმამობა არ მეგრძნობინებინა, ბოლომდე მაინც ვერ შევძელი. კაცი, მაინც კაცია და ოჯახისათვის მისი არყოფნა ძალიან შესამჩნევი და ძნელად გადასატანია. გული მატკინა, მაგრამ მე მაინც ვაბატიე. რა ვქნა, ის ქალი ძალიან უყვარდა. თავს ველარ აკონტროლებდა. ადამიანურად გაუფე. გამიჭირდა, მაგრამ გაუფე. პატიების უნარი ღმერთისგანაა ადამიანში ჩადებული.

ისეთი ტრაგიზმითა და გულისტკივილით ყვებოდა ეს თბილისელი დარბაისელი ქალბატონი, რომ მიუხედავად

მისი მონაყოლის ბანალურობისა, მაინც დიდი ინტერესი და თანაგრძნობა გამოიწვია ჩემში.

ამ ლაპარაკში გართულებს, უეცრად მესამე პიროვნება შემოგვემატა, რომელიც ყურადღებითა და ინტერესით გვისმენდა. უცაბედად ჩვენი მზერა ერთმანეთს შეხვდა და ხელში ჩემი უნივერსიტეტობისდროინდელი მეგობარი შემრჩა. რა თქმა უნდა, ორივეს ძალიან გაგვეხარდა ერთმანეთის ნახვა და ასე მიკითხვა-მოკითხვაში, ისე გავერთე, რომ სულ გადამავიწყდა უცნობი ქალბატონი. როდესაც გული ვიჯერეთ ერთმანეთთან საუბრით, უცებ გამახსენდა, რომ მანამდე ძალიან საინტერესო ადამიანთან ვსაუბრობდი. თავი უხერხულად ვიგრძენი, მაგრამ როდესაც ქალისკენ მივბრუნდი, ის იქ უკვე აღარ იყო. როგორც ჩანს, შეუმჩნევლად წასულა, ტაქტიანად, რათა ჩვენთვის ხელი არ შეეშალა. როცა გულდაწყვეტილი, ისე ჩემს მეგობარს მოვუბრუნდი, მან უეცრად დაინტერესებული ტონით მკითხა:

– შენ, იმ ქალს, ნელან აქ რომ იდგა, ადრეც იცნობდი, თუ ახლა გაიცანი?

– არა, ახლა გავიცანი. წვიმას ერთად დავემალეთ: რა იყო, ხომ არ გეცნობა, ნელანაც ისე ყურადღებით გვისმენდი?!

– კი, როგორ არ ვიცნობ, ადრე ერთი უბანში ვცხოვრობდით, უფრო სწორად, ჩემი ერთი უბნელის ცოლი იყო. მერე ქმარი და ორი შვილი საყვარლის გულისთვის მიატოვა. დაახლოებით თხუთმეტი წლით თავისზე პატარა, ახალგაზრდა კაცის გამო შვილები თავის ქმარს შეატოვა. კაი ქმარი ჰყავდა მაგას ძალიან და იმ ლანირაკს გადაეკიდა. მერე იმასაც მოსწყინდა ეგ ქალი და გარეთ გამოაგდო. შვილებს მისი სახელის გაგონება არ უნდოდათ, ისე სძულდათ. ასე შერცხვენილი და გაუბედურებული, არც ნათესავებმა მიიღეს და არც მეგობრებმა. მას მერე კაი ხანია აღარ მენახა. ამბობდნენ, შეიშალაო.

ისეთი შეძრწუნებული და დათრგუნული სახით ვუყურებდი, რომ მეგობარმა მოყოლა შეწყვიტა და გაოცებულმა შემომხედა. თურმე იმ ქალს გაცილებით ტრაგიკული ბედი ჰქონია, ვიდრე მე წარმომედგინა.

საცოდავი ქალი ადამიანებში თანაგრძნობას ეძებდა, მას კი შეშლილად აღიქვამდნენ. მას მერე ის ქალბატონი აღარ შემხვედრია, მაგრამ ეს უცნაური ისტორია სამუდამოდ აღიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში.

„ჰარი პოტერმა“ ამერიკელი ბავშვები კითხვას ვერ მიაჩნია

პოპულარული ლეგენდის მიუხედავად სკოლის ასაკის ბავშვებმა „ჰარი პოტერის“ ზემოქმედებით სულაც არ მოუმატეს კითხვას. ამერიკელ სტატისტიკოსთა მონაცემებს აქვეყნებს ნიუ-იორკ თაიმსი ჯოან როულინგის მეშვიდე, ბოლო რომანის გამოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე.

ვერავითარი ცვალებადობა, დაკავშირებული „ჰარი პოტერთან“, მკვლევარებმა ვერ აღმოაჩინეს. წიგნის მკითხველები ძირითადად IV კლასელები არიან. მკითხველთა რაოდენობა მეთორმეტე კლასისათვის 19%-ით კლებულობს.

როგორც ჩანს, ლეგენდა „ჰარი პოტერის“ როლის შესახებ მოზარდებისათვის წიგნის კითხვის მისაჩვენებლად გამომცემელთა მიერაა შეთხზული.

სკოლის მასწავლებლები აღნიშნავენ, მოზარდები ასაკის მატებასთან ერთად კითხვისადმი ინტერესს კარგავენო. პოპულარულ „ჰარი პოტერსაც“ კი არ შეუძლია კითხვა შეაყვაროს მათ. ამას გარდა ბევრ მონაფეს როულინგის რომანების სიდიდეც ამინებს: თუ პირველ წიგნში 309 გვერდია, მეშვიდეში უკვე – 784.



ხათუნა გვასალიას ლექსების ეს პუბლიკაცია რედაქციაში შოთა იათაშვილმა დაგვიტოვა. მანქანაზე დაუდევრად გადაბეჭდილ დასტას შოთას ხელნაწერი ახლდა: „გიორგი, ეს ის ავტორია, კაი ხნის წინ რომ უნდა მომეტანა. ძალიან გთხოვ, ყურადღებით გადახედე. ჩემი აზრით, ძალიან საინტერესო რაღაცები ხდება ამ ლექსებში“.

შოთას თხოვნა რედაქციამ გაითვალისწინა. ავტორი – ხათუნა გვასალია – რომელიც ამ პუბლიკაციის პირველად წარდგება მკითხველის წინაშე, მართლაც, საინტერესო პოეტი აღმოჩნდა. მისი ლექსები მდინარესავით აირეკლავენ პოეტის განცდებს და, რაც მთავარია, ჩვენამდე ორიგინალურად, უშუალოდ და ხელშესახებად მოაქვთ ეს განცდები.

„მე ვარ უდაბნო – ადამიანი“ – წერს ერთგან პოეტი. ამ ადამიანში მღალაღებლის ხმასავით წამომართულია უდაბნოსათვის დამახასიათებელი ჩუმი ქარიშხალი და ქარიშხლის ექოსავით მოაქვს ჩვენამდე უცნაური განწყობილებებისა (თუ უფრო!) ხილვებით აღსავსე ლექსები.

ხათუნა გვასალია

* * *

როგორ მოვდუნდე ანგელოზებში.
როგორ ვიქცე ოქროს კიბედ,
რომლის ლივლივში საფეხურები იკარგებიან,
აღარ მოჩანან
და ისევ ის ხარ
ოდინდელი
უნწყვეტი.

* * *

დამბადე, დედა,
დავიღალე, მგონი,
ლურსმნების გარეშეც.
მომკვეთე თავი, დედა,
რომ აღარასოდეს ვუფრთხილდებოდი,
დაარქვი ჩემს ხორცს პირობითი სახელი
ზეცა,
იზრუნე ჩემზე,
გადამისვი ფრჩხილებზე თავლი,
ჩემი სისხლისგან გამოგონილი ოდესღაც
პიონერის ყელსახვევი გამოუთოვე
და მომეწებე.

* * *

მე ვარ სიჩუმის ორეული
მე ვარ ფურცელი,
რომელსაც გადაათეთრებენ.
მე ვარ უდაბნო, – ადამიანი,
საკუთარი თავის ჩაწერას
გადათეთრების მერე ვერ ვასწრებ,
მე ვარ ხიდი,
ფსკერი თეთრი ოთახის ქერზე,

რომელშიც თანდაყოლილი,
ჩემი სიჩუმე ქყუმპალაობს.
დავგეგმავ წარსულს.
იალქნებისგან თავსაბურავს შევიკერავ
და თეთრ შარვალს,
რომლითაც ეკლესიაში არ შემიშვებენ.

* * *

დაღლილობიდან ერთი თვის მერე
მიწვები უნიადაგო ჩრდილზე,
ქვას ბზარები გადაედება შენი შუბლიდან,
მაგრამ მაინც გაგიღიმებს, ვარსკვლავს და სიკვდილს
მაინც აღმოაჩენ,
რომ ყოველთვის, ყველაფერში რაღაც გალობდა
და უკვე სისხლით
იასამნისფრად შეღებილი წეროები
წერილს ჩამოგიგდებენ ჯერ კიდევ არნახული მიწებიდან,
რომელშიც არ უნდა ჩაგეძინოს.

* * *

ძილგაუმტარო დედამინავ,
ჩემო ჭრელო ლოგინო,
რა ვუყო საჭმელს?–
მე ის აღარ მჭამს,
თითები ქარს გავატანე,
ახლა მათ ნაცვლად აკინძული ბანანები შემექცევიან,
უნდა გადავრჩე
სხეულში მაინც...

* * *

აღმოაჩენ, რომ ლიმილში
სამართებელი გაბლაგვდა.
გადაშალე ბლოკნოტი სარქაროდ,

დაურეკე კბილის ექიმს ოლიკოს
და ჰკითხე,
არსებობს თუ არა-თქო,
არსებობის ერთადერთი,
ან თუნდაც მრავალი მიზანი...
ამ ასაკში შენგან ამას, რა თქმა უნდა, აღარ ელოდი,
მაგრამ აწმყოში მოხვედრისას
რალაცები მოულოდნელად ხდება,
მოულოდნელად თავს გატყდება.

* * *

თეფში ჩარგო თავი,
დამემსგავსა,

ფანჯარასთან,
ხეზე გამოსული კვირტების მილოცვა მომინდა მისთვის,

მისთვის ვინც წუთისოფლისგანაა,

წუთისოფლისგან იყო ხეც და გაზაფხულიც...

როგორ გავიგო,
რამდენ ხანს უნდა ვიყო ჩუმად
და რატომ.
მე ამ გაზაფხულს მიმალურსმეს.

* * *

სამოთხეა ეს ცხადი,
სადაც ვერასოდეს დაამთქნარე.
ვინ იხილა
შენს ოთახში გამოკეტილი უამრავი მზე,
შენს ხორციში წამონყებადი მილიარდობით სანთელი.
მე მინდა, ეს ხორცი დნებოდეს
და ვიყო უფორმო, დაუცველი.

* * *

არ ვცხოვრობ ახლა,
მხოლოდ ჩემს თავქვევ ამოდებულ
ცხელ მცენარეებს ვაკვირდები,
ვსუნთქავ ფრთხილად, ძალიან ფრთხილად,
ბარბაციით.
იმდენი მტვერია ამ სასაფლაოზე,
დანას ვერ გახსნი.
ხელიდან კანკალით გადაცურდება ღიმილი
წარწერაზე უვინაობო
დროის.
ვცხოვრობ და მხოლოდ მახსოვს,
რომ უნდა ვიღლებოდე...

* * *

ყოველთვის ასე ვხოცავდი ჩემს თვალებს,
ყოველთვის ხელახლა რომ გამეგო,
რისი დანახვა სურდათ
და რას ხედავდნენ.
ყოველთვის, ჩემგან დამოუკიდებლად
ისინი იყვნენ წისქვილის ქვები
და მშობდნენ მე, პურს, რომელსაც
ყოველთვის არ მივირთმევი მე თვითონ,
მაგრამ ომახიანად ვურიგებდი მათხოვრებსა და მანანა-
ლებს
რომლებსაც ჩემი თვალეები ქმნიდნენ.
როცა მათში შელწევა ვცაადე, კიდეც ერთხელ,
თუნდაც უკანასკნელად,
წყევლით მიიხურნენ.

* * *

ძირს გდია ჩემი თეთრი ჩანთა,
ორივეს გვაციებცხელებს
განცდების მტერთა სავანეში მიმავალი თითებით,
რომლებიც სულერთია ახლა
სადამდე მიაღწევენ,
რას გამოედებიან,
ან რას შეეხებიან.
დაცვენილები ძირს,
ვწუხვართ, ერთმანეთს რომ ვერ ვამთქნარებთ
დილამდე თითქმის,
ვწუხვართ, რომ გადავიქეციოთ სულერთია რად,
ვწუხვართ, რომ ვწუხვართ.
ის ფეთქავს,
და ვგრძნობ უმიმართულებოდ...
მისი სითეთრე მე უკვე აღარ ამომივსია ფერადი ხმებით,
მე ის მხოლოდ თეთრი შევკერე,
რელსებზე განოლილმა,
ორივე ხელით.

* * *

ჩემი სხეულის ჩრდილებისგან შექმნილ თაიგულს
რძიან ბოთლში გადავასახლებ
და მე ვიქნები ერთადერთი.

ამოუნურავი პასუხი
ბოთლის ძირას დადგმული ჭიქის უწყვეტ
მოტკბო ფსკერზე,
წვეთ რძეში
აირეკლება
მოკრძალებით მოსროლილი მოქანავე ფრთის რხევა...
ყოველთვის ზედაპირზე გვეძინება,
სიღრმეში კი რძეგამშრალი თეთრი ძროხები
აუთოვებენ სიმშვიდეს,

სიმშვიდეს,
სიღრმის დაუსრულებლობაში დგას თეთრი კაცი –
მოელვარე ზოლებით ჩემს სახეებზე...

* * *

მე გავიზარდე დედა,
შენ კი არ ჩანხარ.
მოგრეთე პურებით და
და სავარძელთან,
რომელშიც ტანსაცმლიანი ვიძინებ ღამით,
შუქნიშნად ჩაგრგე.
გახმა ჩემი სხეული უკვე, დედა,
და როცა შენ მწვანედ ინთები,
ვენაფები ციდან ფრთხილად ამოზრდილ ხეთა
საიდუმლო ვარდისფერ წიაღს.
ანკარა წყაროსავით დაინმინდა ჩემი მარტოობა და და-
კონკრეტდა,
უკვე დავსრულდი კიდეც, დედა,
სახე გამიქრა,
მხოლოდ ღიმილი აბია სხეულს.

თვითგაკვლის დროში

შენი პური
ისე გულგრილად მშია,
ვინყევლები.
მეცამეტე სართულიდან
ერთ წერტილში დამრგვალებულ სითბოს,
მუხლებზე დაჩოქილს,
ვიკვებები ძირს დედამინისაკენ
ნეკენების შეურჩენლად.
არ მაქვს არცერთი თავი და ბოლო
ან საით ვლოცულობ.
ყოველ წამს ლოცვის სურვილს არ მესმის,
თუ გავიგებ,
ისედაც რა ხანია ვცამტვერდები.

* * *

ვერ გიშველის ანთებული ეს სანთელი.
დროიდან პირში სისხლად
ვერ დააპურებ
ანთებულ ამ მზეს.
გაუდექი სამყაროს ანარეკლში
შენს გულზე შემოტმასნილ ხმას,
რომელიც გამოსცემს ყოველი წამის ფეთქებას
იქ, სადაც
მთელი ცხოვრება გაიძულეხს დროს.
იქ, სადაც სანთელი,
ანთებული არსაით
ათ წუთში ჩაიწვა.

* * *

ჩემი თავის ასიმეტრია შეფუთულ ვაშლში.
მაპატიე, ამ ერთხელ,
ხელდაუბანელი მოვკვდები-მეთქი...

ჭამა და ძილი გადაირბენენ სამყაროზე...

დასასრულივით ვარჭვივარ სივრცეს...

* * *

გამოვკვებეთ ერთმანეთი სართულებით,
რაც შეიძლება ჩქარა,
დავშორდით ერთმანეთს,
ვიარეთ ერთმანეთში საუკუნეობით
მერე სიკვდილში
შევეჯიბრეთ ერთმანეთს,
მერე ალბათ დაბადებაში.
მხოლოდ ყურმილზე ეკიდა მისი
მარტოდმარტო ცალთვალა ყური
რომელსაც მე ძალიან დიდხანს,
დიდხანს ვუსმენდი ტაატ-ტაატით წვიმიან დღეში.
ვათვალეირეთ ერთმანეთი,
ცხრა მთას იქით,
ცხრა ზღვის გადმოღმა
შევხვდით ისევ,
პური გავტეხეთ ერთად,
დავმარცვლეთ, დავფქვით
ამოგანგლულებმა თეთრად
არ ვიცეკვეთ,
არც ვისაუბრეთ.
მხოლოდ ვწვავდით ერთმანეთს ხოლმე,
ერთმანეთს ვწვავდით სამუდამოთი,
ერთმანეთში არ ჩავიფერფლეთ.

* * *

პირქვე თოვს, მამა
მე კი შენთვის
ჩვენი საერთო სიზმრის მეათედიც არ მიაგზნია
არ ჩამოვმწყდარვარ ტოტიდან
ვიდრე ზღურბლზე
ვიდრე ზღურბლამდე
ასოებიც მიმატოვებენ,
ვიქცევი ანბანად
რომლის ნაკითხვასაც
ჩემს მეტი ველარავინ შეძლებს.
ასე დავშორდებით ერთმანეთს, მამა
მერე რა იყო,
ველარ ვიხსენებ...

დაიბადა 1950 წლის 26 აგვისტოს სიღნაღის რაიონის სოფელ ძველანავაში. დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი (ჟურნალისტიკის განყოფილება). ლექსები დაბეჭდილი აქვს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“, „ცისკრის“ დამატება „ნობათში“, ჟურნალ „მნათობში“ და „ლიტერატურულ საქართველოში“. ლექსების კრებული „ცისფერი ლანდი“ გამოსცა 1999 წელს.



ნანა ბეგიაშვილი

დრო იცვლება ავ-კარგიან გზებით,
წვიმა მღერის ძველებური გზნებით.

ჩამისახლდა მკერდში ასი ჩიტი,
მოჭიკჭიკე, მოჟივჟივე წვიმის.

დამავიწყდა ადრინდელი დარდი,
ცის წყალობავ, როგორ გამიხარდი.

თეთრი აკლდამა

ცრის... და მდუმარებს თეთრი აკლდამა,
ძებორციელი არა ჩანს სივრცე,
ბედმა უცნაურ გზებით მატარა,
რა მელის ბოლოს, არავინ იცის.

ნაწყვეტი... გლოვა, მჭკნარი ვარდები,
იასამნისფერ დღეთა ხარება,
წარსულის ხატთან თუ დავმარცხდები,
მელის უმწეო გარდაცვალება.

ეს უსასრულო მინდორი ჩუმი,
აფეთქებული ელდა მწუხარე,
ცად განფენილი დრო ვარსკვლავური
და ხსოვნა წარღვნად გადმომქუხარე.

ეკლესიიდან ისმის გუგუნი,
წყნარად! მღვიძარებს ზესკნელის სული,
თეთრი აკლდამა, თეთრი უკუნი
და შორეული მზის დასასრული.

ალარ არსებობს

ალარ არსებობს ის სოფელი,
სადაც ოდესღაც მე დავიბადე
მხურვალე გულით და უსაზღვრო ცნობისნადილით,
ალარ არსებობს დიდი ქალაქიც,
თეთრი ტაძარი – ცოდნის ლამპარი,
ქალაქი ჩემი ახალგაზრდობის,
აღზევების და დაცემის მოწმე,
არც დედამინა ალარ არსებობს –
სიცოცხლის ძალის მომნიჭებელი,
დიდებულ დღეთა მთრთოლვარე განცდით,
ცის ბინადრებმაც გადაიქროლეს
ზარის გუგუნში გაშლილი ფრთებით,
თან წარიტაცეს მოფარფატე ეული სული,
ველარ აღვიქვამ ქვეყნიერებას

* * *

დავიმასსოვრებ ამ შემოდგომას
მზით, სიყვარულით სავსეს,
ცაზე ლაყვარდის უნაზეს თრთოლვას,
კლდეზე ნამიან ხავსებს.

დავიმასსოვრებ ჩემს გაცეცხას,
მამულო, როცა გიცქერ,
იმ აუხდენელ, ზღაპრულ ოცნებას,
შენს სიდიდეს რომ მიმხელს.

გულდანწყვეტილი გავხედავ ვარსკვლავს
გამრიგეს ჩვენთა ბედის
და სევდიანი მდუმარედ წავალ,
სადაც არავინ მელის.

ის დროა ახლა

მე რომ მიყვარს,
ის დროა ახლა,
ზაფხულის მიწურული,
კუთკალიების გაბმული კრუალი,
ოდნავ მსუსხავი სიგრილე ღამით
და იდუმალი ჩურჩული ფოთოლთა.

ნება რომ მქონდეს,
ამ წუთს გავყინავდი,
გავიხანგრძლივებდი ღვთაებრივ ტკობას,
მერე კი ღმერთი სულს შემებრავდა
და ამ ქვეყანაზე მოუბრუნებლად
გადავინაცვლებდი სულ სხვა სამყაროში.

* * *

ამ წვიმიან, მარტოხელა ღამეს
უცაბედად ისევ დავიდარდე.

აოჯია

კიდით-კიდემდე განვრცობილს, გაშლილს,
ხატებას მისას ჩემს თვალეში არეკლილს, ჩაშლილს...

ო, გაცამტვერდა ყოველი და იავარიქმნა,
რადგან ავტორი ამ მწუხარე სტრიქონებისა
აღარ არსებობს.

ჯვარცმის სიმშვიდე

როცა ქარი ქრის და ჩემთან არ ხარ,
წვიმს და მასველებს ცხელი წვეთები,

წვიმის ლოცვაში მე გარეთ გავალ
და ქაშუეთთან დავიჩოქები.

როცა ღამეა და მთვარის ნათელს
ამაოების მჯილი დანიხლავს,
შენს ხატებაში ჩავმალავ სახეს,
უნმინდურთაგან თუკი დამიცავ.

ასვეტილია ჯვარცმის სიმშვიდე
და დედამინა გაკრულა ძელზე,
ჯოჯოხეთის წინ სული ვიშიშველე,
რომ დავამწუხრო სამოთხე ჩემზე.

ეპისტოლე

„გულზე შენი ნაკბილარი მენვის“

*

ცხელ გულზე, ჩაუსწორებლად...

წინო დარბაისელო,
მშვენიერო ქალბატონო,
საოცარი ღიმილის პატრონო,
წელიწადში ერთი ლექსის „გამომცხობო“ და მერე რო-
გორის!!!

შენი „ლაზარეს“ და „ელეგიას“ ავტორს ვინ დაგანებებს
შეკვეთილ სიკვდილს?!

ვირტუალური არსებობის ხიბლით დიდხანს ვერ გაძლებ
და აუცილებლად დაგვიბრუნდები ყოფით სამყაროში. „გახ-
სოვს, როგორ ავინყვიტე? / ყეფა-ყეფით მოვყვებოდი ბი-
ლიკს“. არ შეიძლება სიმშვიდე იპოვო იქ, სადაც ყველას
სარგები თარგები ბლომდაა, სადაც ალტაცებით შეგხვდე-
ბიან ყმანვილკაცები და „დაუნანებლად გულს მ(გ)იშლიან
ტოლი ქალები...“ შენ ვერ მოისვენებ მაგ სიმშვიდეში, თუნ-
დაც ანტივირუსებისგან შეკრული კარიბჭეებით იყოს და-
ცული.

ირეალური სამყაროს მკვიდრთ - სიმშვიდე მოპოვე-
ბულთ, თუ სიმშვიდის მაძიებელთ, მიუხედავად ძლიერი
თავდაცვისა, მაინც შეეყრებათ ის ერთადერთი (თუნდაც)
ვირუსი, რომელსაც სულის შიმშილი ჰქვია... ამ ვირუსისგან
სამკურნალო საშუალება კი მხოლოდ რეალური ცხოვრებაა
- შეხვედრა შენს ტოლთან და სწორთან, მუდამ დაკარგულ
და მუდამ საძებარ შენს ნახევართან, მუდამ უდროოდ მო-
სულთან - ან ძალიან ადრე, ან ძალიან გვიან... იქ დაავადე-
ბული მაინც აქეთ განიკურნები (ნაწილობრივ მაინც)... „გახ-
სოვს, როგორ ავინყვიტე? / ყეფა-ყეფით მოვყვებოდი ბი-
ლიკს... / მაგრამ იგრძენ შორიდანვე შენი სერი, / მოგიშვირე
უსუსური კისერი, / დამსუნთქე და მერე ლოკვით დამისვე-
ლე / ეს კისერი, ჯაჭვით გადანაქუცი... / ავირიეთ, უკვე ერ-
თად ველარ ვძლებდით, / ველარ ვძლებდით ველარც უერ-
თმანეთოდ.../“

მარტოსულობის მწვავე განცდისას ხშირად ჩნდება გაქ-
რობის სურვილი, განაჩენის გამოტანის სურვილი და ამ
დროს ყველაზე მეტად დაუნდობელი საკუთარი თავის მი-
მართ ხდები... მაგრამ ეს ყველას არ შეუძლია, თვითირონია
გამარჯვება ყველაზე და ყველაფერზე!

ეს შენ შეძელი და კიდევ ერთხელ გავგაოცე, მოგეხიბლე!
როცა შენი ლექსი „ელეგია“ („ჩვენი მწერლობა“, 2007,
№11) ნავიკითხე, შენთან გასაუბრების ძალიან დიდი სურვი-
ლი გამიჩნდა. ბევრი ვენვალე, მაგრამ ვერ გავებდე გამობ-
მაურება. იმდენად დიდი და ძლიერი იყო შთაბეჭდილება,
თავი ვერ მოვუყარე სათქმელს, თანაც რედაქციის წინასიტ-
ყვაობაში ყველაფერი იყო ნათქვამი.

ახლა კი ხმამაღლა გეუბნები:

ყოჩაღ!

მშურს შენი განაცხადის „როგორც იქნა, / მოკვდა წინო
დარბაისელი“.

ნამდვილად მშურს... ამის თქმას ძალა სჭირდება, შენნა-
ირი პოეტის ძალა, შენნაირი სიტყვის მთქმელის ძალა!

ახლა კი დროებით, შეგიძლია გადაინაცვლო შენს ვირ-
ტუალურ სამყაროში. თუკი შვებას იპოვნი, დარჩი - რამდე-
ნი ხანიც გინდა!

ოღონდ მე ვიცი, დადგება დრო... ვერ მოისვენებ და გა-
გიჩნდება საოცარი სურვილი შენი სისხლისა და ხორცის მი-
მართ, შენს ნახევართან შეხვედრისა. „...დამავინყდა შიშიც
და უშიშობაც, / მოდუნდი და უცებ მოგელაქუცე, / გვერ-
დით გდევ, / მამჩნევდი და ვერც მამჩნევდი, / წინმხედველ-
მა ველარც მომიცილე/...“

აუცილებლად დაგვიბრუნდები „მაი სფეისიდან“, იქნებ
დუმბილდანიშნულიც (ადრეც არ იყავ უხვსიტყვიანი) და კი-
დევ შეგვეხმანები, თუნდაც ერთ წელიწადში მხოლოდ ერ-
თი ლექსი გენერებოდეს...

„...მორჩილად ვიცოცხლე, / მორჩილად აღვსდექი, / მეო-
რედ ცოცხალი, / მეორედ კვდები.../ რაბი რა ბინდია! /
მოვდივარ, რაბი!“

ყველას დაასწარი, იარალიც შენ შეაჩეჩე და ისევ შენ შე-
ძელი გეთქვა ხმამაღლა „მოკვდა წინო დარბაისელი...“

ღმერთმა დაგლოცოს!

შემოქმედებითი სიხარული და ტკივილი(ც) არ მოგკლე-
ბოდეს!

კეთილი სურვილებით

მარინა ყიფიანი



შოთა ბოსტანაშვილი

დარბაისელ ნინოს!

ჰოჯიის „(ბარდა)ცვალების“ მანიფესტის დამატებები

უუუუნყება:

ამა წლის 6 ივლისს „ჩვენი მწერლობის“ 27-ე (გ)ვერძზე „მოკვდა ნინო დარბაისელი“

ვიზიარებ შენს (მწუ)ხარებას იმის გამო, რომ „მოკვდა“

და ჩვენი – ნინო დარბაისელი“.

ის ელის აღდგომას, მას ასმა ელის.

(ვის ასმა ელის, ვის – ასმანაკი)

შენ ამბობ, რომ „თვალი ცრემლით არ“ დავინამო?, არ დავინინო?, არ დავინანო?

ო, როგორ მცირდებიან დები მენადები და მასხარები და დიო – ნისე... (ეს არაფერი, ისე...)

ვარიანტი: შენ ამბობ, რომ „თვალი ცრემლით არ“ დავინამო?, არ დავინინო?, არ დავინანო?

ვნაღვლობ, მენანები...

ვნაღვლობ, მენანები...

„სათქმელი მაქვსო“ – – ასე ამბობდა?

სათქმელი დარჩა ადამიანს, პოეტს ნათქვამთანა აქვს საქმე, იქ – იმას.., აქ – მე...

დავამთავრეო დავა მთვარესთან – – დავამთვარეო,

„დე ახლა სხვებმა იდაონ და“ იდერიდაონ, მე კი წავედი (ავედი... ავედი...)

„მაი სფეისში“ დავიკარგები“ –

– ა, მე რიკაობას (ვი)ვინყებ, ამერიკაობას ვინყებ... და ვიუნყები:

ჩემი პასუხი, კითხვაზე – რა ხდება, რა ამბავია? – ასეთია:

„რაც მოხდა, მოხდა!

.....

მოკვდა ნინო დარბაისელი“.

ის ელის აღდგომას,

მას ხარებით ელიან ბალები...

ვხარობ, მენაღვლები.

07.07.07

ჯეორგიანი ხალხი ჯეორგიანი

თქვენ თქვენი ლიბანი გაქვთ, მე კი ჩემი ლიბანი



თქვენ თქვენი ლიბანი გაქვთ, მე კი ჩემი ლიბანი. თქვენ თქვენი ლიბანი გაქვთ თავისი პრობლემა-სირ-თულეებით, მე კი ჩემი ლიბანი თავისი სილამაზით.

თქვენ თქვენი ლიბანი გაქვთ მთელი მისი ამოცანა-მისწრაფებებით, მე კი ჩემი ლიბანი იმ ოცნებებითა და იმედებით, რაც კი მასშია.

თქვენ თქვენი ლიბანი გაქვთ და იკმარეთ იგი, მე კი მაკმაყოფილებს მხოლოდ სავსებით განყენებული და აბსტრაქტული.

თქვენი ლიბანი პოლიტიკური კვანძია, რომლის გამოსხნასაც დრო ცდილობს, ჩემი ლიბანი კი მთა-გორებია, ცის ლაყვარდისკენ რომ მალდებიან.

თქვენი ლიბანი საერთაშორისო პრობლემაა, დრო რომ აბურთავებს, ჩემი ლიბანი კი წყნარი, ჯადოსნური დაბლობებია, ზანზალაკების წკრიალი და ნაკადულების სიმღერა ტალღებად რომ გადაუვლის მათ ნაპირებს.

თქვენი ლიბანი შეტაკებაა დასავლეთიდან მოსულსა და სამხრეთიდან მოსულს შორის, ჩემი ლიბანი კი ფრთოსანი ლოცვაა, დილით მოფარფატე, როცა მწყემსები თავიანთ ფარას ველებსკენ მიერეკებიან, და საღამოს ზეცად აღვლენილი, გლეხები მინდვრებიდან როს ბრუნდებიან.

თქვენი ლიბანი ურიცხვთავიანი მთავრობაა, ჩემი ლიბანი კი მკაცრი, თავდაჭერილი მთაა, ზღვასა და დაბლობებს შორის ისე მჯდარი, როგორც პოეტი ორ უსასრულობას შორის.

თქვენი ლიბანი მელიის ეშმაკობაა, რომელსაც იყენებს, აფთართან შეხვედრისას, და აფთრის მზაკვრობა, რომელსაც მიმართავს მგელთან შეყრისას, ჩემი ლიბანი კი ის მოგონებებია, ყურში რომ ხმიანებს მთვარიან ღამეში ნამღერ ქალიშვილთა სიმღერებად და ყმანვილქალთა ღლინად კალსა და საწნახელს შორის.

თქვენი ლიბანი საჭადრაკო მინდორია რელიგიურ მეთაურსა და ჯარის მხედართმთავარს შორის, ჩემი ლიბანი კი ტაძარია, რომლის გულშიც შევდივარ, როცა ამ ბორბლებზე მგორავი ცივილიზაციისთვის სახეში ყურებით მზერა მომელდება.

თქვენი ლიბანი ორი კაცია: ერთი, რომელიც იხდის ბეგარას და მეორე, რომელიც ხვეტავს და იჯიბავს მას. ჩემი ლიბანი განმარტოებული კაცია, კედრის ჩრდილში მხართეძოზე წამოწოლილი, ყველაფერს გარიდებული, უფლისა და მზის შუქის გარდა.

თქვენი ლიბანი პორტები, ფოსტა და ვაჭრობაა, ჩემი ლიბანი კი შორეული ფიქრი და ანთებული გრძობაა, ზეციური სიტყვა, რომელსაც მინა კოსმიურ სივრცეს ყურში ჩურჩულით ეუბნება.

თქვენი ლიბანი მოხელე-ჩინოვნიკები, მუშები და დირექტორებია, ჩემი ლიბანი კი ახალგაზრდული შემართება, მონიფულობის ასაკის გამბედაობა-სიმტკიცე და სიბერის სიბრძნეა.

თქვენი ლიბანი დელეგაციები და კომიტეტებია, ჩემი ლიბანი კი კერიასთან თავყრილობები თოვლის სინმინდით მოსილ და შემზარავ ქარიშხლებში გამოხვეულ ღამეებში.

თქვენი ლიბანი სექტები და პარტიებია, ჩემი ლიბანი კი კლდეებზე მცოცავი, ნაკადულებით ანცი და მონავარდე, მოედნებზე ბურთის მოთამაშე ყმანვილებია.

თქვენი ლიბანი სიტყვით გამოსვლები, საჯარო ლექციები და დისპუტებია, ჩემი ლიბანი კი შაშველის გალობა, ალვისა და ჭყორის ხეთა შტოების შრიალია და გამოქვაბულებსა და მღვიმეებში საღამურის ხმის ექო.

თქვენი ლიბანი ტყუილია, ცრუ გამჭრიახობის ნიღბით შენიღბული, პირფერობა, სიყალბისა და მოჩვენებითობის ხალათში გამოხვეული. ჩემი ლიბანი კი უბრალო, შიშველი ჭეშმარიტებაა, რომელიც, თუ წყლის აუზში ჩაიხედავს, მხოლოდ თავის მშვიდ სახესა და მხიარულ გამომეტყველებას ხედავს.

თქვენი ლიბანი ფურცელზე გამოტანილი კანონდებულებები, მუხლები და პუნქტებია, დავთრები გატარებული ხელშეკრულებები და შეთანხმებანი, ჩემი ლიბანი – ცხოვრების საიდუმლოთა პირველქმნილებაა, რომელმაც არ უწყის, რომ მის შესახებ იციან, და ნატვრაა, რომელიც ცხადში მიეახლება და სწვდება დაფარულის, უხილავის საზღვარს, მას კი თავი სიზმარში ჰგონია.

თქვენი ლიბანი თავის წვერს ჩაფრენილი, კუმტად შუბლშეკრული მოხუცია, მხოლოდ საკუთარ თავზე რომ ფიქრობს, ჩემი ლიბანი კი ბურჯივით წამომართული, ტანგაშლილი ყმანვილია, დილასავით მომღიმარი, რომელიც სხვის განცდებსაც საკუთარვით განიცდის.

თქვენი ლიბანი დროდადრო გამოეყოფა სირიას, პერიოდულად კი უერთდება მას, შემდეგ ორივე მხარეს ატყუებს, რათა ჩადგეს შეკრულსა და გამოხსნილს შორის. ჩემი ლიბანი კი არც უერთდება და არც განცალკევდება, არც მედიდურობს და ქედმაღლობს და არც კნინდება.

თქვენ თქვენი ლიბანი გაქვთ, მე კი ჩემი ლიბანი. თქვენ თქვენი ლიბანი გაქვთ თავისი შვილებით და მე კი ჩემი ლიბანი მისი შვილებით.

საკითხავია, ვინ არიან თქვენი ლიბანის ძენი? წამით მომხედეთ, რათა გიჩვენოთ მათი სინამდვილე! ეს ისინი არიან, ვინც დასავლელთა კლინიკებში შობილან.

ეს ისინი არიან, რომელთა გონებაც გამოღვიძებული ანგარებიან გულში, სულგრძელის როლს რომ თამაშობს.

ისინი ის მოქნილი რტოებია, მარჯვნივ და მარცხნივ რომ იდრიკებიან, მაგრამ სურვილის, ნების გარეშე. დი-

ლა-სალამოს რომ თრთიან, მაგრამ არ უწყიან, რომ ცახ-ცახებენ.

ისინი არიან ტალღებს შერკინებული უსაჭო და უიალ-ქნო გემები, რომლის კაპიტანი მერყეობაა და ნავსაყუდელი კი მღვიმე, სადაც დემონები ბინადრობენ, და განა ყოველი დედაქალაქი ევროპაში მღვიმე არ არის?

ისინი მეტად ძლიერნი, მჭევრმეტყველნი და ენაწყლიანნი არიან, მაგრამ ერთმანეთთან, ევროპელთა წინაშე კი ულონონი და მუნჯნი.

ისინი ენთუზიასტი ლიბერალი რეფორმატორები არიან, მაგრამ თავიანთ პრესაში და საკუთარ ტრიბუნებზე, დასავლელთა წინაშე კი რეაქციონერები და ყურმოჭრილი მონები.

ეს ისინი არიან, ვინც ბაყაყებივით ყიყინებენ: მართლაც უკვე დავუძვერით ხელიდან ტირანს – ჩვენს ძველ მტერსო, მაშინ, როცა ტირანი – მათი ძველი მტერი – კვლავ მათ სხეულებში ჩაბუდებულია.

ეს ისინი არიან, ვინც ზურნა-დუღუკის დაკვრითა და ცეკვა-ცეკვით მიუძღვიან წინ სამგლოვიარო პროცესიას, მაგრამ საკმარისია საქონინო მყარიონს გადაეყარონ, მათი დაკვრა მოთქმად იქცევა და ცეკვა კი გულზე მჯილის ცემადა და სამოსის ზედ შემოხვევად.

ეს ისინი არიან, ვისაც შიმშილი მხოლოდ მაშინ ესმის, მის ჯიბეს რომ ესტუმრება, ხოლო როდესაც ხვდებიან მას, ვის სულშიც შიმშილს დაუსადგურებია, დასცინიან, მისგან პირს იბრუნებენ და ამბობენ: ეს მხოლოდ აჩრდილია, მოჩვენებათა სამყაროში რომ დაიარებაო.

ისინი ის მონები არიან, რომელთაც ჟანგმოდებული ხუნდები ლაპლაპა ბორკილებით შეცვალებს და ჰგონიათ, სავსებით თავისუფალნი გახდნენ.

აი, ესენი არიან თქვენი ლიბანის ძენი და განა არის მათ შორის ისეთი, ვინც განასახიერებს ლიბანის კლდეთა სიმტკიცეს, მისი სიმალღეთა კეთილშობილებას, მისი წყლის შესანიშნავ გემოს ან მისი ჰავის სურნელს? მოიძებნება მათ შორის ისეთი, ვინც გაბედავს და იტყვის: „როცა მოვკვდები, ჩემს სამშობლოს ოდნავ უკეთესს დავტოვებ, ვიდრე დამხვდა ჩემი დაბადებისას“?! განა არის მათ შორის ისეთი, ვისაც ეყოფა გამბედაობა და იტყვის: „ჩემი სიცოცხლე მართლაც სისხლის წვეთი იყო ლიბანის ძარღვებში, ანდა ცრემლი მის წამწამებზე, ანაც ლიმილი მის ბაგეზე“?!

აი, ესენი არიან ძენი თქვენი ლიბანისა და ყველაზე დიდებული მათგან თქვენს თვალში ყველაზე უბადრუკია ჩემს თვალში!

მაგრამ შეჩერდით ცოტა ხანს და შეხედეთ, გიჩვენოთ ძენი ჩემი ლიბანისა!

ესენი ის გლეხები არიან, რომლებიც ძნელად დასამუშავებელ მიწებს ბალ-ბოსტნებად აქცევენ.

ესენი ის მწყემსები არიან, თავიანთ ფარას დაბლობიდან დაბლობზე რომ მიერეკებიან. მათი საქონელი იზრდება, მრავლდება და გაძლევეთ თქვენ ხორცს საკვებად და მატყლს სამოსად.

ესენი ის მევენახეები არიან, რომლებიც ყურძენს ღვიწოდ ნურავენ და ყურძნის წვენიდან აყენებენ ბადაგს.

ესენი ის მამები არიან, რომელნიც აშენებენ თუთის ნერგებს და დედები, რომლებიც აბრეშუმს ართავენ.

ეს ის კაცები არიან, რომლებიც იმკიან ნათესს და ქალები, რომლებიც ძნის კონებს კრავენ.

ესენი არიან კალატოზები და მეთუნეები, ფეიქრები და ზარების ჩამომსხმელები.

ესენი პოეტები არიან, რომლებიც სულს ჰბერავენ ახალ ფორმებს, და ის თანდაყოლილი პოეტური ნიჭის პრიმიტივისტი პოეტებიც, რომლებიც დეკლამაციით კითხულობენ ხალხურ სალექსო ფორმებს.

ეს ისინი არიან, ვინც ლიბანს ისე ტოვებენ, რომ მხოლოდ სიმამაცე აქვთ გულში და სიმტკიცე მკლავში, ბრუნდებიან კი უკან ამქვეყნიური სიკეთით ხელში და დაფნის გვირგვინებით შუბლზე.

ეს ისინი არიან, ვინც აღემატებიან გარშემომყოფთ, სადაც უნდა მივიდნენ, და თავისკენ იზიდავენ გულებს, სადაც უნდა იმყოფებოდნენ.

ეს ისინი არიან, ვინც ქობახებში იბადებიან, მაგრამ მეცნიერების სასახლეებში კვდებიან. აი, ესენი არიან ლიბანის ძენი! აი, ესენი არიან ის ჩირაღდნები, რომელთაც ქარი ვერ აქრობს და მარილი, რომელსაც დრო ვერ აფუჭებს.

აი, ესენი არიან, მტკიცე ნაბიჯებით რომ მიაბიჯებენ ჭეშმარიტების, სილამაზისა და სრულყოფილებისაკენ.

და რა შეიძლება რომ დარჩეს თქვენი ლიბანიდან და თქვენი ლიბანის ძეთაგან ასი წლის შემდეგ? გამაგებინეთ, რას ტოვებთ ხვალინდელი დღისათვის, გარდა საჩივრის, მონაჩმახის და სისულელისა? თუ გგონიათ, რომ დრო ხსოვნაში ინარჩუნებს სიცრუის, ლიქნის, ყალბაბანდობის გამოვლინებებს?

ნუთუ ფიქრობთ, რომ ეთერი ინახავს სიკვდილის აჩრდილებსა და საფლავთა სულს? განა წარმოგიდგენიათ, რომ სიცოცხლე თავის შიშველ სხეულს ძონძმანძებში მალავდეს? მე თქვენ გეუბნებით და ჭეშმარიტებაც დამემონმება, რომ ზეთისხილის ნერგი, რომელსაც სოფლელი გლეხი რგავს ლიბანის მთის კალთაზე, უფრო მეტხანს იცოცხლებს, ვიდრე მთელი თქვენი საქმენი და თქვენი ნამოქმედარი. ხის გუთანა, რომელსაც ხბორები ეწევიან ლიბანის ფერდობთა კლაკნილებში, უფრო ღირსეული და კეთილშობილურია, ვიდრე მთელი თქვენი ოცნებები და მისწრაფებანი. მე გეუბნებით თქვენ და ყურს მიგაღებს ყოფიერების აზრი და გონი, ლიბანის ზეგნებზე ბადაგეულობის შემგროვებელი გოგონას სიმღერა უფრო ჟამგრძელია, ვიდრე თქვენი ყველაზე წარჩინებული და დიდებული მოლაქაქის ნაუბარი. გეუბნებით, რომ თქვენ მართლაც არარაობა ხართ და შეგნებული რომ გქონდეთ თქვენი არარაობა, თქვენს მიმართ ზიზღი უდავოდ შემეცვლებოდა თანაგრძნობითა და სიბრალულით, მაგრამ თქვენ ეს არ გეცხმით.

თქვენ თქვენი ლიბანი გაქვთ, მე კი ჩემი ლიბანი.

თქვენ თქვენი ლიბანი გაქვთ და გყავთ თქვენი ლიბანის ძენი. მამ იკმარეთ იგი და დაკმაყოფილდით მათით, თუკი შეგძლიათ კმაყოფილების მიღება ცარიელი ბუშტებით! მე კი მაკმაყოფილებს ჩემი ლიბანი და მისი ძენი და ჩემს კმაყოფილებაში ნეტარება, სიმშვიდე და რწმენაა.

**არაბულიდან თარგმანა
დარეჯან ბარდავაძემ**

მთარგმნელისაგან

როდესაც ცივილიზაცია-თა დიალოგზე და აღმოსავლურ-დასავლურ კულტურათა სინთეზზე საუბრობენ, ჯერბან ხალილ ჯებრანი (1883-1931) ამის ხორცშესხმული მაგალითია. მასზე თამამად ითქმის, რომ მისი მწერლური მემკვიდრეობა მხოლოდ ლიბანის კი არა, მთელი მოაზროვნე კაცობრიობის კუთვნილებაა. მსოფლიო მწერლობის ისტორიაში ძალზე ცოტაა ისეთი ორენოვანი მწერალი, ჯებრანის მსგავს სიღრმესა და სრულყოფილებას რომ აღწევდნენ ორივე ენაზე შექმნილ ლიტერატურაში. უკვე დამკვიდრდა ასეთი გამოთქმა, რომ ლიბანს სამი პოეტური სიმბოლო აქვს – პოეტთა და ბელეტრისტთა მიერ

არაერთგზის ხოტბაშესხმული ლიბანის შეუდარებლად ლამაზი მთები, ლიბანური კედარი, რომელიც ლიბანის ეროვნული გერბის შემადგენელ ნაწილად ქცეულა და ჯებრან ხალილ ჯებრანი – XX ს-ის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი მწერალი, ფილოსოფოსი, მხატვარი. 120 წელზე მეტი გვაშორებს უკვე ჯებრანის დაბადების წელს, მისი შემოქმედება კი ისევ ისეთი მახლობელი და აქტუალურია, მძაფრად ეხმიანება თანამედროვე მკითხველის სულიერ მოთხოვნებს. ასეთი უკვდავება კი მხოლოდ კლასიკოსთა ნააზრევის ხვედრია.

დაკარგული სამომლო

როსტომ ჩხეიძე

იანიჩარი და ოქროს ნაწნავი

*

მიხეილ ქავთარაძის ეპიგრანტული მოგონებანი

ქავთარაძეები მუდმივი მყიდველები იყვნენ აფხაზეთში მოყვანილი სიმინდისა.

ძველსენაკელი ქავთარაძენი.

მიხეილს, ამ გვარის ერთ-ერთ ყველაზე დრამატული ბიოგრაფიის წევრს, ბავშვობისას თავისი საგვარეულო შტოც უნახავს, მამამისის მიერ შეკვეთილი და დადგენილი თავისი აზნაურობის საბუთად. მთავარი ამ სქემაში ის იყო, რომ უშუალო წინაპარი სასულიერო პირი ყოფილა და ეს შტო საეკლესიო აზნაურთა შტოს ეკუთვნოდა.

გენეალოგიური ხის სათავეში საბა ქავთარაძე მოჩანდა, ქუთაისის მიტროპოლიტის მიერ დანიშნული სენაკში.

მოგვიანებით ინანებდა მიხეილი, სიყმანვილისას, სხვა ბავშვებისა არ იყოს, ნაკლებ რომ აინტერესებდა თარიღები და ამიტომაც არ დამახსოვრებოდა. ახლა მხოლოდ მი-ახლოებით შეიძლება გამოეანგარიშებინა, რომ ის საბა XVIII საუკუნის დამდეგს მაინც უნდა ყოფილიყო მოსული ამ სამკვიდროზე.

XX საუკუნის დასაწყისისათვის ქავთარაძეთა ოჯახები 20-მდე გამრავლებულიყვნენ და, სიმინდი აფხაზეთიდან რომ შემოჰქონდათ, საფასურს პატრონებს გაყიდვის შემდეგ უგზავნიდნენ.

წესად ასე დამკვიდრებულიყო.

ერთხელაც ასევე უნდა გაეგზავნათ ფული.

თანხა ცალ-ცალკე კონვერტებში განაწილებულიყო და ერთ-ერთ ნოქარს ევალებოდა მისი აფხაზეთში წაღება-დარიგება გამყიდველთათვის. ჩანთით წასაღები ფული მაგიდის უჯრაში ინახებოდა იმ ოთახში, რომელშიც თვითონ ნოქარს ეძინა. მეორე დილით, წასვლის წინ ამოულაგებია კონვერტები, ჩანთაში ჩაუნყვია, შემოხტომია ცხენს და სამურზაყანოსაკენ გაუწეგია. კარდაკარ დაუვლია მინის პატრონები და, ყველა კონვერტი რომ დაურიგებია, შინ გამობრუნებულა.

ამ საქმეში არც ქვითრები არსებობდა და არც ხელისმონერა.

სიტყვა, პირობა ყველაფერს ნიშნავდა.

მიდის ცხოვრება თავისი გზით და ერთხელაც ნოქარს დასალაგებლად სულ რომ გამოულია თავისი უჯრა, უჯრის უკან ორ ფიცარს შორის გაჩხერილი კონვერტი აღმოუჩენია, რომელზეც ერთ-ერთი აფხაზის გვარი ეწერა. იმ აფხაზს იცნობდა და მაშინვე მიმხვდარა, ეს ის კონვერტი, რომელიც უნდა წამელო და თურმე არ წამილიაო.

ამ ამბავს ძლიერ შეუწუხებია ერისტო ქავთარაძე, მიხეილის მამა, სასწრაფოდ ამხედრებულა და, სამურზაყანოში რომ ჩასულა, კი არ მოუბოდიშებია, საყვედურით მიუმართავს იმ აფხაზისათვის: რა დღეში მაყენებდი, წიფურიას რომ ეს კონვერტი არ ეპოვნა, რა უნდა გეფიქრა ჩემზე, ხომ იცოდა, რომ ფული ყველა შენს მეზობელს დაურიგდაო.

იმან კი:

– ვიცოდი და იმედი მქონდა, რომ თვითონვე მიხვდებოდი ამ გარემოებას, მაგრამ თქვენ რომ ეს ფული კიდევ არ გეპოვნათ, ქრისტო, როგორ გგონია, მე ამას განგებ ჩადენილად მივიღებდი?

ამ ეპიზოდს ხელიდან ვინ გაუშვებს – არც მწერალი, არც ისტორიკოსი, არც მემუარისტი, არც ფსიქოლოგი და არც სოციოლოგი თუ ფილოსოფოსი, და ყველას ალტაცება ამ უბრალოებით გამოითქმის:

– ასეთი ალებ-მიცემობის ზნეობა არსებობდა მე-19 საუკუნეში.

და მიხეილ ქავთარაძისათვის ეს სწორედაც სამაგალითო ამბავია, რომელიც ნიშანსვეტივით უნდა იყოს წამომართული არამართო ეპოქის სულის შესაცნობად, არამედ ორიენტირად – თუკი დღესდღეობით ეს ზნეობრივი გარემო სრულიად მოშლილა და წამხდარა, ხომ არსებობდა,

აგერ ხომ ყოფილა კავკასიურ ყოფაში ეს თვისება თუ ნიშანი საზოგადოების ცხოვრებისა და მამ კიდევ არის შესაძლებელი მისი აღდგენა, მთლად ისეთი სრულყოფილებით თუ ვერა, ის მაინც თვალნათლივია, საით უნდა იაროს ქვეყანამ, რა მორალს უნდა დაამყნოს თავისი სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური იდეალები.

მიხეილ ქავთარაძე თავის ემიგრანტულ მოგონებებში, „იანიჩარები“ რომ დაურქმევია, საგანგებოდ გამოჰყოფს ამ ეპიზოდს არა პირადულ თუ ოჯახურ შემთხვევად, არამედ ისტორიული მნიშვნელობის ამბად, ქრესტომათიულ ეპიზოდად მომავლის საქართველოსათვის, რომლის გამოსხნაც იმპერიული ხუნდებისაგან არასოდეს ეეჭვებოდა და ამიტომაც მიბმოდა რედაქტორობისა და პუბლიცისტობის უღელსაც სამშობლოდან გადახვენილი. განაპირებას, თავის თავში ჩაკეტვას ვერ შეურიგდებოდა და მხურვალე გულით აწყდებოდა შემზარავ სინამდვილეს – იმ რკინის ფარდას, რომელშიც ერთი რა არის, ერთი ჭუჭყრუტანაც არსად მოჩანდა.

ეს სახელი ჩემს ცნობიერებაში გამოჩნდებოდა 80-იანი წლების დამდეგს პარიზში გამოცემული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ჟურნალის – „ივერია“ (1983, –26) – მეოხებით. აქ მისი ლიტერატურული ნარკვევი თუ პოლიტიკური პამფლეტი იყო გამოქვეყნებული: „მიხეილ ჯავახიშვილი – ილიას კვალზე მავალი და მისი ბედის ზიარი“. თუმც გინდ ლიტერატურული ნარკვევი დაგირქმევია და გინდ პოლიტიკური პამფლეტი, ღრმა გახლდათ, მასშტაბური და დიდი ექსპრესიითაც დაწერილი. კრიტიკულ-ესთეტიკური ანთოლოგია რომ შედგეს, ამ სტატიის გამოტოვება არ ივარგებს – ჯერ საერთოდაც, და მითუმეტეს, წარმოიდგინეთ მისი გამოჩენის მნიშვნელობა ჩვენს საზოგადოებრივ ყოფაში იმჟამად, როდესაც ცენზურა კიდევ ერთხელ გამოიდებდა თავს. საბჭოთა ცენზურა ყოველთვის საბჭოთა ცენზურა გახლდათ, მაგრამ დროდადრო მაინც ვეება ტალღებზე ატყდებოდა თავს მწერლობას.

პარიზში გადახვენილი მოღვაწე რაღაც გზებით ახერხებდა საზოგადოებრივ-კულტურული მოვლენებისათვის გულდასმით ედევნებინა თვალი მიტოვებულ სამშობლოში და ამ მხრივ მისი ზოგიერთი დაკვირვება თუ შთაბეჭდილება ამ ნარკვევშიც ხელშესახებად წარმოჩნდება. იგი ყოველმხრივ გარკვეულა, თუ იმჟამად რა გამოქვეყნდა მნიშვნელოვანი თუ ნაკლებ ღირებული მიხეილ ჯავახიშვილის ირგვლივაც და, ისე მომხვდებოდა გულზე, როდესაც რამდენიმე ფრაგმენტს დაიმონებდა ოთარ ჩხეიძის ესეიდან „ისევ „ჯაყოს ხიზნები“ და ასე განაზოგადებდა: „აი როგორ ესმის ჯავახიშვილი ახალი თაობის ინტელიგენციის ელიტას“.

ესეის გამჭვირვალე მინიშნებანი და ღრმად დასაბუთებული მსჯელობა რელიეფურად წარმოაჩენდა მიხეილ ჯავახიშვილის მწერლურ ღვაწლს საერთოდ და „ჯაყოს ხიზნების“ მხატვრულ-იდეურ თავისებურებას კერძოდ და კიდევ მოიხიბლებოდა ემიგრანტი, ვინც თავის მხრივ სიმ-



ბოლურ მნიშვნელობას მიანიჭებდა იმ დეტალს, როდესაც წინამურის ტრაგედიის დატრიალებისთანავე ჯავახიშვილი საგურამოში ასულა და ღამე იქ გაუთე-ვია, სხვა რომ ვერაფერი მოუნახავს, თავით ილიას სისხლით მოთხვრილი ბალიში სდებია.

ამ ბალიშს გრძნობდა თავით ყველა, ვისაც ეს გზა სათავისოდაც მიანჩნდა სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის; და ნიშანდობლივია, რომ მიხეილ ქავთარაძე მემუარების სათაურად ილიასეულ ასოციაციას იყენებს – იმის „იანიჩარი“ აქ „იანიჩარებად“ ქცეულა, მოტივები და სულისკვეთება კი ზუსტად იგივეა: შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამლუპველ ოსმალეთსაო.

შესავალში ასეთი სახელწოდების არჩევას იმით ხსნის: თავდაპირველად მხოლოდ ომის ამბების აღწერა მსურდაო.

ბავშვობის მოგონებათა შემოტანა შემდგომ გადაუნყვეტია, მაგრამ სათაური აღარ შეუცვლია: ჩემი მონაწილეობა მსოფლიო ომში ჩემი სიცოცხლის უმნიშვნელოვანეს ეპოქას წარმოადგენდაო.

და ასეთ დროს, ეს სიტყვა „იანიჩარი“:

– მშვენივრად ეგუება ქართველების მონაწილეობას იმ მსოფლიო ომში. ჩვენ ვიბრძოდით სხვისი ჯარის რიგებში ფორმალურად, თითქოს იმ სხვისი ინტერესებისათვის, ხოლო გულში ყველას საქართველოს აღდგენის ფიქრი გვაგამოძრავებდა.

არც ის გამორჩებოდა, ქართველ მეზრძოლთა ყოფა ძალიან რომ წააგავდა „მამელუკის“ ფინალურ სცენას.

თუნდაც თვითონ –

მიხეილი როდესაც ქერჩში იბრძოდა, იმავე მიდამოებში დაიჭრა მისი ერთადერთი ძმა ალექსანდრე.

ერთს გერმანული არმიის მუნდირი ეცვა, მეორეს – ნითელარმიელისა.

ხომ შეიძლება, უშუალოდაც გადაწყდომოდნენ ერთმანეთს?!

ევროპის გაერთიანება თუ წარმატებით გაგრძელდა, ამ გაერთიანების მეთაური სახელმწიფო გერმანია არის და იქნებაო, – ამ რწმენას გამოთქვამდა მემუარისტი 2000 წლის მარტში, როდესაც „იანიჩარების“ წერას დაასრულებდა და დასძენდა: უკვე საკმარისად ცნობილია ფაქტები და არსებობს საბუთები, რომ წარსული ომის განმავლობაში ქართველებს და გერმანელებს გულწრფელად სწამდათ, რომ მათი ინტერესები ერთიანი იყო. ყველა ამის გამო, მიუხედავად ახლანდელი, თითქოს უიმედო მდგომარეობისა, ჩვენ იმედი არ უნდა დავკარგოთ, რომ საქართველო კვლავ აღდგება და ამ საქმეში სწორედ ისე, როგორც პირველი ომის შემდეგ მოხდა, გერმანელები უპირველეს როლს ითამაშებენო.

სხვაგვარად გადაჯაჭვოდა გერმანულ ყოფასა და სულისკვეთებას, მათ მხარდამხარ მონაწილეობა ომში ძალიან დაახლოვებდა ამ ხალხთან და, რა გასაკვირია, ქართველთა უპირველეს გულშემატივრებად და მეკავშირე-

ებად მოჩვენებოდა და ახალი ასწლეულის მიჯნაზე კვლავაც მათი იმედი შეენარჩუნებინა. თითქოს გაყინულ დროში ცხოვრობდეს და ათწლეულთა გადავლას ბევრი არაფერი კვალი დაეჩნის მის ცნობიერებაზე, უფრო ზუსტად, პოლიტიკურ შეხედულებებზე.

სანდო წყარო კი არის მისი მოგონებანი გერმანულ ჯარში ქართველთა შენაერთების – ემიგრანტებისა თუ ყოფილი სამხედრო ტყვეთა – შესახებ და თავისი მხრივ ავსებს გივი გაბლიანისა და შალვა მალლაკელიძის ცნობებსა და მონათხრობს. ზოგადი სურათი სამივეგან ერთნაირია და ეს გარემოება კიდევ ერთხელ ადასტურებს ყველა ამ მემუარული ქმნილების სანდოობასა და საიმედოობას ამ ტრაგიკულ ისტორიულ მოვლენათა რაც შეიძლება სრული სურათის აღსადგენად.

ცნობები ცნობებზე, მაგრამ მიხილ ქავთარაძე ბელეტრისტის ხელოვნებით ახერხებს ორიოდ შტრიხით პიროვნებათა სილუეტების წარმოსახვას.

თუნდ იმ ეპიზოდში რად ღირს მამისა და იმ აფხაზის ხასიათთა ასეთი რელიეფური გამოხატვა.

ანდა ის მცირე ჩანახატები, ამბროსი ხელაიას, ნიკო ნიკოლაძის, ვასო აბაშიძისა და კონსტანტინე გამსახურდიასთან პირადი შეხვედრების რამდენიმე წუთის აღბეჭდვას რომ განიზრახავს, ბავშვობისა და ყმანვილკაცობის ამ გაუნელებელი შთაბეჭდილებების.

ბიძაშვილებთან სტუმრობისას უნდა შეხვდეს მემუარისტი კათალიკოს ამბროსის, ახალგამოსულს მეტეხის ციხიდან, შინ რომ ჩაკეტილიყო და პირველად ახლა გამოჩნდებოდა საზოგადოებაში. მასპინძლის უმცროს ვაჟს ძალიან მოეწონებოდა დარბაზის წინ დერეფანში მოსახამთან ერთად დატოვებული კათალიკოსის კვერთხი, ვერცხლის თავს გარშემო თასმას მოაბამდა, ცხენივით მოახტებოდა და ეზოს გასწვრივ გაჭიმულ აივანზე გააჭენ-გამოაჭენებდა.

ბავშვს დატუქსავდნენ და კათალიკოსს მოუბოდიშებდნენ, ამბროსი ხელაია კი ღიმილით:

– უმანკო ბავშვმა რომ საქართველოს კათალიკოსის კვერთხი სათამაშოდ მიიღოს, ამით არა გაფუჭდება რა, უბედურება ის იქნება, სხვებმა, უფრო პასუხისმგებლებმა არ მიიჩნიონ იგი სათამაშოდ.

ხელისგულზე მოჩანდა, რაც ხდებოდა და კვლავაც მოსალოდნელი გახლდათ და კათალიკოსი თავისი ღიმილით მწარე ნალველსაც ამოთქვამდა.

სხვებმა, უფრო პასუხისმგებლებმაო

ნიკო ნიკოლაძისაგან ის ფრაზაც დაამახსოვრდებოდა: მე რომ ხუთი შვილი მყავდეს, ხუთივეს ვაჭრობა-მრეწველობაში გაუშვებდიო. მაშინაც გაუკვირდებოდა ეს სიტყვები და სიცოცხლის ბოლოსაც გაუგებრად ეჩვენებოდა, რადგანაც არც თვითონ ნიკოს აურჩევია ეს ხელობა და არც შვილები აღუზრდია ამ გზით.

თუმც უხერხულიც რა უნდა იყოს – ნიკო ნიკოლაძე ამ ფრაზით ცხადყოფს ვაჭრობა-მრეწველობის აუცილებლობას ქართველთათვის. ეგაა, ამ საქმეს ისინი უნდა მოეკიდნონ, ვისაც შესაფერისი უნარიც შესწევთ, და თუ ნიკოსა და მის შვილებს ეს უნარი არ აღმოაჩნდათ, განა უფლება არ ჰქონდა ამ ხელობის განსაკუთრებული მნიშვნელობა ექადაგა ყოველი მარჯვე შემთხვევისას?

ვასო აბაშიძეს ერთხელ ტრამვიამდე რომ მიაცილებდა, გამოთხოვებისას გაეხუმრებოდა: მოუფრთხილდით, კიდევ არ მოგპარონ თქვენი ოქროს საათი, რადგან, ვინ იცის, ისეთმა ვინმემ მოიპაროს, რომელიც თქვენს სახელს არ იცნობს, თქვენი მოთაყვანე არ არის და უკან აღარ დაგიბრუნოს, როგორც პირველ შემთხვევაში მოხდაო, – ის კი მიუგებდა: მართალი ხარ, პატიოსანი და უპატიოსნო ჯიბეგირებიც არსებობენო. ვაგონში რომ შევიდოდა, ატყდებოდა ჩურჩული ხალხში და რა ატყდებოდა: ვასო აბაშიძე, ვასო აბაშიძეო.

კონსტანტინე გამსახურდიასაგან ერთი ფრაზა ჩარჩებოდა მწარედ ხსოვნაში. არასასიქადულოო, თვითონ ასე მოიხსენიებს და ჩვენთვის განვსაჯოთ, საკუთარ სიდიდეზე გადაჭარბებული წარმოდგენა, ბაქიობა და მკვეხარობა მართლა ქართული ხასიათის გამოვლენა თუ პიროვნული ბუნების?

– ჩემთვის, რა თქმა უნდა, დიდი ბედნიერებაა, რომ საქართველოს შვილი ვარ, მაგრამ ისიც უნდა ვთქვა, რომ ძნელია და უბედურებაა დიდი მწერლისათვის პატარა ქვეყნის შვილობა.

როგორც გულმართალ კაცს სჩვევია, მიხილ ქავთარაძე არ იბრალებს აგვისტოს აჯანყებაში მონაწილეობას, რადგანაც თბილისში ახალჩასულს ამბოხების მზადებაში ჩართულ ახალგაზრდობასთან ჯერ არავითარი ნაცნობობა და კავშირი არა ჰქონია. ამიტომაც მხოლოდ ორიოდ დეტალს აღნიშნავს, ამბოხების თავისებურ გამოძახილს.

აჯანყებისათვის დანიშნულ ღამით რუსთაველის პროსპექტზე იმყოფება თავის ბინაში და მასთან ერთადაა მისი სიძის ძმა, პოლკოვნიკი ვანო ანჯაფარიძე. მათ უკვე იციან, რომ ჭიათურაში ერთი დღით ადრე დაიწყო საპროტესტო გამოსვლები და ამ ნაჩქარევამ აჯანყების მთელი გეგმა ჩაშალა. პოლკოვნიკი განდობილი რომ არის, მასპინძელი იმით მიხვდება, ის რომ ეტყვის: აქ პაემანი მაქვსო.

მთელ ღამეს ფანჯარასთან გაატარებენ და მიხურული დარბების ჭუჭრუტანიდან გასცქერიან პროსპექტს. ქუჩაში კაცის ჭაჭანება არ არის. მხოლოდ დროდადრო ხედავენ ვაკისაკენ მიმავალ საბარგო ავტომობილებს, რომელთაც ჩეკადან გამოყვანილი ტუსაღები დასახვრეტად მიჰყავთ და სულ მალე ხოტბას შეასხამს კონსტანტინე ლორთქიფანიძე მათ ამ ნაბიჯშეუშლელ სვლას „რევოლუციის მოლაღატეთა“ გადაზიდვისათვის.

მაგრამ თბილისში რომ ამბოხება არ მომხდარა?

მემუარისტი მაშინვე მიხვდებოდა, ეს მასობრივი დახვრეტები თვეებით ადრე დატუსაღებულ ხალხს რომ მოენია.

მეორე დღით ბიძაშვილის თხოვნით სურამში ფულს ნაულებდა მის ოჯახს და მატარებლის ფანჯრიდან ხედავდა, თუ როგორ ბომბავდნენ ახლომახლო სოფლებს რუსების თვითმფრინავები. ხაშურში მატარებელი რომ გამოჩნდებოდა, მის გასწვრივ ჯავშნიანი მატარებელიც ჩამოდგებოდა, საიდან გასროლილი ყუმბარების ხმა მგზავრებს ადრეც ესმოდათ, ახლა კი ჯავშნიანი ფანჯრებიდან საზიზღარი სახეები გადმოხედავდნენ. იმ უზნამდე, სადაც უნდა მისულიყო, საზაფხულოდ ქართული ლეგიონი დაბანაკებულიყო.

დანარჩენს სხვათა ნაამბობებიდან და ემიგრანტთა მემუარული ჩანაწერებიდან შეიტყობდა.

პარიზის ქართველობაში გამორჩეულად მდიდარი არავინ შეუმჩნევია, თუმცა ზოგიერთს საკმაოდ შემოსავლიანი ადგილიც ეჭირა. ყველაზე გავრცელებული მათ შორის მანვნის წარმოება გახლდათ და ქართველები ერთი პირველთაგანი იყვნენ ამ დარგში. მაგრამ ისე მოხდებოდა, რომ ეს წარმოება მილიარდებს დაატრიალებდა, ქართველები კი მეტ-ნაკლებად კუსტარულ დონეს ვერ გაცდებოდნენ. თუმცა ეს საქმე მაინც ისეთი შემოსავლიანი აღმოჩნდებოდა, რომ მემუარისტი მათ ქართველთა შორის პატარა ბურჟუაზიად მოიხსენიებს.

იყო სხვა კატეგორიაც – მდიდარ ქალთა მეოხებით გამდიდრებულნი. ამის ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშად მოიხსენიებს ჩვენი მკითხველისათვის უკვე კარგად ცნობილ თავგადასავალს სამი ძმა მდივნისა.

ქართული ემიგრაციის არსებობის გამართლებად უმთავრესად მაინც პოლიტიკური მიზანი ესახება და, თუმცა არც მალავს მათ შორის საშინელი ქიშპობის არსებობას, დარწმუნებულია, უდიდესიდან უმცირეს ქართველამდე ყველა საქართველოზე ფიქრობდა და სწამდა, რომ სამშობლოსათვის რალაცას აკეთებდაო.

და თუ მტყუან-მართალის განსჯას ერიდება, მხოლოდ პიროვნული კეთილშობილების გამო: ერთ-ერთი ჯგუფის წევრი მეც ვიყავი და ამ ადამიანების მორალური მსაჯულობა არ შემიძლია და არც გამაჩნია ამის უფლებათა.

ემიგრაციის გარეგნული იერი მაინც ფრიად ღირსეულად წარმოუდგება.

ჩვენი ეროვნული დღესასწაულების აღნიშვნას, ცხადია, არ მიიჩნევს პარიზის მშვენიერად, მაგრამ საფრანგეთის დედაქალაქს რომ შეეფერებოდა, ეს საამაყოდ დაურჩებოდა.

– 26 მაისი იმართებოდა პარიზის საუკეთესო დარბაზებში, უმეტესად ეგრეთწოდებულ სამხედრო წრის სახლში, ერთ-ერთ ყველაზე ძვირად ღირებულ დარბაზში. მაშინ ამ დღესასწაულს უმაღლესი მდგომარეობის ფრანგებზე ბლომად ესწრებოდნენ. ეს ხდებოდა, მე ვფიქრობ, ქართველთათვის თანდაყოლილი ხიზლის გამო, რაც ერთი ულამაზესი თვისებათაგანია ქართველის ბუნებაში.

სხვას იქნებ კიდევ ეკმარა ეს დაკვირვება, მაგრამ მიხეილ ქავთარაძე კიდევ უფრო უღრმავდება იმ გარემოებას, რაც მისთვის თვალნათლივია, არადა, უცხოელი დამსწრე ვერც წარმოიდგენს, თუ როდენ დაბალი სოციალური

რი წრიდანაა გამოსული ამ დარბაზში მყოფი ქართული საზოგადოების უმრავლესობა. ვერც წარმოიდგენს, რადგანაც ეს ქუთაისელი, სამტრედიელი, თელაველი თუ თბილისელი ახალგაზრდობა გარეგნულად და თავისი საქციელითაც არაფრით არ ჩამოუვარდება ოქსფორდიდან გამოსული ლორდების შვილებს ან სორბონაში აღზრდილ უცხოელ თანატოლებს.

ჩემი ნაამბობი ალბათ ბევრ ქართველს გაახარებს და სიამაყით ალავსებსო, – დასძენს მემუარისტი. მაგრამ თვითონ ეთიშება ამ განცდებს და არამცთუ გაუხარდეს და გაამაყდეს, შეაფასებს, როგორც სამწუხაროსა და სავალალოს.

თუ აღფრთოვანებული არ დარჩენილა, ეს „სამწუხარო“ და „სავალალო“ მაინც რა არის?

მოკლედ მოჭრის:

– ყოველივე ეს ქართველი კაცის არსებაში წონასწორობის დარღვევის მაჩვენებელია. საბოლოო ჯამში ეს უარყოფითი მოვლენაა და არა დადებითი.

მეორე უკიდურესობაში გადავარდნილა.

მკაფიოდ ამჩნევს მოვლენის შინაგან წინააღმდეგობრიობას და სულაც არ ასდევს ილუზიებს, მაგრამ იმის შიშით, სიამაყის მთრობელა ბანგში არ გავეხვეო, სულიერი კრიტიციზმი გადამეტებული უმძაფრდება და ეროვნული ხასიათის ამ თვისებას მხოლოდ მრუმე ფერებში გაიაზრებს.

ნაცვლად ტრაგიკომიკურობისა, მარტოდენ ერთ მხარეს – ალიქვამს ხასიათის იმ თვისებურებისა, ასე რელიეფურად რომ წარმოსახა დავით კლდიაშვილმა თავის ბელეტრისტიკაში და უკავშირდება შეგრძნებას, რომ როდენ დამცრობილი და დასუსტებულიც უნდა იყო დღეს, ნასხლექი და სულიერი მემკვიდრე ხარ ოდესღაც დიდ სივრცეზე გადაჭიმული სახელმწიფოსი და კულტურისა და ამიტომაც შინაგანად შეტოლებულად მიგაჩნია თავი ამჟამინდელ დიდ სახელმწიფოთა შვილებთან.

26 მაისის ზეიმზეც ეს იგრძნობა პარიზში, სხვა კი არაფერი.

რაკილა ერთი სარკმელიდან შეჰყურებს, ამიტომაც ერთხელ კიდევ დაუბრუნდება მემუარების ფინალში, კვლავ მძაფრი გულისტკივილით მოიხსენიებს: ეგ ზომ უზომო და უდროო პოეტიზმი და არტისტიზმიო.

დამლალაო, – ამასაც გამოტყდება.

სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარად მოჩანს ერის ხასიათის ეს თვისება, ხან უფრო მკვეთრად, ხანაც უფრო მკრთალად. შესაფერისადაც განიცდი – ხან დამშვიდებული, ხანაც ამღელვარებული.

და მაინც –



მიხეილ ქავთარაძე

დასაძრახად არასოდეს არ უნდა მივიჩნიოთ, ოცნებასა თუ სწრაფვაში მარტოდენ მოჩვენებითობა არ დაინახოთ, ტრაგიკომიკური მარტოდენ კომიკურად არ ვალია-როთ, არც მარტო ტრაგიკულად.

პოეტიზმმა თუ არტიზტიზმმა არ დაგვაფრთხოს, თუნდ უზომო და უდროო მოგვეჩვენოს.

ეს ის საფიქრალი თუ სატკივარია, რასაც ჩემი „ქალ-დეას მონატრება“ უტრიალებს.

ფიქრი კვლავაც გრძელდება ამ მიმართულებით და თვალსაჩინოებისათვის მოხმობილ ნიმუშთა შორის მიხე-ილ ქავთარაძის ეს დაკვირვებაც თავის ადგილს იპოვნის.

ეგაა, მისი შეფასება შესწორდება და მოვლენის ორმა-გობა თუ ტრაგიკომიზმი ხელშესახებად გამოიკვეთება.

ქართული ემიგრაცია თავის ოცნებებსა თუ დავა-კა-მათშია და, აი, გერმანიის ჯარებმა რუსეთის იმპერიის საზღვრები გადმოლახეს.

ქართველობა სხვადასხვაგვარად რომ შეხვდა ამ მოვ-ლენას – ზოგი აღფრთოვანებით, ზოგი ეჭვით და ზოგიც დაიბნა – ისედაც ცნობილია და ადვილი მისახვედრიც, მაგრამ მემუარისტი იმ განწყობილებებს რომ გადმოგ-ვცემს, მის მონათხრობში შეიმჩნევა საგულისხმო ნიუან-სები.

არიან ადამიანები, რომელთაც საქართველოს თავი-სუფლება კი სურთ, მაგრამ პაციფისტური და პროგრესუ-ლი იდეები უფრო იტაცებთ.

და არიან ადამიანები, რომელთაც ეს თავისუფლება განსაზღვრულ, მხოლოდ მათთვის მისაღებ პირობებში სურთ – საქართველო რუსეთისაგან უნდა დაიხსნან დე-მოკრატიულმა სახელმწიფოებმა და ეს ისე მოხდეს, რომ არავის არაფერი ეწყინოს და არც ეტკინოს.

თითქოს ასე იდეალურად იყოს მოწყობილი წუთისო-ფელი!..

მემუარისტი ქართული ბუნების მერყეობითაც ხსნის, რომ იმ ემიგრანტებმაც კი, რომელთაც ოცი წელიწადი სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლას შესწირეს და ამ ხნის მანძილზე ვერცერთი ნამდვილი მოკავშირე ვერ იპოვნეს, ათვალწუნებით შეხედეს და შეძრწუნები-თაც გერმანიის სამხედრო წარმატებებს – ეს რეჟიმი არ მოგვწონს, რომელიც ამჟამად განაგებს ამ სახელმწი-ფოს, თანაც ნაციისტური გერმანია, რუსეთის გარდა, ჩვენთვის ფრიად სიმპათიურ დემოკრატიულ ქვეყნებსაც ეომებაო.

მაგრამ მხოლოდ გერმანია რომ შეჯახებოდა იმ ძალას, რომლის დამხობის გარეშეც საქართველოს დამოუკიდებ-ლობის აღდგენა ვერაფრისდიდებით ვერ მოხდებოდა?

ასეა თუ ისე, როდესაც გერმანული ჯარები წინ მიიწე-ვენ და გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევენ, არ არსე-ბობს არცერთი ქართული პოლიტიკური ორგანიზაცია თუ ჯგუფი, რომელიც მომზადებული იყოს ამ მოვლენის შესახებდრად. ამიტომაც არავის აქვს საქმიანი ურთიერ-ობა გერმანელებთან.

ამასობაში გერმანელები ასიათასობით საბჭოთა ტყვეს რომ ჩაიგდებენ ხელთ, მათ შორის 20 ათასი კაცი ქართველია.

როგორ უნდა მოიქცეს ასეთ დროს ბერლინში მყოფი ქართველი ემიგრანტი, რომელსაც საკუთარი თავი სამშობ-

ლოს გათავისუფლებისათვის მეტბოლად მიაჩნია, მაგრამ არ არის პოლიტიკოსი და არც ეპირება ამ ხელობას?

ეს ფიქრი იპყრობს მიხეილ ქავთარაძის გონებასაც და ფუჭად ჯდომასა და მოლოდინს, იქნებ რომელიმე ქართუ-ლი ორგანიზაცია დაუკავშირდეს გერმანელებს და მეც საშუალება მომეცეს ჩემი ქვეყნისათვის რაიმე ვილონო, ამჯობინებს გარჯას ქართველ ტყვეთა მდგომარეობის შესამსუბუქებლად.

არასოდეს დაავინყდება ის წუთი, როდესაც ამ გადან-ყვეტილებას გერმანულ ქართველებს გაუზიარებს. ისე შე-მოხედავენ, თითქოს 7 წლის ბავშვს მამისათვის ეთხოვოს: თვითმფრინავი მიყიდე, მთვარეზე უნდა გავფრინდეთ.

მაგრამ ამ განზრახვის აღსასრულებლად პოლიტიკუ-რი გზა დახშულია.

რჩება ერთადერთი – მოხალისედ ჩარიცხვა გერმანულ ჯარში, რაც თავისთავად ადვილი არ ყოფილა, რადგანაც ამ სახელმწიფოს არაქვეშევრდომი ვერმახტის წევრი ვერ გახდებოდა.

მიხეილ ქავთარაძე არ შეეპუებოდა არავითარ წინააღ-მდეგობას და ბერლინის ქართული კოლონიის თავმჯდო-მარის ტიტე მარგველაშვილის რეკომენდაციაც ძალიან ნაადგებოდა. ასე მოხვდებოდა განსაკუთრებული საქმის აღსასრულებელ ჯგუფში – ვიქტორ ნოზაძესთან, დავით ვაშაძესთან და ექიმებთან – კობა ხოჭოლავასა და გოგი ჭაჭიაშვილთან ერთად, რომელთაც დაევალებოდათ ტყვეთა ბანაკების ჩამოვლა და ქართველ ტყვეთა არჩევა – გამოსაყვანად სანდოებისა.

„ჩემი მარშრუტი“ – ასე დაასათაურებდა 1941-46 წლების თავგადასავლის იმ მოკლე სქემას, თხრობაში რომ ჩაერთვოდა, და უსათუოდ მოიხიბლებოდა ერნსტ ჰემინ-გუეი; ალტაცებას გამოთქვამდა, ასეთი ჩანაწერები სადმე და ვინმეს მხატვრულსა თუ დოკუმენტურ ქმნილებაში რომ აღმოეჩინა, ალტაცებას – თავგადასავლის მღელვა-რებითა და შთამბეჭდაობითაც და არანაკლებ სტილური ხერხითაც. ასეთი ჩამონათვალეები ისე მოსწონდა, ლამის ეპიკურ თხრობას ერჩივნა.

მიხეილ ქავთარაძე კი, ვითომც აქ არაფერიო:

ბერლინში ჯარში ჩაწერიდან – ვენა-ოდიშპეტი (რუმინეთი)-ბუდაპეშტი-კრონშტადტი (იგივე ბრაზოვი, რუმინეთი)-სტრანსი (ბრესლაუს მახლობლად)-მიტენვალდი (ბა-ვარია)-კვლავ სტრანსი (ბრესლაუსთან)-კავკასიის ფრონ-ტზე, ყოფილი კოლხოზი ჩრდილო კავკასიაში-სოფელი ყალმუხთა სტეპის მახლობლად-ნალჩიკი-ბელაია რეჩკა კავკასიონის ხეობაში-დახვევა ქერჩისაკენ-ყირიმი-ოდესა (ლაზარეთში)-ლაზარეთი სუდეტის მხარეში (ჩეხიის საზ-ღვარზე)-ბერლინი (საკავშირო შტაბი)-პარიზი-ანგლო-ნორმანდიის კუნძულები-ბერლინი-ნორმანდია-პარიზი-ბერლინი-კვლავ საფრანგეთი (ქართული ლეგიონის ბანა-კი ტულუზასთან)-ბერლინი-პრალა-მარლისა (სლოვაკია-ში)-ბერლინი-იტალია: მაჩერატა-ბარე, ნეაპოლი, რომი, მილანი – გადასვლა საფრანგეთში.

ნეტა მე მომფიქრებოდაო – დაენანებოდა ომებსა და ათასგვარ ხიფათ-განსაცდელში მოყოლილ ამერიკელს, თუმც გამოჩნდებოდა კი მისი მარშრუტიც გარეგნულად ასეთივე ეფექტური? გამოჩნდებოდა, როგორ არ გამოჩ-ნდებოდა

ამასობაში მემუარების ავტორს მიხეილ კედია უნდა შეხვედროდა და ეცნობებინა: მზადდება კავკასიური მაკავშირებელი შტაბის დაარსება, რაც ჩვენც და გერმანელებსაც ძალზე გამოგვადგება, რადგან ეს იქნება ჩვენი შეხვედრის ადგილი თითქმის თანაბარ მოკავშირეთა დონეზე.

ქართველთა შეიარაღებული რაზმი „თამარა!“ გერმანელებს უკვე შეექმნათ, „ბერგმანის“ დაარსებას კი ომის დაწყებიდან რამდენიმე თვის შემდეგ მონდომებდნენ და შტაბის სამხედრო განყოფილების უფროსად საუკეთესო კანდიდატურას რომ ეძიებენ, ეს ორნი გივი გაბლიანს დაასახელებენ უყოყმანოდ.

მემუარისტი იმასაც კი იტყვის:

– უკვე მივაგენით, მაგრამ რომ არ გვეპოვნა, მსგავსი კაცი უნდა გვეძებნა. უკეთესს ვერც ვინატრებდით.

საგულისხმოა გივი გაბლიანის ის პორტრეტი, რომელიც წარმოისახება მემუარების ფურცლებზე ჭეშმარიტი ფსიქოლოგისა და მწერლის ხელით, ადამიანისა, ვინც ამჯერადაც ლამობს, რომ არაფერი გადაამეტოს და რაც შეიძლება ზუსტი სილუეტი აღადგინოს, თვითონაც ღრმად გაერკვეს და სხვათათვისაც სარწმუნო გახადოს, თუ რატომ აღმოჩნდა ეს პიროვნება ემიგრანტთა და ტყვეთა შორის ერთადერთი, ვისაც შეეძლო ასე ჩინებულად შეესრულებინა თავისი მოვალეობა.

განათლების წყალობით? დიდი სიბრძნის? ამ საქმისათვის სპეციალური ცოდნის? მემუარისტის დაკვირვებით, ეს უნდა ყოფილიყო გივი გაბლიანის ბუნების, როგორც მთიელის, მისი გარეგნობის, სითამამის, პირდაპირობისა და ამგვარ თვისებათა შედეგი. ნაცვლად რაღაც განსაკუთრებული ნიჭისა, მას ჰქონია ვეფხვისმაგვარი გაბედულება, სიცქვიტე და სწრაფი მოსაზრების უნარი. ოდნავ მსახიობიც იყო – დასძენს.

– მას შეეძლო ამაყი პოზის დაჭერა და ეს შევნიღოდა კიდევ. იგი ხელოვნურად, უფრო ბოხი ხმით ლაპარაკობდა, ვიდრე მისი ბუნებრივი ხმა იყო. შევნიღოდა, რადგან ვერ ხვდებოდა, რომ ეს ხმა ხელოვნური იყო. მთელი ომის განმავლობაში ყოველდღე ვხვდებოდი იმ გერმანელებს, რომელნიც მის შესახებ ლაპარაკობდნენ. ყოველთვის გერმანელთა შორის ვაწყებოდი გაბლიანისაგან მიღებული შთაბეჭდილებების მიერ გამოწვეულ შურს. მარტო ეს ფაქტები საკმარისია იმის ასახსნელად, თუ როგორ მოხდა, რომ ეს ნატყვევარი კაცი, გერმანულ ფორმაში ახალგადაცმული, მეორე ადგილზე აღმოჩნდა ისეთ შენაერთში, სადაც ორი ათას კაცზე მეტი ირიცხებოდა და გერმანული მხედრობის საუკეთესო ოფიცრები იყვნენ სხვადასხვა პოსტებზე.

უამრავი პერსონაჟი ჩნდება თხრობის მდინარეებში და ორიოდ შტრიხი მარჯვედ აცოცხლებს მათ სახეებს, მათ ფსიქოლოგიურ იერს. რად ღირს თუნდაც სიმონიკა ბერეჟიანის სილუეტი, ადამიანის, ვინც მონაცად რეალობას და ზმანებებში გადასახლდა, ოცნება მიიღო სინამდვილე და ასეთი ცხოვრების წესი ამჯობინა, რაოდენ უცნაურიც უნდა ყოფილიყო სხვათა თვალში მისი საქციელი. გახსოვთ ედვინ არლინგტონ რობინსონის მინევერ ჩივი ამავე სახელწოდების ლექსიდან? ანდა შალვა ხეთერელი ოთარ ჩხეიძის რომანიდან „ბორიყა“?.. და კიდევ

რამდენი – ამ ბუნების ისტორიული თუ ლიტერატურული პერსონაჟი.

თხრობის ერთიან კალაპოტს ერთგან თითქოს არღვევს ჩანახატი „თამარ დადიანის სიკვდილზე“, ხმით ნატირალის სტილით შესრულებული – გამოგლოვა ბავშვური სიყვარულისა. თამარს რომ ეცოცხლა, მათი გზები იქნებ კიდევ გაყრილიყო, მაგრამ რაკილა ასე ნაადრევად გადასახლებულა სულთა სამეფოში, მიხეილ ქავთარაძისათვის ამაღლებული და გაიდეალებული რჩება მისი სახება, თითქოს ბეატრიჩეაო. და მის ფიქრებში ყოველთვის ისე ჩნდება, როგორც დაკარგული საბედო.

მის სახებას შელალადებს, შესტირის, თავსაც მის ჩრდილში იმხნეებს და სამოქმედოდაც მისით შეგულიანებული ადიფრის ხოლმე, თუმც იქამდეც კი მისულა სასონარკვეთილი, რომ საკუთარი არსების მესაფლავედაც უგრძენია თავი.

თითქოს არღვევსო

მაგრამ თხრობის შინაგანი კანონზომიერებით რაღაც ამგვარი აუცილებელიც კი გახლდათ, მძაფრი გრძნობებით აღსავსე პასაჟი ემიგრაციაში გამგზავრების წინ და დაკარგული საბედოს გაიგივება დაკარგულ სამშობლოსთან.

ამ სტრიქონებშია მოქცეული ის გზნება და სულიერი დუღილი, რაც მთელი მემუარების მანძილზე უნდა გაიშალოს.

და მიხეილ ქავთარაძის „იანიჩარები“ წარმოდგეს ჩვენი მემუარული მწერლობის ერთ საუკეთესო ქმნილებად – არამარტო მსოფლიო მოვლენების შუაგულში მოქცეული ემიგრანტის ბედისწერის თვალსაჩინო სურათად, რაც თავისთავად მრავალმხრივ საგულისხმო იქნებოდა, არამედ სწორედაც აუცილებელ ნაწილად ამ ჟანრისა, რომლის ერთი ფრთაც, და საკმაოდ ძლიერი ფრთა, ემიგრაციამ ასაზრდოვა თავისი დაუოკებელი ჟინით ორი საქართველოს გასამთლიანებლად და ქართული სახელმწიფოებრიობის ხელახლა დასამკვიდრებლად საკაცობრიო ცხოვრებაში.

საკუთარი თავის მესაფლავეობას კი შეიგრძნობდა, აბა, რა იქნებოდა, როდესაც არც ყვავილს შერჩება იგივე სურნელი, თუ საქართველოდან ევროპაში გადაინერგა და არც თავფს იგივე გემო, თუ ფუტკარიც იქ ჩაიყვანეს

და ვის შესტირებდა, თუ არა თავის დაკარგულ სიყვარულს:

ადამიანის „სურნელება და გემო“ მისი სული და გულია. აქ ჩემი ხორცილა ცოცხლობს გულგამოცლილი და სულამოხდილი, რადგან ესენი იქავე დამრჩა. ამიტომაა, რომ შენთან დამარხულად მიგულვებიან ისინი ჩემო პირველო საბედო, ჩემო უმანკო მეუღლე, ოქროს ნაწნავიანო თამარო.

თუ იდეალია, ნაწნავიც, ცხადია, ოქროსი უნდა ჰქონდეს.

და იმ ოქროს ნაწნავს შესციცინებდეს თვალდამრეტილი ბერიკაცი, ლამის საუკუნეს რომ ამოათავებდა და ვერაფრისდიდებით ვერ ახსნიდა, რატომ უნდა დარჩენილიყო მისი ქვეყანა კვლავაც დიდ თეატრად, განა არა კმაროდა 20-იანი წლების დრამატული სპექტაკლები, ასე საბედისწეროდ გაათამაშებულნი?

გიორგი ლობჯანიძე

ხევისპერის დაბრუნება

დიდი ხანია მინდა გამოვეხმაურო მამუკა ნიკლაურის შესანიშნავ ლექსებს, „ჩვენი მწერლობის“ შარშანდელ მე-20 ნომერში რომ დაიბეჭდა. თუმცა აგერ თითქმის ერთი წელია, ვერ მოვახერხე სათქმელისათვის თავი მომეყარა იმიტომ, რომ შთაბეჭდილება თავზარდამცემი იყო და მისი გააზრების, წერილად ქცევის ყოველგვარი მცდელობა უსათუო მარცხით დამთავრდებოდა.

დიდი პოეზია იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ თან შენც თანამზრახველობისაკენ, თანაგანცდისაკენ გიბიძგებს და თან სათქმელს თითქოს არაფერს გიტოვებს, რადგან ლექსებით ყველაფერი იმაზე უკეთაა ნათქვამი, ვიდრე ამას თვითონ შეიძლება.

მითუმეტეს, როცა საქმე ეხება უაღრესად თავისებურ პოეტს, რომელიც სტრიქონსაც კი არ დაწერს ისე, ლექსისათვის და, ხაზგასმულად სასაუბრო ინტონაციის მიუხედავად, მკითხველის აზრი თითქოს არასდროს აინტერესებს. მთავარია, ამოთქვას ის, რაც ნამდვილად აწუხებს და დანარჩენი თვითონ დალაგდება. სიტყვა თვითონ მოძებნის საჭირო კალაპოტსა და კონტამინაციებს, მით უფრო მკითხველს, რომელიც იმდენად ცოტაა, რომ შეუმჩნეველს, ალუნიშნავსა და დაუფასებელს ერთ ნამდვილ განცდასა და სიტყვასაც კი არ დატოვებს.

სარეცენზიო პუბლიკაციის მინაწერიდან ირკვევა, რომ მამუკა ნიკლაურიც შემოქმედების დასაწყისიდანვე შეამჩნიეს და თანაც ბატონმა გურამ ასათიანმა, ვინც თავის აზრსა და შთაბეჭდილებას სამართლიანად ადებდა ფასს და კალამს ხელში იოლად ვერაგინ ააღებინებდა. მით უფრო, მაშინ ახალგაზრდა მამუკა ნიკლაურს ამის გაკეთება ერთადერთი გზით შეეძლო – კრიტიკოსს მისი ლექსები მართლა ძალიან უნდა მოსწონებოდა, რომ ასეთი რამ დაეწერა:

„მამუკა ნიკლაურში მე მომწონს ერთი არსებითი თვისება: ის მწარე პოეტიკა, ყოველგვარ სიყალბესთან და ნახევარსიმართლესთან შეურიგებელი პოეტი. ის არ დაეძებს გარეგნულ სილამაზეს. „კომ ილ-ფო“ მისთვის მიუღებელია.“

ეს სიტყვები 30 წლის შემდეგაც უცვლელად შეგვიძლია გავიმეოროთ ისე, რომ უხერხულობის განცდა არ გავგიჩინდეს. მამუკა ნიკლაური სიჭარმაგეშიც ასეთივე დარჩა – სიყალბესთან და ნახევარსიმართლესთან შეურიგებელი, გრძნობა და აღქმა გაუხუნარი. ასაკმა და ოსტატობამ კი მისი, როგორც პოეტის, სანაქებო თვისებები კიდევ უფრო გამოამხეურა და გაამკვეთრა.

საერთოდ, მგონია, რომ ლიტერატურულ-სტილისტური არჩევანი მამუკა ნიკლაურის ბუნებით თანდაყოლილი გემოვნების გარდა, მისი ხასიათის თვისებამაც – შეურიგებლობამ, დინების სანააღმდეგოდ ცურვის მოთხოვნილებამაც განაპირობა. გასული საუკუნის 70-იან წლებში

ვერლიბრი, ის-ის იყო, იკიდებდა ფეხს და უკიდურესად მიუღებელი აღმოჩნდა არამხოლოდ მკითხველთა, როგორც მაშინ ეძახდნენ, „ფართო მასებისათვის“, არამედ თვით ბევრი გამოცდილი და გემოვნებიანი ლიტერატორისთვისაც. მამუკა ნიკლაური კი თავიდანვე ერთგულად მიჰყვა არჩეულ გეზს და ამ გზიდან, იოლი სახელის შოვნის მიზნით, არასოდეს გადაუხვევია. სხვათა შორის, შემთხვევითი არაა ისიც, რომ ვერლიბრის წინააღმდეგ აგორებული არც თუ საცხებით ლიტერატურული ხასიათის კამპანიის პირდაპირი სამიზნე სწორედ მამუკა ნიკლაური აღმოჩნდა და არა – რამდენიმე გარეგნულად მასზე უფრო დაფასებული ვერლიბრისტი.

შესაძლოა, ამის მიზეზი ისიც იყო, რომ ოპონენტებმა შესანიშნავად იცოდნენ, ვის უნდა შეკამათებოდნენ რეალურად, ვინ იქნებოდა თავისი არჩევანის ბოლომდე ერთგული და საბოლოოდ დამამკვიდრებელი.

არც ცდებოდნენ: დღეს ქართული თავისუფალი ლექსი მამუკა ნიკლაურის სახელითაც ბრწყინავს და კლასიკური პოეზიის ჩინებულ ნიმუშებს ტოლს არაფრით არ უდებს.

რაც შეეხება არჩევანს, ჩანს, მამუკა ნიკლაურისათვის იმდენად ძვირფასი იყო თავისუფლების იდეა, რომ ლექსშიც ამას ეძებდა და ცხოვრებაშიც, ამიტომაც თავისუფალი ლექსის, თუნდაც როგორც იდეის, გამარჯვება მისთვის უფრო არსებითი – არჩევანის თავისუფლების – გამარჯვებას უტოლდებოდა. მითუმეტეს, ტრადიცია, იმ სახით, როგორც მაშინ, 70-იან წლებში აღიქვამდნენ და აფასებდნენ, სწორედ ნამდვილი პოეტური მუხტის, ადამიანური განცდისა და ვნების დამამუხრუჭებელ ძალად მოგვევლინა. ინერებოდა რიტმიანი, რითმით ოსტატურად განწყობილი ლექსები და ამ ლექსების უმრავლესობას ნამოლდაც არ ეცხო ნამდვილი პოეზიის ნიშანწყალი. საჭირო იყო გარღვევა და ეს თავგანწირული აფეთქება სწორედ მამუკა ნიკლაურის წიგნებში მოხდა.

ეს წიგნები მკითხველმა ძნელად მიიღო. ამას გარდა მამუკა ნიკლაურის ხასიათისა, რომელიც ვერ ეგუება ჩვენში ასე ფეხმოკიდებულ თვითტკობასა და საკუთარი თავის წარმოჩენის ვნებას, ლექსების ჭეშმარიტი სიახლეც განაპირობებდა, რაც პირველ რიგში ინტონაციურ დონეზე მჟღავნდებოდა. მამუკა ნიკლაურს თავისი თაობის ვერლიბრისტიებისაგან სწორედ ინტონაციური მრავალშრიანობა და სირთულე გამოარჩევს, თუ სხვაგან ქართული ვერლიბრი, ძირითადად, ორსაზომიან რიტმში მონაცვლეობს, მამუკა ნიკლაურთან რიტმული მრავალფეროვნების მთელი კასკადი მოგეფრქვევა.

გარდა ამისა, ნიკლაური არ არის ერთი რომელიმე – ან ასაკობრივი ან სოციალური ან ინტელექტუალური – ჯგუფის პოეტი. თვითონ მას ეს ნაკლებად აწუხებს, რადგან სახელის შოვნის ფიქრს კი არა, ლექსის მთავარ საფიქრალს უტრიალებს და სწორედ ეს განაპირობებს იმას, რომ იგი შეიძლება ყველა ასაკის, სოციალური და ინტელექტუალური წრის ადამიანის პოეტი იყოს, ვინც კი ცხოვრების მთავარ ღირებულებად სიმართლეს, სამართლიანობასა და გულწრფელობას აღიარებს.

ყველა თავისებურება, რაზედაც ზემოთ ვისაუბრეთ, მამუკა ნიკლაურის ბოლო წლების ლექსებში განსაკუთრებულად გამკვეთრდა და გამოიმჟღავნდა. „ჩვენი მწერ-

ლობის“ ის პუბლიკაცია, რომელიც დღევანდელი ნერილის საბაბად იქცა, ნათქვამის შესანიშნავ დასტურად გამოდგება.

როგორც სარედაქციო მინაწერიდან ვგებულობთ, „ამ პუბლიკაციით მამუკა ნიკლაური კაი ხნის ლიტერატურული დუმილის შემდეგ ხვდება თავის მკითხველს. როგორც მოგეხსენებათ, ასეთი „დუმილები“ მისთვის უცხო არაა – იგი არ ეუთვნის შემოქმედთა იმ კატეგორიას, რომლებიც სულ წინა „პლანზე არიან“ და შესვენების უფლებას არ აძლევენ დაქანცულ პეგასს...“

თუ ბელეტრისტიკაში ნაკლები ნაყოფიერება მწერალს მაინცდამაინც სანაქებოდ ვერ ჩამოერთმევა, პოეზიაში – პირიქით, რაც უფრო ბევრს ბეჭდავს ავტორი, მით მეტია საფრთხე, რომ პოეზიას წყალი უხვად შეერიოს. ამიტომაც „დუმილი“, რასაც სარედაქციო წინათქმა ახსენებს, სინამდვილეში საკუთარი თავისა და მკითხველის წინაშე დიდი პასუხისმგებლობის გრძნობაა, პასუხისმგებლობაა ლექსის წინაშეც, უბრალოდ რომ ვერასდროს შეჰბედავ და შეაწუხებ.

ამ პუბლიკაციიდან შესანიშნავად ჩანს, რომ მამუკა ნიკლაურისათვის ლექსი ერთადერთი „ცოცხალი არსებაა“, რომელსაც პოეტი ბოლომდე ეხსენება და მიენდობა. ის არის პოეტის ერთგული მეგობარი, ვის წინაშეც კაცი – პოეტი საალსარებო იარებს იშიშვლებს.

აღსარებისეულია ლექსების ტონიც, რომელიც მთლიანად განსაზღვრავს პოეტიკას და საოცრად ინტიმური განწყობით ხშირდება. ეს ინტიმურობა კი ანელეს პათეტიკას, რაც სხვა შემთხვევაში უქველ უგემოვნობაში გადაიზრდებოდა.

ჩვეულებრივ მიღებული შეხედულებით, ლექსი, უფრო სწორად კი ის, რასაც ლიტერატურის ჩვეულებრივი მკითხველი „ლექსს“ ეძახის, ან სიყვარულზე უნდა იწერებოდეს ან სამშობლოზე. სინამდვილეში კი არაფერი ისე ძნელი არაა, როგორც სიყვარულზე ან სამშობლოზე ლექსების წერა და არცერთ სხვა თემაზე ისე ცოტა ლექსი (რასაც მაღალი საზომებით ლექსი ჰქვია) არ მოიძებნება, როგორც ამ თემებზე.

ამიტომაც ერთგვარი გამოწვევაა, როცა პოეტი „კაიხნის დუმილის შემდეგ“ დაბეჭდილ პუბლიკაციას დაიწყებს ლექსით, რომელსაც „სამშობლო“ ეწოდება. გამოწვევაა იმიტომაც, რომ პირველმა ლექსმა უნდა ახსნას ამდენ ხანს რატომ დუმდა პოეტი და ღირდა თუ არა რამედ მისი მრავალმნიშვნელოვანი მღუფარება.

მამუკა ნიკლაურის „სამშობლო“ ავტორს ყოველმხრივ ამართლებს. პათეტიკურობას კი პოეტი მიძღვნიდანვე გაურბის ან უარყოფს, როცა ამ ლექსს ლელას და ბოცოს, ანუ შეილებს მიუძღვნის. თითქოს არაჩვეულებრივი რა უნდა იყოს იმაში, რომ ლექსი „სამშობლო“ საკუთარ შეილებს უძ-

ღვნა, მაგრამ ამ, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი ფესვით უქმდება ყოველგვარი ყალბი ასოციაცია, რასაც სამშობლოზე ხმამაღლა ლაპარაკი ნებით თუ უნებლიეთ მოიყოლებს.

შებრუნებულ პათეტიკად, პათეტიკის ერთგვარ შიდაპირად მოჩანს ტექსტის დასაწყისი:

„თქვენ იქიდან ხართ, სადაც სიტყვებით, როგორც გუთნებით, მამულებს ხნავენ, თქვენ იქიდან ხართ, სადაც სიტყვებს სისხლში ანროთბენ.“

ეს, თუ შეიძლება ითქვას, იგივე „შენ, სისხლო ჩემო, სად არ დაღვრილო“-ა, ოლონდ მაჭავარიანის პათეტიკისაგან განსხვავებით, მამუკა ნიკლაური, შემდეგ მოდევნებული თხრობითი ფრაგმენტითა თუ ელემენტით, ლექსის სანჯის პათოსს ერთიანად „ამოაყირავებს“. ამით კი ლექსსაც გადაარჩენს და „სამამულე“ პათეტიკასაც მომხიბლობას, ბუნებრიობას უნარჩუნებს.


სხვათა შორის, მამუკა ნიკლაურის პოეზია საფუძვლიანად ეწინააღმდეგება ერთ გავრცელებულ შეხედულებასაც იმის თაობაზე, რომ ლექსში პოეზია მაშინვე დამთავრდება, როგორც კი თხრობა, ამბავი შემოვა; რომ ლექსმა ამბავი კი არ უნდა მოჰყვეს, მომხდარი – ემოციის დონეზე – მკითხველის წარმოსახვაში უნდა აღადგინოს.

მამუკა ნიკლაურის პოეზიის ერთი ადრეული თავისებურება, რაც თხრობითი ელემენტების ხალას პოეზიაში გამოიხატება, ბოლო პუბლიკაციისას ოსტატობის მწვერვალზეა აყვანილი. ეს თხრობითი ელემენტები მასთან თავისუფლად ენაცვლება პოეზიის ტრადიციულ გამომსახველობით საშუალებებს და ყველა ამ საშუალების ფუნქციას ითავსებს. ამბავი, თავისი პერსონაჟებითა და განვითარებით, თვითონაა ლექსი და მთლიანი, დაუმტელი მეტაფორა.

წარსულში ასეთი ტიპის ტექსტების ტრადიციას თავისუფლად მოვიძიებთ საქართველოს მთიანეთში გავრცელებულ ანდრეზებსა და საგმირო ბალადებში და მამუკა ნიკლაურის ლექსები ფორმითა და შინაარსით ამ ორი ტრადიციული ჟანრის მეტად თავისებურ ნაზავს მოგვაგონებს. ამ ნაზავში, ბალადებისაგან განსხვავებით მნიშვნელოვანი აღარაა რითმა, მაგრამ უფრო გამკვეთრებულია ყველა დანარჩენი ხერხი, რითაც ტექსტის პოეტურობის ხარისხი ნარჩუნდება.

ფორმალურ დონეზე თვითონ ლექსის სათაურებიც მიგვანიშნებს საგმირო ბალადებთან მათ პირდაპირ კავშირზე: „ბიჭიკა ქურხული“, „ჯონქა ხადური“, „მგლისა და გაბოს გასაუბრება“ და ა. შ.

შინაარსობლივად კი მამუკა ნიკლაურის პოეზია, რა თქმა უნდა, საგმირო ბალადის ჩარჩოებში ვერაფრით მოთავსდება, რადგან მისი პოეზიის თითოეული პერსონაჟი გაცილებით ღრმა ადამიანური განცდების მატარებელია, ვიდრე მტერთან მებრძოლი რომელიმე გმირი რაინდული



მამუკა ნიკლაური

ხალხური ბალადისა, რომლის განცდებიც ბალადის ავტორს ხშირად სულაც არ აინტერესებს და მხოლოდ მისი გამირობების შთამბეჭდავი აღწერით იფარგლება.

ამ მხრივ, ნიკლაურის პერსონაჟები (ან შეიძლება სულაც ავტორის „ალტერ-ეგოები“) რომელიმე მითოსის არქაულ პერსონაჟებს გვაგონებენ. ხოლო თითოეული ლექსი მითია, რომლის საკვლევადაც სწორედ მითის პოეტიკის ანალიზის აპრობირებული მეთოდები გამოდგება.

ბოლო ხანებში ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ ქართულ ლიტერატურაში დაიკარგა იდეალური გმირი და შესაბამისად თვითონ იდეალიც, რასაც მკითხველის გრძობა-გონებაში რომანტიკულ პერსონაჟთან ნაცნობობა აყალიბებდა. მამუკა ნიკლაურის ლექსთა ლირიკულ-ნარატიული გმირები ამ მოსაზრებას საფუძვლიანად უარყოფენ.

ლექსები, რომლებიც პოეტის სოფლის მცხოვრებლებს აცოცხლებენ, სინამდვილეში განუმეორებელ პიროვნებებს გვაცნობენ, ადამიანებს, რომელთაც შუბლზე უფლის ნიშანი აზით სწორედ იმიტომ, რომ მეორე ადამიანთან ურთიერთობისას სიყვარულითა და სამართლიანობით ხელმძღვანელობენ, რაინდული სული შერჩენიან და ზნეობრივ პრინციპებს სიცოცხლის ფასადაც კი არასდროს ღალატობენ.

ამ მხრივ მამუკა ნიკლაურის პოეტური პერსონაჟები ვაჟას პოემის გმირებს მოგვაგონებენ, ხოლო თუ უფრო კარგად ჩაუუკვირდებით, მათში ავტორის ლანდსაც მკაფიოდ გავარჩევთ.

ნიკლაურის პოეზიის თავისებურება სწორედ იმ გაიშვი-ათებული თვისებიდან გამომდინარეობს, რომ ყოველი

სტრიქონიდან გრძობ: ავტორს ძალიან უყვარს ადამიანი.

შეიძლება ვინმემ თქვას, ეგ რა ცალკე აღსანიშნავია, ხომ ისედაც იგულისხმება, რომ ადამიანს, მითუმეტეს, მწერალს ადამიანები უნდა უყვარდესო. საქმე ისაა, რომ ჩვენს პოეზიაში და განსაკუთრებით ვერლიბრში, უკიდურესი სუბიექტივიზმი ბატონობს და საკუთარი თავით ავადმყოფურად გართულ პოეტებს, მკითხველსა და სამოქალაქო პრობლემებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, სხვა, მათ გვერდით მცხოვრები, ადამიანები აშკარად ავიწყდებათ.

ისინი თავიანთ პირად სატკივარს ჩაჰბლუიან და შემთხვევას არ უშვებენ ხელიდან, თანაგრძობის მომლოდინე, ჟინიანი ბავშვებივით არ გვიჩვენონ: ნახეთ, რა საშიში, საზიზღარი „ფუა“ გვაქვსო. ამ ეგოცენტრიზმით „აფუებულ“ ვერლიბრში მამუკა ნიკლაურის მოქალაქეობრივი პოზიცია ხატის კარზე ეულად დაყუდებული ხევისბერივით გამოიყურება. ის ლექსებში იმ საქართველოს აცოცხლებს და აშენებს, რისი აგების საშუალებაც შეიძლება რეალურ ცხოვრებაში არ მიეცა. ყოველ შემთხვევაში შესანიშნავად იცის, პათეტიკას რომ თავი დაეანებოთ, ხალხს სჭირდება ზნეობრივი გმირი, მისაბამი კაცი, და ეს გმირი სწორედ ლიტერატურაში, პოეზიაში უნდა არსებობდეს.

სწორედ ამიტომ მამუკა ნიკლაურის ამ ბრწყინვალე პუბლიკაციას მე მეტაფორულად „ხევისბერის დაბრუნებას“ დავარქმევდი. მერე რა, თუ ლექსს ძველებური გზნებით საქართველოში აღარ კითხულობენ. ოდესმე ისევე დადგება პოეზიის დრო და მამუკა მჯერა, მამუკა ნიკლაურის სახელი შესაფერისი პატივითა და სიყვარულით იხმობება.

ეკა ბუჯიაშვილი

ქართვლები ასწლიან ომში

არა, ეს მხოლოდ ამ წერილის სათაურია, იმ წიგნს კი, ქალბატონმა ნათელა არველაძემ ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ სალონში შეკრებილ საზოგადოებას რომ წარუდგინა, ასე ჰქვია: „**ახმეტელები ასწლიან ომში**“ (რედაქტორი: რუსუდან ქუთათელაძე). ასეთი განზოგადების შესახებ უფრო ვრცლად რეპორტაჟიდან შეიტყობთ, ჯერ-ჯერობით კი...

ცოტა რამ წიგნის წარდგინებად:

როსტომ ჩხეიძე:

„ქალბატონ ნათელა არველაძეს კარგად იცნობს საზოგადოება, თუმცა თუ ახლა ორიოდ სიტყვას მაინც ვიტყვით, მხოლოდ იმიტომ, რომ კიდევ ერთხელ დაუუდასტუროთ ჩვენი ღრმა პატივისცემა იმ უკომპრომისობისათვის და თავდადებისათვის, რითაც ერთგულებს არა მხოლოდ ქართულ თეატრს, არამედ მთელ ჩვენს საზოგადოებრივ ყოფას.

ის, რაც პირველ რიგში გვიპყრობს მის საჯარო გამოსვლებსა თუ პუბლიცისტურ წერილებში, არის მღელვარე გული. ქალბატონი ნათელა ხშირად იმონმებს ფოლკნერის ფრაზას: „გულის ჭიდილი საკუთარ თავთან“, რადგან სწორედ ასე ესმის მოღვაწის მოვალეობა, აქედან ხდება მოვლენებს. ის არ იფარგლება რეცენზიებით, არის შესანიშნავი პუბლიცისტი და ბოლო ხანს ზედიზედ გამოსცა რამდენიმე საინტერესო წიგნი. ავტორი ამ წიგნებში თავისი მახვილი მზერით ნიუანსობრივად წარმოაჩენს საზოგადოებრივი ცხოვრების იმ დეტალებს, რომლებიც სხვა შემთხვევაში შეუმჩნეველი დარჩებოდა. დღეისათვის შევარჩიეთ „ახმეტელები ასწლიან ომში“, რომელშიც ერთი გვარის ისტორიის აღწერით XX საუკუნის მოვლენებში, დახატულია მთელი ეპოქა. გარდა ამისა ეს წიგნი ქრესტო-მათიული ნიმუშია მათთვის, ვისაც სურს დაწეროს ზედისწერასთან გადაჯაჭვული გვარების ისტორია და ვიდრე დღევანდელ მომხსენებელს, ბატონ სოსო ჭუმბურიძეს გადავცემ სიტყვას, მოდით თავად ვკითხოთ ქალბატონ ნათელას, რამ უბიძგა დაეწერა ეს წიგნი და ხომ არ აპირებს მუშაობის გაგრძელებას ამ მიმართულებით?“

ნათელა არველაძე:

„სიმართლე გითხრათ, ვერასოდეს წარმოვიდგენდი იმას, რომ რუსეთის ყულფიდან თავს გამოყოფდით და ის დაგვემართებოდა, რაც დღეს გვჭირს. ამან ისეთი თავზარდამცემი ზემოქმედება იქონია ჩემზე, რომ ბოლოსდა-

ბოლოს გადავწყვიტე ჩავღრმავებოდი მიზეზებს. და აღმოჩნდა, რომ ჩვენ, თურმე, ვერ შევძელით XX საუკუნის გაზრება, გაცნობიერება იმისა, თუ როგორ ვიცხოვრეთ ეს ასი წელიწადი. ამიტომ გადავწყვიტე ამ ერთი გვარის ისტორიის კვლევით ჩავღრმავებოდი გასულ საუკუნეს.

თუ გადავხედავთ კაცობრიობის ისტორიას, ვნახავთ, რომ ჩვენი ცხოვრება დაფუძნებულია სამკუთხედზე – ინდივიდი, სოციუმი და სახელმწიფო. და ისტორიული კატაკლიზმებისას, უწინარესად, პიროვნება იჭყლიტება, მეორე საზოგადოებამ უნდა ინვინოს ამის შედეგი, სახელმწიფო კი, ვითომ ეს მას არ ეხება, ისეთ სიტუაციაში აღმოჩნდება ხოლმე.

თავის დროზე რუსთაველმა რელიეფურად და ნათლად გვიჩვენა, როგორ შეიძლებოდა მის გმირებს შეექმნათ სახელმწიფო, სადაც „თხა და მგელი ერთად მოძოვდა“. და ეს მან პროგრამად დაუსახა თავის ერს.

რა მოხდა შემდეგ?

XX საუკუნემ საუკეთესოდ გამოააშკარავა ადამიანის სულიერ სამყაროში მიმდინარე პროცესები და ეს გააკეთა მწერლობამ. იმ ას წელიწადში დაირღვა სწორედ ის სისტემა სამკუთხედისა, რომელსაც უნდა ეფუძნებოდეს სახელმწიფო. ინდივიდი მთლიანად გაუფერულდა, პიროვნებამ დაკარგა თავისი მნიშვნელობა სახელმწიფოსთვისაც და საზოგადოებისთვისაც. და ეს წიგნი დავწერე იმიტომ, რომ მეჩვენებინა, თუ რა დიდი როლი აქვს პიროვნებას და მეთქვა, რომ იქ, სადაც არღვევა ეს თანაფარდობა, სადაც უმადლესი ინსტანცია ხდება არა სოციუმი, არამედ სახელმწიფო, თხა და მგელი ერთად ვერ მოძოვს. აი, ამაზეა ეს წიგნი“.

სოსო ჭუმბურიძე:

„ქალბატონი ნათელა არაერთი წიგნის ავტორია, თუმცა რატომ შეარჩია დღეს წარდგინებისა და მსჯელობისათვის მაინცდამაინც ეს ნაშრომი, ალბათ ყველასთვის გასაგებია. მის ავტორს მასშტაბური აზროვნება სჩვევია. ის ხშირად ამბობს, რომ ფაქტიდან უნდა შექმნა მოვლენა. ამ შემთხვევაში ფაქტი არის ახმეტელების გვარი, მოვლენა კი ის ღვანლი, რომელმაც ბევრწილად განსაზღვრა XX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრება.“

თავის დროზე გაზუთ „თბილისის“ ინტერვიუ-ანკეტაში ქალბატონმა ნათელამ XX საუკუნე შეაფასა, როგორც ბოლშევიზმის ბრძოლა ილიას გზასთან. და აი, ამ გზაზე როგორ მოდიოდნენ ახმეტელები, ამის შესახებაა ეს წიგნი. მის პერსონაჟთაგან ზოგი მღვდელია, ზოგი გენერალი, დამფუძნებელი კრების წევრი, დამოუკიდებელი საქართველოს ელჩი, ექიმი... მაგრამ თავისთავად არცერთი ეს ტიტული და პროფესია ბევრს არაფერს გვეტყოდა,

რომ არა მთავარი – თითოეული ამ ადამიანის მამულიშვილობა და პატრიოტიზმი.

ძალზე საინტერესოა ორიგინალურია წიგნის აღნაგობა, შემთხვევითი არ არის, რომ მისი პროლოგიც და ეპილოგიც საფლავით მთავრდება. ქალბატონმა ნათელამ იცის, რომ არსებობენ ცოცხალი საფლავები, რომლებიც – ისევე როგორც „ძვლებიც ფიქრობენ საქართველოზე“ – იბრძვიან სამშობლოსთვის, ეროვნული ცნობიერებისათვის და ეს სულ ახლახან დადასტურდა ჯერ ქაქუცა ჩოლოყაშვილის, შემდეგ კი ზვიად გამსახურდიას ჩამოსვენებით.

თავისთავად ძალზე საინტერესოა ქალბატონი ნათელას სამეცნიერო ნაშრომები. მაგალითად, სპექტაკლის „სამშობლოს“ შესწავლისას მან პირველმა შემოიტანა სამეცნიერო კვლევაში დეკონსტრუქციის მეთოდი და დაამკვიდრა კიდევც. ეს წიგნი კი „ახმეტელები ასწლიან ომში“, ისტორიულ მნიშვნელობასთან ერთად, მეტად საინტერესო მხატვრული და პუბლიცისტური მიგნებებითაც გამოირჩევა“.

ნოდარ ტაბიძე:

„ერთი რამ ხაზგასმით მინდა აღვნიშნო: ქალბატონმა ნათელა არველაძემ ინდივიდისა და საზოგადოების შერწყმის ურთულესი პრობლემის წარმოჩენისას ეს ორი მხარე ისე გადააჯაჭვა ერთმანეთს, მთელი სისრულით წარმოაჩინა ამ საკითხის აქტუალობა და მნიშვნელობა, ამასთანავე, ამ წიგნში ისეთი საინტერესო მხატვრული დეტალებია, ვიფიქრე, რომ მისი ავტორი შესაძლოა ნოველებსაც წერს.“

დავუკვირდეთ რა საინტერესოა კომპოზიციური ქარგა – ნაშრომი იწყება ილიათი და მთავრდება გალაკტიონით. არც ერთია პერსონაჟი და არც მეორე, მაგრამ ის ძირითადი ხაზი ვითარდება, რასაც ილიამ დაუდო საფუძველი და გალაკტიონმა გააგრძელა. ეს მიგნება ძალიან მომეწონა და გულწრფელი მადლობა მინდა ვუთხრა ავტორს.

მეტად საინტერესოა სათაურიც – იფიქრებ, ქვემეხების გრიალზეა ეს წიგნიო, არადა იმ ასწლიან ომს აღწერს, ჩვენმა ხალხმა ბოლშევიზმის წინააღმდეგ რომ გადაიხადა...“

როსტომ ჩხეიძე:

„ქვემეხებიც ეგ არის...“

ნოდარ ტაბიძე:

„დაიხ... აქ ბევრი რამ ამოვიკითხე ისეთი, რამაც, სიმართლე გითხრათ, ცრემლიც კი მომგვარა. თანაც ძალზე მაღალ დონეზეა ოსტატობა, თუმცა ზოგჯერ მეჩვენება, რომ თითქოს ძალიან გაიტაცა დეტალებმა ავტორი და მე,



ნათელა არველაძე და იოსებ ჭუმბურიძე

მაგალითად, პირველ თავს, სადაც ოჯახური გარემო აღწერილი, შევამოკლებდი, თუმცა ეს წვრილმანებია, საერთოდ კი ალტაცებული ვარ ამ წიგნით და ვთვლი, რომ ის ფართო საზოგადოებამ უნდა გაიცნოს“.

გიორგი გოგოლაშვილი:

„ეს წიგნი შეძახილია ახმეტელთა თაობებისთვის (და არა მხოლოდ მათთვის): „გახსოვდეს ვისი გორისა ხარ!“

ახმეტელები, საერთოდ, არცთუ მრავალრიცხოვანი გვარია, არადა მისი ათი წარმომადგენლის სახელი ჩანწერილია იმ ქართულ ენციკლოპედიაში, ერის ისტორია რომ ჰქვია.

ქალბატონი ნათელა წერს:

„ახმეტელების ოჯახში იცოდნენ რამდენიმე უცხო ენა, მაგრამ სასაუბროდ მხოლოდ მშობლიურს იყენებდნენ... ძალზე მდიდარი იყო მათი ლექსიკა... გამორჩეულნიც იყვნენ კულტურით, განსწავლულობით, სიკეთით... ანაგაში ახმეტელებს მინისტერიანებს ეძახდნენ. სოფლები ამბობდნენ: თურმე ახმეტელებს ქათმებიც კი ნასწავლი ჰყავთო...“

აი, როგორ უნდა ცხოვრობდეს ოჯახი და როგორ უნდა ჩაენეროს გვარი ისტორიაში.

XX საუკუნე შეთქმულებათა საუკუნე იყო ბოლშევიზმის წინააღმდეგ და ახმეტელები თითქმის ყველა შეთქმულებაში მონაწილეობდნენ. ამიტომაც მიმოიფანტნენ, თუმცა მათი „ფუძის ანგელოზი“ აქტრიალებს და ეს ისტორიაც ალბათ არის ფასდაუდებელი წვლილი ამ გვარისა. თითოეულ მათგანს დიდი დამსახურება აქვს თავის პროფესიაში, წიგნებიც კი დაწერა მათ ღვანლზე, მაგრამ მთლიანობაში ეს ყველაფერი ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ვეკუთვნივთ არა მხოლოდ საკუთარ თავს ან ოჯახს, არამედ გვარს. გვარიშვილობა უზარმაზარი ტვირთია, რომელიც უნდა ვეცადოთ ღირსეულად ვატაროთ, ისე, როგორც ეს მოახერხეს ახმეტელებმა“.

რუსუდან დაუშვილი:

„მსჯელობა, რომელიც ამ წიგნს აქცევს მასშტაბურ ნაშრომად, გვათქმევინებს, რომ მას სათაურად შეიძლება დავარქვათ – საქართველო ასწლიან ომში. მიიწვივთ ორიოდ სიტყვით გითხრათ იმ ორი ახმეტელის შესახებ, საკუთარი კვალი რომ დააჩნის ქართულ ემიგრაციაში. ერთი ვლადიმერ ახმეტელია, დამოუკიდებელი საქართველოს ელჩი გერმანიაში, მეორე – მიხეილ ახმეტელი, ვისაც მთელ მანძილზე ევროპაში იცნობდნენ. მართალია ვლადიმერ ახმეტელი სოციალ-დემოკრატი იყო, მაგრამ მას დიდი უთანხმოება ჰქონდა მთავრობასთან. მეორე მსოფლიო ომის დროს, როცა ქართველების გადარჩენა იყო საჭირო, სწორედ მას მიაკითხეს დახმარებისთვის ამ საქმის თაოსანმა პატრიოტებმა. სხვათა შორის, ემიგრაციული მასალების გაცნობისას შემხვდა დავა ეროვნული საკითხების

გამო ვლადიმერ ახმეტელსა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის იმ ფრთას შორის, ემიგრაციაში რომ მოღვაწეობდა (მერე ეს უთანხმოება პრესაშიც აისახა).

ვლადიმერ ახმეტელის გარდაცვალებით, ფაქტობრივად, დაობლდა მაშინდელი ბერლინის საზოგადოება. ეს იყო უმძიმესი პერიოდი – 1942 წელი, როცა მთელი ქართული ემიგრაცია იყო მობილიზებული, იქნებ ახლა მაინც გათავისუფლებულიყო საქართველო. ემიგრაციაში მყოფი ქართველები სხვადასხვა სამხედრო ორგანიზაციაში ერთიანდებოდნენ. მათ შორის იყო მიხეილ ახმეტელი, რომელმაც ნიკურაძეებთან ერთად შექმნა აღმოსავლეთ

ევროპის შემსწავლელი ინსტიტუტი და მათი ერთობლივი ძალისხმევით დაიდო ფუნდამენტური გამოკვლევები კავკასიის და საქართველოს შესახებ, რათა ჰიტლერს არ ჰქონოდა წარმოდგენა, რომ აქაც ისეთივე ხალხი ცხოვრობდა, როგორც შუა აზიაში და რუსეთის სტეპებში და ამასთანავე გაეთვალისწინებინა ის სტრატეგია, რასაც კავკასია წარმოადგენდა ევროპისათვის. ეს გამოკვლევები კარგა ხანს სახელმძღვანელოებად რჩებოდა გერმანიაში“.

რუსუდან ქუთათელაძე:

„ახმეტელების გვარის ისტორიის აღწერაში ქალბატონ ნათელას ხელი შეუწყო მისმა პროფესიონალიზმმა და იმანაც, რომ კალამი უჭრის. თუნდაც სპექტაკლის შესახებ გამოქვეყნებულ წერილსა თუ რეცენზიაშიც კი ის ისეთ ცეცხლს დაანთებს ხოლმე, ადამიანს შეძრავს, მაგრამ ასეთი

წიგნის დაწერა ალბათ მაინც ძალიან რთულია. ბევრ პერსონაჟს ის არ იცნობდა, მაგრამ იმოდენა სიყვარული მოსდევს წინა თაობებისგან, რომ როცა წიგნს ვკითხულობდი, თითოეული მისი გმირი თვალწინ მედგა. ამ სიყვარულით ქალბატონმა ნათელამ მათ სიცოცხლე გაუხანგრძლივა და კიდევ უფრო დიდი ხნით დაუტოვა მემკვიდრეობას“.

მანანა გაბაშვილი:

„უმთავრესი, რაც წიგნიდან ჩანს, არის გვარის ჩამოყალიბებული ინსტიტუტი, ქართული ოჯახისთვის ნიშანდობლივი ღირებულებებით, რასაც მერე ორიენტირად ირჩევდა საზოგადოება. ამ ორიენტირებს ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. ნებისმიერ ქვეყანაში არსებობენ ასეთი ოჯახები, რომელთაც გარე ძალა გააფთრებით ებრძვის.“

მასხოვს, ბავშვი ვიყავი, როცა პაპაჩემის გარემოცვაში ასეთი რამ მოვისმინე: ერთხელ სტუმრად ჩამოვიდა მოსკოვის ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი, რომელმაც სუფრასთან შექვიფების შემდეგ, ასეთი რამ თქვა: ძალიან კარგები ხართ ქართველები, ძალიან კარგი ოჯახები გყავთ... თქვენ არ იცით ჩვენს ინსტიტუტში რამხელა პროგრამა მუშაობდა ქართული ოჯახის გასანადგურებლად. ეს პროგრამა დღესაც მუშაობს. ბრძოლა ტრა-



თენგიზ ახმეტელი

დღიციების მიმართ ჯერ კიდევ გრძელდება, რადგან ქართული ოჯახის მოსპობა საქართველოს მოსპობას ნიშნავს და ეს ნიგნიც სწორედ იმით არის მნიშვნელოვანი, რომ შეგვავსენოს რა არის არსებითი, რომელ ტრადიციებს უნდა აგრძელებდნენ და უფროსილდებოდნენ ქართველები, რადგან თუკი ასეთი პროპორცია დაირღვა, თუკი საქართველოში აღარ იარსებებენ ახმეტელების მსგავსი ოჯახები, გადაშენების კატასტროფის წინაშე აღმოვჩნდებით“.

როსტომ ჩხეიძე:

„ქალბატონ მანანას არ დაუნერია ნიგნი გაბაშვილების გვარზე, მაგრამ მას ისეთი ტევადი ნარკვევი აქვს, თუკი დავშლით, ერთ ძალზე კარგ ნიგნს მივიღებთ მრავალმხრივი მოღვაწეობით გამორჩეულ ერთ-ერთ საუკეთესო გვარზე – გაბაშვილზე“.

თემურ ნადარეიშვილი:

„ბატონმა როსტომმა აღნიშნა: თუ გვარის ისტორია მხოლოდ ნათესაურ კავშირზე და ყოფით დეტალებზე იქნება აგებული და არ განზოგადდება, მხოლოდამხოლოდ ჩხირკედლაობას დაემსგავსებაო. ეს განზოგადება საუკეთესოადაა მოცემული ქალბატონი ნათელას ნიგნში.“

ავტორმა საუბრისას საინტერესო მაგალითი მოიტანა: ბოძზე მიჯაჭვული ოდისევსისათვის ის წუთი ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ეს იყო საკუთარ თავში ჩაღრმავების მომენტიო. შესაძლოა ჩვენ სწორედ ასეთი წუთი არ გვქონდა ქართველებს, ამიტომაც არ აღმოვჩნდით მზად თავისუფლებისათვის, ამიტომაც დავუშვიტ ამდენი შეცდომა.

ბატონმა სოსო ჭუმბურიძემ თქვა: ასეთ ნიგნს ვერ დანერ, თუ პატრიოტი არ ხარო, შექსპირის ფრაზისა არ იყოს: „ვინც არ დაჭრილა, იარაღსაც არაფრად აგდებს...“ ქალბატონი ნათელა, თქვენც დაჭრილი ხართ – პატრიოტიზმით. ამიტომაც წერთ ასეთ ნიგნებს.

კიდევ იცით რა არის საინტერესო? ავტორის დედა ახმეტელია. ამიტომ ძალიან სახიფათოა ნათესაურმა კავშირმა არ დააზარალოს ობიექტურობა, თუმცა ნიგნი ამ მხრივაც გამორჩეულია...“

სოსო ჭუმბურიძე:

„არ არსებობს ქალბატონმა ნათელამ ვინმე დაინდოს...“

მაკა ჯოხაძე:

„ეს ნიგნი ძალზე საჭირო და მნიშვნელოვანია. ვფიქრობ, მეტად საინტერესო იქნება საპატრიარქოს რადიოში წარსადგენადაც, სადაც მე ლიტერატურული გადაცემა მიმყავს. როცა ვკითხულობდი, გამახსენდა ქალბატონი მანანა გაბაშვილი, არცთუ შემთხვევით, რადგან ეს გვარიც ასეთივე გამორჩეული იყო მენტალობით, დამოკიდებულებით, ურთიერთობებით...“

გარდა იმისა, რომ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება გენეტიკას, ის სულიერი ახლობლობაც ხელშესახებია, რომელიც შემდეგ ფიზიკაშიც გადადის და უკვე გასაგებია, რატომ შეიძლება ვედარ იცოცხლო დიდხანს, როცა ახლობელი ადამიანი გამოგეცლება გვერდიდან...“

ნიგნი თითქოს ისეა დაწერილი, რომ აქცენტირებული არ არის ოჯახიშვილობა, მაგრამ ძალაუნებურად ხვდები და გრძნობ, რომ არის რაღაც დაუნერელი კანონები ახმეტელთა ტრადიციებში, რომელსაც ამ გვარის ყველა ნევ-

რი ემორჩილება. იცით, მე გამახსენდა ჩემი ბავშვობა ლეჩხუმში, ჩარკვიანების ოჯახში, სადაც ვიდრე ბაბუა არ ასწავდა ჭიქას, სუფრა არ იხსნებოდა. რალაცნაირი, ღვთიური რიტმით ცხოვრობდნენ ეს ოჯახები და ასეთი წესრიგი ძალიან ახლობელია თითოეული ჩვენგანისათვის.

და კიდევ: ნინო დეკანოიძე ამბობდა: ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს ქალბატონი ნათელა, ასე მგონია, ის ასი წლის შემდეგაც ასეთი ცეცხლოვანი იქნებაო. ასეც არის. იცით რატომ? ცამ და დედამინამ შეიძლება გადაიაროს, მაგრამ ისეთი სიყვარული, ამგვარი ოჯახიდან რომ მოსდევს ადამიანს, არ განქარდება. და ეს კარგად ჩანს ამ ნიგნშიც, სადაც, როგორც ძველ კინოქრონიკებში, ისე აისახება ეპოქაც, განათლებაც, ოჯახიშვილობაც, აღზრდაც, სულიერებაც, ურთიერთობებიც... რაც დღეს ასე საჭიროა ჩვენთვის. ამისთვისაც დიდი მადლობა ქალბატონ ნათელას“.

ელისო კალანდარიშვილი:

„ნიგნს რომ გავეცანი, მაშინვე ჩემს თერთმეტი წლის ბიჭს მივეცი წასაკითხად, რათა დაინახოს, რომ ადამიანი მოდის ოჯახიდან, ის არ არის დამოუკიდებელი არსება ფესვის და ნიადაგის გარეშე. მახსენდება ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი“: როცა წინოლა გამოიქცევა ბრძოლის ველიდან, მას ასე შეაფასებენ თანამებრძოლი: „არ ვარგა მაგათი გვარი, უჯიშო, სიცილიანი“. ვაჟაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ თუკი კაცი ღირსეულია, ეს მთელი მისი გვარის ღირსებაა, თუ მოლაღატეა – გვარის სირცხვილი. საგვარეულო არის ის, რამაც ჩვენი ისტორია ჩვენამდე მოიტანა – როცა ადამიანი ხედავს თავის წარსულს და მასზე აგებს მომავალს; როცა ბიბლიური პერსონაჟივით ამბობს: ჩემი ცოცხლობს ჩემი მამა და ჩემში ცოცხლობს ჩემი შვილიო. სწორედ ეს არის უწყვეტობა და როცა ამ სისავსით ცხოვრობ ადამიანი, არასოდეს იგრძნობ თავს ღვთისა და კაცისაგან მიტოვებულად. ამიტომაც, ამ ნიგნს რომ ვკითხულობდი, თავს წარმოვიდგენდი იმ დიდი მუხის ფესვებად, რომელზეც დგას ჩვენი გვარიც და... ისტორიაც“.

თენგიზ ახმეტელი:

„დღესდღეობით ყველაზე ხნიერი ვარ ახმეტელებში და ამ ნიგნის ბევრი პერსონაჟი კარგად მახსოვს. საკვირველია ის, რომ ქალბატონმა ნათელამ შეძლო ყველა ახმეტელი ისეთი დახასიათება, მთლიან წარმოდგენას რომ გვიქმნის პიროვნებაზე.“

ერთი რამ მინდა აღვნიშნო ახმეტელების მისწრაფებაზე განათლებისაკენ: მაგალითად გეტყვით, პაპაჩემს ხუთი შვილი ჰყავდა და ხუთივემ უმაღლესი განათლება მიიღო. ცოდნა ორიენტირი იყო ახმეტელებისათვის ყოველთვის. ამიტომაც ანაგაში ყოველთვის გამორჩეულ ოჯახად ითვლებოდა. პირადად მე ქალბატონი ნათელასთვის მადლობის მეტი არაფერი მეთქმის, ამიტომაც არის, რომ ბევრს ვერაფერს გეუბნებო“.

ნათელა არველაძე:

„მეც მადლობა მინდა გითხრათ ყველას იმისათვის, რომ დღეს აქ მობრძანდით და გამოიმეტეთ ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი – დრო! ჩემი მხრივ კი ერთს გეტყვით კიდევ: ყველაზე სასტიკი სტატიაც კი, რაც გამომიქვეყნებია, მხოლოდ სიყვარულით იყო დაწერილი“.

სერგეი მაქსიმოვი

პეჩორის თავადი

– განცვიფრებული დავრჩი, – განაგრძობს თავადი, – და ეს მაშინდელი განცვიფრება დღემდე მკაფიოდ მახსოვს. ჩემი გამახვილებული ყურადღება მიიპყრო ერთმა ახალგაზრდა კაცმა, რომლის სახე ახლაც დეტალურად, უაღრესი სიცხადით მიდგას თვალწინ. გაჩეჩილი იყო, დაუფარცხენელი, გრძელცხვირა; ფრაკი ეცვა და თეთრი, თუმცა არც ისე სუფთა, დალაქავებული ჟილეტი. მომეჩვენა, რომ ჟილეტს შიგადაშიგ ბურნუთის კვალიც ეტყობოდა (ეს უკანასკნელი ვარაუდი ფალავანდოვმა ხაზგასმით აღნიშნა). მაგიდასთან არ დამჯდარა, ზეზეურად წაიხეშა, თან აქეთ-იქით მიდიმოდიოდა: ხან გრაფთან მივიდოდა, ხანაც – გრაფინიასთან, ხან ერთს ჩასჩურჩულებდა ყურში რაღაცას, ხანაც – მეორეს. ისინიც იცინოდნენ. გრაფინიას რომ სიცილი წასკდებოდა, ველარც ჩერდებოდა. ეს ყურში ჩურჩული და სიცილიკისკისი შემდეგ ჩვენებური არისტოკრატის გაცხოველებული განსჯისა და ვარაუდების საგნად იქცა. ძალიან აინტერესებდათ, თუ ვინ იყო ეს უბოდიშო, მხიარული, დაუდევარი და გულადი ადამიანი. ამ იდუმალებით მოსილი პირით დაინტერესება და მისი საქციელით გაკვირება იმითაც იყო გამოწვეული, რომ პასკევიჩის წინაშე მოხსენებით წარდგომას თვით კავკასიის არმიის გენერალ-ადიუტანტები მღელვარებით ელოდნენ და იქიდან გამოსულებს სხვა გენერლები ამას ეკითხებოდნენ – მთავარსარდალი ამჯერად როგორ გუნებაზე ბრძანდებოა?! ეს ვილაც ვაჟბატონი კი ამ ნადირთან ასე ფამილიარულად იქცეოდა და, – ღმერთო ჩემო, – ყურში სასაცილო რამეებსაც კი ეჩურჩულებოდა. ყველაფერი მყისვე შეიცვალა, როგორც კი გაიგეს, რომ ის რუსი პოეტია! ჩვენთან პოეტს ღვთაებასთან წილნაყარ ხორციელად აღიარებდნენ და, ამიტომაც, ჩვენი არისტოკრატების გულელებში ამ უცნაური ადამიანის მიმართ უკვე მოწინებამ დაისადგურა. მზად იყვნენ, მისთვის შესაფერისი პატივიც მიეგოთ, მაგრამ ამას ყოველივეს ხელს უშლიდა ის ათასგვარი უცნაურობანი თუ ცელქობანი, რომელთა შესახებაც ხმები ძალზე სწრაფად ვრცელდებოდა. პოეტი არად დაგიდევდათ საზოგადოებაში დამკვიდრებულ წესებს და ისე იქცეოდა, როგორც მოეპრიანებოდა.

– ყველაზე უფრო სომხური ბაზარი უყვარდა, ვაჭართა რიგი, ჭუჭყიანი და ხმაურიანი, ვინრო ქუჩები; იმდენად ვინრო, რომ გაიხედავ და, ჭრილა ურმის თვალი აქლემზე გადაკიდებულ საპალნეს ეხახუნება. ქუჩის თავზე, მოპირდაპირე სახლებს შორის, თოკია გაჭიმული და ზედ სარეცხი შრება. ირგვლივ ყურისწამლები გნისია. დუქნები და სახელოსნოები ტროტუარზეა გამოსული და ლამის იქვე, ტროტუარზევე, ინვება მწვადი და ქაბაბი, ღია ცის ქვეშ გამართულ საპარკმახეროებში თათრებს თავს პარსავენ, გვერდით შარვლებს აკერებენ, ქარგავენ... აი, ასეთი ადგი-

ლებიდან მოდიოდა გამაოგნებელი ამბები პუშკინზე: ერთმა საკუთარი თვალთ დაინახა, როგორ მიდიოდა ვილაც თათართან ხელგადახვეული, მეორემ – როგორ მიათრევდა პურით სავეს ტომარას. ერევნის მოედანზე¹ ლამის პერანგზე წამოსხმული ფარავით გამოდიოდა, მსხალს ყიდულობდა და იქვე, ყველას თვალწინ, მოურიდებლად ჭამდა.

– ზოგჯერ თბილისიდან მიემგზავრებოდა ხოლმე და კარგა ხნით რჩებოდა რაევსკისთან,² რომელიც პოლკის ბანაკში ცხოვრობდა. იქიდანაც მსგავსი ამბები ჩამოჰქონდათ. მაგალითად, გენერალი მუნდირებში გამონკეპილ, ერთ რიგში მწყობრად ჩამწკრივებულ ხელქვეითებს ათვალიერებს, ეს კი გვერდითა სადგომიდან ლამის პერანგის ამარა შემოვარდება... არადა, ეს უცნაური ადამიანი, წესით, ყოველი თბილისელის თვალში პატივისცემასა და მონივნებას უნდა იმსახურებდეს – ის ხომ სახალხო პოეტია! მაგრამ არაფრით ამის საშუალებას არ იძლევა – წესებში არ ჯდება! ჩვენში პოეტი დინჯი უნდა იყოს, დარბაისელი, მედიდურობით თვით სწავლულებსაც კი უნდა გადააჭარბოს. პოეტი ძირითადად შინ უნდა იჯდეს. თუ სტუმრად მისვლა მოუხდა, მდუმარებაში უნდა ჩაეფლოს. იგი ვალდებულია, თავის სიტყვას ოქროს ფასი დაადოს, არ ილაპარაკოს ხალხმრავალ ქუჩებსა და მოედნებზე და, საერთოდ, სიტყვა ქარს არ უნდა გაატანოს. მისი ნათქვამი აუცილებლად რაღაც მნიშვნელოვანსა და საგულისხმოს უნდა შეიცავდეს. რაც უფრო მოხდენილი და ლამაზი ფორმით ჩამოაყალიბებს აზრს, მით უფრო მეტ აღიარებასა და დაფასებას მოიპოვებს საზოგადოებაში. სხვათა შორის, თქვენ ასეთი რამეები მუსლიმთა შორის უნდა ნახოთ, მაგალითად, სპარსელებში და, განსაკუთრებით, დღესასწაულებზე, სადაც ღირსსახსენებელ პირებს ეს ათასგვარი უღემციბო* თუ მოღიბი მისაგებად. იქ პოეტებიც სხედან ფეხმორთხმით, სტატუებივით გაქვავებულნი – წარმართული ღმერთები გეგონებათ. თითქოს იოტისოდენადაც კი არ აინტერესებდეთ მათ ცხვირწინ დალაგებული საჩუქრები, თითქოს არაფრად უღირდეთ მათდამი მიძღვნილი ათასგვარი ტკბილეულობა. სხედან გარინდებულნი, ერთ ფიქრს ჩაკვირვებულნი და, რაც არ უნდა მოხდეს, ძარღვს არ გაიტოვებენ. და ასე, გარინდულნი, ფიქრმორეულნი, მოჰკიდებენ ხელს თავ-თავიანთ საჩუქრებს, – ზოგსაც ილღიაში ამოიდებენ, – და შინისაკენ გასწევენ. აქ კი ყველაფერი თავდაყირა დგას! ჩვენი სახალხო პოეტი ერთ ადგილას არ ჩერდება: ხან აღმა აიქროლებს, ხან – დაღმა ჩაიშლივინებს. ყველაფერზე ოხუნჯობს, თვითონაც იცინის და სხვებსაც აციინებს, ამფსონებს ბაზრებში ექებს და, თქვენ წარმოიდგინეთ, პოულობს კიდევაც – დღიურ სამუშაოზე გამოსულ მუშტაიდებს!³ ცოტაც და, ქუჩის ბიჭებთან ოთურმას** გამართავს! პუშკინმა მაშინ თბილისში, – თუ დღეებს ერთმანეთზე გადავაბამთ, – სულ რაღაც ერთი კვირა დაყო, იქაურებს კი მთელი წლის სალაპარაკო და თავსატეხი დაუტოვა. ეს ყველაფერი მე ცხადად და მკაფიოდ მახსოვს!

* უღემციბო – მუსლიმი სწავლული (ღვთისმეტყველი და სამართლის მცოდნე).

** ოთურმა (ართურმა) – ბიჭების თამაშია: ერთი წაიკუზება, მეორე კი ზედ გადაახტება.

გაგრძელება. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №15

ფალავანდოვმა კაპიტან ბოროზდაზე გამოთქმული პუშკინის ეპიგრამაც გაიხსენა⁴ და კაპიტანის დასახსიან-თებლად საჭირო კომენტარებიც მოაყოლა. ჩანს, იფიქრა, რომ ეპიგრამის ადრესატზე არაფერი ვიცოდი. არადა, ამ ეპიგრამამ ბოროზდა საყოველთაოდ ცნობილ პიროვნებად აქცია!

სულ სხვაგვარი შთაბეჭდილება დაუტოვებია თავადზე პოეტის სეხნიას, ალექსანდრე სერგეის ძე გრიბოედოვს, რომელიც თბილისში პუშკინზე ადრე მოხვდა და იქ პოეტ-ზე მეტხანს დაყო.

– მეო, – მეუბნება თავადი, – ახლაც თვალწინ მიდგას მისი ფართო, გადმოკარკლული თვალები. საუბრობდა ჭკვიანურად და ერთობ მიმზიდველად. თბილისის ყველა-ზე ცნობილ და გავლენიან ოჯახებში მას თბილად და გულ-ლიად ხვდებოდნენ. იგი სპარსეთის მისიის მდივანი იყო, ახალი შესრულებული ჰქონდა საგანგებო დავალება – სომხების გადმოსახლება რუსეთში,⁵ დიდი ერმოლოვის⁶ დროს დიპლომატიურ ნაწილში მსახურობდა. მეტი რაღა იყო საჭირო? როდესაც რილევი⁷ დააბატონა, მის ქა-ლადებში გრიბოედოვის წერილიც იპოვეს; ღამით მალუ-ლად აიყვანეს და პეტერბურგში გააქანეს, მაგრამ გრიბო-ედოვმა თავისი უდანაშაულობის დამტკიცება შეძლო, დაბრუნდა და თან მოთხრობები ჩამოიტანა. ჩურჩულით საუბრობდნენ, რომ იგი პეტრე-პავლეს ციხეში, ფიცრე-ბით გადატიხრულ საკანში, იჯდა. გვერდითა საკანში კი ის ურია ჰყავდათ მოთავსებული, რომლის ხელშიც გადიოდა გაერთიანებულ სლავთა სამხრეთის ორგანიზაციისა და ჩრდილოეთის (პეტერბურგის) ფარული საზოგადოების⁸ დამაკავშირებელი მიწერ-მოწერა. ურია ციხეში მალე გა-ფუჭდა და მისმა მოთქმამ და ვაი-ვიშმა მეზობელს თავბე-დი აწყველინა. გრიბოედოვი ყველას ეუბნებოდა, რომ გა-დანყვეტილი ჰქონდა, დაენერა კომედია „ურია საპყრობი-ლში“⁹. ნეტა თუ დანერა?

– ახლობელთა წრეში გრიბოედოვი ხუმრობის კილო-თი ამბობდა: ტექსტის გაგების უნარი რომ ჰქონოდათ და გამჭვირვალე მინიშნებების ნაკითხვა რომ შესძლებო-დათ, ჩაკვირდებოდნენ ჩემს პიესას „ვაი ჭკუისაგან“ და ადვილად მიხვდებოდნენ, შემეძლო თუ არა მონაწილეო-ბის მიღება შეთქმულებაში და ვიყავი თუ არა ამ საქმეში გარეული, ხოლო ჩაცკის სახეში თავისუფლად შეეძლოთ ამოცნოთ საზღვარგარეთიდან დაბრუნებული ლიბერა-ლურად განწყობილი გვარდიელი. გრიბოედოვმა სწრა-ფად შეისწავლა სპარსული ენა და აბას-მირზას¹⁰ წმინდა ფარსულ კილოზე დანერვილი სახობტო ლექსიც მიუძღვნა. ეს ის აბას-მირზაა, რომელმაც ძირითადად ორი რამით გამოიჩინა თავი: ქვეყანას დაუტოვა 24 ძე და 26 ასული და, მართალია, უშედეგოდ და უნაყოფოდ, მაგრამ სცადა კი სპარსეთში ევროპულ განათლების შეტანა და დანერ-ვა. მისი სწორედ ეს უკანასკნელი განზრახვა ნაახალისა გრიბოედოვმა თავისი ლექსით და საპასუხოდ აბას-მირ-ზასგან „ლომისა და მზის“ ორდენი მიიღო.* თბილისში

* თავადის ეს ცნობა არ არის სწორი: „მზისა და ლომის“ მეორე ხარისხის ორდენით გრიბოედოვი სპარსეთიდან რუსეთში სომხების გადმოსახლების ორგანიზებისათვის დააჯილ-დოვეს (ავტორი).

რომ დაბრუნდა, პასკევიჩისაგან ცოლის შერთვის ნებარ-თვა გამოითხოვა. გრიბოედოვს, მისდა საბედნიეროდ, ჭავჭავაძის მზეთუნახავი¹⁰ ერგო. ალექსანდრე ჭავჭავა-ძის ულამაზესი ასული ადრე ერმოლოვის ძმისწულის მი-ერ იყო დანიშნული, მაგრამ მკაცრსა და პირქუშ გენე-რალს მოქმედ ჯარში ცოლიანი ოფიცრები არ უყვარდა და ამიტომაც ეს ქორწინება ჩაშალა. აი, ასე დანარჩუნა ნინო ჭავჭავაძე გრიბოედოვმა, ხოლო როცა ირანში რუსეთის წარმომადგენლად დანიშნა და თეირანში სიკვდილთან შესახვედრად გაემგზავრა, თავისი ახალშერთული მეულ-ლეც თან წაიყვანა.¹¹ გრიბოედოვის დას სურდა, ძმის საფ-ლავიდან ალებული მიწა ჰქონოდა. მე, – გადასახლებაში-ჯილსა და ფინეთში მდგარ ბატალიონში გამყოლები-თურთ გამწესებულს, – გზა მოსკოვის გავლით მედო. ამი-ტომ გრიბოედოვის საფლავის მიწა პარკით თან წავიღე და მოსკოვში მწერლის დას გადავეცი.

იასე ფალავანდოვი ერთ დროს შეთქმულებაში მონაწი-ლეობისათვის მართლაც იყო ხელისუფლების მიერ შერის-ხული და გადასახლებული. ამ შეთქმულებაზე ძალზე ცო-ტა რამაა ცნობილი. არადა, ეს ფაქტი არაა ინტერესს მოკ-ლებული. თვითონ შეთქმული ამის შესახებ ლაპარაკს გა-ურბოდა, რაზეც ადრევე ვიყავი გაფრთხილებული. ერთს არ დაიჩივლებდა იმაზე, რომ უბედო ბედმა ფინეთის გამას-ნორებელ ბატალიონში მოხვედრა არგუნა. ეს ბატალიონი კი ცნობილი იყო უსასტიკესი წესებითა და დისციპლინა-რული სასჯელის მსხვერპლთა სიმრავლით.

ჯერ კიდევ არხანგელსკში მეუბნებოდნენ:

– ამ უბოროტო, სათნო ადამიანმა გადასახლების წლე-ბი ამომანთა მესხიერებიდან და თუ ვინმე თავისი გაუფ-რთხილებლობით ამ საკითხს შეეხება, თავადი უცებ შე-ტოკდება, ადგილიდან წამოვარდება, ნერვიულად ბოლთის ცემას დაიწყებს და შემდეგ ისეთ გაუსაძლის, დამორგუნ-ველ მელანქოლიას მიეცემა, იფიქრებ, ამ ადამიანს სიცოც-ხლის ნიშანწყალი აქვს დაკარგულიო. არც ერთი სიტყვა, არც დაჩივლება, არც ბედისადმი მდურვა, არც არაფერი, თითქოს ფინეთი არცა ყოფილა. არსებობს მხოლოდ დღე-ვანდელი რეალობა, გამორჩეულად საყვარელი პეჩორა და ხსოვნაში ჩაკირული სამშობლო – ძვირფასი, დიდებული და აყვავებული საქართველო!

– მინდვრებში სეირნობა-ხეტილისაგან დაღლილი, მოვძებნი ხოლმე მშრალ ადგილს და ბალახზე წამოვწვები, – მეუბნება ფალავანდოვი, – ამ დროს დაკვირვებით ვათვა-ლიერებ ყვავილებს და ისეთი პანანინა ვარდებიც შემინიშ-ნავს, ძლივს რომ ჩანს და ბალახის ძირებშია გაბურღული. ერთხელ სხვა ყვავილებსაც წავანყი, რომელთა დანახვა-მაც ჩემი სამშობლო მომაგონა. ესენიც, ეტყობა, ბალახებ-ში იმალებიან, დაუკვირვებელი თვალი ვერც შენიშნავს და ამიტომ ითვლება, რომ არახელსაყრელი ნიადაგისა თუ ცუ-დი კლიმატის გამო ეს სახეობა აქ საერთოდ არ ხარობს. მე-ორე დღეს მათ სანახავად ისევ წავიღე, დავწეკი მიწაზე და იქაურობა საგულდაგულოდ ვათვალიერე, მაგრამ ვეღარ ვიპოვე – ისე გამქრალიყვენენ, თითქოს არც არასოდეს ყო-ფილანო. ჩანს, ბუნებას მათთვის ერთი დღის, – ანდა სუ-ლაც რამდენიმე საათის, – სიცოცხლე აქვს მინიჭებული. და თავი უბედნიერეს ადამიანად ვიგრძენი, რომ ის სანუკ-ვარი წამი დავიჭირე. პეჩორასაც და საქართველოსაც ერ-

თი მზე ათობს... სულ ტყუილად ამბობენ: აქაურთათვის ბუნება დედა კი არა, ავი დედინაცვალიაო, სულ ტყუილად უწოდებენ აქაურობას ღვთისაგან მოძულეებულსა და მიტოვებულს.

ამას ყველაფერს გატაცებით მიყვება ფალავანდოვი, მოხუცებულობის ჟამს ამ შორეულ, უპოვართა ქვეყანაში გადმოვარდნილი, მსხვერპლი სულ სხვა, სიჭაბუკისდროინდელი, გატაცებისა. ხოლო სიჭაბუკე მოუხელთებელი წამივით გაქრა და მისით ტკობა თავადს ბედმა არ დააცალა.

1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით საჯაროდ ცხადდებოდა:

„არა აღორძინებისათვის ძალთა, არა ნივთათათვის, არა განვრცელებისათვის საზღვართა, და ესრეთცა უკვე ვრცელისა ქვეყანასა ზედა იმპერიასა შინა, მივიღებთ ჩვენთვის ზედა ტვირთსა საქართველოს სამეფოსა მართებულობისასა.

მხოლოდ პატივი და კაცობრიობა სდებენ ჩვენზედა საღმრთოსა ვალსა. მსმენმან ვნებულთა ვედრებისა განსადვენელად შეჭირვებათა მათთა, დავანესო საქართველოსა შინა მმართველობა, რომელსაცა ეძლოსცა დამყარება მართლმსაჯულებისა, ნივთისა და საქონლისა უშიშროებისა, და მიცემად თვითოეულისა დაცვა სჯულისა“.

ეს იყო იმპერატორ ალექსანდრე I-ის¹² პასუხი საქართველოს სწეული და დაძაბუნებული მეფის, გიორგის, მიერ რუსეთში გაგზავნილ ელჩობაზე (ერთ-ერთი წევრი ელჩობისა, ელიაზარ ფალავანდოვი,¹³ იასეს ბიძა იყო). არ ყოფილა არავითარი მიზანი საქართველოს დაპყრობისა – იყო მხოლოდ მხარდაჭერის სურვილი და მზადყოფნა დახმარებისა იმ ქვეყნისადმი, რომლის მატერიალური და ადამიანური რესურსები, არსებითად, ამონურული იყო და რომელსაც არყევდა როგორც შინააშლილობებით გამოწვეული ანარქია, ისე გარეშე მტერთა განუწყვეტელი თარეში. თითქოს გაჩნდა შესაძლებლობა, რომ რაღაც უცნაურ, აწვნილ, ათასი მოულოდნელობით აღსავსე და ამ მხრივ უმაგალითო საქართველოს ისტორიას სასიკეთო მიმართულებით შეეცვალა დინება და ქვეყნის ცხოვრება მშვიდობიანი, გააზრებული კალაპოტით წარმართულიყო. დაბალი ფენები ერთსულონად გამოხატავდნენ ნდობასა და კეთილგანწყობას რუსეთისადმი, ესწრაფოდნენ მის ქვეშევრდომობას და იმედი ჰქონდათ, ამ გზით გათავისუფლდებოდნენ ანგარებიანი და უზომოდ მფლანგველი ბატონიშვილებისა და დედოფლების უღლისაგან. მაგრამ მათი ეს იმედი და სასოება არ გამართლდა.



მხატვარი კარლო ჭაჭავაძე

ალექსანდრე ბატონიშვილი¹⁴ მხარდაჭერის მოპოვების იმედით სპარსეთში გაიქცა. მას, ერთი მხრივ, ტახტზე ასვლა სურდა და, ამასთანავე, რუსებთან საერთო ენის გამოწინაგასაც ცდილობდა. სხვა ბატონიშვილებმა, რომლებიც საკუთარ სარგებელს ისედაც სახელმწიფოს ინტერესებზე მაღლა აყენებდნენ, რუსული მმართველობისა და ბნელ საქმეებში თავიანთი თანამოაზრეების მიმართ თვალთმაქცურ პოლიტიკას მიჰყვეს ხელი. 1800 წლისათვის ყველა ეს ბატონიშვილი (მამაკაცებიცა და ქალებიც), აგრეთვე, დედოფლები, სულ 73 პირამდე დაითვლებოდა. დედოფლები, – დარია¹⁵ და მარიამი,¹⁶ – გავლენიანი დაჯგუფებების ინტერესებს გამოხატავდნენ. სწორედ ისინი ხელმძღვანელობდნენ შფოთს, არეულობებსა და ათასგვარ ინტრიგებს, ხოლო ერთ-ერთმა მათგანმა ისიც კი იკისრა, რომ ვერაგულად მოკლა რუსი გენერალი ლაზარევი.¹⁷

მრავალრიცხოვანი შთამომავლობითი თავადობა ორპარტიად გაითიშა:

ერთ ნაწილს ზღვარდაუდებელი ძალადობითა და ძარცვა-გლეჯით გაჰქონდა თავი, მაგალითად, მანაველები. ესენი ყოველდღე მთებში დარბოდნენ და იქიდან გზას გასცქეროდნენ – ეგებ ალექსანდრე ბატონიშვილი გამოჩნდეს მრავალრიცხოვანი ლაშქრითო; ამასთანავე, ლეკებსაც აქეზებდნენ ძარცვა-თარეშისაკენ და ამით სურდათ, ხალხისთვის რუს მფარველთა უძლურება ეჩვენებინათ; იმავედროულად, კახეთის მოსახლეობაში შფოთსა და უკმაყოფილებასაც თესავდნენ.

მეორე ნაწილი თავადობისა, – ფლობდა რა მთელ რიგს სოფლებისას და აქედან გვარიან შემოსავალსაც იღებდა, – მშვიდი და უდრტინველი ცხოვრებით ცხოვრობდა.

საუბედუროდ, ვერც რუსი მმართველები აღმოჩნდნენ მოწოდების სიმალეზე. 1803 წელს თავადმა ციციანოვმა¹⁸ აღმოაჩინა მმართველობის ისეთი სავალალო შედეგები, რომლებიც პირდაპირ უკმაყოფილო ქართველი თავადების ნისქვილზე ასხამდა წყალს და, შესაბამისად, მოსახლეობაშიც მტრულ განწყობილებას აღძრავდა რუსეთისა და რუსული მმართველობის წინააღმდეგ. კოვალენსკიმ¹⁹ და კომპანიამ მინიჭებული რწმუნება და მათს ხელთ არსებული ძალაუფლება მხოლოდ იმისათვის გამოიყენეს, რომ თვითონაც გამდიდრებულიყვნენ და ნათესავებისა და თანამზრახველების გაზრდილი მადაც დაეკმაყოფილებინათ. კოვალენსკიმ მიიტაცა ყველაფერი, რაზეც კი ხელი მიუწვდა: ქართველთა მიწები, ხაზინის ფული... იგი განურჩევლად ძარცვავდა და ფცქვნიდა ყველას და ყველაფერს: სა-

კუთარ არმის, რეჟიმით უკმაყოფილო თავადებს... საგულისხმოა, რომ ეს ადამიანი მმართველობიდან გაძევების შემდეგაც ბოროტად იყენებდა ძველ კავშირებს და ამისი აღკვეთა ვერ შეძლო თვით ციციანოვმაც კი.

მანიფესტით აღთქმული სიკეთე გაცრუვდა. თავადებმა, რომლებიც საქართველოს რუსეთთან შეერთებაში მონაწილეობდნენ და ცუდი შედეგებისათვის საკუთარი თავით უნდა ეგოთ პასუხი, ვერც ჯილდოები მიიღეს და ის პატივი და შემოსავალიც დაკარგეს, მანამდე რომ ჰქონდათ მოპოვებული. ამ დროს კი რუსეთის არა ერთმა და ორმა აშკარა მტერმა არა მარტო მალა პატივისა და ჯილდოებს, არამედ დიდ-დიდ ჯვამაგირებსაც გამოჰკრა ხელი.

უკმაყოფილოთა და შეურაცხყოფილთა რიგებში აღმორჩნდნენ ფალავანდიშვილებიც, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საქართველოს რუსეთთან შეერთების საქმეში და მათი უმრავლესობა რუსეთისადმი ერთგულებითაც გამოირჩეოდა. აი, ამ წრეში, – ვიმეორებ, უკმაყოფილოთა და შეურაცხყოფილთა წრეში, – იზრდებოდა ჩვენი თავადი. იგი საკუთარი თვალთ ხედავდა, რომ მანიფესტით დაპირებული პატივის, ტიტულებისა თუ კარგი სამსახურის სანაცვლოდ თავადობამ ის მოიმკო, რომ საარსებო საშუალებაც კი დაკარგა.

ფალავანდოვს გამუდმებით ესმოდა, რომ ნაბრძანები იყო ხელსაყრელი პირობების შექმნა საქართველოს ეკლესიის მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ეპისკოპოსთა ღირსებისა და ავტორიტეტის განმტკიცებისათვის – ქართველი სამღვდელთა ხომ ტაძართა მოვლა-პატრონობა და ღვთისმსახურების აღსრულებაში ისედაც განსაკუთრებული გულმოდგინებით გამოირჩეოდა. ამის სანაცვლოდ, ეკლესიას მამულებიც ჩამოართვეს და გლეხებიც. გლეხობას 12 წლით ბეგრისაგან გათავისუფლებას შეჰპირდნენ, მაგრამ არც ეს დაპირება შესრულდა. ვრცელდებოდა ხმები დაუჯერებელი აღვირახსნილობის, ადგილობრივ წეს-ჩვეულებათა აბუჩად აგდების, ადამიანური ღირსების უარყოფელი გამობრძნების შესახებ, რასაც საშოვარზე გამოსული და მმართველობის მიერ აქ ჩამოთესლებული ათასი ჯურის არამზადა სჩადოდა.

სწორედ უზნეო და ანგაგებიანი ჩინოვნიკების თავაშვებულობა იყო ძირითადი მიზეზი იმისა, რომ რუსული ხელისუფლებით უკმაყოფილება მოსახლეობის მაღალი ფენებიდან თანდათანობით დაბალ ფენებზეც გავრცელდა – მანამდე მშვიდობიან, ცხოვრების უშფოთველი წესის მიმდევარ ფენებზე, როგორცაც დღემდე სავსებით სამართლიანად მიიჩნევიან ბენდიერი საქართველოს მკვიდრნი.

სანამ ჭაბუკი ფალავანდოვი, ჩვეულების თანახმად, უმაღლეს განათლებას ეუფლებოდა, – ჯირითს, გაჭენებული ცხენიდან მიზანში სროლას, ხმლის ტრიალს (რამდენიმე წელიწადს კონსტანტინოპოლშიც იყო არაბული ენის შესასწავლად)²⁰ – მის სამშობლოს სასიკეთო ცვლილებები არ დასტყობია.

1820-იანი წლების დასასრულისათვის ქართველი ბატონიშვილები (საერთოდ, სამეფო ოჯახი) გადაყვანილ იქნენ რუსეთში,²¹ სადაც მათ, შეძლებისდაგვარად, არც პატივი მოჰკლებიათ და არც ჯილდოები. მიუხედავად ამისა, ბევრმა მათგანმა „თვითონ მათი და მათივე სამშობლოს უეჭველი დალუპვისაგან გადარჩენის სანაცვლოდ მაღლიე-

რება კი არ ჩაინერგა გულში, არამედ სიძულელი და დაფარული იმედები; და ეს ყოველივე საბოლოოდ დანაშაულში გადაიზარდა“. ასე წერია 1831 წლის* მოვლენებთან დაკავშირებულ საბრალდებო აქტში.²² სხვათა შორის, იმავე დოკუმენტიდან ირკვევა, რომ პეტერბურგში სასწავლებლად ჩასული ქართველობა, – ქვეყნის ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილი, – კვირა-უქმეებზე „პატივის მისაგებად“ ბატონიშვილებთან, მათ შორის დიმიტრისთან,²³ დადიოდა. ნორედ დიმიტრი ბატონიშვილს გაუჩნდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის განზრახვა. იმავდროულად, – დასახლებული აქტის მიხედვით, – დიმიტრისაგან სავსებით დამოუკიდებლად, ანალოგიურ აზრს დააღდა მოსკოვში მცხოვრები ოქროპირ ბატონიშვილიც.²⁴

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

კომენტარები

1. ერევნის მოედანი – ამჟამად თავისუფლების მოედანი.
2. ნიკოლოზ რაევსკი (1801-1843) – გენერალი, ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის მეთაური, დეკაბრისტებთან დაახლოებული პირი, 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის მონაწილე, პუშკინის ახლო მეგობარი, რუსეთის 1812 წლის სამამულო ომის გმირის, კავალერიის გენერლის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რაევსკის (1771-1829), შვილი.

თბილისში ჩამოსული ა. პუშკინი ფრონტის ხაზზე სწორედ რაევსკის სანახავად წავიდა, დაენია მას ყარსში და არზრუმამდე (ერზურუმამდე) გაჰყვა (ნ. რაევსკის პოლკში მსახურობდა პოეტის უმცროსი ძმა – ლევ პუშკინი).

ნიკოლოზ რაევსკი 1839 წელს გენერალ-ლეიტენანტის ჩინით გავიდა სამხედრო სამსახურიდან, დასახლდა ვორონეჟის გუბერნიაში და იქვე გარდაიცვალა 1843 წელს.

3. მუშტაიდი (სწორი ფორმაა მუჯთაჰიდი) – უმაღლესი შიიტური სასულიერო წრეების წარმომადგენელი. უნდა ვიფიქროთ, აქ მოხრობელს ტერმინოლოგიური აღრევა აქვს დაშვებული და სინამდვილეში იგი „დღიურ სამუშაოზე გამოსულ მუშტაიდეში“ არა მუჯთაჰიდეებს, არამედ ზოგადად შიიტ მუსლიმებს გულისხმობს [სხვათა შორის, თბილისის მუშტაიდის ცნობილი ბალი შაჰის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის სამშობლოდან დევნილი და საქართველოში გამოხიზნული მუჯთაჰიდის ფეთე-ალა-სეიდ თავრიზელის მიერაა გაშენებული 1830-იან წლებში. 1845 წელს შაჰის მიერ შეწყალებული ფეთე-ალა სეიდი ირანში დაბრუნდა და იქ (თავრიზში) გარდაიცვალა 1892 წელს.

4. კაპიტან ბოროზდაზე გამოთქმული ეპიგრამის („Накази, святой угодник,/ Капитана Борозды,/ Разлюбил он, греховодник...“) ავტორის ვინაობა ეჭვმიუტანლად დადგენილი არ არის და ალექსანდრე პუშკინს ეს ეპიგრამა მხოლოდ მიეწერება.

5. რუსეთ-ირანის 1826-1828 წწ. ომი 1828 წლის 10 თებერვალს თურქმანჩაის ზავით დამთავრდა. საზავო შეთანხმებით, რუსეთმა მონინალმდეგეს წაართვა და თვითონ შემოიერთა ერევნისა და ნახიჩევანის სახანოები. ზავის პირობებში ისიც შედიოდა, რომ დამარცხებულ მხარეს ხელი არ უნდა შეეშალა სომხების გადმოსახლებისათვის ირანიდან რუსების მიერ წიით მოპოვებულ ტერიტორიაზე. თურქმანჩაის საზავო შეხვედრისა და შეთანხმების ერთ-ერთი ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი იყო ალექსანდრე გრიბოედოვი, რომელმაც შემდეგ ერევან-ნახიჩევანში სომეხთა მასობრივი გადმოსახლების ორგანიზებასაც უხელმძღვანელა.

* უნდა იყოს: 1832 წლის.

6. ალექსი პეტრეს ძე ერმოლოვი (1777-1861) – ინფანტერიისა და არტილერიის გენერალი, მნიშვნელოვანი ფიგურა ნაპოლეონის წინააღმდეგ რუსეთის 1812 წლის სამამულო ომში, საქართველოს მთავარმართებელი 1816-1827 წლებში, ხოლო 1816-1826 წლებში – კავკასიის ცალკე კორპუსის მთავარსარდალი (ორივე თანამდებობაზე ი. პასკევიჩმა შეცვალა). დეკაბრისტებთან (პატი შორის, დასჯილ-ჩამოქვეითებულ და კავკასიაში გადმოსახლებულ დეკაბრისტებთან) მეგობრული და კეთილმოსურნე ურთიერთობის გამო მას არ ენდობოდა ნიკოლოზ I. ძირითადად სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ იმპერატორმა ა. ერმოლოვი გადააყენა ჯერ მთავარსარდალობიდან, შემდეგ – მთავარმართებლობიდან (1827 წლის 27 მარტს გაიხვია კავკასიიდან და საერთოდ ჩამოაშორა სამხედრო სამსახურს).

საქართველოს მართვისას ა. ერმოლოვი გამოირჩეოდა განსაკუთრებული სისასტიკითა და ჩვენი ქვეყნის რუსიფიკაციის უკიდურესი ძალადობრივი მეთოდებით. მისი სახელმძღვანელო პრინციპი იყო: „არ იარსებებს საქართველო და აღარც კავკასიის პრობლემა იარსებებს“. თეიმურაზ ბატონიშვილის დახასიათებით, ა. ერმოლოვი „არა იყო უგუნურ, არამედ იყო ქუეგან მხედველ, ქუეხუდან, მცბიერ და ფიცხელ“. ქართველებზე ა. ერმოლოვის შეხედულება მკაფიოდ ჩანს იმ წერილში, რომელიც მან თავისი მთავარმართებლობის დროს მისწერა კავკასიის მომავალ მეფისნაცვალს მიხეილ ვორონცოვს: „ეს ხალხი ღირსი არ არის ალექსანდრე I-ის სათნო მმართველობისა. მას რკინის კვერთხი ესაჭიროება. სხვა აქაური ხალხები უკეთესები არიან. მათ შეგნებული მაინც აქვთ თავიანთი უმეტრება და ადამიანობაზე პრეტენზიაც არა აქვთ... მე თანდათან ვრწმუნდები, რომ უდიდესი გმირობაა საჭირო, იღვწოდე ისეთი ხალხის სასარგებლოდ, რომლის დამახასიათებელი თვისებაა უმადურობა, რომელსაც რუსეთისადმი მიკუთვნება ბედნიერებად არ მიაჩნია, მრავალჯერ უღალატნია რუსეთისათვის და მზადაა, კიდევ არაერთხელ უღალატოს მას“, ხოლო 1819-1820 წლების იმერეთის აჯანყებით აღშფოთებული ა. ერმოლოვი თავის ერთ მეგობარს სწერდა: „აქაური მეფეებისა და მთავრების მთელი ჯილბაგი ერთ ცოფიან ძალადაც კი არა ღირსო“.

7. კონდრატი თედორეს ძე რილევი (1795-1826) – რუსი პოეტი, დეკაბრისტთა ერთ-ერთი იდეოლოგი და მეთაური, რის გამოც სიკვდილით დასაჯეს (1826 წლის 13 ივლისს პეტერბურგში, პეტრე-პავლეს ციხის ეზოში, ჩამოახრჩვეს). სიკვდილის დღეს მან ცოლის სახელზე დაწერა წერილი, რომელიც ასე იწყება: „ღმერთმა და ხელმწიფემ ასე განსაზღვრეს ჩემი ხვედრი: მე უნდა მოვკვდე, და უნდა მოვკვდე სამარცხვინო სიკვდილით“, შემდეგ კი წერილში გადმოცემულია სიკვდილს შეგუებული კაცის აღსარება და თხოვნა პატიების შესახებ იმ პირთა მიმართ, ვისთვისაც სიკვდილმისჯილს ოდესმე რაიმე წყენა თუ ტკივილი მიუყენებია. კ. რილევის წერილმა ციხის კედლებს გამოაღწია და მთელს რუსეთში გავრცელდა. იგი ფარულად ვრცელდებოდა პეტერბურგის უნივერსიტეტშიც, სადაც ერთ-ერთი სტუდენტი-საგან (ვინმე კრუპსკისაგან) გადაუწერია და შემდეგ შეუნახავს სოლომონ დოდაშვილს. 1832 წლის შეთქმულების ჩავარდნის შემდეგ კ. რილევის ეს წერილი დაპატიმრებული ს. დოდაშვილის ქალღმერთმა აღმოაჩინეს, თუმცა გამოძიებლებს ამ სამხილზე საგანგებო ყურადღება არ გაუმახვილებიათ.

კ. რილევი ავტორია პოემისა – „ნალივაიკო“, რომელიც ეძღვნება XVI საუკუნეში ანტიფეოდალური სულისკვეთებისა და მართლმადიდებლობის დასაცავად უკრაინელ კაზაკთა მიერ მოწყობილი აჯანყების ბელადს სევერინ ნალივაიკოს (აჯანყების მიზანმა ნალივაიკო სამკვდრო-სასიცოცხლოდ დააპირისპირა პოლონეთის მეფესთან, სიგიზმუნდ III-სთან. პოლონეთის არმიით გარშემორტყმული ნალივაიკო საკუთარი ტყავის გადარჩენის მიზნით მისმავე თანამებრძოლებმა გასცეს – მტერს ჩააბარეს. დატყვევებული მებრძოლები პოლონელებმა ჩაიყვანეს ვარშავაში, სადაც ორწლიანი ტყვეობისა და

ნაშების შემდეგ 1597 წლის 11 აპრილს თავი მოჰკვეთეს). კ. რილევის „ნალივაიკოს“ ფრაგმენტი (ნალივაიკოს აღსარება, რომელშიც გადმოცემულია გმირის დაუოკებელი სწრაფვა სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისაკენ) 1831 წელს ქართულ ენაზე გადმოაკეთა გრიგოლ ორბელიანმა (კ. რილევის, როგორც აკრძალული ავტორის, კვალის დაფარვის მიზნითა და გიორგი ერისთავის რჩევით, მთარგმნელ-გადმომკეთებელმა თხზულებას „გივი ამილახვრის აღსარება“ უწოდა, თუმცა კვალი მაინც არ დაიმაღა და გრ. ორბელიანი იძულებული შეიქნა, შეთქმულების საგამომძიებლო კომისიის წინაშე თავისი „შეცდომა“ არაერთხელ მოენიებინა: „მე ვგრძნობ ჩემს დანაშაულს, რომ გადავთარგმნე აკრძალული ლექსი... ღრმად ვგრძნობ მთელ ჩემ დანაშაულსა და შეცდომას იმაში, რომ მე არ უნდა გადმომეთარგმნა ნალივაიკოს ლექსი და სხვებიც არ უნდა დამეწერნა, თუმცა ისინი თარგმნილი და დაწერილია არა იმ მიზნით, რათა შეთქმულება გამეღვივებინა...“ და ა. შ.).

8. გაერთიანებულ სლავთა სამხრეთისა [უკრაინის – თ. ჯ.] და ჩრდილოეთის (პეტერბურგის) ფარული საზოგადოებები – დეკაბრისტთა ორი ძირითადი ორგანიზაცია, რომელთაც ხელმძღვანელობდნენ: პირველს პავლე პესტელი (1793-1826; ჩამოახრჩვეს პეტერბურგში, პეტრე-პავლეს ციხის ეზოში), ხოლო მეორეს – ნიკიტა მურავიოვი (1796-1843; მიუსაჯეს სიკვდილი, რაც ოცნლიანი კატორღით შეუცვალეს).

იმპერიაში გაერთიანებული არარუსი ხალხებისადმი განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩეოდა „სამხრეთის ორგანიზაცია“, რომლის მეთაურის პ. პესტელის მიერ შედგენილ საპროგრამო დოკუმენტში (მომავალი კონსტიტუციის ძირითად პრინციპებში) სპეციალური პარაგრაფი აქვს დათმობილი კავკასიის ხალხებს და ამ პარაგრაფში „კავკასიის პრობლემა“ ასეა „მოგვარებული“: „კავკასიის ხალხთა საცხოვრისი ძველთაგანვე ცნობილია, როგორც კურთხეული მხარე... დღეს იგი გაპარტახებულია და არავისთვის არავითარი სარგებლობა არ მოაქვს, რადგან ეს ყოვლადმშვენიერი ქვეყანა ნახევრად ველურ ხალხებს აქვთ მისაკუთრებული... კავკასიის მდებარეობას რუსეთისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სამხრეთ აზიასთან ენერგიული და უაღრესად სარგისანი საეჭირო ურთიერთობისათვის და, მაშასადამე, სახელმწიფოს გამდიდრებისათვის. ეს შესაძლებლობა კი სავსებით იკარგება იმის გამო, რომ კავკასიის ხალხები არა მარტო სახიფათო და მოუსვენარი მეზობლები არიან, არამედ გაუტანელი და უფარგისი მოკავშირეებიც... დროებით უმაღლეს მმართველობას ნება ეძლევა: ...დაყოს კავკასიის ხალხები ორ ჯგუფად – მშვიდობიანებად და შფოთიანებად. პირველნი დატოვოს თავისსავე საცხოვრისში და დაუმყაროს მათ რუსული მმართველობა და წყობილება, ხოლო მეორენი ძალდატანებით გადაასახლოს შიდა რუსეთში და იქ ცალკეულ ვოლოსტებში მიმოფანტოს... შეიყვანოს კავკასიაში რუსი მოსახლეობა და დაურიგოს იქიდან გასახლებულთა მიწები. ამ საშუალებით კავკასიაში ნაშალოს ყოველგვარი ნიშანწყალი ახლანდელი მკვიდროს მოსახლეობისა და გადააქციოს ეს მხარე წყნარ და კეთილმონოხლო რუსულ ოლქად“.

9. აბას-მირზა (1789-1833) – ირანის შაჰის (ფათალი-შაჰის) მემკვიდრე და ქვეყნის ფაქტობრივი მმართველი. ძირითად მიზნად დასახული ჰქონდა, ამიერკავკასიიდან რუსების ფეხი ამოეკვეთა, მაგრამ რუსეთთან მისი მრავალწლიანი ბრძოლა 1828 წლის 10 თებერვლის თურქმანჩაის კაპიტულაციური ზავით დასრულდა.

კავკასიის მეფისნაცვლის ნიკოლოზ მურავიოვ-ყარსელის (1854-1856) ცნობით, აბას-მირზას ნინო ჭავჭავაძის მოტაცება ჰქონია განზრახული.

10. ნინო ალექსანდრეს ას. ჭავჭავაძე (1812-1857) – ალექსანდრე გრიბოედოვის მეუღლე (ჯვარი დაინერეს 1828 წლის 22 აგვისტოს, თბილისის სიონის ტაძარში). ნინო 17 წლისა დაქვრივ-

და და, მიუხედავად იმისა, რომ მომჯადოებელი სილამაზით განთქმულს გარს მუდამ თაყვანისმცემლები ესვია (მათ შორის გრიგოლ და ზაქარია ორბელიანები და სხვ.), გათხოვებაზე არ უფიქრია. გარდაიცვალა 1857 წლის 28 ივნისს, თბილისში, ქოლერით. დაკრძალულია მთანმინდაზე, მეუღლის გვერდით. იტალიელი სკულპტორის ს. კამპიონის მიერ შესრულებულ საფლავის ძეგლზე ამოკვეთილია სიტყვები, რომლებშიც ნინო ჭავჭავაძის მძაფრი და გაუხუნარი სიყვარულის განცდაა გამოხატული: „Ум и дела твои бессмертны в памяти русской, но для чего пережила тебя, любовь моя? Незабвенная его Нина“.

იასე ფალავანდიშვილის ცნობა, რომ ნინო ჭავჭავაძე გენერალ ა. ერმოლოვის ძმისწულზე იყო დანიშნული, ეს ქორწინება გენერალმა ჩაშალა და ნინო მხოლოდ ამის შემდეგ გათხოვდა გრიბოედოვზე, ჩვენ სხვა წყაროებში არ შეგხვდვართ.

11. „თეირანში სიკვდილთან შესახვედრად“ გამგზავრებულია გრიბოედოვმა ფენსძიმე მეუღლე გზის სიმძიმის გამო თავრიზში დატოვა. იქიდან ნინო ჭავჭავაძე თბილისში დაბრუნდა და აქ შემთხვევით გაიგო მეუღლის დაღუპვის ამბავი, რამაც წაადრევი მშობიარობა და ჩვილის დაღუპვა გამოიწვია.

12. ალექსანდრე I (1777-1825) – რუსეთის იმპერატორი (1801-1825). ტახტზე ავიდა სასახლის კარზე დაგეგმილი და განხორციელებული გადატრიალების შემდეგ (მამამისი – პავლე I – შეთქმულმა ოფიცრებმა მოკლეს 1801 წლის 11 მარტს). 1820-იან წლებში ალექსანდრე I მისტიციზმმა გაიტაცა, რამაც წარმოშვა ლეგენდა, რომლის მიხედვითაც იმპერატორი მართლაც 1825 წელს კი არ მოკვდა, არამედ ტახტი დატოვა, ბერად აღიკვეცა და დარჩენილი სიცოცხლე ციმბირში, ერთ-ერთ მონასტერში, გაატარა.

ალექსანდრე I-მა 1801 წლის გაზაფხულზე მიიღო ქართლ-კახეთის ტახტის მემკვიდრის დავით ბატონიშვილის (და არა გიორგი XII-ის, რომელიც ამ დროს უკვე ცოცხალი აღარ იყო) რწმუნებით აღჭურვილი „ელჩობა“. დავით ბატონიშვილის წინადადება თითქმის იმეორებდა უფრო ადრე გიორგი XII-ის მიერ პავლე პირველისათვის შეთავაზებულ „სათხოვართა პუნქტებს“. რუსეთის საიმპერატორო კარზე ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისადმი დამოკიდებულება არ იყო ერთგვაროვანი (მაგალითად, გრაფი ვორონცოვი, გრაფი კონიუბი და სხვ. თვლიდნენ, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს შეეძლო გეორგიევსკის ტრაქტატის ფარგლებში არსებობის შენარჩუნება და ამიტომაც მისი უშუალო დაქვემდებარებაში შემოყვანა არც სამართლიანი იყო და არც რუსეთისათვის სასარგებლო). ალექსანდრე I ყოყმანობდა. მან საკითხის გამოსარკვევად ჯერ გენერალი კნორინგი გამოგზავნა თბილისში (კნორინგს უნდა გამოერკვია: ა) შეეძლო თუ არა საქართველოს დამოუკიდებლად არსებობა; ბ) იყო თუ არა რუსეთთან შეერთების სურვილი საყოველთაო, შემდეგ იმპერატორმა საქმე სახელმწიფო საბჭოს გადასცა განსახილველად და სწორედ სახელმწიფო საბჭოს მიერ მიღებული დასკვნის საფუძველზე გამოსცა 1801 წლის 12 სექტემბრის ცნობილი მანიფესტი, რამაც, თავის მხრივ, როგორც „ელჩობის“ წევრთა, ისე ან უკვე გაუქმებული სამეფო კარისა და ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის უმეტესი ნაწილის მღელვარება გამოიწვია.

13. ელიაზარ იესეს ძე ფალავანდიშვილი (1759-1824) – გიორგი XII-ის მდივანი. იგი გარსევან ჭავჭავაძესა და გიორგი ავაშიშვილთან ერთად შედიოდა ქართველ დიპლომატთა იმ ჯგუფში, რომელმაც რუსეთის იმპერატორს პავლე I-ს გიორგი XII-ის „სათხოვართა პუნქტები“ წარუდგინა. გიორგი XII-ის გადაცელებისა და პავლე I-ის მკვლელობის შემდეგ ე. ფალავანდიშვილი ქართველი თავადაზნაურობის წარმომადგენლებთან ერთად კიდევ ერთხელ იყო პეტერბურგში, სადაც ქართლ-კახეთის ტახტის მემკვიდრის დავით ბატონიშვილის რწმუნებით აღჭურვილია „ელჩობამ“ არსებითად იგივე თხოვნა უკვე რუსეთის ახალ იმპერატორს ალექსანდრე I-ს წარუდგინა.

იმ წყაროების მიხედვით, რომლებსაც ჩვენ ვიცნობთ, ელიაზარ ფალავანდიშვილი ბიძა კი არ გამოდის იასე ფალავანდიშვილისა, არამედ – მოგვარე.

ელიაზარ ფალავანდიშვილი დაკრძალულია თბილისში, ქაშვილის ტაძრის გალავანში.

14. ალექსანდრე ბატონიშვილი (1770-1844) – ერეკლე II-ისა და დარეჯან დედოფლის ძე; მრავალი წლის განმავლობაში დაუცხრომლად იბრძოდა საქართველოში რუსეთის ბატონობის აღმოფხვრისა და ბაგრატიონთა ათასწლოვანი ტახტის აღდგენისათვის. ამ მიზნით ეძებდა მოკავშირეებს ევროპის ქვეყნებში, არ ერიდებოდა ირანის, ოსმალეთის, ჩრდილოკავკასიელი ხალხების სამხედრო დახმარებას, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენამდე მოღწეული წყაროების (განსაკუთრებით, ალექსანდრე ბატონიშვილის მიმოწერის) მიხედვით, იგი არ ჩანს საქართველო-რუსეთის პოლიტიკური კავშირის წინააღმდეგი – ალექსანდრე ბატონიშვილისათვის მისაღები იყო 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის პირობები, ოღონდ იგი ვერ ეგუებოდა საქართველოში სახელმწიფოებრიობის მოსპობას და იბრძოდა იმისათვის, რომ ტრაქტატის პირობებისათვის რეალური ხასიათი და შინაარსი მიეცა.

ალექსანდრე ბატონიშვილი გარდაიცვალა თეირანში, უკიდურეს სიღარიბეში. დაკრძალეს თეირანშივე, შამ-აბდულ-აზიმის უბანში, სომხური ეკლესიის გალავანში.

1832 წლის შეთქმულების მეთაურებს კავშირი ჰქონდათ სპარსეთში გადახვენილ ალექსანდრე ბატონიშვილთან და განწყვეტილი იყო, გამარჯვების შემდეგ იგი საქართველოს მეფედ და სახელმწიფო სამმართველოს ზედა პალატის თავმჯდომარედ მოეწვიათ.

შეთქმულების საგამომძიებლო კომისიისათვის მიცემულ ერთ-ერთ ჩვენებაში ალექსანდრე ორბელიანი აღიარებს: „პირველი წიგნი ბატონიშვილს ალექსანდრესთან რომ მივსწერე მას, წიგნსა შინა იყო ხსენებული ესრეთ, რომ ჩვენი საზოგადოება სთხოვს მას კახეთსა შინა გამოსვლას, ვინაიდგან საზოგადო მსურველნი არიან მის მეფობის და საქართველოს განთავისუფლებისას რუსთაგან, და როდესაც იგი ბატონიშვილი კახეთსა გამოვიდოდა, მაშინ ჩვენი საზოგადოს აზრით მოხდებოდა ვითომც აღრეულობა. და ამ წიგნის პასუხი მის ბატონიშვილისაგან მივიღე ესრეთ, რომ მაშიშენიშვილს არ ვენდობო, ვინაიდგან ჩემს პირისპირ მომკვდარაო (ალ. ორბელიანის მამა – ვახტანგი – რუსების სამსახურში იდგა და 1812 წელს აჯანყებულმა კახელებმა მოკლეს სოფ. ჩუმლაყთან – თ. ჯ.). მაგრამ ამისც კიდევ გენდობო. მე მოვხუცდი და აღარ შემოიძლიანო, და ახლა თქვენმა საზოგადოებამ იცის, როგორც მოიქცევითო. მეორე წიგნი მივიღე მის, ბატონიშვილისაგან ესრეთ, ადრევე თქვენი საზოგადოებისაგან მაგიერთ საკუთრივ შენგნით მივიღე წიგნიო, რომელთაც გსურთ საქართველოს განთავისუფლება, და მპირდებოდით მეფობასაო, მაგრამ თქვენგნით მე ველარა შევიტყუარაო, და აღარა მაცნობეთარაო. მე ამისი პასუხი მივსწერე – ახლა სრულებით მშვიდობიანობა არის მეთქი, და აღარავინ აღარას ფიქრობს, ვინაიდგან პოლიაკები დაითურგუნენ“ (ზოგი ცნობით, ალექსანდრე ბატონიშვილისათვის წერილი თეკლა ბატონიშვილსაც მიუწერია).

1832 წელს ეგვიპტის ფაშამ ალექსანდრე ბატონიშვილს ყაზი-მოლასთან შუამავლობა და რუსების წინააღმდეგ ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა ბრძოლაში მონაწილეობა სთხოვა. ალექსანდრემ ყაზი-მოლასთან გაგზავნილი სამი პირიდან ერთ-ერთს, მთარ ბალა-მაჰმადს, თბილისში ჩასვლა, ალ. ორბელიანთან შეხვედრა და შეთქმულების შესახებ დანწყოილებითი ცნობების მიღება დაავალა, რაც ბალა-მაჰმადამ შესრულა კიდევაც. ასე რომ, ალექსანდრე ბატონიშვილი შეთქმულების საქმის კურსში იყო და გამარჯვების შემთხვევაში, უნდა ვფიქროთ, დათანხმდებოდა შეთქმულთა შეთავაზებას.

15. დარეჯან (დარია) გიორგი დადიანის ასული (დაახლ. 1735-1807) – ქართლ-კახეთის დედოფალი, ერეკლე II-ის მესამე

ცოლი (იქორწინეს 1750 წელს). დარეჯანი 1790-იანი წლებიდან აქტიურად ერეოდა პოლიტიკურ ცხოვრებაში და თავისი გავლენით გიორგი XII-ის გამეფებამდე, ფაქტობრივად, მეორე პირი იყო ქვეყანაში, ხოლო ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გარდაცვალებისა და სამეფო ტახტის გაუქმების შემდეგ იგი ანტირუსული მოძრაობის ცენტრში მოექცა (საქართველოში შექმნილი ვითარების გამოსარაკვევად სპეციალურად გამოგზავნილი მოხელე ა. სოკოლოვი 1802 წელს თბილისიდან პეტერბურგში სწერდა რუსეთის ვიცე-კანცლერს ალექსანდრე კურიაკინს: „საქართველოში უშიშროებისა და სიმშვიდის დამკვიდრებისათვის აუცილებელია, აქედან რუსეთში დაუყოვნებლივ გაიგზავნოს ყველა ბაგრატიონი, რომელთა შორის თავიანთი ინტრიგებით ყველაზე დიდ საშიშროებას ქმნიან დარეჯან დედოფალი და ვახტანგ ბატონიშვილი“).

ალექსანდრე I-ის გადაწყვეტილებითა და მთავარმართებელ პავლე ციციანოვის დაჟინებული მოთხოვნით, დარეჯანი იძულებული გახდა, რუსეთში წასვლას შეეგუებოდა: მუხრანიდან 1803 წლის 25 ოქტომბერს გაყვანილმა მოხუცებულმა და ავადმყოფმა დარეჯან დედოფალმა პეტერბურგში 1804 წლის 17 ივნისს ჩააღწია. უნდა ითქვას, რომ, პ. ციციანოვის დავალებით, რუსეთში წასვლაზე დარეჯანი დაიყოლია საკუთარმა სიძემ – ვახტანგ ორბელიანმა (თუკლა ბატონიშვილის ქმარმა), რომელმაც დედოფალი მოზდოკშიც ჩაიყვანა და დავალების პირნათლად შესრულებისათვის ჯილდოდ პოლკოვნიკის ხარისხი და დიდი ჯამაგირიც მიიღო.

პეტერბურგში ჩასული დარეჯანი იმპერატორმა ალექსანდრე I-მა დიდი ზარ-ზეიმით მიიღო და სარწო-საბადებელიც გაუწინა, თუმცა ავადმყოფმა, ქვეყნისა და შვილების დარდით შეჭირვებულმა დედოფალმა დიდხანს ვერ გაუძლო „საპატიო ტყვეობას“ – 1807 წლის 8 ნოემბერს პეტერბურგშივე გარდაიცვალა. ალექსანდრე I-ის უშუალო თაოსნობით დარეჯანი დედოფლის საკადრისი პატივით დაკრძალეს ალექსანდრე ნეველის ლავრაში, ხარების ეკლესიაში (დაკრძალვას თვითონ იმპერატორიც ესწრებოდა ამალითა და მრავალრიცხოვანი ჯარით).

16. მარიამ გიორგი ციციშვილის ასული (1768-1850) – გიორგი XII-ის მეუღლე (14 წლის მარიამმა და დაქვრივებულმა გიორგიმ 1782 წელს იქორწინეს ერეკლე II-ის კურთხევით).

მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ ქართლ-კახეთის სამეფო ოჯახის რუსეთში გადასახლების გადაწყვეტილება მიიღო, დაქვრივებულმა და მფარველობას მოკლებულმა დედოფალმა რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრს წერილით მიმართა და გადასახლების თუნდაც სამი წლით გადავადება ითხოვა, „რათა სწეულება და ძუძუს მწონელობა შვილთა ჩემთა დაადგეს ერთსა მტკიცესა ჰაზრსა ანუ სიკვდილსა და ანუ სიცოცხლესა ზედა და მაშინ იყავნ ნებისამებრ თქუენისა“. ამასობაში კავკასიის მთავარმართებელს პავლე ციციანოვს აცნობეს, დედოფალი ხევსურეთში გაპარვას აპირებდეს, რის გამოც ციციანოვმა საქართველოში რუსული ჯარების უფროსს, გენერალ ივანე ლაზარევს მარიამის გადასახლების დაჩქარება მოსთხოვა. 1803 წლის 19 აპრილს, დილაადრიან, მარიამ დედოფლის საძინებელ ოთახში დატრიალდა დრამა, რომელიც ლაზარევის სიკვდილით დასრულდა (იხ. მომდევნო კომენტარი).

დაჭრილი და ჯარით გარშემორტყმული მარიამ დედოფალი სასწრაფოდ გაიყვანეს თბილისიდან და რუსეთის გზას გაუყენეს – გადასახლეს კურსკის გუბერნიაში და იქ ბელგოროდის დედათა მონასტერში გამოკეტეს (თავიდან ბელგოროდშივე იყვნენ მარიამთან ერთად გადასახლებული მისი შვილები: ჯობილო, ილია, ოქროპირ, ირაკლი, თამარ და ანა ბატონიშვილები).

1811 წლიდან მარიამი მოსკოვში ცხოვრობდა. 1849 წელს იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა მას საქართველოში დაბრუნების ნება მისცა, თუმცა ქართლ-კახეთის უკანასკნელი დედოფალი მანც ვერ ელირსა სამშობლოს ხილვას – 1850 წლის 30 მარტს მოსკოვშივე გარდაიცვალა. მარიამის ცხედარი საქართველოში ჩამოასვენეს და კავკასიის მეფისნაცვლის მიხეილ ვორონ-

ცოვის ინიციატივით 1850 წლის 18 ივნისს დედოფლის საკადრისი პატივით დაკრძალეს სვეტიცხოვლის ტაძარში, მეუღლის გვერდით.

17. ივანე ლაზარევის მკვლელობა მოხდა თბილისში, როგორც ზემოთ ითქვა, 1803 წლის 19 აპრილს, როდესაც გენერალი ციციანოვი, საწოლი ოთახიდან ძალდატანებით გამოეყვანა რუსეთში გადასახლებამისჯილი მარიამ დედოფალი.

არსებობს ლაზარევის მკვლელობის რამდენიმე ვერსია: ოფიციალური (გენერალი ხანჯლით მოკლა თვითონ მარიამ დედოფალმა) და არაოფიციალური (გენერალი მოკლა ნიკოლოზ ხიმშიაშვილმა, რომელიც ამის შემდეგ თბილისიდან გაიქცა და ახალციხეს შეაფარა თავი, სადაც მოკვდა 1807 წელს, ხოლო სიკვდილის წინ დაბეჯითებით თქვა – ლაზარევი მე მოვკალიო. პლატონ იოსელიანის ცნობით, ნიკოლოზ ხიმშიაშვილის მიერ ლაზარევის მოკვლის ამბავი მისთვის თვითონ მარიამ დედოფალს უამბნია (უნდა ვიფიქროთ, მოსკოვში, სადაც მარიამი ცხოვრობდა 1811 წლიდან). ამ ვერსიას იმეორებენ ნინო გიორგი XII-ის ასული, არქიეპისკოპოსი პაფნუტი, ალ. ორბელიანი და სხვ.; განსხვავებულ ცნობას იძლევა თავის „მემუარებში“ დიმი. ყიფიანი: „ხალხში კი ხმა გავრცელდა, რომ ლაზარევი მოკლეს იოსებ ყორღანოვმა, დედოფლის პირადმა მდივანმა. მაგრამ ეს მკვლელობა დედოფალმა თავის თავზე მიიღო“. ამასთანავე, ხალხში ლაზარევის მკვლელობის კიდევ ერთი ვერსია იყო გავრცელებული, რომლის მიხედვითაც, მოძალადე გენერალი ხანჯლით მარიამის ვაჟმა, ჯიბრაილ ბატონიშვილმა, მოკლა. თამარ და აკაკი პაპაევები საკითხის გარშემო არსებული წყაროებისა და ლიტერატურის შეჯგურებით დაასკვნიან, რომ უფრო სარწმუნოა ოფიციალური ვერსია, ანუ ლაზარევი მარიამ დედოფლის მიერ იქნა მოკლულიო.

18. პავლე დიმიტრის ძე ციციანოვი (1754-1806) – ინჟანტერიის გენერალი, საქართველოს მთავარმართებელი 1802-1806 წლებში (საქართველოში ჩამოვიდა 1803 წლის დასაწყისში; პ. ციციანოვის პაპა – პაპუნა ზაზას ძე ციციშვილი – ვახტანგ VI-ის ამაღლის წვერი იყო, ასე მოხვდა რუსეთში, სადაც ერთხანს ქართველ ჰუსართა პოლკში იმსახურა და შემდეგ რუსეთშივე დარჩა სამუდამოდ). გადამდგარი და მინსკის გუბერნიაში, საკუთარ მამულში, მცხოვრები პავლე ციციანოვი ალექსანდრე I-მა სამხედრო სამსახურს დაუბრუნა და საქართველოში მთავარმართებლად გამოგზავნა. ქართული წარმოშობის გენერლის მთავარმართებლად დანიშვნა ერთი შეხედვით იყო კეთილი ჟესტი, რომლითაც იმპერატორს ქართველი თავადაზნაურობის გულის მოგება სურდა, თუმცა ალექსანდრე I-მა ჩინებულად იცოდა, რომ გარუსებული ციციანოვი საქართველოში ცეცხლითა და მახვილით გაატარებდა რუსულ პოლიტიკას. მართლაც, წინაპართა სამშობლოში ჩამოსული პ. ციციანოვი ენერგიულად შეუდგა საქართველოს რუსიფიკაციას: მოტყუებით, ფარისევლური ხერხებითა თუ ძალდატანებით რუსეთში სამუდამოდ გაისტუმრა მარიამ დედოფალი, დარეჯან დედოფალი, დავით, ვახტანგ, ფარნაოზ, იულონ ბატონიშვილები... სისხლში ჩაახშო 1804 წლის მთიანეთის აჯანყება („დაუნდობლად ჩეხეთ და აკუნეთ მეამბოხენი, გაანადგურეთ მათი სოფლები. ხელი უნდა აიღოთ ყოველგვარ შეწყალებაზე. მათ ისე უნდა მოექცეთ, როგორც ბოროტმოქმედებსა და ბარბაროსებს“ – აჯანყებული მთიელების განადგურებისაკენ მოუწოდებდა პ. ციციანოვი თავის ხელქვეითებს, მათ შორის ქართველ თავადებს, რომელთა ერთი ნაწილი „წარმატებითა“ და „კეთილსინდისიერებით“ ასრულებდა სარდლის მოწოდებას). ამასთანავე, პ. ციციანოვმა გარკვეული წესრიგი შეიტანა მმართველობის სისტემაში, გაიყვანა ან მოაწესრიგა გზები, დაამყარა საფოსტო კავშირები, აღადგინა აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს განადგურებული სტამბა, თბილისში დააფუძნა კეთილშობილთა სასწავლებელი („აქაური თავადაზნაურობის უკიდურესმა უფიცობამ... მაიძულა, შევედგომოდ საქართველოში განათლების პირველი სხივების შეტანას თუ

მთელი ხალხისათვის არა, თავადაზნაურობისათვის მაინც, რათა თაობა, რომელიც ამჟამად ყრმობის ასაკშია, ეზიაროს იმ ნეტარებას, რომელსაც რუსული მართებლობა უმზადებსო“ – სწერდა ციციანოვი ალექსანდრე I-ს და სხვ.

პაველ ციციანოვმა რუსეთის იმპერიას არაერთი შთაბეჭედავი გამარჯვება მოუპოვა და საზღვრებიც გაუფართოვა – და იმორჩილა ვანჯის, შაქის, ყარაბაღის, შირვანის სახანოები, შურაგელის სასულთნო, ხოლო 1806 წლის 6 თებერვალს ბაქოს მიადგა, პუსეინ-ყული-ხანს შტურმით დაემუქრა და ციხე-ქალაქის გასაღები მოსთხოვა. ხანი დათანხმდა და გასაღების გადასაცემად მრისხანე გენერალი ქალაქის მისადგომთან მიიწვია. პ. ციციანოვმა გაუფრთხილებლობა გამოიჩინა და მტერთან მხოლოდ რუსების დიდად ერთგული ელიზბარ ერისთავის თანხლებით მივიდა. ხანმა ორივე დაახოცინა, რის შემდეგაც პ. ციციანოვს თავი და მკლავი მოაჭრეს და აბას-მირზას გაუგზავნეს, ხოლო ცხედარი იქვე, ქალაქის გარე კედელთან, დაფლეს. რამდენიმე თვის შემდეგ რუსებმა ბაქო მაინც აიღეს და პ. ციციანოვის ცხედარი დამარხეს სომხურ ეკლესიაში, საიდანაც 1811 წელს მთავარმართებელ მარკო პაულუჩის თაოსნობით გენერლის ნეშტი თბილისში ჩამოსვენეს და განსაკუთრებული პატივით სიონის ტაძარში დაკრძალეს.

19. პეტრე ივანეს ძე კოვალენსკი (გარდ. 1817) – რუსეთის წარმომადგენელი (მინისტრი) გიორგი XII-ის კარზე (1799 წლიდან), „საქართველოს მმართველი“ 1802-1803 წლებში. პ. კოვალენსკი იყო საცხებით ამორალური ადამიანი, რომელმაც თავისი საძრახისი ბუნება საქართველოშიც გამოავლინა თავხედობითა და აღვირახსნილობით, მექრთამეობით, ხაზინის ქურდობით, ხალხის ძარცვა-გლეჯითა და ადგილობრივი ნეს-ჩვეულებებისადმი უკიდურესად ცინიკური დამოკიდებულებით. მან მმართველობა თავისი ნათესავებითა და თანამზრახველებით აავსო და ამ წრეში ვერცხლისმოყვარეობას ტოტალური ხასიათი ჰქონდა მიღებული, რამაც, თავის მხრივ, ხალხის მხარის უკმაყოფილება და აღშფოთება გამოიწვია („თქვენ თქვენი უსულგულობითა და ქართველი თავადაზნაურობისადმი უდიერი დამოკიდებულებით ადგილობრივი ხელისუფლება ხალხს იმ ზომამდე შეაძულეთ, რომ მე ვიხილე რუსული მმართველობისადმი აქაურთა შემზარავი დამოკიდებულება“ – სწერდა 1803 წლის 10 თებერვალს პ. ციციანოვი კოვალენსკის).

ახალდანიშნულმა მთავარმართებელმა, პ. ციციანოვმა, მოახერხა, კოვალენსკი ჩამოეშორებინა მმართველობისათვის და 1803 წლის შემოდგომაზე გაესტუმრებინა კიდეც პეტერბურგში, სადაც კოვალენსკი საერთოდ გააძევეს სახელმწიფო სამსახურიდან.

20. ახალციხის გზით ოსმალეთში გაქცეული იასე ფალავანდიშვილი 1826 წლის მაისში მართლაც იმყოფებოდა სტამბოლში (კონსტანტინოპოლში), ოღონდ რა მიზანი ამოძრავებდა მას, როცა ოსმალეთში გარბოდა, ამის გამორკვევა ჯერჯერობით ვერ ხერხდება.

21. ქართლ-კახეთის სამეფო ოჯახის წევრთა რუსეთში „გაყვანა“ უფრო ადრე დასრულდა – ალექსანდრე I-მა ეს საქმე 1801 წელსვე დაიწყო და რამდენიმე წელიწადში საქართველოში უკვე აღარ იყო არც ერთი ბატონიშვილი, რომელსაც ქართლ-კახეთის სამეფოს აღდგენის შემთხვევაში ტახტზე ასვლის პრეტენზია ექნებოდა. უკანასკნელად, რამდენადაც ვიცით, სამშობლოდან „გაყვანის“ სიძნარე იწვინა 1803 წელს სპარსეთში გაქცეულმა და შემდეგ რუსეთის ხელისუფლების მიერ შემორიგებულმა თეიმურაზ ბატონიშვილმა (1782-1846), რომელიც 1810 წლის 16 ოქტომბერს ოჯახითა და ამალით პეტერბურგში „გაისტუმრეს“.

22. „საბრალდებო აქტი“ იგულისხმება შეთქმულების საგამომძიებლო კომისიის ანგარიში (Отчет о действиях комиссии), რომელიც „აქტებშია“ გამოქვეყნებული (ტ. VIII, ც. 397-411).

1832 წლის შეთქმულებასთან დაკავშირებული ყველა ცნობა თუ მონაცემი ს. მაქსიმოვის სწორედ „კავკასიის არქეოგრა-

ფიული კომისიის“ მიერ გამოცემული „აქტებიდან“ აქვს აღებული (Дело о грузинском заговоре, „Акты, собранные Кавказской археографической комиссией“, т. VIII, Тфл., 1881, с. 391-423).

23. დიმიტრი ბატონიშვილი (1803-1845) – იულონ ბატონიშვილის (1760-1816) ძე. 1805 წელს იულონი ცოლშვილიანად გადაასახლეს ტულაში, საიდანაც 1806 წელს ცოლშვილიანადვე გადაიყვანეს პეტერბურგში და, აქედან მოკიდებული, დიმიტრი ბატონიშვილი ცხოვრობდა რუსეთის მაშინდელ დედაქალაქში. პეტერბურგში დიმიტრი ბატონიშვილს ჰქონდა სალონი და ამ სალონში იკრიბებოდა ის ქართველი ახალგაზრდობა, რომელმაც 1825 წლისათვის შეთქმულთა პირველი ჯგუფი ჩამოაყალიბა. თანამედროვენი დიმიტრის ახასიათებდნენ როგორც გულჩათხრობილ, ამასთანავე, ნიჭიერ, უაღრესად განათლებულ პიროვნებასა და შესანიშნავ ორატორს (შეთქმულები მას „ვოლტერს“ უწოდებდნენ. უნდა ითქვას, რომ დიმიტრი ბატონიშვილი მომხრე იყო რუსეთთან პოლიტიკური კავშირისა, ოღონდ გეორგიევსკის ტრაქტატის ფარგლებში).

დიმიტრი ბატონიშვილის შესახებ შეთქმულების მონაწილეები საგამომძიებლო კომისიას უჩვენებენ:

„კვირა-უქმე დღეებში დიმიტრი ბატონიშვილთან თავს იყრიდნენ ახალგაზრდა ქართველები. აქ იმართებოდა მსჯელობა საქართველოზე, – შეუძლიან თუ არა მას, იყოს დამოუკიდებელი, – ხალხის უფლებაზე, ბატონების მიერ გლეხთა შევიწროებაზე და იმ საშუალებებზე, რომლებითაც საქართველოს განთავისუფლება იქნებოდა შესაძლებელი. ამისთვის საუკეთესო საშუალებად ბატონიშვილი განათლებას აღიარებდა, ხოლო საჭირო შემთხვევაში უცხო სახელმწიფოებთან ურთიერთობას აპირებდა; აქებდა ფრანგებს, როგორც თავისუფლების დამცველთა და აძაგებდა რუსებს, განსაკუთრებით კი ქართველებს, რომელთაც ბოშებზე უარეს ხალხს უწოდებდა“ (გიორგი რევაზის ძე ერისთავი).

„[დიმიტრი ბატონიშვილი ამბობდა, რომ] საჭიროა ერთი ჩვენი ბატონიშვილთაგანი დახმარების სათხოვნელად საფრანგეთში წავიდესო, მაგრამ ჩვენ ამას არა ვმერებთ, რადგან საამისო გამბედაობა და საშუალება არა გვაქვსო. საქართველოში ჩემი გამომგზავრების წინ მითხრა დიმიტრი ბატონიშვილმა: შენ მიდიხარ საქართველოში და მე უკვე მოვასწარი, ჩამენერგა შენთვის და სხვებისათვის, რათა ეცადოთ საქართველოს განთავისუფლებას. ეგებ შენ იქ იპოვო ჩვენი აზრის მატარებელი ხალხიო. ჩემი გამხსნელების მიზნით დიმიტრი ბატონიშვილი ხშირად მეკამათებოდა საქართველოზე და მიმტრეცებდა, რომ რუსებს არა აქვთ უფლება საქართველო ჰქონდეთო რომელიღაც მანიფესტის ძალით [იგულისხმება ალექსანდრე I-ის 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტი – თ. ჯ.] მევე მეუბნებოდა: თქვენ, ვინც საქართველოში მიდიხართ, უნდა ეცადოთ, შეადგინოთ საზოგადოება, მიიმხროთ ხალხი, რათა იმოქმედოთ და სამშობლო გაანათავისუფლოთ“ (ელიზბარ ერისთავი).

„ბატონიშვილი დიმიტრი მასთან მისულთ ძალიან ხშირად გვიყვებოდა თავისუფლების შესახებ, განმარტავდა საფრანგეთის კანონებს, მისი მოსახლეობის თავისუფალ ცხოვრებას, მეფის ხელისუფლების შეზღუდულობას და საფრანგეთის ყოველი მოქალაქის უფლებას მეფის არჩევის დროს, და ბოლოს, გვესაუბრებოდა ამგვარი წარმოშობის აჯანყებათა შესახებ“ (დავით ჯორჯაძე) და ა. შ.

დიმიტრი ბატონიშვილის ბრალეულობის საქმე პეტერბურგში სპეციალურად შექმნილმა კომისიამ გამოიძია და, მიუხედავად იმისა, რომ დიმიტრიმ არ აღიარა მისთვის წაყენებული ბრალდება, კომისიამ იგი ოქროპირ ბატონიშვილთან ერთად „ბოროტგანზრახულობის“ ერთ-ერთ მოთავედ ცნო და „დამნაშავეთა“ პირველ კატეგორიას მიაქცია („ისინი, რომლებმაც ბოროტგანზრახულობა დასაბამი მისცეს“). დიმიტრი ბატონიშვილის საქმე მაინც არ მისულა სასამართლომდე – ნიკოლოზ I-ის განკარგულებით მას აპყარეს ბატონიშვი-

მომონებათა სკიპრი

ლის („Царевич“) პატივი და სამი წლით სმოლენსკში გადაასახლეს.

გადასახლებიდან დაბრუნებული დიმიტრი ბატონიშვილი ცხოვრობდა პეტერბურგში და იქვე აღესრულა 1845 წელს. დაკრძალულია ალექსანდრე ნეველის ლავრის წმ. თედორეს ეკლესიაში.

24. ოქროპირ ბატონიშვილი (1795-1857) – გიორგი XII-ის ძე. დედასთან – მარიამ დედოფალთან – და და-ძმებთან ერთად 1803 წელს გადასახლეს ბელგოროდში, საიდანაც რამდენიმე წლის შემდეგ პეტერბურგში გადაიყვანეს და იქ სამხედრო სასწავლებელში მიაბარეს, თუმცა საბოლოოდ ოქროპირმა მაინც არ ისურვა სამხედრო სამსახურში დარჩენა. 1825 წელს, როგორც ეს ზემოთ გვაქვს აღნიშნული (კომენტ. #23), პეტერბურგში დიმიტრი ბატონიშვილმა შეთქმულთა პირველი ჯგუფი ჩამოაყალიბა, ხოლო 1826 წელს, – დიმიტრისაგან დამოუკიდებლად (ყოველ შემთხვევაში, შეთქმულების მასალებში ასე ჩანს), – ოქროპირ ბატონიშვილი ანალოგიური ხასიათისა და მიზანდასახულობის ჯგუფს უკვე მოსკოვშიც აყალიბებს.

1829 წელს ოქროპირ ბატონიშვილი კავკასიის მინერალურ წყლებზე იყო სამკურნალოდ და, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ჩამოსვლა აკრძალული ჰქონდა, გაბედული გადაწყვეტილება მიიღო და იმავე წლის 1 ოქტომბერს მოულოდნელად თბილისში გამოჩნდა. დაბნეულმა ხელისუფლებამ ვითარება აღარ გაამწვავა და ოქროპირს აქ 1830 წლის ივნისის დასაწყისამდე დარჩენის უფლება მისცა. თბილისში ოქროპირზე საიდუმლო თვალთვალი იყო დაწესებული, მაგრამ მან მაინც მოახერხა შეთქმულების ორგანიზებასთან დაკავშირებული შეხვედრები და საუბრები სოლომონ დოდაშვილთან, ალექსანდრე ორბელიანთან, ელიზბარ ერისთავთან... (1832 წლის გაზაფ-

ხულზე მოსკოვიდან თბილისში მომავალ დიმიტრი ერისთავს ოქროპირი ასე არიგებდა: „შენ მიდიხარ საქართველოში. მე იქ უკვე ველაპარაკე სოლომონ დოდაშვილს, შენს ძმას ელიზბარსა და ალექსანდრე ორბელიანს, რათა საქართველოს გასათავისუფლებლად ახალგაზრდების საზოგადოება შეადგინონ. გათხოვ, შენც მიიღო მასში მონაწილეობა“).

რუსეთში დაბრუნებულ ოქროპირ ბატონიშვილს არ გაუწყვეტია კავშირი თავის თბილისელ თანამოაზრეებთან და, ბუნებრივია, შეთქმულების საქმის კურსშიც იყო. შეთქმულების გამომჟღავნებისას ოქროპირი იყო მოსკოვში, საიდანაც გადაიყვანეს პეტერბურგში და იგი იქ კონფიდენციალურად დაკითხა სპეციალურმა საგამომძიებლო კომისიამ. ამის შემდეგ ოქროპირ ბატონიშვილი გადმოიყვანეს თბილისში. ოქროპირმა არ აღიარა შეთქმულებაში მონაწილეობა, თუმცა მაინც მოაქციეს „დამნაშავეთა“ პირველ კატეგორიაში („ისინი, რომლებმაც ბოროტგანზრახულობას დასაბამი მისცეს“), სასამართლოში გადაუცემლად მიუსაჯეს გადასახლება კონსტროპში და იქ 1833 წლის 21 ნოემბერს გაისტუმრეს ყანდარმთა თანხლებით. რამდენიმე წლის შემდეგ ოქროპირი, პატიებული და შენდობილი, ისევ მოსკოვშია, საიდანაც 1850 წელს კიდევ ერთხელ ახერხებს სამშობლოში (თბილისში) ჩამოსვლას (ცხადია, ამჯერად არა „კრამოლური“ მიზნებით).

ოქროპირ ბატონიშვილი გარდაიცვალა 1857 წლის 30 ოქტომბერს, მოსკოვში, იქვეა დაკრძალული (პოკროვის სამონასტრო კომპლექსის წმ. იონა მიტროპოლიტის ეკლესიაში).

**თარგმნა და კომენტარები დაურთო
თამაზ ჯოლობუა**

ეპროპის გზაზე

მანანა გეგეჭკორი

**მედეა საბერძნეთში
დაბრუნდა**



30 საუკუნის შემდეგ

დიახ, არა მხოლოდ დაბრუნდა, არამედ ბერძნული თეატრის სცენაზე ქართულად პირველად ამტყვევებდა. თბილისის თავისუფალ თეატრში რეჟისორ გოჩა კაპანაძის მიერ დადგმული სპექტაკლი „მედეა“, 2007 წლის 27 მაისს, ათენის თეატრ „ილისია დენისის“ სცენაზე წარმოადგინეს.

გასული საუკუნის 70-80-იან წლებში ქართული თეატრის საუკეთესო სპექტაკლებს თითქმის მთელი მსოფლიო იცნობდა. რუსთაველის, მარჯანიშვილის, კინომსახიობთა და სხვა თეატრები ხშირად მართავდნენ ძალზე წარმატებულ გასტროლებს სხვადასხვა ქვეყანაში. დღეს ამგვარი მოვლენა სასიხარულო იშვიათობაა.

ეროვნული ხელოვნების საზღვარგარეთ დემონსტრირების ნებისმიერი ფაქტი მნიშვნელოვანია ჩვენთვის, მი-

თუმეტეს, იმ შემთხვევაში, როდესაც ანტიკური დრამატურგიის შედევრი, ევრიპიდეს „მედეა“, სცენის ქართველ ხელოვანთ ავტორის სამშობლოში პირველად ჩამოაქვთ.

ისიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ გოჩა კაპანაძის სპექტაკლი მხოლოდ ევრიპიდეს პიესას არ ეყრდნობა. მისი ლიტერატურული საფუძველია ანტიკური მითოლოგიური სიუჟეტის მიხედვით სხვადასხვა დროს შექმნილი ბერძენი ევრიპიდეს, ფრანგი ჟან ანუის, რუსი ლიუდმილა რაზუმოვსკაიას, ქართველი ჯანრი კაპიასა და ნატო გაგნიძის პიესები. თითოეულ ამ ავტორთან გოჩა კაპანაძემ იპოვა ის, რაც მის რეჟისორულ სათქმელს ეხმიანებოდა და შექმნა ახალი სიუჟეტი, „მედეას“ საკუთარი, ორიგინალური თეატრალური ვერსია: მედეას შვილები, რომელთა ხელით მან იაზონის საცოლვე კრეუზას სასიკვდილო საჩუქარი გაუგზავნა, კორინთელებმა მოკლეს. საკუთარი დანაშაული რომ ჩამოერეცხათ, ევრიპიდეს, გარკვეულ საფასურად, 5 ოქროს ტალანტად (რაც იმ დროის საბერძნეთში ძალიან დიდი თანხა იყო) პიესა შეუკვეთეს, სადაც მან ბავშვების მკვლელად მათი დედა აქცია.

ეს ვერსია არაერთ ისტორიულ წყაროს ეყრდნობა. მიუხედავად ამისა, მსოფლიო მედეას მაინც შვილების მკვლელად მიიჩნევს. ამიტომაც გოჩა კაპანაძის სპექტაკლის წარმოდგენა საბერძნეთში არა მარტო დიდ მღელვარებასთან, არამედ გარკვეულ რისკთანაც იყო დაკავშირებული. არ ვიცოდით, როგორ მიიღებდა მასწავლებელი

ევრიპიდეს ყველასათვის ნაცნობი, ტრადიციული სიუჟეტისგან განსხვავებულ ვერსიას.

თავისუფალი თეატრის სპექტაკლი საბერძნეთში საქართველოს საელჩომ მიიწვია. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს ელჩს საბერძნეთში, ბატონ სანდრო ჭუმბურიძეს, მის თანამშრომლებს, პროექტის პროდიუსერს, ბატონ მამუკა ლიპარტელიანს და ყველა იმ ქართველს, ვის ბინებშიც ვცხოვრობდით. მათგან მხოლოდ დიდი სითბო, სიყვარული, ყურადღება და პატივისცემა ვიგრძენით. ისინი ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ გასტროლები მაღალ დონეზე ჩატარებულიყო, ისე, როგორც ეს ჩვენს ქვეყანას შეეფერება. გარდა ამისა, უალრესად მცირე დროში რაც შეიძლება ბევრი რამ გვეჩვენა ელინთა ქვეყანაში.

25 მაისს მინვეულნი ვიყავით ოფიციალურ საზეიმო მიღებაზე, რომელსაც საქართველოს საელჩო მართავდა დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით. 26-ში კი ინტენსიური მუშაობა დაიწყო – ხანგრძლივი რეპეტიცია, სპექტაკლის ახალი სცენისთვის მორგება, არა მხოლოდ ტექნიკური, არამედ შემოქმედებითი თვალსაზრისითაც.

თბილისში „მედეა“ თავისუფალი თეატრის 100-კაციან დარბაზში თამაშდება, ათენში კი სპექტაკლი „ილისია დენისის“ თეატრის 600-კაციან დარბაზში უნდა წარმოდგენილიყო. მაყურებელთა დარბაზის მასშტაბები სამსახიობო და სარეჟისორო გამომსახველი საშუალებების გარკვეულ ცვლილებას მოითხოვდა. ამას გარდა, გოჩა კაპანაძე შეეცადა, კიდევ უფრო მეტი აქცენტი გაეკეთებინა სპექტაკლის იმ სცენებსა თუ ცალკეულ ფრაზებზეც კი, რომლებიც საბერძნეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს (ისინი მაყურებელთა დარბაზის უმრავლესობას შეადგენდნენ) ააღელვებდა, მათ დღევანდელ დიდ სატიკვარს შეეხმიანებოდა. საბედნიეროდ, ასეც მოხდა.

სპექტაკლმა მართლაც დიდი წარმატებით ჩაიარა. სახვე დარბაზი სულგანაბული ადევნებდა თვალს ქართველთა „მედეას“. რამდენიმე სცენის შემდეგ ტაშიც გაისმა, წარმოდგენის დასრულებისას კი ოვაციებსა და აღფრთოვანებას ბოლო არ უჩინდა. მაგრამ ჩემთვის მაინც ყველაზე ღირებულია ის დაძაბული სიჩუმე, რომლითაც დამუხტული იყო თვალცრემლიანი მაყურებელთა დარბა-

ზი მთელი სპექტაკლის მსვლელობის მანძილზე. ზოგიერთმა ქართველმა, რომელიც საბერძნეთში მოხუცების ან ბავშვების მომვლელად მუშაობს, თავისი „დამქირავებელიც“ მოიყვანა. მათ უნდოდათ ბერძნებისთვის ერვენებიანათ, რომ ქართველები მხოლოდ მათ ქვეყანაში ჩამოსული ე.წ. „მომსახურე პერსონალი“ კი არა, დიდი ისტორიისა და კულტურის მქონე ერია. რომ ისინი იმ ქვეყნის წარმომადგენლები არიან, რომლებსაც ელინებმა სიმდიდრისა და ძლიერების სიმბოლო – ოქროს ვერძი მოსტაცეს.

იმ დღეს ეს ადამიანები ამაყნი და ბედნიერნი იყვნენ. მათ ეს დიდი სიხარული, საკუთარი ღირსების შეგრძნება, ქართველთა „მედეამ“ მიანიჭა. ამიტომაც სახლში წასვლა არავის უნდოდა. მსახიობები სპექტაკლის დამთავრების შემდეგ თითქმის ორი საათის განმავლობაში ვერ გამოვიდნენ თეატრიდან. ყველას უნდოდა მათ მოფერებოდა, სიყვარული აეხსნა, ფოტო გადაეღო მათთან. ერთმანეთთან დაშორება გვიჭირდა. მართლაც არაჩვეულებრივად ამაღელვებელი დღე იყო. თუნდაც ამის გამო ღირდა საბერძნეთში საგასტროლოდ ჩასვლა. მაგრამ მხოლოდ ამიტომ არა. „მედეას“ ბერძენი მაყურებელიც ეს-



სუნიონის კონცხზე, პოსეიდონის ტაძართან

წრებოდა, მათ შორის – რამდენიმე მნიშვნელოვანი თეატრალური მოღვაწე. სიამაყით შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენას და მასში მედეას როლის შემსრულებელ მარინა კახიანს ძალიან მაღალი შეფასება მისცა XX საუკუნის დიდმა ტრაგიკოსმა ასპასია პაპატანასიუმ (მას საქართველოში არაერთხელ უთამაშია ანტიკური ტრაგედიის გმირები) და ამჟამად აქტიურად მოღვაწე ბერძენმა მსახიობმა მიმი დენისმა (ჩვენი სპექტაკლი სწორედ მის თეატრში გაიმართა). მიმი დენისმა გოჩა კაპანაძე საბერძნეთში სპექტაკლების დასადგმელად მიიწვია. საუბარია ერთი კლასიკური ქართული ნაწარმოების, ერთი უცხოური პიესისა და ერთი ბერძნულ-ქართული საერთაშორისო თეატრალური პროექტის განხორციელებაზე. ბერძენი მსახიობი ქართველ კოლეგებს საინტერესო და გრძელვადიან შემოქმედებით თანამშრომლობას სთავაზობს. იმედია, იგი წარმატებით განხორციელდება. ამას გარდა, გოჩა კაპანაძის სპექტაკლი მინვეულია კაიროს, ათენისა და დელფოს პრესტიჟულ საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალებზე. შეიძლება ითქვას, რომ გასტროლები არა

მარტო დიდი წარმატებით ჩატარდა, არამედ მნიშვნელოვანი სამომავლო პერსპექტივებიც დაუსახა ქართულ თეატრს საერთაშორისო ასპარეზზე.

მინდა წარმოგიდგინოთ ის ადამიანები, რომლებმაც ღირსეულად წარმოაჩინეს ქართული თეატრალური ხელოვნება საბერძნეთში: რეჟისორი გოჩა კაპანაძე, მხატვარი ანა ნინუა (სამწუხაროდ, იგი ათენში ვერ წამოვიდა და პირადად ვერ მოისმინა მისი მისამართით გამოთქმული უამრავი საქებარი სიტყვა), მსახიობები – მარინა კახიანი, დარეჯან ხარშილაძე, დიმა ჯაიანი, მარინა სალარაძე, ირინა გუდაძე, ხათუნა ასათიანი (მისთვის ეს სპექტაკლი წარმატებული პრემიერა იყო, მან პირველად ითამაშა „მედეაში“), თეონა გურამიშვილი, მიხეილ ქვაჭრელიშვილი, გეგა სალუქვაძე; რეჟისორის თანაშემწე ლელა ბესელია, რადისტი ალექსანდრე სარიშვილი, გამნათებელი დავით სუხიშვილი და თქვენი მონამორჩილი მანანა გეგეჭკორი, რომელსაც ნილად ხვდა ბედნიერება ამ ჯგუფის წევრი ყოფილიყო.

უკვე მოგახსენეთ იმ დიდი ყურადღებისა და გულისხმიერების შესახებ, რასაც ჩვენს მიმართ იჩენდა ჩვენი მასპინძელი – საქართველოს საელჩო საბერძნეთში. იგი შეეცა-

და, რომ ჩვენი თავისუფალი დღეებიც შინაარსიანი და დატვირთული ყოფილიყო. ბუნებრივია, დავათვალიერეთ დიდებული აკროპოლისი, პოსეიდონის სასახლე, საიდანაც ზღვაში თავი დაიხრჩო სასონარკვეთილმა მეფე ეგეოსმა, ათენის უბრწყინვალესი ისტორიული მუზეუმი. სამწუხაროდ, სულ ორი საათი გვქონდა იმის დასათვალიერებლად, რასაც, სულ მცირე, ორი კვირა მაინც სჭირდება. ასე რომ, „გადარბენით“ შევავლეთ თვალი გენიალურ ქანდაკებებს, ჭურჭელს, თეატრალურ ნიღბებს, სამკაულებსა თუ უძველესი ხანის ხელოვნების სხვა უამრავ, სრულიად არაჩვეულებრივ ნაწარმოებს. ყოველივე ამან გამაოგნებელი შთაბეჭდილება მოახდინა. ჩვენი ჯგუფის რამდენიმე წევრს ურთიერთობა ჰქონდა ცნობილ ქართველ ელდნისტ, პროფესორ ავთანდილ მიქაბერიძესა და მის არაჩვეულებრივ მეუღლე ნინო ალექსიძესთან. ნინო ცნობილი ქართველი რეჟისორის, ბატონ დიმიტრი ალექსიძის ქალიშვილია. ბატონ ავთანდილის მიერ შექმნილი ქართულ-ბერძნული მეგობრობის ასოციაცია დიდ ეროვნულ საქმეს აკეთებს. ამ კულტურულ ცენტრს საბერძნეთის გულში არსებულ ქართულ სახლს უწოდებენ.



მარინე კახიანი (მედეა) და თეონა გურამიშვილი (ბედისწერა)

დაბოლოს, შეუძლებელია არ გაგიზიაროთ ის დიდი ტკივილი, რომელიც მუდმივ ფონად გასდევდა მთელ ჩვენს არაჩვეულებრივად საინტერესო და დადებითი ემოციებით აღსავსე მოგზაურობას. ეს არის საბერძნეთში ლუკმა-პურის საშოვნელად გადახვენილი იმ ათეულ ათასობით ქართველის დრამატული ბედი, რომელმაც ჩვენი სამშობლოს მწვავე პრობლემები ახლა უკვე საზღვარგარეთიდან დაგვანახა. ოქროს სანმისის ქვეყნიდან უკიდურესი გაჭირვების გამო, რის ვაი-ვაგლახით საბერძნეთში ჩამოსული ადამიანები (ზოგიერთმა თითქმის 3 დღე ავტობუსის საბარგულშიც კი გაატარა), უმთავრესად მან-

დილოსნები, რომლებიც მოსამსახურეებად და დამლაგებლებად მუშაობენ იმისათვის, რომ საქართველოში ოჯახები არჩინონ. ბევრს ქუჩაში გამოსვლისაც ეშინია, რომ საბუთების უქონლობის გამო არ დაიჭირონ. ზოგიერთს თავის რამდენიმე წლის შვილიშვილი ჯერაც არ უნახავს, ვერც შვილის ქორნილში ჩამოსულა და, ღმერთმა დაიფაროს, გარდაცვლილი ოჯახის წევრის დასატირებლად. რა ქნან, სხვა გზა არა აქვთ. დიდი გამძლეობა და სამშობლოში მალე დაბრუნება მინდა ვუსურვო ამ ადამიანებს.

იმედია, თანამემამულეთა მიერ საბერძნეთში ჩამოტანილმა სპექტაკლმა მათ სულიერი ძალები შემატა.

ჩვენ კი ტკივილნარევი სიხარულით ვბრუნდებოდით საქართველოში. ჯგუფის დიდმა ნაწილმა ავტობუსით იმგზავრა. მოგეხსენებათ, ტრანსპორტის ეს სახეობა ასეთ დიდი გზაზე სამოგზაუროდ ყველაზე კომფორტულ საშუალებას არ წარმოადგენს. თუმცა ორდღენახევარი იქით და აქეთ მაინც მხიარულებაში გავატარეთ. ყველა საზღვარი – თურქეთისა, საბერძნეთისა, ორივეჯერ მშვიდობიანად და აუღელვებლად გადავლახეთ. ჩვენს სამშობლოში კი, სარფის საბაჟოზე, ავტობუსიდან გადმოგვიყვანეს, მთელი ბარგი გადმოგვატანინეს და 5 საათის მანძილზე (ღამის 12-დან დილის 5 საათამდე) ჩვენს ტანსაცმელს სულ ფრიალ-ფრიალი გაუდოდა. რას ვიზამთ, ალბათ აქ ასეთი წესია. თუმცა ამ უსიამოვნო ფაქტმა მაინც ვერ გააფერმკრთალა ის დიდი სიხარული და აღფრთოვანება, რაც ათენში ჩვენს მოგზაურობას ახლდა თან. რადგან, ვფიქრობ, სპექტაკლმა თავისი მოქალაქეობრივი, შემოქმედებითი და ეროვნული მისია შეასრულა.

ივანე ამირხანაშვილი

წინ – ნარსულისაკენ!

ადამიანი ისტორიული არსებაა. ჭეშმარიტად, ისტორია არის ადამიანში და ადამიანი არის ისტორიაში. ამას ვერავინ უარყოფს, ვერავინ გამოაცალკევებს თავს ისტორიიდან. ძალადობის არც ერთ ფორმას არ შეუძლია გამოაძევოს ისტორია ადამიანიდან. თუმცა ამისი მცდელობა ყოველთვის იყო და არის, დღეს განსაკუთრებით. საზოგადოებრივი მოდის კანონმდებლები ისევ ამკვიდრებენ უნიადაგობის თეორიას, ისევ იბრძვიან კოლექტიური მეხსიერების წინააღმდეგ, ისევ უკრძალავენ ადამიანებს ნარსულში მონაწილეობას, თუმცა ამას შედეგად მხოლოდ ის მოსდევს, რომ თავიანთ ან-მყოს ნარსულად გარდასახვენ, – დღეს-ვე, აქვე და ახლავე.

ისტორიის მდინარეს რა შეაჩერებს. ისტორია თვითონ ყველა, თვითონ მოგვითხრობს თავის თავს. ჩვენც ამ მოთხრობის პერსონაჟები ვართ, იქ ვიმყოფებით, იმ უწყვეტი ამბის სტრიქონებში, ჩვენი ყოფიერების წიგნში, სადაც ვკითხულობთ იმას, რაც მოხდა, მაგრამ იმასაც ვკითხულობთ, რაც არ მომხდარა. რაც უნდა მომხდარიყო და არ მოხდა. და კიდევ: რაც მოხდება.

ისტორია არის წინასწარმეტყველი, რომელიც ნარსულში გიჩვენებს იმას, რაც მომავალში უნდა მოხდეს.

გინდა, არ გინდა, ისტორიას ამ თვალთვლით კითხულობ და ყოველგვარი ძალდატანების გარეშე აღმოაჩენ, რომ ერის ისტორიაში, განსაკუთრებით, საკვანძო ეპიზოდებში, ერთი მექანიზმი მოქმედებს, არსებობს რაღაც სახასიათო „მუდმივა“, რომელიც არც ერთ ეპოქაში არ იცვლება.

იცვლება დრო, იცვლება გეოპოლიტიკური ვითარებები, იცვლება გარეშე ძალები, მაგრამ არანაირად არ იცვლება სისტემა, რომელიც საქართველოს ბედს განსაზღვრავს.

ისტორიული „მუდმივას“ კლასიკური მაგალითია ერეკლე მეორის მეფობის უკანასკნელი წლები, რომელიც იმდენად კარგად ვიცით, რომ აღარც კი გვახსოვს.

ცოდნა, როგორც დავიწყების ერთ-ერთი ფორმა!..

გასაკვირია, როგორ გადარჩა მაშინ საქართველო. ყველა ქვეყანა და ყველა მოვლენა ჩვენს წინააღმდეგ „მუშაობდა“: რუსეთი მფარველის ნიღბით მოდიოდა, თან ირანს აქეზებდა თავს დაგვსხმოდა და გავენადგურებინეთ; საფრანგეთი და ინგლისი დასავლეთიდან გვემუქრებოდნენ, ლეკები – „ყოველის მხრიდან“.

არ ვიცი, ისტორია იყო ასეთი, თუ წიგნი ქმნის ასეთ შთაბეჭდილებას – ყოველ წელიწადს, ყოველ წუთს, ყოველ ბრძოლაში საქართველოს ბედი ბენეზე ჰკიდია.

უთუოდ წიგნია!

ეს წიგნი: თეიმურაზ პეტრიაშვილი, კრწანისის ნაბრძოლი ხმალი და ბატის ფრთის კალამი იოანე ბატონიშვილისა, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2006 წ.

„არაისტორიკოსის თვალთვლით დანახული საკუთარი

ქვეყნის ნარსული“ – არა მგონია, სატიტულო ფურცლის ეს წარწერა შეღავათს ითხოვდეს ავტორისთვის, ეს უნდა იყოს უფრო პატივისცემის გამოხატულება იმ ისტორიკოსების მიმართ, რომელთა შრომებსაც იყენებს თეიმურაზ პეტრიაშვილი, პროფესიით ექიმი, „არაისტორიკოსი“, მაგრამ ისტორიის კარგი მცოდნე და თავისი ქვეყნის ნარსულის გულით ნამკითხველი.

ახლა ის დროა, როცა ისტორიას გულით უნდა ვკითხულობდეთ. ამ მხრივ თეიმურაზ პეტრიაშვილის წიგნში ყველაფერი რიგზეა: გულით ხედვა, გულით კითხვა და გულით გადმოცემა ჩვენი ნარსულისა, რომელშიც მთხრობელი იმდენად ჰეროიზმს არ ხედავს, რამდენადაც ფაქტებს ჭკუის სასწავლად, დაფიქრებისთვის, დასკვნების გამოტანისთვის.

არა ანალიზი, არა მტკიცება, არამედ ჩვენება – თეიმურაზ პეტრიაშვილის სტილი.

კარგია მოვლენის დიალექტიკური ანალიზი, ტყუილმართალის გარჩევა და პოსტულატების წარმოდგენა, მაგრამ არანაკლებ საინტერესოა ჩვენება გმირისა, მოვლენათა შუაგულში მდგარი მოქმედი პირისა. საინტერესოა თუნდაც იმიტომ, რომ გმირის სახეში „ინდივიდუალიზდება“ დრო, მოვლენა, ისტორია.

მეთვრამეტე საუკუნე მეფე ერეკლეს სახეში „ინდივიდუალიზდება“.

ერეკლე ისტორიული მეტაფორაა.


იოანე ბატონიშვილი – ინტელექტუალური გმირი.

ამის ჩვენება წიგნის ავტორს არ უჭირს, ვინაიდან იგი მოყვარულია და არა პროფესიონალი.

ცნობილია, მოყვარული უფრო აქტიურად აღიქვამს მოვლენებს, ეს არის მისი უპირატესობა პროფესიონალთან შედარებით, რომელიც ზოგჯერ მოვლენას სულაც არ აღიქვამს მოვლენად, რადგან ის მისთვის შეიძლება მხოლოდ დამხმარე მასალა იყოს.

ისტორიოგრაფიული გუნება-განწყობილების ადამიანებში შეინიშნება განსაკუთრებული ფსიქოლოგიური მექანიზმი, რომელიც მათ საშუალებას აძლევს დაუბრკოლებლად შევიდნენ ისტორიის სიღრმეებში, გაიშინაურონ და გაითანამედროვეონ იქაურობა და შორსაც წავიდნენ. შორს – მომავალში.

თეიმურაზ პეტრიაშვილსაც იქით, მომავლისკენ მივყავართ და ამ საქმეში ისეთი უბრალო და ისეთი გულწრფელია, გვეგონება მას აღმოუჩენიაო ცნობილი ჭეშმარიტება: თუ მომავალი გაინტერესებს, გაიხედე წინ – ნარსულისაკენ.



უილიამ ფოლკნერი

ხვალ

ძია გვეინი ერთბაშად არ გამხდარა ოლქის პროკურორი. მაგრამ მისი დანიშვნის დღიდან უკვე ოცდაათ წელიწადზე მეტი იქნება გასული და იმდენად ხანმოკლე პერიოდი უძლოდა წინ, რომ ეს ბებრებსლა ახსოვთ და მათგან ყველას როდი ახსოვს. რა გასაკვირია, თუკი იმხანად მხოლოდ ერთხელ მოუწია გამოსვლა პროცესზე.

მაშინ ძია გვეინი ოცდარვა წლისა იყო. სულ რაღაც ერთი წლის წინ დაამთავრა იურიდიული ფაკულტეტი უნივერსიტეტისა ჩვენს შტატში, სადაც პაპაჩემის¹ დაჟინებული მოთხოვნით ჩაირიცხა ჰარვარდსა და ჰაიდელბერგში განსწავლის შემდეგ. თავად განაცხადა, ადვოკატად დავდგებიო და პაპაჩემს შეეხვეწა, ეს საქმე მისთვის მიენდოთ. და პაპაჩემიც დათანხმდა, რადგან ყველა თვლიდა, სასამართლო უბრალო ფორმალობა იქნებაო.

ერთი სიტყვით, ძია გვეინი ადვოკატად გამოდიოდა ამ პროცესზე. და მრავალი წლის შემდეგ ამბობდა, ეს საქმე ერთადერთია, რომელიც წავაგე კერძო დამცველისა თუ საზოგადოებრივი ბრალმძებლის როლშიო, თუმცა ორჯერ ორივეთი იცოდა, რომ სამართალი და სამართლიანობა მის მხარეზე იყო. ოღონდ, კაცმა რომ თქვას, არც წაუგია – მართალია, სასამართლოს საშემოდგომო სესიაზე ნაფიცმა მსაჯულებმა ერთსულოვანი გადაწყვეტილება ვერ მიიღეს, მაგრამ საგაზაფხულო სესიაზე მაინც გაამართლეს ბრალდებული – ეს იყო ყოჩალი, შეძლებული ფერმერი, გვარად ბუკრაიტი, კეთილზინანი მეოჯახე, რომელიც ცხოვრობდა ოლქის შორეულ სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში მდებარე დასახლებაში, ფრანგისხევი რომ ჰქვია. ბუკრაიტმა მოკლა ალვირახსნილი ჩხუბისთავი, რომელიც ბაკ ტორპად გაცნობდათ თავს და ბულა ტორპს ეძახდნენ სხვა ყმანვილკაცები, ვისაც თავისი მუშტის მეოხებით იმორჩილებდა მთელი სამი წელიწადი ფრანგისხევი ცხოვრებისას: უთვისტომო ბიჭი, ღმერთმა უწყის – საიდან ჩამოთესილი, მოჩხუბარი, ყომარბაზი, თვითნახადი ვისკით არაკანონიერ ვაჭრობას ეწეოდა და ერთხელაც მემფისის გზაზე წაასწრეს, როდესაც მოპარული საქონლის ნახირს მიერეკებოდა. პატრონმა მაშინვე იცნო თავისი საქონელი. ტორპს ჯიბეში ედო ნასყიდობის ქალაღი, მაგრამ ხელმომწერის გვარი ოლქში არავის ჰქონდა გაგონილი.

და აი, მოხდა ჩვეულებრივი, ამ სამყაროსავით ძველისძველი ამბავი: ვაჟის გამბედაობამ, სილაღემ, თავგასულობამ და ენაკვიმატობამ ცეცხლი წაუკიდა ჩვიდმეტი წლის სოფლელი გოგოს წარმოსახვას; მამა ლამობდა გონს მოეყვანა შვილი, მაგრამ ისე მოეცარა ხელი, როგორც სხვა მშობლებს ამგვარ შემთხვევებში. მერე კართან მიახლოებაც კი აუკრძალეს გოგოს და დასასრულ, გაქცევა შუალამისას გარდუვალა შეიქნა.

მეორე დღით, ოთხი საათი იქნებოდა, ბუკრაიტმა გააღვიძა ბილ უორნერი, მომრიგებელი მოსამართლე, მთავარი მეთვალყურე წესრიგისა ამ რაიონში, რევოლ-

ვერი გაუწოდა და უთხრა: „დამაპატიმრეთ. ორი საათის წინ ტორპი მოვკალი“.

მეზობელმა, გვარად კვიკმა, პირველი რომ მოხვდა შემთხვევის ადგილზე, შეამჩნია, რომ ტორპს მხოლოდ სანახევროდ მოესწრო თავისი რევოლვერის დაძრობა.

მემფისის გაზეთებმა მომხდარის შესახებ მოკლე ცნობა გამოაქვეყნეს. ერთი კვირის შემდეგ კი ფრანგისხევი გამოჩნდა ქალი, რომელმაც გამოაცხადა, ტორპის ცოლი ვარო, საბუთად საქორწინო მოწმობა წარმოადგინა და მოითხოვა ის ფული და ქონება, მის ქმარს რომ შეიძლება დარჩენოდა.

დიდმა ჟიურიმ, რასაც არავინ ელოდა, ეს მოწმობა უტყუარ დოკუმენტად აღიარა. როდესაც მდივანმა საბრალდებო აქტი წაიკითხა, ფსონი იყო დადებული (ოცი – ერთზე), რომ ნაფიც მსაჯულთა თათბირი ათ წუთსაც არ გასტანდა. რაიონის პროკურორმა, თქვენ წარმოიდგინეთ, ეს საქმე თავის მოადგილეს გადაულოცა და ერთი საათიც არ იყო გასული, ყველა ჩვენება რომ მოისმინეს.

მაშინ წამოდგა ძია გვეინი და კარგად მახსოვს, როგორ შეათვალეირა ნაფიცი მსაჯულნი – თერთმეტი იყვნენ, ფერმერები და მედუქნეები, და იყო მეთორმეტეც, სწორედ ის, რომელმაც ეს საქმე ჩაუფუშა, ასევე ფერმერი, გამხდარი, ტანმორჩილი, ჭაღარა, გარეგნობით ტიპიური მინათმოქმედი მთა-გორებიდან: ჯანდაგი, შრომით ღონეგატეხილი, მაგრამ, ამასთან ერთად, უცნაურად უჭკნობი – ორმოცდაათი წლისანი უკვე ბებრებსა ჰგვანან და მერე კი, თითქოს დრო-ჟამი ვერაფერს აკლებდეს, ერთი ბენოზეც არ იცვლებიან. ძია გვეინის ხმა იყო მშვიდი, თითქმის მონოტონური, მოკლებული იმ მაღალფარდოვნებას, რასაც მიგვაჩვიეს სისხლის სამართლის პროცესებზე. მხოლოდ მეტყველების მანერა ოდნავ განსხვავდებოდა მომდევნო წლებში გაჩენილისგან. მაგრამ მაშინაც, თუმცა სულ ერთი წელიწადი ტრიალებდა ადგილობრივ მცხოვრებთა შორის, უკვე ისე ახერხებდა ლაპარაკს, რომ ჩვენს ოლქში ყველას – ზანგებს, მთაგორეთის ბინადართ და მდიდარი პლანტაციების მფლობელთაც – მშვენივრად ესმოდათ მისი.

– ყოველი ჩვენგანი აქ, სამხრეთში, შეითვისებს გარკვეულ მცნებებს, რომელთაც ყველაფერზე მაღლა ვაყენებთ. და ერთი პირველთაგანი – არცთუ საუკეთესოა: უბრალოდ, ერთი პირველთაგანია – რომ წართმეული სიცოცხლის ფასი მხოლოდ შენი სიცოცხლითვე შეიძლება გადაიხადო; რომ ერთი სიკვდილი – ეს მხოლოდ ნახევარი საქმეა. და თუ ასეა, ჩვენ შეგვეძლო გადაგვეჩინა ეს ორივე სიცოცხლე, თუკი შევაჩერებდით ბრალდებულს მანამდე, ვიდრე იმ ღამით შინიდან გამოვიდოდა. შეგვეძლო გადაგვეჩინა ერთი სიცოცხლე მაინც, თუნდაც სიცოცხლე



ნაგვერთშია ბრალდებულისათვის, რათა ხელი არ აღემართათ. მაგრამ ეს დროზე ვერ შევიტყვეთ. აი, სწორედ ეს უნდა გელაპარაკოთ – მიცვალებულზე კი არა, არც მის ბუნებასა და მისი საქციელის ზნეობრივ მხარეზე, არც თავის დაცვაზე, არც იმაზე, იძულებული იყო თუ არა ბრალდებული, რომ ჩაედინა მკვლელობა, არამედ ყოველ ჩვენგანზე, ცოცხლებზე და იმაზე, რაც ჩვენ არ ვიცით – ჩვენ ყველანი ჩვენი ბუნებისამებრ მივისწრაფით ვიმოქმედოთ სამართლიანად და სხვებს არ მივაყენოთ ზიანი. მთელი ჩვენი განცდების, მრწამსისა და გრძნობების სირთულესთან ერთად, რაც არ შეიძლება ჩვენს ნებაზე გავიზიაროთ ან უკუვაგდოთ, ჩვენ მივისწრაფით, მათდა შესაბამისად ან მათდა მიუხედავად, მოვიქცეთ რაც შეიძლება უკეთესად – ბრალდებული, კაცი ინსტიქტების, განცდებისა და მრწამსის იმავე სირთულით, შეეჯახა პრობლემას – საკუთარი ასულის ვარამის გარდუვალობას, რომელიც თავისი ყმანვილქალობის ჯიუტი უგუნურების გამო – ისევ ის სირთულე, მას რომ არ უთხოვია მემკვიდრეობად – თავად ვერ გადაურჩა ამ ვარამს; და ბრალდებულმა ეს პრობლემა გადაჭრა თავისი ძალ-ღონისა და მრწამსის კვალობაზე რაც შეიძლება უკეთესად. არავისთვის უთხოვია შემწეობა და მერე მზად იყო, თავისივე სიცოცხლით ეზლო თავისი გადაწყვეტილება და საქციელი.

ძია გვეინი დაჯდა. რაიონის პროკურორის მოადგილე ნამოინია, თავი დაუკრა სასამართლოს და ისევ დაეშვა სკამზე. ნაფიცი მსაჯულნი გაეცალნენ იქაურობას, ჩვენ ყველანი დავრჩით დარბაზში. მოსამართლესაც კი არ მიუტოვებია თავისი ადგილი. და მასხოვს ხანგრძლივი ამოხვრა, რაღაც შეუწყობელი ხმაური, რომელმაც დარბაზს გადაუარა მას შემდეგ, რაც მოსამართლის სკამს ზემოთ მოთავსებული საათის ისარი გადაადგილდა ათი წუთით, მერე – ნახევარი საათითაც. მოსამართლემ თავის დაქნევით იხმო სასამართლოს ბოქაული და რაღაც წასჩურჩულა; ბოქაული გავიდა, მალევე მობრუნდა და მოსამართლეს იმანაც რაღაც წასჩურჩულა. მოსამართლე წამოდგა, ჩაქუჩი დააკაკუნა და შესვენება გამოაცხადა.

გაექუსლე შინისაკენ, ვინაიდან და ისევ მოვესვი ქალაქში. არავინ დამხვედრია კანტორაში. პაპაჩემი, სადილის მერე რომ წამოწოლილიყო თვალის მოსახუჭად, არ დალოდებია ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილებას და პირველი გამოჩნდა. უკვე მეოთხე საათი დაიწყო და მთელმა ქალაქმა იცოდა, რომ ნაფიცმა მსაჯულებმა ერთსულოვან შეხედულებას ვერ მიაღწიეს. თერთმეტი კაცი ემხრობოდა ბრალდებულის გამართლებას, ერთი კი წინააღმდეგი იყო. მერე ჩქარა ნაბიჯით შემოვიდა ძია გვეინი და პაპაჩემმა უთხრა:

– რას იზამ, გვეინ, კიდევ კარგი, რომ დროზე დადუმდი. განსაცდელში კი ნაფიცი მსაჯულნი ჩაცვივდნენ და არა შენი კლიენტები.

– დიას, სერ, – მიუგო ძია გვეინმა მაშინაღორად, ვინაიდან მე შემომყურებდა და თავისას ფიქრობდა. თვალები უბრწყინავდა გონიერ, გამხდარ პირისახეზე. თმაში უკვე შეჰპაროდა ჭალარა.

– აქ მოდი, ჩიკ, – დამიძახა. – ერთი წუთით მჭირდები.

– მოსამართლე ფრეიზერს სთხოვე, ნება მოგცეს, რომ შენი სიტყვა უკან წამოიღო, ჩარლი კი შენს მაგივრად გამოვა ნაფიც მსაჯულთა წინაშე, – თქვა პაპაჩემმა.

მაგრამ ჩვენ უკვე კიბეზე ვიყავით. შუა გზაში ძია გვეინი შეჩერდა და ხელი დამადო მხარზე, თვალები კიდევ უფრო გაუბრწყინდა და უფრო მეტი ჩაცვივებით შემომხედა, ვიდრე სჩვეოდა.

– ეს უნესობაა, – თქვა მან. – მაგრამ ხშირ-ხშირად სამართლიანობას ახორციელებ არცთუ მართებული ხერხებით. ნაფიცი მსაჯულნი გადაბარდნენ მისის რაუნსველის პანსიონის უკანა ოთახში. იქ, ფანჯრებქვეშ, თუთის ხეებია დარგული. თუკი შეგიძლია უკანა ეზოში ისე გადაძვრე, რომ არავინ დაგინახოს და უჩუმრად აძვრე ხეზე...

არავის შევუმჩნევია. მე კი ფოთლიანიდან, ნიაგი რომ არხევადა, ვუცქერდი ოთახს და ყველაფერს ვხედავდი, ყველაფერი მესმოდა – ცხრა გაჯავრებული, გულმოსული კაცი მოკალათებულიყო ოთახის სიღრმეში განლაგებულ სავარძლებში; ნაფიც მსაჯულთა მამასახლისი მისტერ ჰოლენდი და კიდევ ერთი კაცი იდგნენ იმ სავარძლის წინ, რომელშიც იჯდა ტანმორჩილი, ჯანდაგი და ქანცგანყვეტილი ფერმერი მთა-გორებიდან.

მისი გვარი იყო ფენტრი. ყველა გვარს ბეჯითად ვიმასხოვრებდი, რადგანაც ძია გვეინი ამბობდა, რომ ჩვენს ქვეყანაში ადვოკატურისა და პოლიტიკურ ასპარეზზე წარმატების მისაღწევად საჭირო არაა იყო ოქროპირი, არც დიდად ჭკვიანი, საჭიროა მხოლოდ უცდომელი მეხსიერება გვარებზე. თუმცა ამ კაცის გვარს ყველა შემთხვევაში დავიმასხოვრებდი, რადგანაც მას ერქვა სტოუნუოლ ჯექსონ I – სტოუნუოლ ჯექსონ ფენტრი.²

– ხომ აღიარებთ, რომ ის გაიპარა ბუკრაიტის ჩვიდმეტი წლის ასულთან ერთად? – ამბობდა მისტერ ჰოლენდი. – ხომ აღიარებთ, რომ იპოვეს რევოლვერით ხელში? ხომ აღიარებთ, რომ როგორც კი დამარხეს, ის ქალიც გამოჩნდა და დაამტკიცა, მისი ცოლი ვარო? ხომ აღიარებთ, რომ არა მარტო ცუდი კაცი იყო, არამედ – სახიფათოც, და ბუკრაიტი რომ არა, ადრე თუ გვიან სხვა ვინმე იგივეს ჩაიდენდა, და ბუკრაიტს უბრალოდ ბედმა უმტყუნა.

– ვაღიარებ, – მიუგო ფენტრიმ.

– მაშინ რაღაშია საქმე? – ჰკითხა მისტერ ჰოლენდმა.

– მეტი რაღა გნებავთ?

– ვერაფრით ვერ დაგეხმარებით, – თქვა ფენტრიმ. – მისტერ ბუკრაიტის გამართლებას ხმას ვერ მივცემ.

და არც მიუცია. მოსამართლე ფრეიზერმა კი იმ დღეს დაითხოვა ნაფიცი მსაჯულნი და საქმის ხელახლა განხილვა დანიშნა მორიგ სესიაზე.

მეორე დღით, ჯერ კიდევ ვსაუზმობდი, ძია გვეინი დამადაგა თავზე.

– დედას უთხარი, რომ ჩვენ, როგორც ჩანს, საღამომდე ვერ დავბრუნდებით, – თქვა მან. – გადაეცი: თავს დავდებ, რომ შენ არავინ დაგჭრის, არც გველი გიკბენს და არც სოდიანი წყლით გაიჭყიპები...

– ყველაფერი უნდა გავარკვიო, – თქვა მან. სწრაფად მივემართებოდით ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ. თვალები უბრწყინავდა. მზერა გაოგნებული კი არ ჰქონდა, არამედ დაძაბული, გამჭრიახი. – ფენტრი დაიბადა, გაიზარდა და მთელი ცხოვრება გაატარა ოლქის მეორე ბოლოში, ფრანგისხევიდან ოცდაათი მილის დაშორებით. მან დაიფიცა, ბუკრაიტს ერთხელაც არ შეხვედრივარო და

დაუფიცავდაც ცხადია, რომ მიძიმე შრომაში ჩაფლულს დრო არ ექნებოდა, ტყუილები ესწავლა. მე მგონი, აქამდე არცაა სმენია ბუკრაიტის სახელი.

ჩვენი მგზავრობა თითქმის შუადღემდე გაგრძელდა. უკვე მთაგორებში ვიმყოფებოდით, ბარაქიანი დაბლობის მიწებიდან შორს, ფიჭვებსა და გვიმრებში, ღარიბ მინა-წყალზე, სადაც მწირსა და ციცაბო ნაკვეთებზე მოჰყავდათ მჭკნარი სიმინდი და ბამბა, რომლებიც მაინც უძლებდნენ ყველაფერს, ისევე როგორც უძლებდა ყველა, ვისაც ისინი აჭმევდნენ და აცმევდნენ. ვინრო, მიხვეული-მოხვეული, ოღროლო და მტვრიანი გზები კიდევ უარესი იყო, ვიდრე ბილიკები. ნახევარი გზა მეორე სიჩქარით გავიარეთ. და ბოლოს დავინახეთ საფოსტო ყუთი ოკრობოკრო წარწერით: „ჰ.ა. ფენტრი“.

გზისგან ოდნავ მოშორებით იდგა ოროთახიანი და ღია ვერანდიანი ძელური სახლი და, მეც კი, თორმეტი წლის ბიჭი, ვხედავდი, რომ ქალის ხელი, უკვე მრავალი წელი იქნებოდა, ამ სახლს არ გაჰყარებია.

ჭიშკარი შევალეთ და მაშინვე მოგვესმა ყვირილი: „სდექ! არც ერთი ნაბიჯი წინ!“ დროზე ვერ შევამჩნიეთ ეს ფეხშიშველა ბერიკაცი, მძვინვარე თეთრი უღვაშის ჯაბრით, რომელსაც ეცვა დაბეჭდილი კომბინიზონი, მოხდელი რძის ფერამდე რომ გახუნებულიყო. ტანით თავის შვილზეც კი ჩია და მჭლე ჩანდა. იდგა ვერანდის კუთხეში, საფანტის თოფი ეჭირა და ცახცახებდა – მრისხანებისგან თუ ბებრული უძღურებისგან, ვინ იცის.

– მისტერ ფენტრი, – დაიწყო ძია გევეინმა.

– გეყოფათ, გული ნუ გაუნწყალეთ! – შეანწყვეტინა ბერიკაცმა. უთუოდ მრისხანებისგან ცახცახებდა; იტყობდა, რისხვის უეცარმა, შეუკავებელმა აფეთქებამ გამოსავალი ყვირილი ჰპოვაო: – აქედან გაეთრიეთ! შორს ჩემი მიწიდან! ჯანდაბას თქვენი თავი!

– ნავიდეთ, – მშვიდად მითხრა ძია გევეინმა. მისი მოელვარე თვალების მზერა უწინდელივით მხოლოდ დაძაბული, გამჭრიახი და სერიოზული იყო.

ჩვენი მანქანა ახლა წელი სვლით მიდიოდა. მომდევნო საფოსტო ყუთი გამოჩნდა დაახლოებით ერთი მილის მანძილზე. ამჯერად სახლი შედებილი იყო, პარმალთან ყვავილნარში პეტუნები ჰყვავოდა, ნიადაგიც უკეთესი ჩანდა. ვერანდაზე მჯდომი ამჯერად წამოდგა და ჭიშკარს მოუახლოვდა:

– გამარჯობათ, მისტერ სტივენს, – თქვა მან. – მამ ჯექსონ ფენტრიმ მხარი არ დაუჭირა დანარჩენ ნაფიც მსაჯულებს.

– გაგიმარჯოთ, მისტერ პრუიტი, – მიუგო ძია გევეინმა. – მამ, ეგრე გამოდის. აბა მიაბნეთ ერთი.

და პრუიტი შეუდგა თხრობას, თუმცა ძია გევეინი წამდაუნუნო ანგარიშშიცემლად იწყებდა ლაპარაკს, თავი ჰარვარდსა და ჰაიდელბერგში ეგონა. სახეზე ვინც შეხედავდა, უმაღლე მიხვდებოდა – ამბავს ცნობისმოყვარეობითა თუ საკუთარი სარგებლისათვის როდი გამოიკითხავსო.

– ეს ყველაფერი დედაჩემმა ჩემზე კარგად იცის, – თქვა პრუიტმა. – მოდი, ვერანდაზე ნავიდეთ.

ავედით ვერანდაზე, სადაც დაბალ სარწევ სავარძელში იჯდა ტანსრული და ჭალარა ქალბატონი, რომელიც ფაქიზად იყო გამოწყობილი: ეხურა კუბოკრული შლია-

პა, ეცვა ასევე კუბოკრული კაბა თეთრი წინსაფრითურთ. იჯდა და ხის ჯამში ბარდას ჩურჩნიდა.

– ეს იურისტი სტივენსი გახლავთ, – უთხრა პრუიტმა. – კაპიტან სტივენსის ვაჟია, ქალაქიდან არის. სურს ყველაფერი შეიტყოს ჯექსონ ფენტრის შესახებ.

დავსხედით. და ისინი, დედა-შვილი, შეუდგნენ თხრობას მორიგეობით.

– აი, ავიღოთ მათი ნაკვეთი, – თქვა პრუიტმა. – რალაც-რალაცებს გზიდანაც შეამჩნევდით. და რაც ვერ შეამჩნიეთ, უკეთესად როდი გამოიყურება. მაგრამ მისი მამაც და პაპაც ამ მიწას ამუშავედნენ, ეს მიწა არჩენდათ, შვილებს ფეხზე აყენებდნენ, გადასახადებს დროულად იხდიდნენ და ვალეებში არ იყვნენ. ამას როგორ ახერხებდნენ, არ ვიცი, მაგრამ როგორღაც ახერხებდნენ. ხოლო ჯექსონი, როგორც კი იმდენად წამოიზარდა, რომ გუთნის სახელურებს მისწვდენოდა, დახმარებას უწევდათ შრომაში. მას მერე მაინცდამაინც აღარ გაზრდილა. ეგენი ყველანი ტანმორჩილნი არიან. ეტყობა, ეგეთი ჯიში აქვთ. და ჯექსონიც შრომობდა მამისა და პაპის მსგავსად და ოცდახუთი წლისა უკვე ორმოცისას წააგავდა. არავის მეგობრობდა, არც ცოლი ჰყოლია და არც სხვა არავინ. მამასთან ერთად ცხოვრობდა, თვითონ ირეცხავდნენ და საქმელსაც თვითონ იმზადებდნენ. ცოლი აბა როგორ უნდა შეერთო, როცა მამასა და შვილს ერთი წყვილი ფეხსაცმელი ჰქონდათ საზიაროდ. და საერთოდ, განა ღირდა? ამ ნაკვეთმა მისი დიდებაც და დედაც ხომ ჩაიყვანა უკვე სამარეში, როცა ორმოცი წლისაც არ იყვნენ. და აი, ერთ მშვენიერ საღამოს...

– სისულელეა, – თქვა მისის პრუიტმა. – მე და მამა-შენი რომ დავქორწინდით, თავზე ჭერი არ გვეხურა. ნაი-ჯარევი მიწაზე პანია სახლი ვიქირავეთ...

– კარგი, შენი ჭირიმე, – თქვა პრუიტმა. – და აი, ერთ მშვენიერ საღამოს შემომიარა და მითხრა, ფრანგისხევის სამხერხაოში სამუშაო ვიშოვეო.

– ფრანგისხევი? – ჩაეკითხა ძია გევეინი და თვალები აუბრიალდა. – მამ ასე.

– დღიური სამუშაო იშოვა, – განაგრძობდა პრუიტი. – განა იმის გულისთვის, რომ გამდიდრებულიყო; უბრალოდ, ცოტაოდენი ფული უნდა მოექუჩებინა, ერთი-ორი წელიწადი უნდა გაენირა, რალაც ეშოვა და აღარ ეცხოვრა ისე, როგორც პაპამისი ცხოვრობდა, ვიდრე ხნულში არ ამოხდა სული, როგორც მამამისი ცხოვრობდა, ვიდრე ისიც კვალში არ ნაიქცევა, მერე მისი ჯერი დადგება და შვილიც კი არა ჰყავს, რომ ნაქცეული წამოაყენოს. თქვა, ერთი შავტრუხა დავიქირავე, სანამ წასული ვიქნები, მამაჩემს შეეშველებათ და მთხოვა, დროდადრო გამეგო ხოლმე მამამისის ამბავი.

– და შენც შეინწყნარე მისი თხოვნა, – თქვა მისის პრუიტმა.

– სულ ახლოს მივდიოდი ხოლმე, – თქვა პრუიტმა. – ზედ მიწდორს მივადგებოდი, მესმოდა, როგორ ლანძღავდა შავტრუხას, გაინძერი, იმუშავეო. ვხედავდი, როგორ ლამობდა შავტრუხა, რომ არ ჩამორჩენოდა. და ჩემთვის ვფიქრობდი: კიდევ კარგი, ჯექსონმა ორი შავტრუხა არ დაიქირავა, თორემ ეს ბერიკაცი – მამინ უკვე სამოცს იყო მიტანებული – ჩეროში დაჯდებოდა, გულზე ხელებს დაიკრეფდა და მზის ჩასვლამდე სულს გააცხო-

და. ერთი სიტყვით, ჯეკსონი წავიდა ფრანგისხევში. ქვეითად გაეშურა. ერთადერთი ჯორი ჰყავდათ. ერთზე მეტი არასოდეს ჰყოლიათ. მაგრამ სასიარულო სულ რაღაც ოცდაათი მილი იქნება. ორწელიწადნახევარი თვალთ ალარ გვინახავს. მერე ერთხელაც...

– პირველ წელიწადს საშობაოდ ჩამოვიდა შინ, – თქვა მისის პრუიტმა.

– ჰო, მართალია, – დაეთანხმა შვილი. – ოცდაათი მილი გამოიარა, შობა აქ გაატარა და ისევ დაბრუნდა სამხერხაოში.

– ეს ვისი სამხერხაო იყო? – ჰკითხა ძია გვეინმა.

– კვიკისა იყო, – უპასუხა პრუიტმა. – ბიძია ბენ კვიკისა. მეორე შობაზე ჯეკსონი ალარ გამოჩენილა. მერე, მარტის დამდეგი იქნებოდა – როცა დაბლობი ფრანგისხევში გაშრობას იწყებს და მორების გადაზიდვა ხერხდება – ვიფიქრე, მესამე წელიწადსაც იქ გაატარებს-მეთქი და ამასობაში ჯეკსონმა აიღო და შინ დაბრუნდა, სულ დაბრუნდა. ნაქირავები საზიდრით დაბრუნდა, რადგანაც თან ახლდა ბავშვი და თხა.

– მოიცათ, – თქვა ძია გვეინმა.

– ჩვენ არ ვიცით, როგორ ჩამოაღწია აქამდე, – თქვა მისის პრუიტმა. – უკვე ერთ კვირაზე მეტი იმყოფებოდა შინ, როცა შევიტყვეთ, რომ ბავშვი ჩამოყვანილია.

– მოიცათ, – გაიმეორა ძია გვეინმა.

ორივენი დადუმდნენ და სტუმარს შეჰხედეს. პრუიტი ვერანდის თარჯზე იჯდა, ხოლო მისის პრუიტი განაგრძობდა ბარდის ჩურჩინას მოგრძო და მყოფე პარკებიდან, თან შეჰყურებდა ძია გვეინს, ვისი მზერაც ალარ იყო მოზეიმე, ისევე როგორც ადრე არა ყოფილა შეცბუნებულნი ან თუნდაც ფიქრიანი. მხოლოდ თვალები გაუბრწყინდა, თითქოსდა ის, რაც იქ ჩაბუდებულიყო, ბრიალებდა თანაბრად, მძვინვარედ და მაინც თავისებური სიმშვიდით, ალბათ, წინ უსწრებდა მონათხრობს.

– მაშ ასე, – თქვა მან. – განაგრძეთ.

– საბოლოოდ, როცა ყველაფერი შევიტყვე და იქ გავეშურე, – თქვა მისის პრუიტმა. – ბავშვი ორი კვირისაც არ იქნებოდა. ნეტავი ვიცოდე, როგორ გამოკვება ცარიელა თხის რძით...

– არ ვიცი, იცით თუ არა თქვენ, – თქვა პრუიტმა. – რომ თხა არ გახლავთ ძროხა. თხა ყოველ ორ საათში ერთხელ უნდა მონწველო. ეს იმას ნიშნავს, რომ მთელი ღამე უნდა წველო.

– ჰო, ეგრეა, – თქვა მისის პრუიტმა. – სახვევებიც კი არ გააჩნდათ. რამდენიმე უხეში ტილოს ტომარა გაეფატრათ, ბებიაქალმა აუხსნა, როგორ უნდა გაეხვიათ ჩვილი. ასე რომ, რაღაც-რაღაცეები შევუკერე და ნავედი

იქ. ჯეკსონს მამის დასახმარებლად მინდორში გაემწესებინა შავტრუხა, თვითონ კი რეცხავდა, საჭმელს ამზადებდა და ჩვილსაც უვლიდა; თხას წველიდა და რძეს ასმევდა. ვუთხარი: „მოდი, ჩემთან წავიყვან თუნდაც მანამდე, ვიდრე სანოვარას არ მიატოვებს. შენც შეგიძლია ჩვენთან იცხოვრო, თუკი გნებავს“, – მან კი მხოლოდ შემომხედა – მოცუცქნული იყო, გაძვალტყავებული, თავის სიცოცხლეში ერთხელაც რომ არ უჭამია მაძღრისად, და ამბობს: „გმაღლობთ, მე. მე თვითონ გავართმევ თავს“.

– და მართლაც ასე იყო, – თქვა პრუიტმა. – სამხერხაოში რას აკეთებდა, არ ვიცი. ფერმაც არასოდეს ჰქონია. ასე რომ, ვერც იტყვი, ფერმერად გამოდგება თუ არა. მაგრამ ბიჭის მოვლას კარგად გაართვა თავი.

– ჰო, ეგრეა, – თქვა მისის პრუიტმა. – მე კი არ მოვეშვი. „ჩვენ არცა გვსმენია, ცოლი რომ შეგირთავს“, – ვეუბნები. „დაახ, მე, – მეუბნება. – შარშან დავექორწინდით. ბავშვი რომ დაიბადა, ის მაშინ მომიკვდა“. „და ვინ იყო, სადაური? – ვეკითხები. – ფრანგისხეველი გოგო იყო?“ „არა, მე, – მპასუხობს. – სამხრეთ მისისიპიდან იყო“. – „რა გვარისა იყო?“ – „მის სმიტი გახლდათ“.

– სულ ისეთი ჯაფა ადგა, დრო არა ჰქონია, რომ ტყუილები ესწავლა, – თქვა პრუიტმა. – მაგრამ ბიჭს კარგად მოუარა. შემოდგომაზე, როგორც კი მოსავალი აიღეს, შავტრუხა გაუშვა და მომდევნო გაზაფხულზე, უწინდელივით, მთელ სამუშაოს თავად სწვებოდა მამასთან ერთად. რაღაც ჩანთა მოახლაფორთა, ამბობენ, ასეთი ჩანთით ბავშვებს ინდიელები ატარებენო. ხშირ-ხშირად მივდიოდი იქ, სანამ მინა გათბებოდა; ვხედავდი, ჯეკსონი და მამამისი ხნავენ, ბურქნარს კაფავენ, ეს ჩანთა კი ღობეზე ჰკიდია და ბაღს ზეზეურად სძინავს ჩანთაში, თითქოსდა ბუმბულის ლეიბზე იწვეს. ფეხი აიდგა იმ გაზაფხულზე, ღობესთან ვჩერდებოდი და ვუცქერდი, ბაღი რომ მიბაჯბაჯებდა კვალში და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ცდილობდა, არ ჩამორჩენოდა ჯეკსონს. ბოლოს და ბოლოს ჯეკსონი აჩერებდა ჯორს, კისერზე ბაღს შეუსვამდა და ისევ იწყებდა ხვნას. ზაფხული რომ მიიწურა, ბაღი უკვე ნორმალურად დააბიჯებდა. ჯეკსონმა ფანერისა და ჯოხისგან პანია თოხი გაუმზადა და ერთად მარგალად წაშობდა. ჯეკსონს თეძომდე სწვდებოდა ღერი, ბიჭი კი თავიან-ფეხიანა იმალებოდა ბამბნარში და ისლა ჩანდა, ღერები როგორ ქანაობდნენ მის ირგვლივ.

– ჯეკსონმა ჩასაცემელიც შეუკერა, – თქვა მისის პრუიტმა. – თვითონ შეუკერა, ნემსით. რაღაც-რაღაცეები მეც შევუკერე და მივუტანე, მაგრამ მეტს ალარ გავრჯილვარ.



მხატვარი ცირა პაპინაშვილი

აილო და მადლობა გადამიხადა. ოღონდ უნდა გენახათ, რა სანახავი იყო. თითქოს მიწასაც უწყრებოდა, ბავშვს ამას რას აქმევო. ჯექსონს ვაძალებდი, ბავშვი ეკლესიაში წაეყვანა, მონათლა. ასე მიპასუხა: „სახელი უკვე ჰქვია – ჯექსონ და ლონგსტრიტ ფენტრი.“³ მამაჩემს ერთის მეთაურობითაც უომია და მეორის მეთაურობითაც“.

– აქედან ცხვირს არა ჰყოფდა, – თქვა პრუიტმა. – რადგან ბიჭი ერთ ნაბიჯზეც არ შორდებოდა. ისე მალავდა ბავშვს, იტყოდი, ფრანგისხევში მოიტაცაო. ჰეივენ ჰილში საყიდლებზე მამას გზავნიდა ხოლმე, თვითონ კი წელიწადში მხოლოდ ერთხელ, მცირე ხნით, სტოვებდა ბიჭს, როდესაც ჯექსონში უნევდა ჩასვლა გადასახადების გადასახდელად. პირველად რომ დავინახე, ბიჭმა სეტერის ლეკვი მომაგონა; მერე შემთხვევით შევიტყვე, ჯექსონი სადღაც წასულიყო და ვეწვიე. ბიჭი სანოლქვემ იჯდა, რომ დამინახა, საჯდომით გაბობლდა კუთხეში და იქიდან მიყურებდა. თვალი ერთხელაც არ დაუხამხამებია. იფიქრებდი, ახალდაჭერილი მელიისა თუ მგლის ლეკვი არისო.

პრუიტმა ჯიბიდან ამოიღო თუნუქელა, თუთუნის პორცია გადმოაბნია სახურავზე, იქიდან კი პირში ჩაიყარა. გულდასმით, აუჩქარებლად აკენკა ყველა ნამცეცი.

– მაშ ასე, – თქვა ძია გევინი. – მერე რაღა მოხდა?

– სულ ეს არი, – მიუგო პრუიტმა. – მეორე ზაფხული რომ დადგა, ორივენი სადღაც გაქრნენ.

– გაქრნენ?

– სწორედ ეგრეა. და არც ვიცი, რატომ გაქრნენ. ერთ მშვენიერ დილას გამოირკვა, რომ იქ აღარ არიან. ერთხელაც მოთმინება გამიწყდა, ვნახე, რომ სახლი ცარიელი იყო. მერე მივაშურე მინდორს, სადაც ბერიკაცი ხნავდა. პირველად მომეჩვენა, რომ გუთნის სახელურებშუა გატეხილი საბრჯენის ნაცვლად ლატანი ჰქონდა მიბმული, და ამ დროს თვალი მომკრა, გამოაძრო ეს ლატანი და თურმე საფანტის თოფი არ ყოფილა! ალბათ, დაახლოებით იგივე მითხრა, რაც დღეს თქვენ გითხრათ; მეორე წელიწადს ისევ ის წინანდელი შავტრუხა ეხმარებოდა. მერე, ხუთი წელიწადი რომ გავიდა, ჯექსონიც დაბრუნდა. არ ვიცი, როდის დაბრუნდა. უბრალოდ, ერთ მშვენიერ დღეს იქ ამოჰყო თავი. შავტრუხა ისევ აღარ ჩანდა, და უწინდელივით მამა-შვილი მუშაობდა. რალაცნაირად ისევ დამელია მოთმინება, წავედი და ლობესთან ავიტუხე. ჯექსონი ხნავდა. მალე ის კვალი, რომელსაც ავლებდა, ლობეს მოუახლოვდა, მაგრამ ჩემთვის არც შემოუხედავს. გვერდით ჩამიარა, ჩვენშუა ათი ფუტიც არ იქნებოდა და თვალიც კი არ შემავლო. მერე ისევ დაბრუნდა იმ ადგილას და ვკითხე: „რაო, ჯექსონ, ხომ არ მომკვდარა?“ – და მაშინლა შემომხედა. „ბიჭი-მეთქი“, – ვუთხარი. იმან კი მომიგო: „რომელი ბიჭი?“

პრუიტები სადილად გვეპატიუებოდნენ. ძია გევინი მადლობა გადაუხადა და უარი მოახსენა.

– რალაც-რალაცა ნამოლებული გვაქვს წასახემსებლად, – თქვა მან. – თანაც უორნერის დუქნამდე ოცდაათი მილია, იქიდან ჯექსონსამდე ოცდაორი მილი. ჩვენი გზები ჯერჯერობით გადაჭედილი არაა მანქანებით.

უკვე დაისი ნეებოდა, უორნერის დუქანს რომ მივადექით ფრანგისხევში. ცარიელ ვერანდაზე ისევ გამოჩნდა კაცი და მანქანასთან ჩამოვიდა.

ეს იყო აიშემ კვიკი, ის მოწმე, პირველად რომ მოხვდა ტორპის ცხედართან – ტანმალალი, უშნოდ აღნაგი კაცი ორმოცდახუთი წლისა თითქოს ნამძინარევი სახითა და ბეცი თვალებით, სადაც ერთგვარი ცბიერება ჩასაფრებულიყო, ცოტა დამცინავიც რომ ეთქმოდა.

– მე გელოდებით, – თქვა მან. – ეტყობა, ვერაფერს ენით, – და თვალი ჩაუკრა ძია გევინს. – ფენტრი, ეგ ეგეთია.

– ჰო, – თქვა გევინი. – თქვენ რატომ არაფერი არ მითხარით?

– თავდაც ვერაფერს ვხვდებოდი, – მიუგო კვიკმა. – მაშინდა დავაკავშირე გვარები, როდესაც ყური მოვკარი, გამართლების წინააღმდეგ ერთი კაცი გამოვიდაო.

– გვარები? – ჩაეკითხა ძია გევინი. – რომელი გვა... არაფერი, არაფერი, განაგრძეთ.

დაკეტილი დუქნის უკაცურ ვერანდაზე ჩამოესხედით. ხეებზე გამკვივანად ტკრციალებდნენ ჭრიჭინობლები, ციმციმებდნენ ციციანთალები და მტვრიან გზას თავზე დასტრიალებდნენ. კვიკი დუნედ, თითქოსდა შიშობდა პირველივე მოძრაობისგან სხეული არ დამეშალოსო, გაიშლართა სკამზე ძია გევინის გვერდით და ყველაფერი გვიამბო. ზანტად ლაპარაკობდა, სიტყვებს ისე სცრიდა, იფიქრებდი, გაჩუმებას დილამდე არ აპირებდსო.

მაგრამ ნამბობი არც ისე გრძელი გამოდგა. ზუსტად იმდენი დრო დაიჭირა, რამდენიც საჭირო იყო. ძია გევინი ამბობს, რომ მრავალსიტყვაობა სრულიადაც არ არის საჭირო, რათა ადამიანის ცხოვრების გზა აღწერო; ვილაცას ორიოდ სიტყვა ეყო საამისოდ: დაიბადა, იტანჯა და მოკვდა.

– ეგა მამაჩემმა აიყვანა. როდესაც შევიტყვე, სადაურიც იყო, მივხვდი, კარგად იმუშავენს-მეთქი, რადგანაც იქაურებს მძიმე შრომის გარდა სხვა არაფრისათვის არა სცალიათ. ისიც ზუსტად ვიცოდი, რომ პატიოსანი კაცი იქნებოდა: იმ მხარეში არაფერია ისეთი, რაც ძალიან-ძალიან დასჭირდეს ადამიანს და ქურდობა აფიქრებინოს. მხოლოდ მისი გული ვერ შევაფასე ჯეროვნად.

ერთი სიტყვით, ჩვენთან დაიწყო მუშაობა. იმავე სამუშაოს ასრულებდა, რასაც შავტრუხები და იმდენსავე ფულს იღებდა, რასაც ისინი. გვიან შემოდგომაზე, როდესაც დაბლობში ნესტი დადგა და საზამთროდ ვემზადებოდით, შევიტყვე, რომ მამაჩემს მოლაპარაკებია, სამხერხაოში გაზაფხულამდე ზედამხედველად და დარაჯად დავრჩებიო, საშობაოდ კი სამდღიანი შვებულება უთხოვია.

ზამთარი იქ გაატარა. მეორე წელიწადს, როდესაც განვაახლეთ მუშაობა, უკვე მაგრად იყო განაფული და საქმეს ისე მოჰკიდა ხელი, რომ ზაფხულის დადგომისას მთელ სამხერხაოს უძღვებოდა. მამაჩემს იქ ფენიც აღარ დაუდგამს, მე კი როცა მომეპრიანებოდა, მაშინ ვესტუმრებოდი ხოლმე, ასე კვირაში ერთხელ. შემოდგომაზე მამაჩემმა სიტყვა ჩამოაგდო, რალაც ქობის მსგავსი ავუშენოთ, თორემ ჩალის ლეიბითა და დანჯღრეული ლუმელით საქვაბეში იოლას როდემდე გავაო. მეორე ზამთარიც იქ გაატარა. არც კი გავგივია, როდის წავიდა შინ საშობაოდ. არც ის ვიცოდი, როდის დაბრუნდა, რადგანაც შემოდგომის მერე იქაურობას არ გავკარებდით.

მერე ერთხელაც თებერვალში – თბილი ამინდი იდგა და შინ რა გაგაჩერებდა – იქით გავემგზავრე. და თვალში მაშინვე მომხვდა ქალი. ჩემს სიცოცხლეში ასეთი არავინ მინახავს – ახალგაზრდა და, შესაძლოა, სრულიად სალსალამათი ურიგო სანახავი არ იქნებოდა. თუმცა ვინ რა იცის. იმიტომ რომა, განა გამხდარი ეთქმოდა, არამედ გამომხმარი. უფრო სწეულებას დააბრალებდი, ვიდრე შიმშილს. ნაქცევაზე ჯერ არ იყო, მაგრამ ზეზეც ვეღარ დგებოდა, რადგან მშობიარობამდე ერთ თვეზე ნაკლები დარჩენოდა. „ეს ვინ არის? – ვეკითხები. ფენტრიმ შემომხვდა და მეუბნება: „ჩემი ცოლია“. „როდის აქეთია? – ვეუბნები. – შემოდგომაზე არავითარი ცოლი არა გყოლია, ახლა კი ერთი თვეც არ გაივლის და ბავშვი უნდა გაჩნდეს“. მყისვე მკითხა: „რაო, ნავიდეთ აქედან?“ „არა, – ვეუბნები. – რატომ, რისთვის“. ახლა კი გაიმბობთ, რაც შევიტყვე სამი წლის შემდეგ, როდესაც ის ძმები აქ გამოჩნდნენ სასამართლოს ქალაღდით ხელში. ფენტრის არაფერი უთქვამს ჩემთვის. საერთოდ ძალზე გულწათხრობილი იყო.

– ჰო, ჰო, – თქვა ძია გვეინმა. – გვიამბეთ.

– არ ვიცი, როგორ მოხდა მათი შეხვედრა. არ ვიცი, სადმე ნაანყდა იმ ქალს თუ ის ქალი შემოეხეტა სამხერხაოში. ამან კი თავი ასწია, ერთი შეხედა და მყისვე გაამართლა ერთი კაცის ნათქვამი: არავინ უწყის, მეხი ან სიყვარული როდის დაგეცემო. ოღონდ არც ერთი და არც მეორე ორჯერ არ დაგეცემა, რადგანაც ეს საჭირო აღარ იქნებაო. არა მგონია, თითქოს ქალი გაქცეულ ქმარს ეძებდა – ქმარი, ალბათ, მაშინვე დაითესა, როცა შეიტყო, რომ ცოლი ბავშვს ელოდა, – და არა მგონია, რომ მას ეშინოდა ანდა რცხვენოდა შინ დაბრუნება, რადგან მამა და ძმები თვითონვე ცდილობდნენ გადაეთქმევივნებინათ მისთვის ამ კაცთან დაქორწინება. მე მგონი, იმასაც აუბობოქრდა ასევე მემკვიდრეობითი, არცთუ გონივრული და მძინვარე სიამაყე, რასაც მთელი ერთი საათი აფრქვევდნენ მისი ძმები სწორედ იმ დღეს.

ერთი სიტყვით, ეს ქალი იქ იყო და, როგორც მგონია, იცოდა, რომ დღეები დათვლილი ჰქონდა; კაცმა შესთავაზა: „მოდი, დავქორწინდეთ“, ქალმა მიუგო: „არ შემიძლია. უკვე მყავს ქმარი“. მერე დრო მოუვიდა, დანვა იმ ჩალის ლეიბზე და, ალბათ, ხვდებოდა, რომ იქიდან ვეღარასოდეს ადგებოდა. ფენტრიმ, ჩანს, დააპურა კოვზიდან, მერე ბებიაქალი მოჰგვარა. ბავშვი დაიბადა. ეტყობა ორივეს ესმოდა, რომ ქალი ვეღარასოდეს დადგებოდა ფეხზე. არ ვიცი, დაარწმუნეს თუ თავადაც ხვდებოდა, რომ ქორწინებას უკვე აღარ ჰქონდა რაიმე მნიშვნელობა, თქვა: ჰოო და იმანაც შეკაზმა ჯორი, მამაჩემმა რომ დაუტოვა სამხერხაოში, შვიდი მილი გაიარა მღვდელ უაიტფილდის სახლამდე და გამთენიისას მოიყვანა. უაიტფილდმა ჯვარი დასწერა მათ, ქალი მოკვდა და ქმარმა, უაიტფილდთან ერთად, დამარხა. იმავე დღემით მოგვადგა. გვითხრა, აქედან მივდივარო და რამდენიმე დღის შემდეგ რომ მივედი, იქ აღარ დამხვედრია – ვნახე მხოლოდ ლეიბი, პანია ლუმელი და თაროზე დედაჩემისგან ნაბოძები თეფშები ტაფასთან ერთად; გაერეცხა, გაეკურიალებინა. მესამე ზაფხულს კი ეს ორივე ძმა, ტორპები...

– ტორპები, – გაიმეორა ძია გვეინმა. ხმადაბლა გაიმეორა. სწრაფად ჩამობნელებულიყო, როგორც ჩვენში იცის ხოლმე, და სახეს ველარ გაარჩევდი. – განაგრძეთ.

– იმ ქალივით შავგვრემანები იყვნენ, – უმცროსი ძმა ძალიან ჰგავდა მას – ეტლით მობრძანდნენ შერიფის თანამშენისა თუ სასამართლოს აღმასრულებლის თანხლებით, რა ვიცი რომელი იყო; ნაწერით გატიკნული ქალაღდი ჰქონდათ, ზედ შტამპი და ბეჭედი, როგორც წესი და რიგია, ჰოდა ვეუბნები: „ასე არ ეგების. აქ თავად მოვიდა, ცარიელ-ტარიელი. ამ კაცმა შეიფარა, აჭმევდა და ასმევდა, უფელია, ბებიაქალი მოჰგვარა სამშობიაროდ და მღვდელი – წესის ასაგებად. ჯვარიც კი დაინერეს, სანამ ქალი მოკვდებოდა. მღვდელი და ბებიაქალი დაადასტურებენ ამას“. უფროსი ძმა კი ამბობს: „ვერ დაქორწინდებოდა ეგა ამ ქალზე. ქმარი თავისი ჰყავდა. ჩვენ უკვე ვიყავით მასთან“. „კეთილი, ეგრე იყოს, – ვეუბნები. – ბიჭი არავის მოუკითხავს. ჰოდა, ამან აიყვანა. ზრდიდა, აპურებდა და ტანთ აცმევდა ორ წელიწადზე მეტხანს“. მაშინ უფროსმა ძმამ ჯიბიდან საფულე ამოიღო, გვაჩვენა და უკან ჩაიღო. „ყველაფერი იქნება, რასაც სამართალი ჰქვია, – გვეუბნება. – ეს ჩვენი სისხლი და ხორცია. ნაყვანა გვწადია და ნაიყვანთ კიდევ“. აქ უკვე მერამდენედ გავიფიქრე, რომ ცხოვრებაში ძალიან ბევრი რამ ისე არ ხდება, როგორც უნდა ხდებოდეს და ვეუბნები: „იქამდე ოცდაათი მილია. მე მგონი, უარზე არ იქნებით, აქ რომ გაათითოთ ღამე. ცხენებსაც დაასვენებდით“. უფროსმა ძმამ შემომხვდა და მეუბნება: „ცხენები არ დაღლილან. უნდა ნავიდეთ“. „მაშინ, – ვეუბნები. – მეც თქვენთანა ვარ“. „კაი ბატონო, ნავიდეთ“, – მეუბნება.

შუალამისას შევჩერდით. მეგონა, რომ დავასწრებდი მისვლას და გავაფრთხილებდი იმას. თქვენც არ მომიკვდეთ! როდესაც ცხენები გამოვხსენით და მიწაზე დავეყარენით, უფროსი ძმა არ დაწოლილა. „რალაც არ მეჭამნიკება ძილი, – ამბობს. – ცოტახანს ვიჯდები“. აქ უკვე ველარაფერს გავანყობდი. მივეგდე და დავიძინე. მერე მზეც ამოვიდა და უკვე გვიანი იყო. ჯერ კიდევ შუადღემდე მივადექით საფოსტო ყუთს, რომელზეც ისე ეწერა გვარი, არ შეიძლება არ შეგემჩნია. სახლი ცარიელი იყო, არავინ ჩანდა და არც ხმა ისმოდა. მერე სახლის უკან ცულის კაკუნს მოვკარით ყური. გავწიეთ იქით, ფენტრიმ თვალის მოსწევიტა ნაპობს და ის დაინახა, რასაც, ალბათ, ყოველი მზის ამოსვლისას ელოდა აგერ უკვე სამი წელიწადი. იმიტომ რომ, არც კი გატრუნულა. ბაღს უთხრა: „გაიქე, მინდორში გაიქე პაპასთან, სწრაფად!“ და ცულანეული პირდაპირ უფროსი ძმისკენ გაქანდა. საცაა და არტყამდა, მაგრამ ხელი ვტაცე ცულის ტარს, უფროსმა ძმამ კი მოიხელთა ფენტრი, მიწას მოვწყვიტეთ კიდევ და მაინც ძლივს ვაკავებდით. „მორჩი, ჯეკსონ! – ვეუბნები. – გეყოფა, ეს კანონის ძალით ხდება“.

ამასობაში რალაც პანანკინტელა არხება მტლინკავდა და ფეხებს მიკანრავდა. ბაღლი იყო. ხმას არ იღებდა, მხოლოდ ბზრიალებდა და ფენტრის ნაპობს გვირტყამდა. „ხელი მოკიდე და ნაიყვა ეტლში“, – ამბობს უფროსი ძმა. უმცროსმა ხელი ჩაავლო ბავშვს; მისი შეკავება ისევე ძნელი გამოდგა, როგორც ფენტრისა. ხელიდან სხლტებოდა და ტლინკებს ყრიდა, უწინდებურად ხმაამოუღებლივ, მაშინაც კი, როცა უმცროსმა ძმამ მაღლა

ასნია, ფენტრი კი მის მაგივრადაც იბრძოდა, ვიდრე უმცროსი ძმა, ბიჭთან ერთად, თვალს არ მიეფარა. მაშინლა გაუწყდა ილაჯი, თითქოსდა ძვლები ერთიანად დაუდნაო. მე და უფროსმა ძმამ ხელი გავუშვიტ. კუნძის სიახლოვეს იწვა, ზურგით ეხებოდა დაჩეხილ შეშას და მძიმედ სუნთქავდა. პირზე დუფი მოსდგომოდა.

„ეს კანონის ძალით არი, ჯეკსონ, – ვეუბნები. – მისი ქმარი ცოცხალია“. „ვიცი, – მპასუხობს. ხმა ოდნავ სცდება ჩურჩულს. – ამას ველოდი. ალბათ ამიტომაც მეცა ელდა. ახლა უკვე გადამიარა“. „ბოდიში, რომ ასე მოხდა, – ამბობს უფროსი ძმა. – აქამდე არაფერი ვიცოდით, მხოლოდ ვასულ კვირაში შევიტყვეთ. ის ხომ ჩვენი ჯილაგია. უნდა წავიყვანოთ. თქვენ კარგად უვლიდით მას. დიდი მადლობა ჩვენგან. და დედამისისგანაც. აი, ინებეთ“.

ჯიბიდან ამოიღო საფულე და ხელში ჩაუდო ფენტრის. მერე მიბრუნდა და გასწია. მალე მოგვესმა, როგორ ეშვებოდა ეტლი ფერდობზე.

„ეს კანონის ძალით არი, ჯეკსონ, – ვეუბნები. – მაგრამ კანონი ასეც შეიძლება მოაბრუნო და ისეც. წავედით ქალაქში კაპიტან სტივენსთან. მე წამოგყვები“.

ის ნელა, ულახათოდ ჩამოჯდა კუნძზე. ისე მძიმედ აღარ სუნთქავდა და უკეთესადაც გამოიყურებოდა, მხოლოდ თვალეში უწინდელივით ჩასდგომოდა შეცბუნება. მერე ხელი ასწია და სახე მოინმინდა საფულით, თითქოს ცხვირსახოცი არისო; მე მგონი, არც კი იცოდა, რომ ხელში რაღაც ეჭირა, რადგან როცა ხელი დაუშვა, ალბათ, ხუთიოდე წამს შეჭყურებდა საფულეს და მერე გადაავდო. კი არ მოუსროლია, უბრალოდ გადაავდო. როგორც მინის ბელტი, რომ აიღებენ ხოლმე, ეს რა არისო. მერე წამოდგა და ტყისკენ გაემართა. აურქარებლად მიაბიჯებდა და იმ ბიჭზე ოდნავ მოზრდილი ჩანდა. „ჯეკსონ!“ – დავუძახე, მაგრამ უკან არ მოუხედავს და ხეებს მიღმა გაუჩინარდა.

იმ ღამით რუფუსს პრუიტთან დავრჩი და მისგან ჯორი ვითხოვე. რუფუსს ვუთხარი, უბრალოდ გავისეირნებმეთქი. არავისთან არ მსურდა საუბარი, დილით კი ჯორი მივაბიჭებდი და სახლისკენ გავემართე. თავდაპირველად არც დამინახავს ვერანდაზე მყოფი ბერიკაცი ფენტრი.

როცა დავინახე, მოუხელთებელი სისწრაფით ასწია რაღაც, გაისმა „ბახ!“ და გავიგონე საფანტის ტკაცუნის ფოთლიანში, მერე თვალი მოვკარი, რომ რუფუსს პრუიტის ჯორი, რაც ძალი და ღონე აქვს, ლამობს გაგლიჯოს სადავე ანდა თავი დაიხრჩოს.

და ერთხელაც ბულა ტორპი, ექვსი თვე იქნებოდა გასული მას შემდეგ, რაც აქ დასახლდა და გადაეშვა ქეიფში, ჩხუბსა და სხვის საქონელთან ფოკუსების კეთებაში, მთვრალი იჯდა ვერანდაზე და ენას ლესავდა. და ათიოდე ყმანვილი იმათგან, ვისაც, როცა კი გაეხარდებოდა, ლამის სასიკვდილოდ ბერტყავდა ხოლმე უნამუსო ხერხებით და ზოგჯერაც პატიოსან დაკა-დაკაში, მყისვე ტეხდნენ სიცილს, როგორც კი გაჩუმდებოდა სულის მოსათქმელად. შემთხვევით თვალი გამექცა და დავინახე ფენტრი. ჯორზე იჯდა აი იქა, გზაზე.

უბრალოდ იჯდა იქ – ამ ოცდაათი მილის მტვერს, გაჟღენთილს ჯორის ოფლით, ქერქი გადაკროდა – და

შეჭყურებდა ტორპს. არ ვიცი, რამდენი ხანი დაჰყო იქ. უხმოდ უყურებდა, მერე ჯორი მიაბრუნა და დასძრა მთა-გორებისკენ, რომლებიც არასოდეს არ უნდა მიეტოვებინა. თუმცა ვინ იცის, როგორც ის კაცი ამბობს, ვერც მეხსა და ვერც სიყვარულს ვერსად დაემალე. მაშინ ვერ მივხვდი, რაში იყო საქმე. ვერ დავაკავშირე მათი გვარები.

ტორპის გვარი ბუნდოვნად კი მახსოვდა, მაგრამ ის შემთხვევა ოცი წლის წინათ მოხდა და არ გამხსენებია, ვიდრე ნაფიც მსაჯულთა ამბავი არ შევიტყვე. რასაკვირველია, ის არ მისცემდა ხმას ბუკრაიტის გამართლებას... გვიანია უკვე; წავიდეთ, ვივანხმობთ.

მაგრამ ქალაქამდე სულ ოცდაორი მილილა გვრჩებოდა და იქით მიემართებოდა შოსე, ღორღიანი გზა; შინ მისვლას საათნახევარი სჭირდებოდა, თუმცა ზოგჯერ საათში ოცდაათ მილსაც ვახერხებდით. და მგონი ოცდაათხუთმეტსაც. ძია გვეინი ამბობდა, ოდესმე ჩვენს შტატში ყველა ძირითადი გზა მოიკირწყლება, როგორც მემფისში, და ყოველი ამერიკული ოჯახი მანქანას გაიჩენსო. სწრაფად მივქროდით.

– რასაკვირველია, არ სურდა, – თქვა ძია გვეინმა. – ხოლო უმცირესი ამა ქვეყნისა უძლეველია. უნდა გაუძლო, გაუძლო და კვლავაც გაუძლო. ხვალ, და ისეც ხვალ, და ისეც ხვალ. რა თქმა უნდა, არ სურდა, რომ ბუკრაიტი გაემართლებინათ.

– მე კი გავამართლებდი, – ვთქვი მე. – ღმერთმანი, გავამართლებდი, რადგანაც ბაკ ტორპი ცუდი ვინმე იყო, ის...

– არა, არ გავამართლებდი, – თქვა ძია გვეინმა. ხელი მომიჭირა მუხლზე, თუმცა სწრაფად მივქროდით, ფარების ყვირელი შუქი ეფინებოდა ყვითლად გზას, პეპლები მიფრინავდნენ სინათლის სხივში და სადღაც იკარგებოდნენ. – საქმე ბაკ ტორპს როდი ეხება, მოზრდილ კაცს. ფენტრი რომ ყოფილიყო ბუკრაიტის ადგილას, ისიც ესროდა ტყვიას, დაუფიქრებლად ესროდა. მაგრამ საქმე ისაა, რომ ბუკრაიტის მიერ მოკლული კაცის, გათახსირებული და სასტიკი კაცის გვამი ჯერ კიდევ ინახავდა სადღაც, ეგებ სულს თუ არა, რაღაც მოგონებას იმ ბაღლზე, ჯეკსონ და ლონგსტრიტ ფენტრი რომ ერქვა, თუმცა იმ კაცმა, როგორც გახდა ის ბაღლი, არაფერი იცოდა ამაზე. ეს იცოდა მარტოოდენ ფენტრიმ. და შენც არ გავამართლებდი მკვლელს. ვინძლო, არასოდეს დაივიწყო ეს, არასოდეს-მეთქი.

თარგმნა
ლასა გიორგაძე

1. ამბავს გადმოგვცემს ჩარლზ (ჩიკ) მალისონი, პროკურორ გვეინ სტივენსის დისწული. ასე რომ, მის მიერ ნათქვამი „პაპაჩემი“, იმავდროულად, ნიშნავს გვეინის მამას.

2. კონფედერატთა სახელგანთქმული მხედართმთავარი გენერალი ტომას ჯონათან ჯეკსონი (1824-1863), რომელსაც შეარქვეს „სტონუოლ“ (ქვის კედელი) ბრძოლებში გამოვლენილი შეუპოვრობისათვის.

3. ჯეიმზ ლონგსტრიტი (1821-1904) – კონფედერატთა არმიის გენერალი.

რატომ იცვლიდნენ გვარს

როგორც ამბობენ, ზოგ-ჯერ ერთი ეფექტური, ცხოვრებისეული დეტალი არანაკლებ ზუსტად ასახავს ხოლმე ამა თუ იმ ეპოქას, ვიდრე სწავლულთა ვრცელი გამოკვლევანი.

ძველ გაზეთებში რას არ წაანყდები!

ცენტრალური საბჭოთა გაზეთი „იზვესტია“ 1937 წელს ლამის ყოველ ნომერში აქვეყნებდა მთხოვნელთა სიებს. რას ითხოვდნენ? რასა და გვარის გამოცვლას...

ვისაც ჯერ არ დავიწყებია რუსული, ცხადია, მიხვდება, თუ რატომ იცვლიდნენ გვარს, ვთქვათ, აი ესენი: დურაკოვი, გრობოვი, ბარდაკოვი, ბლიადიკი და ა.შ. (სიტყვამ მოიტანა და განა შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ საქართველოში შეიძლება არსებობდნენ შტერაქე, სასახლიშვილი, ბოზანდარია და სხვანი მისთანანი?! როგორ გეკადრებათ!).

გნოვების სწადია გახდეს ვინოგრადოვი (ჩირქს ცვლის ყურძენში!), პუდელს – პუდოვიკინი (ძალი უნდა გადაიქცეს კინორეჟისორად), ბარანს – ბარანოვი (განა ერთი და იგივე არ არის?!); როსტოველმა გზგ ზიანმა, ეტყობა, გაანვალა თანამშრომლები თავისი ძნელად გამოსატყმელი გვარით და ევედრება ხელისუფლებას, თქვენი ნებართვით გიზგიზოვი ვიქნებიო.

ყოველი სიის დასაწყისში აღნიშნულია, რომ თუკი მკითხველს უსაფუძვლოდ მოეჩვენება გვარის გამომცვლელის გულისწადილი, შეუძლია პროტესტი მისწეროს რედაქციას, ოღონდ სრულად უნდა მიუთითოს თავისი საანკეტო მონაცემები.

ვთქვათ, დურაკოვის მეზობელს მიაჩნია, რომ ეს გვარი ზედგამოჭრილია პატრონზე და რატომ უნდა გაქრეს ამგვარი ჰარმონია, ესოდენ იშვიათი რომ არის ადამიანთა მოდგმაში?! ცხოველთა სამყაროში მაიმუნს ხომ ჰქვია მაიმუნი და ღორს – ღორი. ორფეხთა შორის კი სანთლით საძებარია ასეთი შესაბამისობა. და თუკი ღმერთმა გარგუნა გვარად დურაკოვი და ასი პროცენტით ამართლებ განგების ვერდიქტს, ნეტავი რას ფაფხურობ, რას იჭაჭები?!

იგივე შეიძლება ითქვას სხვა უსიამო გვართა მფლობელებზე. უმანკოების თაყვანისცემელი მეზობელი ფხიზლად დგას ზნეობის სადარაჯოზე და ღრმად იქნება დარწმუნებული, რომ ესა და ეს ქალბატონი სავსებით სამართლიანად ატარებს ბლიადიკის გვარს და ნეტავი რატომ რცხვენია?!

აბა, თუ გამოიცნობთ, ყველაზე ხშირად რომელი გვარის გამოცვლას ეტანებოდნენ პატიოსანი საბჭოთა მოქალაქენი?

ვისაც იმხანად არ უცხოვრია (ერთეულებილა დარჩენილან), გაუჭირდება გამოცნობა, თუმცა პასუხი ერთობ მოკლეა და მარტივი: ყველაზე ხშირად იცვლიდნენ გვარს ტროცკის გვარის მატარებლები.

რუსეთში, როგორც ჩანს, ფრიად გავრცელებული ყოფილა ეს გვარი, რომელიც თავის დროზე ფსევდონიმად აიღო ოქტომბრის რევოლუციის მთავარმა ორგანიზატორმა (შემოქმედში არ აგერიოთ, შემოქმედი იყო ლენინი) ლეიბა ბრონშტეინმა. ოდესის ციხის ზედამხედველისგან მიითვისა. ეს ზედამხედველი, გვარად ტროცკი, ალბათ, პატივისცემით ეპყრობოდა ახალგაზრდა პატიმარს და თავისი გვარი ღრმად ჩაუბეჭდა გონებაში.

და აი, 1937 წელს გამწარებით იშორებენ ოდესლაც საამაყო გვარს, ახლა სამარცხვინო და სახიფათო რომ გამხდარა.

ცენტრალური გაზეთის ფურცლებზე, ლამის ყოველდღე, ყოფილი ტროცკები გვევლინებიან ახალ-ახალი გვარებით: ალმაზოვი, გორსკი, ივანოვი, ურალსკი, რუდინი, მოტოროვი, ორლოვი...

თქვენ წარმოიდგინეთ, ხარკოვში აღმოჩნდა ოქტომბრის ბელადის სრული სეხნია, ე.ი. ლევ ტროცკი, და სასწრაფოდ ლამობს თავის დაძვრენას. სახელს იტოვებს, გვარად კი შეურჩევია – დელივიგი (XIX საუკუნის რუსი პოეტი, მეგობარი პუშკინისა. ხარკოველ ლევ ტროცკის, ალბათ, ლექსების წერა უყვარდა).

შეინიშნება ერთი საგულისხმო ტენდენცია: უფრო ხშირად მიმართავენ ამ წყეული გვარის გადაკეთებას ერთადერთი ასოს ჩამატებით. იყო ტროცკი და გახდა ტროიცკი. პოპულარობის მიხედვით, მეორე ადგილზეა ტროიანოვსკი.

ამათ, ეტყობა, ფანტაზია ჰქონდათ მწირი ანდა ეზარებოდათ ზედმეტი ტვინის ჭყლეტა.

ყოფილი ტროცკების მისწრაფება გასაგებია და ბუნებრივი. „ენკავედეს“ მაღალ ემელონებში, ალბათ, ეცოდინებოდათ, რომ ტროცკი გვარი კი არ იყო უპირველესი „ხალხის მტრისა“, არამედ – ფსევდონიმი. მაგრამ წვრილფეხა ჩეკისტებს, ალბათ, არ ეცოდინებოდათ ამდენი. ნებისმიერ ტროცკის ჩათვლიდნენ ლევ ტროცკის უახლოეს ნათესავად. ჰოდა, ვის ჰქონდა შარის თავი!

დესერტად კიდეც ერთ გვარის გამომცვლელს გაგაცნობთ.

გინდ დაიჯერეთ და გინდ არა, მაგრამ გაზეთში შავით თეთრზე წერია, რომ გვარის გამოცვლას ითხოვს დავიდ ავეროვიჩ ჰიტლერი! ევედრება ხელისუფლებას, ლენსკი გავხდებიო. ხედავთ, ოთხი წლით ადრე იყნოსა ომი!

რა გასაკვირია, ევეგენი ონეგინთან დუელში სიკვდილი ერჩივნოს მილიონობით თვისტომთა წყევლა-კრულვასა და სიძულვილს!

სხვათა შორის, ზემოთ დამონმებული მასალა მხოლოდ და მხოლოდ სამი თვის მოსავალია (აპრილი – ივნისი).

რას არ წაანყდები ძველ გაზეთებში!

ნახტომი ეკრანიდან

„ფანტაზიის მომხიბვლელიობა, როგორც დაპირისპირება ცხოვრების სიმკაცრესთან, ეს არის თემა, რომელიც ისევ და ისევ ჩნდებოდა ჩემს შემოქმედებაში. ჩემთვის ეს იყო რაღაც გაუცნობიერებელი, მაგრამ ამას მეუბნებოდნენ ჩემი მეგობრებიც და კრიტიკოსებიც წლების მანძილზე... მე გმონი, მოცემული იდეა ახლა გამოვხატე ყველაზე მიმზიდველი ფორმით“, – ამბობდა გამოჩენილი ამერიკელი მსახიობი, რეჟისორი და დრამატურგი ვუდი ალენი, როდესაც გადაიღო

ახალი ფილმი „კაიროს მენა-მული ვარდი“.

ეკრანზე ვხედავთ ამერიკის პროვინციულ ქალაქს ნიუ-ჯერსის შტატში. გასული საუკუნის ოცდაათიანი წლები დამდგარა, ქვეყანა განიცდის ეკონომიკურ კრიზისს. ფილმის გმირი ქალი სესილი, სახეზე მუდამ განგაში და ნუხილი რომ აწერია, ოფიცინტად მუშაობს გუდამშიერ სასაუზმეში. მისი მოკრძალებული გასამრჯელო – ერთადერთი საარსებო წყაროა მისი და მისი ქმრისა, რომელმაც ფაბრიკის დახურვის

შედეგად სამუშაო დაკარგა. სესილის ერთადერთი სიხარული და შვება ცხოვრებაში გახლავთ კინოთეატრი, სადაც მზადაა ყოველ საღამოს იაროს, რათა ორიოდ საათით მაინც მოსწყდეს თავისი უღიმღამო არსებობის სურათს.

სესილი იმდენად არის გატაცებული კინემატოგრაფით, რომ ცხადელივ ეხვევა ოცნებაში, ამიტომაც დაბნეულია სამუშაოზე, ყველაფერი ხელიდან უვარდება და ბოლოს და ბოლოს სასაუზმის პატრონი დაითხოვს სამსახურიდან. უდროო დროს ბრუნდება შინ და თავზე დაადგება თავის უმუშევარ ქმარს, ვიღაც ქუჩის ქალი რომ მოუყვანია და განცხრომაში ჩაფლულა. სესილი თავბედს იწყევლის: ჭირმა წაიღოს ასეთი ცხოვრებაო, და თავქუდმოგლეჯით გარბის კინოში, რათა უკვე მერამდენედ (მეხუთედ!) ნახოს თავისი საყვარელი ფილმი „კაიროს მენამული ვარდი“, სადაც ბრწყინავს უბადლო გილ შეპარდი – რომანტიკული მოგზაურისა და ზრდილი კავალრის ტომ ბაქსტერის როლში.



გილ ალენი

ჰოლივუდი ანუ, როგორც უწოდებენ, „ოცნებათა ფაბრიკა“ ნარკოტიკულ ზემოქმედებას ახდენს მასობრივ მაყურებელზე. აგერ სესილი, გამხდარი, დაბნელებული – სასაუზმის პატრონისა და უხეში კლიენტების ხელში, მუდმივი შიშის ქვეშ ცხოვრობს, ვაითუ ეს უბადრუკი სამუშაოც დაგკარგოთ. ეკრანზე კი ცხოვრება იოლია და მდიდრული, ფიქრობენ მხოლოდ გართობაზე, სამიჯნურო რომანებსა და საინტერესო მოგზაურობებზე. ფილმის დასაწყისში სესილის ცრემლი ადგება თვალებში თავისი სიბერის გამო, მაგრამ მალე ყველაფერი ავიწყდება. ნამიცი და იქ ჰგონია თავი, ეკრანზე, მდიდარ მუქთახორებთან, დროსტარების მეტი რომ არაფერი ახსოვთ, საოცრებო ტომ ბაქსტერის გვერდით.

ზის სესილი დარბაზში, გატაცებით და აღტაცებით უყურებს მომხიბლავ ფილმს და უეცრად ხდება სასწაული. ტომ ბაქსტერი ზურგს შეაქცევს თავის პარტნიორებს, წინა პლანზე

გამოდის და სესილის გამოელაპარაკება. თურმე კარგა ხანია შეუმჩნევია ეს ქალი, ასეთი თავდადებით რომ უყურებს ფილმს. სასწაული კი გრძელდება. ბაქსტერი გადმოაბიჯებს კადრის ჩარჩოს, მიატოვებს ეკრანს, ჩამოდის მაყურებლებით გაჭვდილ დარბაზში, ხელს ჰკიდებს გაოგნებულ სესილის და მასთან ერთად გადის გარეთ.

როგორც აღნიშნავენ, ფილმი დადგმული და გადაღებულია ისე დახვეწილად, ისეთი უზადო გემოვნებით, გაჩაღებული ოსტატობითა და მიმზიდველი იუმორით, რომ წამოიძახებ: ასეთი კინო არ არსებობს, ეს წამდვილად სიზმარია და სიზმარივით გაქრებაო.

ბაქსტერის გაქცევა იწვევს გაუგონარ პანიკას. მთავარი გმირი, ერთსა და იმავე დროს, გაქრა პოპულარული ფილმის ყველა ასლიდან და კინოთეატრთა მფლობელებს თავზარი ეცემათ, ისევე, როგორც ფილმის პერსონაჟებს, რომლებსაც აღარ ძალუძთ თამაში მთავარი პარტნიორის გარეშე, უსაქმოდ დაეხეტებიან ეკრანზე და მსჯელობენ ამ აბსურდული სიტუაციის შესახებ.

მსახიობი გილ შეპარდი სასწრაფოდ ჩამოდის ჰოლივუდიდან, ცდილობს ნაგლიჯოს ტომ ბაქსტერი ქალს და დააბრუნოს კადრში. თუკი ტომი დარჩება სესილისთან, ეს ეშუქრება გილ შეპარდის ბრწყინვალედ დანყებულ კარიერას.

ვუდი ალენის ფილმის ზედაპირზე საუცხოოდ გათამაშებულ ფანტასტიკურ ისტორიას ვადევნებთ თვალს, ხოლო ზედაპირს ქვეშ გვაფიქრებს ხელოვნების ადგილი და დანიშნულება ცხოვრებაში, ურთიერთობა სინამდვილესა და გამოწონს შორის, უნუგემო ბედი უბრალო ადამიანისა.

ფანტასტიკური ფილმი, რაც არ უნდა პარადოქსულად გეჩვენოთ, მართალ და რეალისტურ ქმნილებად გამოიყურება. პირობითი ხერხი მხოლოდ ხაზს უსვამს რეჟისორის ჩანაფიქრს.

ქრონიკა

გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმში გამართა მირზა გელოვანის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო. პოეტის ლექსები, პირადი წერილები და ამონარიდები ნიკა აგიაშვილის წიგნიდან წაიკითხეს: მუზეუმის თანამშრომელმა, სცენარის ავტორმა, რეჟისორმა და მსახიობმა მარინე კურტანიძემ, კოტე მარჯანიშვილის სახელმწიფო დრამატული თეატრის ახალგაზრდა მსახიობებმა: გვანცა კანდელაკმა, ლაშა-გიორგი პაპუაშვილმა და ირაკლი კვანტალიანიმ. მუსიკალური გაფორმება ანანო ლლონტს ეკუთვნოდა.

სცენიდან ისმოდა პოეტის ლექსები და პირადი წერილების სტრუქტურები, რომლის ადრესატებიც: დედა, დები და ახლობლები იყვნენ. ფილმის კადრებივით გაიბრინა ჭაბუკებად დარჩენილი პოეტების: მირზას, ლადოს, ალექსანდრე საჯიას ერთ დროს

ბედნიერმა ცხოვრებამ, რუსთაველის პროსპექტზე ხეტიალმა, გალაკტიონთან შეხვედრებმა, პირველი დაბეჭდილი ლექსით მიღებული განცდამ და უცებ ომი... რომელმაც მირზას ათქმევინა: „...ჰკლავს ჩემში ლექსების მწერალს, მაგრამ ზრდის პოეტს“-ო დისადმი, რუსუდანისადმი, ფრონტიდან გამოგზავნილმა წერილმა კი ყველას თვალზე ცრემლი მოგვარა.

საღამოს დასასრულს, მუზეუმის დირექტორმა იზა ორჯონიკიძემ მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას მობრძანებისათვის, ხოლო მსახიობებს და მუზეუმის თანამშრომლებს – მარინე კურტანიძეს და ანანო ლლონტს – ღონისძიების გულითადი წარმართვისათვის. გამოთქვა სურვილი, რათა აღიძრას შუამდგომლობა საქართველოსა და ბელორუსიის მთავრობებისადმი მირზა გელოვანის ბელორუსიიდან, დაბა სატიკის საძმო სასაფლაოდან თბილისში გადმოსვენების შესახებ.